

აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ

ნუგზარ წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

„აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“

წინასიტყვაობა

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება და შემოქმედება ვიდანვე იქცა გაცხოველებული ინტერესის საგნად. ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზოდობის ეს ინტერესი დღემდის არ შენელებულა, პირიქით იზრდება და ფართოვდება.

გურამ რჩეულიშვილის ლეგენდად ქცეული ცხოვრება. და მაღალმხატვრულად ამეტყველებული საკუთარი ავტობიოგრაფია, მძაფრი ეროვნული სულისკვეთება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა, საქართველოს უდიდესი სიყვარული და მშობლიურ ნიადაგზე მყარად დგომა, სტერეოტიპების უშიშრად მსხვრევა და ცხოვრების მართალი ასახვა, თანამედროვე აზროვნებისა და მწერლური გაბედულების შერწყმა, მოყვასის უანგარო სიყვარული და ყველა ქართველის მხარში დგომა, განუწყვეტელი მოძრაობისა და ხალხის გამოფხიზლების დიდი სურვილი, ტრადიციების დაცვა და საკუთარის დანერგვა, სიკეთისა და მიმტევებლობის გრძნობა, ლაღი ცხოვრება და სიკვდილის შიშზე ამაღლების უტეხი ძალა მის თვითმყოფად შემოქმედებას უაღრესად ძლიერ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებს და ყოველ დროს ეხმიანება.

დღემდე ქართველმა მკითხველმა მიიღო გურამ რჩეულიშვილის მხოლოდ ხუთი წიგნი 1961, 1965, 1975 (რუსულ ენაზე), 1977, 1985 წლებში და 1967 წელს ერთი მოთხრობის სერიით გამოცემული „ალავერდობა“. ეს რა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა ისეთი მწერლისათვის, როგორიცაა გურამ რჩეულიშვილი.

გურამს მდიდარი ლიტერატურული არქივი დარჩა. აქ არის მოთხრობები, ნოველები, პოემები, ლექსები, მინიატურები,

დაუმთავრებელი რომანები, დღიურები, ლიტერატურული ჩანაწერები, წერილები. არქივზე ახლა დიდი რუდუნებით მუშაობს გურამის უმცროსი და მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილი. იგი ამზადებს სრულ აკადემიურ გამოცემას. ეს კი ალბათ ოთხ-ხუთ ტომს შეადგენს. სამუშაო მეტად რთულია. მარინეს მიზანია აღადგინოს ყველაფერი ისე, როგორც ჰქონდა დაწერილი თუ ჩაფიქრებული მწერალს და რასაც დროის უკუღმართობის გამო ზომაზე მეტად შეეხო ცენზურის თუ რედაქტორის ხელი.

გურამ რჩეულიშვილზე ბევრი დაიწერა: კრიტიკული წერილები, ლექსები, ესსეები, მოთხრობები, რომანიც კი, რაც მის ფართო პოპულარობაზე მეტყველებს. მაგრამ ადამიანი მიღწეულით არასდროს არ კმაყოფილდება. ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1977-1978 წლებში მე დავიწყე გურამის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წიგნის წერა.

წიგნის პირველი გამოცემა სათაურით — „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, რაც გურამ რჩეულიშვილის ცნობილი მოთხრობის „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ“ სახეშეცვლილ ვარიანტს წარმოადგენდა, გამოქვეყნდა 1980 წელს.

წიგნისადმი მკითხველის ინტერესი დიდი იყო და 1984 წელს გამოვიდა მისი მეორე გამოცემა. მეორე გადამუშავებულ გამოცემაში შევიდა ბევრი ახალი მასალა.

მეორე გამოცემასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან სამასამდე წერილი მივიღე. მკითხველები. მწერდნენ, მირჩევდნენ, მადლობას მიხდიდნენ და გამოსთქვამდნენ უდიდეს სიყვარულს უდროოდ წასული ახალგაზრდა მწერლისადმი.

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ მკითხველების თბილი წერილები კვლავ გრძელდება. ჩემთვის ყველაზე დიდი ქება თუ ჯილდო იყო გურამ რჩეულიშვილის დედის მარიამ ნიჟარაძე-რჩეულიშვილის წერილი, სადაც იგი მწერდა:

„ჩემო გულით საყვარელო ნუგზარ! შენი წიგნი ორჯერსამჯერ წავიკითხე; დიდი ღელვით და გულისტკივილით შევა ძელი ბოლომდე წაკითხვა. გაკვირვებული დავრჩი — როგორ

შესძელი აღგედგინა ასეთი კარგი მოგონებები, წარმოუდგენლად განმიახლდა ყველაფერი, ვკითხულობდი და ვფიქრობდი: ეს თითქოს ახლა იყო, სულ ერთი თვის წინ;ძალიან ბევრი ჩემთვისაც ნაცნობი მოგონებაა. არასგზით არ მეგონა თუ 20 წლის შემდეგ მე მექნებოდა საშუალება ჩემი გურამი ასე ცოცხლად წარმომედგინა და ამხელა სიამოვნება და გულის ტკივილი განმეცადა. ჩემო ნუგზარ, არ შემიძლია დიდი მადლობა არ გადაგიხადო იმ სამსახურისთვის, რაც შენ გაუწიე შენს მეგობარს შენი წიგნის დაწერით“...

(ეს იყო 1980 წელს, როდესაც გამოვიდა გურამისადმი მიძღვნილი წიგნის პირველი გამოცემა.)

გასულ წელს დავიწყე მზადება გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი წიგნის მესამე. გადამუშავებული გამოცემისათვის. ჩემს პირად არქივში ბევრი მასალა შემხვდა, რომელთა ნაწილი ადრე დაიწერა, მაგრამ ან ცენზურამ არ უშვა ან საერთოდ შეუძლებელი იყო მათი გამოქვეყნება.

ახლა შევკრიბე ყველაფერი, კიდევ ერთხელ გადავიკითხე გურამის წიგნები, პიესები, გამოუქვეყნებელი ნოველების ნაწილი, რაც ადრე მარინემ გადმომცა. წავიკითხე პირადი წერილები, ჩემი დღიურები, კიდევ ვისაუბრე უახლოეს მეგობრებთან და ვინ იცის მერამდენედ დავრწმუნდი გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება და შემოქმედება ამოუწურავი თემაა, რომელსაც უსასრულოდ შეიძლება დაუბრუნდე. მომავალში კიდევ უფრო მეტი დაიწერება მის შესახებ.

ამიტომ გადავწყვიტე წიგნი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ კი არ შემევსო, არამედ გამომეცა ახალი, სრულიად დამოუკიდებელი წიგნი, უმთავრეს მიმართულებად კი ამერჩია გურამის ცხოვრებისა და შემოქმედების ეროვნული სულისკვეთება, რაზეც ამ 10-12 წლის უკან მხოლოდ მინინებებით თუ შეიძლებოდა ლაპარაკი.

ზოგიერთი ადგილის, ციტატების თუ აზრების მცირე. ნაწილობრივი განმეორებების გარდა წინამდებარე წიგნში შევიდა სულ ახალი მასალა, აქ მოტანილი ყველა მოგონება თუ შემ-

თხვევა დღემდე არსად არ გამოქვეყნებულა; მსჯელობა და ციტატები ბევრ ადგილას გურამის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების განხილვაზეა დაფუძნებული.

ჯერ ყველაფერი არ თქმულა, ყველაფერი არ დამთავრებულა. ალბათ მომავალში ეს წიგნიც განმეორებით გამოიცემა. ამიტომ კვლავაც დიდი მადლობის გრძნობით მივიღებ წიგნის მკითხველების ყველა შენიშვნას. მოსაზრებას თუ წინადადებას ჩემი ბინის მისამართით; 380009, თბილისი, იაკობ ნიკოლაძის ქ. # 7, ბინა 49.

ნუგზარ წერეთელი.

1

„მოდით, ერთხელ მაინც მივიდეთ ახლოს სინამდვილესთან...

...შევეცადოთ მართლა. თითოეული ჩვენი სიტყვა იყოს გულახდილი“...“

გურამ რჩეულიშვილი — „იულონი“

1956 წლის ზაფხულში მოხდა იმ დროისათვის მართლაც საოცრად გაბედული შემთხვევა, რაზეც მაშინ თითქმის მთელი თბილისი ლაპარაკობდა.

მე იმერეთში ვიყავი წასული ბებიასთან და დაბრუნებისთანავე მეგობრებმა ეს ამბავი დამახვედრეს.

სულაც არ გამკვირვებია გურამ რჩეულიშვილის ასეთი მოქცევა.

იმ საშინელ წელს, როდესაც სულ რამოდენიმე თვის უკან იყო მომხდარი ცხრა მარტის სისხლიანი ტრაგედია, ყველა პატიოსანი ქართველი შინაგანი რისხვით და ზიზღით იყო აღვსილი.

ყველამ იგრძნო, რომ არაფერი არ შეცვლილა. კომუნისტური პარტიის ახალი მეთაური სტალინის იმპერიალისტურ პოლიტიკას აკრიტიკებდა, სტალინის მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და უდანაშაულო ხალხით სავსე შორეული ციმბირის ბანაკებზე ლაპარაკობდა, აქ კი „მოძმე“ რესპუბლიკაში, სულ რაღაც მესამედი საუკუნის წინ ძალით დაპყრობილ საქართველოში, მის დედაქალაქ თბილისში, თბილისის ცენტრში, ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი მიახვრიტეს და ახალგაზრდობის სისხლით შეღებეს რუსთაველის პროსპექტი.

9 აპრილის ტრაგედიის მსგავსად დიდხანს არ გაგრძელებულა დამნაშავის დადგენა, თუმცა მაშინ გაცილებით უფრო ძნელი იყო რაიმე დანაშაულის შესახებ ენის დაძვრა, სტალინის რკინისებური დისციპლინის მატარებელ პარტიულებს კრიტიკას ჯერ კიდევ ვერავინ გაუბედავდა, ძიებასა და სიმართლის დაწერას ხომ ვერავინ ვერც მოახერხებდა. ვერც შეძლებდა.

მიუხედავად ამისა, ყველა ხვდებოდა ვინ იყო ქართველთა გაჟლეტის ინიციატორი, იცოდნენ, რომ სანქცია უშუალოდ გასცა ახლად გაბატონებულმა გენერალურმა მდივანმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა.

დღეს კი როცა საკმაოდ ძლიერად გაისმის მისი ქებადიდება, ამ საშინელი დანაშაულის გახსენებას არავინ ცდილობს, არც მაინცდამაინც ნოვოჩერკასკის და სხვა მრავალი დანაშაულის გახსენება სურთ.

9 მარტის სისხლიან ტრაგედიას მე და ჩემი მეგობრები შემთხვევით გადავურჩით. იმ უმძიმესი დღეების შესახებ უკვე ვწერდი - 1989 წელს ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე გამოქ-

ვეყნებულ ვრცელ სტატიაში „გურამ რჩეულიშვილის ფენომენი“ და სანამ ზემოთ აღნიშნული შემთხვევის შესახებ ვილაპარაკებდე. ალბათ საჭიროა აქაც გავიხსენო 1956 წლის მარტის დასაწყისის მშფოთვარე დღეები.

* * *

1953 წელს სტალინის მოულოდნელი გარდაცვალება დაბნეულმა, წლების მანძილზე. განადგურების შიშით შეპყრობილმა ხალხმაც და ახალგაზრდობამაც მტკივნეულად განიცადა. ერთეული საღად და გაბედულად მოაზროვნე ადამიანების გარდა, დიდ მასას მიაჩნდა, რომ სტალინოდ ჩვენს ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა.

ჩვენც, 18-19 წლის ბიჭები, საყოველთაო-სახალხო ეიფორიაში ვიმყოფებოდით, ვწერდით ლექსებს. წერილებს, ვეთხოვებოდით „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ხალხთა მამასა და მასწავლებელს. ყველა ჩვენი გამარჯვების სულის ჩამდგმელსა და ორგანიზატორს..."

მაშინ სტალინზე ვერავინ გაბედავდა ოდნავ გადაკრული სიტყვის თქმასაც კი.

ისე სრული სიმართლე რომ ვთქვა, არც მე. არც გურამ რჩეულიშვილს, არც გურამ გეგეშიძეს, არც ზოგიერთ ჩვენს მეგობარს სტალინი არ გვიყვარდა, მაგრამ ამ ერთმანეთისათვის ჩუმად გამხელილი აზრების გამომზეურებას როგორ გავბედავდით, ჩვენი კი არა სხვისი განსხვავებული აზრის მოსმენისაც კი გვერიდებოდა.

სტალინის გარდაცვალების დღეებში დილიდან გვიან ღამემდე სულ უნივერსიტეტში ვიმყოფებოდით, მის სურათთან დღე-ღამის განმავლობაში იდგა საპატიო ყარაული.

უნივერსიტეტთან ახლოს ვცხოვრობდი და გვიან საღამოთი გურამ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი, გურამ რუსიშვილი და მე ჩვენთან ავედით სავახშმოდ. სახლში შავი კახური ღვინო მეგულებოდა და რასაკვირველია, სტალინის ხსოვნის სადღეგრძელო აუცილებლად უნდა შეგვესვა.

ჩვეულებისამებრ გავახურეთ ჭიქების ტრ ალი. მერე მამაჩემმა შემოიხედა, გურამმა თხოვა, ბიძია აკაკი, მობრძანდით, ჩვენთან დაჯექით, ერთი-ორი სიტყვა გვითხარითო.

ჩვენ მაგარი კახურისაგან შექეიფიანებულები ისევ სტალინზე ოხვრა-მოთქმას ვაგრძელებდით. მახსოვს მამაჩემმა დამცინავი ღიმილით გადმოგვხედა და გვითხრა: „რა გავიშვიშებთ, ტირანი მოკვდა, იქნებ ამ საპყრობილედ ქცეულ ქვეყანას რამე ეშველოს და ხალხს სულის მოთქმის საშუალება მიეცეს. სტალინი იყო ბოროტი გენია, რომელსაც მალე მოთხრიან, რუსები შეეცდებიან მის ფეხქვეშ გათელვას, მაგრამ სტალინთან არაფერი გამოუვათ, მან ისეთი რკინის სისტემა დატოვა, ათწლეულები არ ეყოფა მისგან თავის დაღწევასო“.

მე შიშითა და გაოცებით შევცქეროდი მამას, კამათიც კი დავუწყე, რას ამბობ, სტალინის კრიტიკა და მოთხრა ვინ გაიგონა-მეთქი. ბიჭებიც დაბნეულები იყვნენ.

გურამმა კი თქვა: „სრულიად ვეთანხმები ბიძია აკაკის, სწორი ბრძანდება, მამაჩემი მიშაც იგივეს და გაცილებით უარესსაც ამბობს სტალინზე. ვერაგს და სატრაპს უძახის, ლენინის შემდეგ ეგ არის ჩვენი დამონებისა და ერის გაუბედურების მიზეზიო“.

ატყდა კამათი, მთვრალების ჩვეულებრივი ყაყანი. მაგრამ იმ დროისათვის ეს მეტად რთული საკითხი ბოლომდე ვერ გადავწყვიტეთ, გულის სიღრმეში თითქოს ყველაფერის დაჯერება გვიჭირდა.

დრო კი მირბოდა, ჯერ კიდევ უძლიერესი სტალინი .მავზოლეუმში განისვენებდა თავისი მასწავლებლისა და ბელადის გვერდით, ჯერ კიდევ ერთად გაისმოდა „ილიჩისა“ და „ბესარიონოვიჩის“ სახელები.

ამასობაში დადგა 1956 წელი და დაიწყო გაცხოველებული ლაპარაკი სტალინის წინააღმდეგ მიმართული დახურული წერილის შესახებ.

გასაოცრად მკაცრი, დაუნდობელი და გამანადგურებელი დახურული წერილის გაცნობა-განხილვაც დაიწყო. იგი სტუდენტებსა და კომკავშირლებსაც გაგვაცნეს.

საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობა ამ აქციით მეტად უკმაყოფილო დარჩა, რადგან სტალინი ქართველების სიამაყედ, მთელ მსოფლიოში ერის სახელგანმთქმელად და ეროვნულ გენიად მიაჩნდათ. მათ ირწმუნეს, რომ სტალინის პიროვნების დამცირებით ქართველ ერს ლანძღავდნენ და ამცირებდნენ. პარტია და მისი გაუგებარი ქცევის ლიდერი ამტკიცებდნენ, რომ რეპრესიები, ხალხის მასიური გადასახლება, რბევა და ჟლეტა, სტალინის მიერ იყო მოგონილი, იმას კი არ ამბობდნენ, რომ ეს ვანდალიზმის გამომხატველი მეთოდები რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაინერგა და რომ სტალინი უფრო სხვების ბეჯითი მოწაფე იყო და არა ყველა სიავისა და უბედურების ერთპიროვნული საფუძვლის ჩამყრელი.

სწორად წერდა 1990 წელს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე ჩემი სტუდენტობის მეგობარი მწერალი გიორგი პაპუაშვილი: „რეპრესიების შემოქმედი პარტია იყო და არა სტალინი. სისტემის დანაშაული სტალინს დაბრალდა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი იყო. სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, ისე წარმართავდნენ მართვის სისტემას, ამ დანაშაულს არავინ გაუხსენებდა“.

იყო დრო, როცა ქართველობის გამო ქვეყანა შემოგვნატროდა, ხალხთა გენიალური ბელადი და შინსახკომის მეფე ლავრენტი ბერია ქართველები იყვნენ. მათი ამ ცოდვით სავსე ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი ქართველებს ზიზღის ქარიშხალი დაატეხეს თავს. პრესის ფურცლებზე, ისევე როგორც ამჟამად, იწერებოდა უამრავი სალანძღავი წერილი, ფეხი მოიკიდა დეზინფორმაციამ, ქართველები გმირებიდან და ასპირანტებიდან ხელად დააქვეითეს ხულიგნებისა და სპეკულანტების რანგში.

ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და 1956 წელს თბილისში, მთელ საქართველოში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა.

მაშინ ჩვენთვის სრულიად უჩვეულო მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების მოთავედ სტუდენტობა გამოვიდა, სტუდქალაქი კი იქცა მღელვარების დაწყების ერთ-ერთ პირველ კერად.

ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა ლენინის მოედანზე, ყოფილ ბერიას მოედანზე და სანაპიროზე აღმართულ სტალინის ვეებერთელა ძეგლთან. პროტესტის ნიშნად ერთიანად დაძრულ ხალხს იმდენი გვირგვინები მოჰქონდა, რომ მაღალი კვარცხლბეკი მთლიანად ყვავილებში იყო ჩაფლული.

გურამ რჩეულიშვილი, მე და ჩემი მეგობრები დილიდან შუაღამემდე სულ მიტინგებზე ვიმყოფებოდით. 5 მარტიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში შეწყდა სწავლა, ხმას უბატონოდ არავინ გვცემდა და ნანატრი თავისუფლებით გაბრუებულები ჩვენს ნებაზე დავდიოდით. თბილისის ქუჩები ხალხით გაივსო, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები, ქუჩებში დაქროდნენ ხალხით სავსე მსუბუქი და სატვირთო მანქანები.

მიტინგებზე გამოდიოდნენ საინტერესოდ მოსაუბრე ორატორები, იკითხებოდა უამრავი ლექსი და პოემა. წამითაც არ წყდებოდა გამოსვლები, გამოჩენილი მწერლები, პოეტები. მსაზიობები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები არ აკლდა ტრიბუნებს. იყო სტალინის ქება და ხრუშჩოვის გინება. ქართველების შეიარაღებისაკენ მოწოდება და პარტიის ხელმძღვანელებისადმი მუქარა. ხალხს ეგონა, რომ საწადელს მიაღწია. ასე ერთ მუშტად შეკრულებს ხმის გაცემას ვერავინ გაუბედავდა.

მე, გურამ რჩეულიშვილს, გურამ გეგეშიძეს, ბორის ინასარიძეს. გურამ რუსიშვილს და სხვა ჩვენს უახლოეს მეგობრებს უფრო გვერჩივნა სანაპიროზე ყოფნა. აქ უფრო მეტი ხალხი მოდიოდა, უფრო მეტი ნაცნობები გვხვდებოდნენ და თანაც ბატონ-პატრონებივით ვგრძნობდით თავს, რადგან აქ გამოკვეთილ ლიდერებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო იყო გურამის ბიძაშვილი შალიკო რჩეულიშვილი, რომელმაც 9 მარტის შემდეგ რეპრესიებიც განიცადა.

მდგომარეობა კი სულ უფრო და უფრო იძაბებოდა, ხალნი მატულობდა. შეწყდა სწავლაც და მუშაობაც.

კარგად მახსოვს, რვა მარტს ღამით, გურამ რჩეულიშვილი, ბორის ინასარიძე, ნოდარ ზედელაშვილი და მე, გვიან, ალბათ, ასე 10-11 საათი იქნებოდა, წავედით ვაკეში და ტიციან ტაბიძის თუ ცხვედაძის ქუჩაზე ნაცნობ გოგონას ვესტუმრეთ.

გვიან წამოვედით სახლისაკენ.

ჩამოვიარეთ კავსაძის ქუჩა და გამოვედით მოედანზე ძველი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინ. ამ დროს სტუდ-ქალაქის ეზოდან ახალგაზრდობის უზარმაზარი ჯგუფი წამოვიდა, აღგზნებული ახალგაზრდობა რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით მიიჩქაროდა.

გამალებით მიმავალ ახალგაზრდობაში ჩვენი თანაკურსელი მეგობრებიც დავინახეთ. როცა ვკითხეთ რა მოხდა-თქო, გვიპასუხეს: სანაპიროზე სტალინის ძეგლს გვირგვინებს ხსნიან და იქ მივდივართ, თქვენც წამოდითო.

ჩვენ, ახალგაზრდები, დაღლას არ მოვერიდეთ, გავყევით ხალხს, გავიარეთ რუსთაველის პროსპექტი, ჩავუხვიეთ სასტუმრო „თბილისთან“ და მშრალი ხიდის გადავლით მივედით ძეგლთან.

იქ უკვე უამრავი ხალხი შეჯგუფულიყო, ახალგაზრდებიც და ხნიერების აღშფოთებით ლაპარაკობდნენ, რომ გვიან ღამით, როცა ხალხი თითქმის დაიშალა, დაეწყოთ გვირგვინების ჩამოხსნა. ღამის სათევად დარჩენილ ხალხს თურმე უთხრეს. გვირგვინების ნაწილი გახმა და უნდა გადავყაროთო.

ხალხს ეს გადაწყვეტილება არ მოეწონა, მათ გაგზავნეს წარმომადგენლები და დაიწყეს რეკვა ადამიანების შესაკრებად. ალბათ 1000 კაცზე მეტი შეგროვდა, ისევ დაიწყო გამოსვლები, კამათი, მსჯელობა. ჩვენც დილის 7 საათამდე გავძელით, მერე კი სახლისაკენ წამოვედით, რომ ცოტა მაინც წაგვეძინა.

უკვე იდგა 1956 წლის 9 მარტი.

* * *

იმ დღეს, 1956 წლის 9 მარტს, მეგობრები ერთად ვიყავით, ერთად ვიარეთ ხალხმრავალ მიტინგებზე, მტკვრის ნაპირას სტალინის ძეგლთან თუ ლენინის მოედნისა და რუსთაველის

პროსპექტის თითქმის მთელ გაყოლებაზე რომ ბობოქრობდა. როგორც უკვე ვთქვი, ასეთი რამ სრულიად უჩვეულო იყო ჩვენთვის და მართლა გვაინტერესებდა, სხვა რაიმე გარკვეული მიზნები არც გაგვაჩნდა. მოჩვენებითი თავისუფლების განცდა, საქართველოს, ქართველობის ღირსების დაცვა, ლექციების გაცდენისათვის პასუხის არ მოთხოვნა, საკუთარ ნებასურვილზე მიშვება მეტისმეტად მაცდური აღმოჩნდა.

მთელი დღე გარეთ ვიყავით. როცა დაღამდა გადავწყვიტეთ ჩვენს უახლოეს მეგობარ გურამ რუსიშვილთან ავსულიყავით. იგი მაშინ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე საჭადრაკო კლუბის გვერდით ცხოვრობდა.

ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე ვიმყოფებოდით ოფიცერთა სახლის წინ. პროსპექტი ხალხით იყო სავსე და ბობოქრობდა. ხალხი ყველა კუთხიდან მოდიოდა და მოდიოდა. გურამ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და კიდევ ერთი თუ ორი ამხანაგი არ წამოვიდნენ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებითო.

სახლში გავთბით, ღარიბულად ვივახშმეთ, შემდეგ აივანზე გავედით, რომელიც რუსთაველის პროსპექტს გადასცქეროდა და მეორე სართულიდან ყველაფერს კარგად ვხედავდით. ჩვენი წამოსვლის შემდეგ ალბათ საათზე ცოტა მეტმა თუ განვლო და უცებ ლენინის მოედნის მხრიდან გუგუნი, გრიალი და გამყინავი სროლის ხმები მოგვესმა. ადგილზე გავშეშდით, მოულოდნელმა, აქამდე განუცდელმა შიშმა აგვაკანკალა.

როცა გონს მოვეგეთ, პროსპექტს მივაშურეთ, ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცოდით რა მოხდა. პროსპექტზე უკვე წივილკივილით და არნახული ღრიანცელით მორბოდა ხალხი, ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, ახალგაზრდები სჭარბობდნენ. ჩვენ ერთი ნაცნობი ბიჭი შევაჩერეთ და ვკითხეთ რა მოხდა: გვესროლეს, ხალხი დახოცეს. ტანკები მოდიანო, სხაპასხუპით მოგვაყარა დაბნეულმა ბიჭმა. ჩვენ გაოგნებულები გავჩერდით. ამ დროს გაფითრებული, აქლოშინებული გურამი, თენგიზი და ერთი ამხანაგი გამოჩნდნენ, ჩვენთან მოდიოდნენ. ერთად ავედით გურამ რუსიშვილის სახლში. ლაპარაკის თავი აღარ გვქონდა. ყველას ნერვიულად აცახცახებდა.

ხალხი კი მორბოდა და მორბოდა, გასისხლიანებული და ტანისამოსით თავპირშეხვეული მსუბუქად დაჭრილებიც მოყავდათ. საშინელება იყო ქალების კივილისა და ტირილის მოსმენა.

ჩვენ ცოტა ხანს კიდევ შევჩერდით გურამ რუსიშვილის სახლის წინ, მაგრამ ხალხის რიგები თანდათან თხელდებოდა, ტანკების გუგუნი და გრიალი კი ახლოვდებოდა. ამიტომ წავედით ზემელისაკენ. ბიჭები გამალებით დაუყვნენ ელბაქიძის დაღმართს, გურამ რჩეულიშვილი და მე კი ჯავახიშვილის აღმართით ავედით ლარსის ქუჩაზე, სადაც გურამი ცხოვრობდა.

გურამმა არაფრით არ გამიშვა მარტო, გადამაცილა მაშინ დამრეც-დახრამულ მკრთალად განათებულ ვარაზის ხევზე, სახლის კიბეებამდე მიმიყვანა და თვითონ კი მარტო დაბრუნდა. ყოველთვის ასე იცოდა, თითქოს თავად არაფრის ეშინოდა და მეგობრის მფარველობა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა.

სწორედ იმ მძიმე, ტრაგიკული განცდის გამოძახილია მისი უსათაურო ნოველა, რომელიც თანამედროვეობის მძაფრი სულისკვეთებით სუნთქავს. ნოველა 1989 წლის 21 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა. იგი მწერლის არქივიდან რედაქციას მიაწოდა გურამის უმცროსმა დამ მარინე რჩეულიშვილმა.

ეს ნოველა სხვა ნაწარმოებებთან ერთად 1956 წლის ზაფხულში წამაკითხა გურამმა. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და მის გამოქვეყნებაზე შორეული ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. მხოლოდ საჯაროობისა და დემოკრატიის ბოლო პერიოდში გახდა შესაძლებელი თვითმხილველის თვალით დანახული ნაწარმოების რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდვა.

ნოველა 1956 წლის 9 მარტის ავადგასახსენებელ დღეებს შეეხება, ოცდათოთხმეტი წლის წინათ არის დაწერილი და მისი კითხვისას ისეთი მძიმე შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ცოცხალი გურამი დადიოდა რუსთაველის პროსპექტზე და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებს მემატიანის თვალით აღწერდა. როგორი საოცარი ძალით ესადაგება ჩვენს თვალ-

წინ უდანაშაულო ქართველების დაღვრილ სისხლს იმ შორეულ წლებში დაღვრილი სისხლი, რის განცდაც კიდევ უფრო გაგვიმძაფრა ოცდაორი წლის ბიჭის მიერ უშუალო განცდით შექმნილმა მართალმა ნაწარმოებმა.

ნოველის ერთი პატარა ნაწილი გახსენების მიზნით აქაც მინდა მოვიტანო:

„უკანა მიაწყდა წინას. ღამე იყო.
ტ· ტ· ტ·!
ტ· ტ· ტ·!
ტ· ტ· ტ·!
— ისვრიან!
— ისვრიან!!
— ისვრიან!!!
— დამჭრეს!
— მოარტყეს!
— მოკლეს!
— ტანკები!
— ტანკები!!
— ტანკები!!!
ხალხი აირია.
ხალხი ასრიალდა.
ხმაურისაგან ხმაური აღარ ისმოდა.
პატარები ტანკებს ახტებოდნენ.
მოწაფემ ცარცი დააძრო ჯიბიდან —
და სვასტიკა დაახატა მუხლუხას.
ტ· ტ· ტ·!
ტანკიდან უსულოდ გადმოვარდა.
გვხოცავენ!
გვესვრიან!!
გვჟლეტავენ!!!
ხალხი მიდიოდა ტანკებზე.
ხალხი გარბოდა.
ხალხი იბრძოდა რითაც შეეძლო“.

საშინელი სურათია, მართლაც შემაძრწუნებელი, მაგრამ ეს არის დიდი მწერლის თვალით დანახული ულმობელი სურათი,

ვანდალიზმის რეალური აქტი, რაც არსად არცერთ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს და მითუმეტეს, არ უნდა მეორდებოდეს.

9 მარტის მომდევნო დღეები სულით ხორცამდე შემაძრწუნებელ კოშმარს გავდა. თბილისის ქუჩები და მოედნები. ჯარისკაცებით გაივსო. ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები "ალხის გასრესის შემდეგ ძირითადად გაეყვანათ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ ადგილას შეხვდებოდით.

კავშირგაბმულობის სახლთან თუ სანაპიროზე დემონსტრანტების წინა რიგებში მყოფმა მეგობრებმა დაწვრილებით გვიამბეს როგორ აგებდნენ ხიშტებზე ახალგაზრდებს, მათ შორის გოგონებსაც, როგორ დაუნდობლად ესროდნენ ხალხს წინიდანაც და უკნიდანაც. სანაპიროზე კი ადამიანებს პირდაპირ გადაუარეს ტანკებმა და ჯავშნოსნებმა, ხალხი გარბოდა თავის შველის მიზნით და ყოველი მხრიდან მომწყვდეული ცივ, ნაზამთრალ ამღვრეულ მტკვარში ცვიოდა.

10 მარტს უნივერსიტეტი სტუდენტობით გაივსო, წასასვლელი აღარსად გვქონდა, ქუჩები სისხლით იყო მორწყული, სასტუმრო „თბილისი“ თუ კავშირგაბმულობის სახლი ტყვიებით დაცხრილული. ყველას მწუხარე სახე ჰქონდა. ყველა საშინელებას ელოდა. მართლაც. სულ მალე. უფრო სწორედ მ ღამიდანვე დაიწყო გამოძახება, დაკითხვები, რეპრესიები, დაიჭირეს უამრავი ჩვენი ნაცნობი და მეგობარი, კვლავ ჩვეული შიშის ზარი დარეკეს საქართველოში, კვლავ ცოდვის კევრი დაატრიალეს, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად დიდი უკუშედეგებიც მიიღეს. ხალხმა დაინახა გაშიშვლებულ ლი სინამდვილე, დაინახა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ჭეშმარიტი სახე, დაიწყო სტერეოტიპების შეგნებული გადაფასება და ძალით შეკოწიწებული კერპების მსხვრევა, რაც ნელ-ნელა იზრდებოდა. მწიფდებოდა, მზადდებოდა და რამაც 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ მთელი ძალით ამოხეთქა, სრულიად მართებულად გადაიზარდა საყოველთაო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისი შეჩერებაც უკვე არავის და არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

* * *

ახლა კი იმ შემთხვევას დავუბრუნდები, რითიც დავიწყე ჩემი ახალი წიგნი გურამ რჩეულიშვილზე. მაშინ ამ საოცრებამდე გაბედულ შემთხვევას, ჩემის ღრმა რწმენით, 9 მარტის შემზარავმა მოვლენებმაც მისცა ბიძგი, ამიტომაც შევეხე მათ შედარებით ფართოდ.

გურამს იმ დროისათვის კიდევ არ ჰქონდა დაწერილი თავისი დიდებული „ალავერდობა“, სადაც მძლავრად გაილაშქრა ხალხის რუტინის წინააღმდეგ და ჭაობად ქცეული ცხოვრების ამოძრავება მოინდომა. ამ ნაწარმოებს ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით.

აღნიშნულ შემთხვევას თავისებური საინტერესო დაკვირვებით განიხილავდა გურამ რჩეულიშვილის ოჯახის მეგობარი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოს სერგი დურმიშიძე. მან 1984 წელს დაწერა მშვენიერი. მოგონება „ახალგაზრდა პროზაიკოსი“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა და შემდეგ შევიდა 1985 წელს გამოცემულ მის უაღრესად საინტერესო წიგნში „ზოგი რამ წარსულიდან“.

ბატონი სერგი იმის გარდა, რომ ოჯახისა და გურამის მამის მახლობელი იყო. იმავე სახლში ცხოვრობდა ლარსის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა რჩეულიშვილების ოჯახი. მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა გურამთან. როგორც ჩანს, ჩანაწერებსაც აკეთებდა, რითაც მეტად საყურადღებო და საჭირო ფაქტები შემოგვინახა.

ბატონი სერგი დურმიშიძე იგონებდა:

„მგონი 1956 წლის გაზაფხული იყო, მიხეილმა (გურამის მამამ — ნ. წ.) დამირეკა: გურამი თბილისის სამხედრო გარნიზონის პატრულებს დაუკავებიათ და იქნებ სევერიანე გვენახაო. სევერიანე ჩხარტიშვილს საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა, ჩვენს სახლში ცხოვრობდა, შესანიშნავი პიროვნება იყო. გურამი დიდ პატივს სცემდა.

მალე ყველაფერი გაირკვა:

გურამი დილით ადრე სანადიროდ მიდიოდა, მეტეხის ხიდთან მეგობრებს უნდა შეხვედროდა; როდესაც ლენინის მო-

ედანთან. მივიდა, ორჯერ ზედიზედ სანადირო თოფი გაისროლა. პატრულებს დაუკავებიათ და ისიც მორჩილად გაჰყოლია მათ“.

შემდეგ ბატონი სერგი წერს, რომ გურამის საქციელმა ყველა ახლობელი გაანაწყენა, მასთან ამის შემდეგ ლაპარაკს ერიდებოდნენ და გაბრაზებას უფრო მეტად დუმილით გამოხატავდნენ.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბატონი სერგი შეხვედრია გურამს და უკითხავს თუ რატომ ისროლა თოფი ასეთ ადგილას, ქალაქის ცენტრში, ლენინის მოედანზე, ასობით გამვლელის თვალწინ.

ბატონი სერგი დელიკატური, რბილი, შელამაზებული ფორმით გვაწვდის გურამის პასუხს: „ — დილით ძალიან ადრე. ლარსის ქუჩიდან მოედნამდე ფეხით გავედი. მთელ გზაზე გულის გამაწყალებელი უმოძრაობა და უსიცოცხლობა იყო. მომენატრა ხმაური, მოძრაობა, სიცოცხლე და თოფიან ახალგაზრდებს რომ შევხედე, გამახსენდა რომ მეც მქონდა თოფი და ქალაქზე ჩამოწოლილ დუმილს ვესროლეო“.

სინამდვილეში ზუსტად ასე არ იყო ყველაფერი. 1984 წელს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა საჯაროობასა და დემოკრატიაზე, ჯერ კიდევ ბობოქრობდა სტალინურ სისტემას შეფარებული ბრეჟნევ-ანდროპოვის ადამიანის შემბოჭავი და მცირე დანაშაულისთანავე განადგურების სტილი. ამიტომაც ბატონი სერგი სიმართლეს ბოლომდე ვერ იტყოდა და კიდეც რომ ეთქვა, არავინ დაუბეჭდავდა. დღეს რომ ყველას ადვილად ეჩვენება წერა და ლაპარაკი, მაშინ დიდი წვალება უნდოდა რაიმე გაბედულის გამოქვეყნებას.

სიმართლე კი • ასე იყო: უკვე ზაფხული იდგა, ივლისის თვე, როცა თბილისს სიცხე თანგავს და ცხელ, მტვრიან ქუჩებში ზანტი მოწყენილობა ისადგურებს.

გურამმა სახლიდან წამოიღო ორლულიანი ჰოლანდიური სისტემის თოფი. როგორც შემდეგ გვითხრა, სანადიროდ წასვლას სულაც არ აპირებდა. როდესაც საჭადრაკო კლუბთან მივიდა, დღევანდელი სასტუმრო „ივერიის“ პირდაპირ, სადაც

ერთი ჩვენი ახლო მეგობარი ცნოვრობდა, მას დაუძახა ქუჩიდან. უპასუხეს სახლში არ არისო.

იგი იდგა ქუჩაში, სადაც მაშინ უნივერმაღი იყო და ხალხიც ყოველთვის ბლომად ტრიალებდა. პირველი ტყვია აქ გაისროლა.

გაოცებული ხალხი შეიკრიბა და რას არ ლაპარაკობდნენ. გურამმა კი დინჯად გააგრძელა გზა, მივიდა. ლენინის მოედანზე და დაახლოებით იმ ადგილიდან, სადაც მონადირეთა კავშირის მაღაზიაა, ლენინის ძეგლს ესროლა.

ამ შემთხვევიდან ათიოდე დღის შემდეგ ბორის ინასარიძესთან ვიყავით, გურამი, მე და ერთი მეგობარი, აქ ვკითხეთ გურამს რა მოხდა, რატომ ისროლე, ჰაერში ისროლე თუ ლენინის ძეგლისკენო.

გურამმა გვითხრა: „რაიმე სასიხარულო არ ჩანდა, უცებ უიმედობამ შემიპყრო და ვიფიქრე ან თავს მოვიკლავ, ან ლენინის ძეგლს ვესვრი, რომ ეს ჭაობში ჩაფლული ხალხი გამოფხიზლდეს მეთქი. ასე სახალხოდ თავის მოკვლა სისულელედ მივიჩნიე, დარწმუნებული ვარ ისედაც ცოტა მაქვს დარჩენილი სიცოცხლის დღეები. მოსასწრები და დასატოვებელი კი უამრავი. ამიტომ სულ რაღაც ხუთიოდე წამში გადავწყვიტე რაც უნდა გამეკეთებინა და თოფში ჩადებული ორივე ტყვია პირდაპირ ლენინის ძეგლს ვესროლე.

ამ მომენტში უცებ გაჩნდა სამხედრო პატრული და დამიჭირეს. ისინი სასტიკად იყვნენ გაოცებულნი, დაბნეულნი. ვერაფრით ვერ აეხსნათ რა მოხდა, კიდეც რომ აეხსნათ ან დაედასტურებინათ ლენინის ძეგლისათვის ჩემს მიერ ტყვიის სროლა. ეს არც სურდათ და ცხოველური შიშის გამო, არც აწყობდათ. სულ მეკითხებოდნენ ქალაქის საბჭოს _ მხარეს ისროლე თუ ბავშვთა სამყაროს მხარესო. სწორედ ამან მიშველა, რომ წესისამებრ აქტი დროზე არ შემიდგინეს და როგორც კი გავლენიანი პირი ჩაერია, იმ წუთში ყოველგვარი კვალის დაუტოვებლად გამომიშვეს და თოფიც კი ხელუხლებლად გამომატანესო“.

გურამი უმიზნოდ არაფერს არ აკეთებდა. მე გურამისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნშიც ვწერდი თავის ბრწყინვალე „ალავერდობაში“, როგორ ავარდა გუმბათზე და გუმბათის ლავგარდანზე ხელგაშლილი დადგა ახლად მოვლენილ ღვთაებასავით.

ეს იყო ახალგაზრდა, სრულიად განსხვავებულად მოაზროვნე გურამ რჩეულიშვილის ამბოხება ყოველგვარი რუტინის, უმიზნო სიმშვიდისა და უხეში ძალით დამონებული ხალხის უაზრო თვითკმაყოფილების წინააღმდეგ ბოლომდე ვერ შესძლო პირადი მოქმედებით, თავისი მაღალეროვნული შემოქმედებით გააკეთა.

იმ შორეულ წლებში, როცა ყველას ერთ კალაპოტში ჩაყენებას ცდილობდნენ, გურამის გაბედული, თამამი ქცევა ბევრს პოზად და თამაშად ეჩვენებოდა. უაზრო ეიფორიად ქცეულ იმ წლებში ძნელი იყო წარმოდგენა, რომ ჩვენს შორის დადიოდა 24-25 წლის დიდი მწერალი, რომელიც თავისი მონაცემებით უამრავ თანატოლზე მაღლა იდგა და რომელიც სულ სხვა თვალთახედვით უცქერდა სამყაროს, თავის საკუთარ მამულს, ქვეყნის მომავალს.

* * *

გურამ რჩეულიშვილი შინაგანად, სულიერად ემზადებოდა მწერლობისათვის. იგი მუშაობდა საკუთარ თავში ჩაღრმავებული, პირველ ხანებში არავის არ უმხელდა, რომ ნოველებსა და მოთხრობებს წერდა.

პირველად დედას გაენდო, შემდეგ უმცროს დასა და მამას. იმავე პერიოდში უახლოეს მეგობრებსაც გაგვანდო, რომ წერდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მხოლოდ მწერლობისათვის მიეძღვნა მთელი სიცოცხლე.

სამწუხაროდ ეს უზარმაზარი ვნებისა და შესაძლებლობების სიცოცხლე განგებამ მხოლოდ ოცდაექვსი წლით განსაზღვრა, მძაფრი შემოქმედებითი შრომისათვის კი მხოლოდ ოთხი-ხუთი წელი არგუნა.

ეს იყო ენით აუწერელი საშინელება. ეს იყო ადამიანური ძალის გამოსაცდელი დროის საოცრად მცირე მონაკვეთი, მაგრამ უდიდესი ტალანტით დაჯილდოებულმა და მკაცრი ბედისწერით დაღდასმულმა გურამ რჩეულიშვილმა მიუღწეველის მიღწევა შესძლო.

ბედთან უთანასწორო ორთაბრძოლაში გაიმარჯვა ახალგაზრდულმა, ჭეშმარიტად ვაჟკაცურმა სულმა, გაიმარჯვა სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ, დამარცხდა სიკვდილი, რომელსაც ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არ ეპუებოდა და არაფრად აგდებდა ქართველი ერის, ქართული მწერლობის გამოსაფხიზლებლად ღვთის მიერ ქვეყნად მოვლენილი გურამ რჩეულიშვილი, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“.

სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში ახალგაზრდა მწერალმა უამრავის გაკეთება მოასწრო, დაგვიტოვა ბრწყინვალე მოთხრობები, ნოველები, პიესები, სცენარები, ესკიზები, მინიატურები, დაუმთავრებელი რომანები, რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილი ლექსები, დღიურები, ჩანაწერები.

ამ ფაქტს ალბათ მოვლენა ან ლიტერატურული გმირობა უნდა ეწოდოს, რადგან ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ჯერ კიდევ ჭაბუკმა შემოქმედმა შექმნა ის, რასაც სხვა დროს შეიძლება ათწლეულებიც არ ყოფნოდა.

ხშირად გურამის თვითმყოფადი შემოქმედების ათასობით მკითხველი და თაყვანისმცემელი შეკითხვასაც სვამენ ხოლმე როგორ გამოჩნდა მწერლის ფენომენი, როგორ დაიწყო მისი შემოქმედებითი აფეთქება და რა უძღოდა მას წინ.

ამ კითხვებს ბუნებრივი ცხოვრებისეული პასუხებიც გააჩნია. სამყაროს საიდუმლოებათა გაგების, სიახლეთა ნახვის, ხალხისა და მამულის სისხლხორცეულად გაცნობის სურვილი ადრეულ წლებშივე გაუჩნდა. ამ სწრაფვის დაკმაყოფილებაში დიდი როლი ითამაშეს მშობლებმა. დედა —მარიამ ნიჟარაძე მთელ დროს გურამის აღზრდას, სწავლა-განათლებას უთმობდა რაც წმინდა ქართულ-ეროვნული მიმართულებისა იყო. ბავშვი იზრდებოდა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის,

რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედებით ატმოსფეროში. ამავე დროს მას ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ გერმანულ ენას, რაც მომავალი ფართო გათვითცნობიერებისათვის გამოიყენა.

გურამის მამას აკადემიკოს მიხეილ რჩეულიშვილს თავისი სამეცნიერო და სამსახურებრივი მოღვაწეობის გამო ხშირად უხდებოდა საქართველოს მთებისა და ხეობების, ბარისა და იალაღების მოვლა. პატარა გურამი დიდი სიხარულით მიჰყვებოდა მამას, აკვირდებოდა და უშუალოდ ეცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს.

აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს თავის მოგონებაში „ახალგაზრდა პროზაიკოსი“ მოჰყავდა გურამის მამის მიხეილ რჩეულიშვილის ნაამბობი:

„გურამი ცხენზე პირველად ალვანში შევსვი, მაშინ როდესაც 9-10 წლისა იქნებოდა. კარგი ცხენები მყავდა, განსაკუთრებით კი თვირთვილა და სალამურა, (შემდეგში მისი მოთხრობების გმირები). გურამი ბავშვობიდანვე ბუნებით მეტისმეტად გამბედავი იყო და ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პირველი შეჯდომისთანავე გააჭენა ისეთი ფიცხი ცხენები, როგორიც სალამურა და თვირთვილა იყო. გურამმა ჩემთან ერთად ცხენით იმოგზაურა დაღესტნის (ავარეთი, დიდოეთი) და თუშეთის მთების სამივე ხეობაში, წოვათში, ალაზნის თავზე და სხვ. მე აქ ვმუშაობდი, ვატარებდი ცხვრის ბონიტირებას. გურამი ზოგჯერ სანადიროდაც დამყავდა“.

ძია მიშა ცნობილი მონადირე იყო, გურამიც გაიტაცა ნადირობამ. მონადირის ხიფათიანმა ცხოვრებამ, ხშირად კარავში ღამის თენებამ. ცხენით ხანგრძლივმა გადასვლებმა, ხრამებსა და უფსკრულებში დაშვებამ. დაბურულ ტყეებსა და ალპიურ ზონებში მოგზაურობამ, მამულისადმი ძლიერი, ტრადიციული სიყვარულის ხილულმა გამოვლინებამ ბავშვობის წლებიდანვე შეაყვარა მას კახეთი, თუშეთი, სვანეთი, ხევსურეთი და მთლიანად საქართველო.

პატარა ბიჭი შურის თვალით უცქერდა ცხენზე ამხედრეაულებს და თავის ბავშვურ სურვილებს სახედრის უშიშარი ჭენებით იკლავდა. ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში

„ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ გურამი ჩვეული იუმორით იხსენებს იმ შორეულ დროს:

„პაპა, ბებოს მეუღლე, ბუნდოვნად მახსოვს. როგორც ბებო ყვება მაშინ, პაპის გარდაცვალების დროს. მე უკვე „დავაჟკაცებული“ ვყოფილვარ და თავისუფლად შემძლებია ვირზე ჯდომა. პაპა თურმე ორი წელი სიღნაღში მუშაობდა, ჩვენც წელიწადში რამდენიმე თვეს ვატარებდით მასთან. იქვე შევისწავლე ვირზე ჯირითი. მაშინდელი ჩემი ოცნება ყოფილა მყოლოდა საკუთარი სახედარი“.

მერვე-მეცხრე კლასში უკვე თანშეზრდილივით იჯდა უბელო ცხენზე, ხევსურეთის ქარაფებსაც კი არ უშინდებოდა, მისი გაბედულებით გაოცებული ხევსურების თვალწინ ქარივით დაუყვებოდა ველკეთილს, შატილსა და გუდანის ჯვარში ეჯიბრებოდა თანატოლებსა თუ უფროსებს. ცდილობდა არავისთვის დაეთმო პირველობა. პირველობის არდათმობის მძაფრი, ბუნებრივი ჟინი, მთელ მის ხანმოკლე სიცოცხლეს მუდამ ავსებდა და აძლიერებდა.

ცხენებისადმი გურამ რჩეულიშვილის სიყვარულსა და საერთოდ ცხენთან დამოკიდებულების საკითხზე მეტად საყურადღებო მოსაზრებები გამოაქვეყნა თელავის მკვიდრმა მწერალმა და მკვლევარმა გიორგი ჯავახიშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“.

„გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და გვარიშვილის ჰერალდიკური ნიშანია ცხენი. ეს გონიერი, მამაცი, უწყინარი არსება. როგორც გენიალური ბარათაშვილის „მერანის“, ისე გურამ რჩეულიშვილის „სალამურას“ და „თვირთვილას“ მეტაფორული თუ ალეგორიული საიდუმლო ცხენშია საძიებელი.

...არის რაღაც სიმბოლური, რომ ეს უძველესი ჰერალდიკური ნიშანი დაემკვიდრა რჩეულიშვილებს“.

* * *

გურამი სიყრმიდანვე ადამიანების მოყვარული. გულადი და გაბედული ბიჭი იყო. ერთხელ. მეცხრე კლასში სწავლი სას,

თელავში იმყოფებოდა. ქალაქის საცურაო აუზში პაქ ტარა ბიჭებს შეჯიბრი გაემართათ. მეოთხე კლასელი ბიჭი! გადახტა აუზში ამაღლებული ადგილიდან. ეტყობა უცებ ცუდად გახდა და ჩაიძირა. ბიჭები არეულ-დარეულად დარბოდნენ და ყვიროდნენ, მშველელი კი არსად ჩანდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც გურამმა ცურვა თითქმის სულ არ იცოდა, ჯერ ცხენოსნობითა და სპორტის სხვა სახეობებით იყო გატაცებული. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო და იგი პირველი გადახტა ტანისამოსიანად აუზში. საშინლად წვალობდა. ჩაყვინთავდა, ძალების უკიდურესი დაძაბვით წავიდოდა აუზის ფსკერისაკენ. წყალი ისევ ზემოთ ამოაგდებდა. ასე იწვალა, სანამ უფროსები არ გამოჩნდნენ და უბედური პატარა ბიჭი ფსკერიდან არ ამოიყვანეს.

ბიჭი ვეღარ გადაარჩინეს. გურამი საშინლად განიცდიდა ამ ამბავს, უფრო კი თავის უძლურებაზე ტკიოდა გული, რომ გადარჩენა ვერ მოახერხა. შემდეგ მარტო წავიდა ნადიკვარზე, იქ ერთ მოშორებულ ადგილას ჩამოჯდა და ტირილით გული იჯერა.

მსგავსი ფაქტი კიდევ მოხდა, თუმცა საოცარი სიმამაცით განვლილი მისი ხანმოკლე ცხოვრება სხვისი ტკივილის გაზიარებითა და დახმარებით საზრდოობდა, რაც თითქოს ღვთის ნებით ქონდა მომადლებული.

ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ასე საყოველთაოდ აზვირთდა ეროვნული მოძრაობა, გურამ რჩეულიშვილი იქნებოდა შესანიშნავი წინამძღოლი, გნებავთ ლიდერი, რადგან მას დიდ გაბედულებასთან ერთად ჰქონდა საოცარი შემწყნარებლობის, დიდსულოვნების, მიმტევებლობის, სიკეთის გაკეთების გრძნობა. საქართველოსათვის არსებობა, მისთვის ერთგული სამსახური მას უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. ყველა გაჭირვებული ადამიანის დასახმარებლად უყოყმანოდ მიდიოდა, მითუმეტეს კი მაშინ, თუ ქართველს სჭირდებოდა მისი მხარში დგომა.

მეგობარი და მახლობელი კი არა, თუკი საერთოდ ვინმეს · გაჭირვებაში ჩავარდნილს დაინახავდა, უყოყმანოდ მიეშველე- ბოდა. ასეთ დროს მისთვის უკანდახევისა და შიშის

გრძნობა აღარ არსებობდა, ყველა შემთხვევაში ისეთი ამაყი, გაბედული და შინაგანად მართალი იყო, რომ ნებისმიერი მოძალადე თუ ბოროტისმზრახველი მონუსხულივით უკან იხევდა. ასეთი შემთხვევების მოწმენი ძალზე ხშირად ვიყავით, ან თითქმის ყოველდღე.

თელავისა და ალვანის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში სწავლის შემდეგ გურამი თბილისის ვაჟთა მეცხრამეტე საშუალო სკოლაში სწავლობდა.

მისი კლასის მეგობრები გამოსვლებსა თუ საუბრებში ხშირად იგონებენ. რომ მოწაფეობის წლებში გურამ რჩეულიშვილი მოთხრობების წერით იყო გართული.

ერთ დღეს. დიდი შესვენების დროს. გამალებული წერდა. თავისი მსხვილი, ორიგინალური ხელწერით გავსილ ფურცლებს ზედიზედ ალაგებდა და ისე გაერთო, რომ ფეხაკრეფით მისული და თავს წამომდგარი თანაკლასელებიც კი ვერ შენიშნა.

ბიჭებმა ფურცლები აიტაცეს და კითხვა დაიწყეს. გურამი გაბრაზდა. წამოხტა. ფურცლები უკან გამოართვა. წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. რადგან მაშინ მიღებული კლასიფიკაციით პირველი „ყოჩი“ იყო, რაც მის ფიზიკურ უპირატესობას მკაფიოდ უსვამდა ხაზს. შემდეგი გაკვეთილისა თუ შენვენების დროს ის ღრმად ჩაფიქრებული კითხულობდა თავის ნაწერს, მალე რაღაც არ მოეწონა და ფურცლები დახია.

საერთოდ ზომაზე მეტად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. ალბათ ამითაც იყო გამოწვეული, რომ მან ლისდროინდელი ნაწერები თითქმის მთლიანად გაანადგურა. პირველი ცდები აღარ მოეწონა, რადგან სულ ახალსა და ღრმას მიესწრაფვოდა.

ამიტომაც არ შემოგვრჩა სკოლის პერიოდის ქმნილებების დღეისათვის ალბათ უაღრესად საინტერესო ნიმუშები. რითაც მისი შემოქმედებითი გზისათვის თვალის გადევნების საუკეთესო საშუალება მოგვეცემოდა.

სკოლის პერიოდში გურამის ოჯახი ძველი „კირიჩნის“ უბანთან რენინგერის ქუჩაზე მდებარე ისტორიულ სახლში ცხოვრობდა.

საკმარისია ითქვას, რომ ამ არც თუ ისე ფართო ძველ თბილისურ სახლში ცხოვრობდნენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ქართული კრიტიკული აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენელი კიტა აბაშიძე, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი, გურამის მამა, აკადემიკოსი მიხეილ რჩეულიშვილი, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ერეკლე აბაშიძე, მომავალი ცნობილი ქართველი მწერალი დავით ჯავახიშვილი. სახელმოხვეჭილი ალპინისტები გიგი და აგი აბაშიძეები, პირველი — ფრანგული ენის ბრწყინვალე სპეციალისტი და მთარგმნელი, გურამის მსგავსად 26 წლის ასაკში უდროოდ დაღუპული და მეორე — ნიჭიერი ქართველი ლიტერატურათ მცოდნე, მკვლევარი...

აქვე მინდა მოვიტანო ციტატა დავით ჯავახიშვილის წერილიდან „ივანე ჯავახიშვილის სახლი“, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. „...არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამავე სახლში დაბადებული და 1953 წლამდე მცხოვრები კიდევ ერთი ადამიანი, ივანე ჯავახიშვილის დის შვილიშვილი, ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი მწერალი გურამ მიხეილის ძე რჩეულიშვილი. აღარ გავაგრძელებ სიტყვას იმის შესახებ თუ რა ძლიერი და მაცოცხლებელი ნაკადი შემოიჭრა — და რა დროულად! — 60-იანი წლების ქართულ მწერლობაში ამ ახალი სახელის გამოჩენით“.

როგორც ითქვა, დიდი ივანე ჯავახიშვილი გურამს პაპად ერგებოდა, მისი ღრმად განსწავლული და უსაყვარლესი ბებო საშა ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის ღვიძლი და იყო.

ასე რომ მომავალი დიდი მწერალი ჭეშმარიტად ინტელიგენტურ, შემოქმედებით ატმოსფეროში იზრდებოდა, რასაც მისი ტალანტი და ინტელექტი სასურველი გზით მიყავდა.

გურამმა 1952 წელს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეცხრამეტე საშუალო სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

მაღალი იდეალებით გაჟღენთილმა გარემომ და ოჯახურმა ტრადიციებმა ნაყოფიერად იმოქმედა გურამზე, უნივერსიტეტში უკვე მომზადებული მოვიდა და ქართული მეცნიერების ტაძარში ცოდნის შეძენას მთელი მონდომებით დაეწაფა.

გურამი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებს, კითხულობდა ინგლისურად და არაბულად, ღრმად იცოდა მშობლიური, რუსული, დასავლეთევროპული, აღმოსავლური ლიტერატურა, გატაცებით კითხულობდა მისთვის საინტერესო ყოველ წიგნს, პროზა იქნებოდა ეს თუ პოეზია.

ფართო იყო მისი ინტერესების წრე. ეს სიცოცხლის მოყვარული, ძლიერი, გულადი და დაუდგრომელი ბიჭი მთელი საღამოობით თუ კვირაობით უღრმავდებოდა ნიცშესა თუ ფროიდის ფილოსოფიას, გატაცებით კითხულობდა ჩინურ პოეზიას. იაპონურ პოეზიას, ზეპირად სწავლობდა გალაკტიონისა და ტიციანის. ბლოკისა და ესენინის. ხაიამისა და ჰაფიზის ლექსებს, წაუკითხავი არ რჩებოდა ჰემინგუეის, ეგზიუპერის, დოსტოევსკის, ჩეხოვის არცერთი ნაწარმოები. სამაგიდო წიგნებად ჰქონდა ქართული ხალხური თუ სვანური პოეზიის ტომეულები.

საინტერესოა ამ მიმართებით გურამის მამის მიხეილ რჩეულიშვილის მოგონების ნაწყვეტი შვილის შესახებ, რაც თურმე „ხანგრძლივი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ“ მიუცია მას აკადემიკოს სერგი დურმიშიძისათვის.

„გურამს თავის დასთან მარინესთან მეტად ფაქიზი და ამავე დროს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ხშირად კამათობდნენ, არჩევდნენ ნიცშეს, კანტს, ჰეგელს... ანდა რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს. გურამი განსაკუთრებით აფასებდა დის მხატვრულ გემოვნებას. თავის ყველა მოთხრობას პირველად მარინეს აკითხებდა. გურამი ხშირად ამბობდა, მარინეს კაცის ჭკუა და გამბედაობა აქვსო“.

რა მშვენიერი, ამაღლებული დამოკიდებულებაა უფროსი ძმისა ხუთი წლით უმცროს დასთან, ასეთი დამოკიდებულების გახსენება ხშირად წარსული სითბოს ნაღველით მავსებს.

* * *

გურამს გული ყოველთვის საქართველოს ისტორიისა და მშობლიური ეროვნული კულტურისაკენ მიუწევდა, ისტორიულ ლიტერატურას გატაცებით კითხულობდა, ინიშნავდა, ამონაწერებს აკეთებდა, რვეულები საყურადღებო ფაქტებით ჰქონდა ავსილი.

ამ გატაცების გამო იყო ის, რომ გურამი მესამე კურსიდან ისტორიის ფაკულტეტზე გადავიდა და მშობელი ერის ისტორიის ფერფლწაყრილ ფოლიანტებს ჩაუღრმავდა.

ამ დროისათვის უკვე ღრმა შინაარსიან და მხატვრულად ძლიერ რეფერატებს წერდა, საჯარო ბიბლიოთეკასა და არქივებში მუშაობდა.

გავიხსენოთ ადგილი 1956 წელს დაწერილი მისი ნოველიდან „პროფესორი ლევან ჯანდიერი“.

„ოცი წლის იყო, როდესაც ისტორიაზე სერიოზულად დაიწყო მუშაობა. იმ დროს კარგად ცურავდა. მოაგონდა ბოლო შეჯიბრი, რომელშიაც მეორე ადგილი აიღო, სწორედ მაშინ აჩუქეს თოფი, რამდენს ნადირობდა მაშინ. მეცნიერებამ მაინც თავისი გაიტანა“.

ანდა პწკარები დიდებული „უსახელო უფლისციხელიდან“:

„ახლა საღამოა.

ვზივარ შინ და ვკითხულობ კონსპექტს; ის სულ უფრო მითრევს: რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში“.

* * *

ისტორიკოსებთან შეხვედრისას ძალიან ხშირად სწორედ! საქართველოს ისტორიაზე ჩამოაგდებდა საუბარს, წაკითხულის შესახებ მსჯელობდა, საკუთარ აზრებს სხვის აზრთან აჯერებდა, ცდილობდა გაეგო ამა თუ იმ უძველესი ისტორიული ფაქტის შესახებ, რათა დამატებითი წყაროების მოძებნისათვის ეზრუნა.

ფაქტების დასაზუსტებლად უფროს მეგობრებსაც მიმართავდა ხოლმე, თავის პედაგოგებს, ვისიც სწამდა და სჯეროდა. რამდენჯერ მინახავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან, საქართველოს ისტორიის სახელმოხვეჭილ სპეციალისტებთან შოთა მესხიასთან, დავით გვრიტიშვილთან, ოთარ ჯაფარიძესთან და სხვებთან საქმიანი საუბრით გართული. უყვარდა საუბარი თავის თანატოლებთან ან შედარებით უმკროს კურსელებთანაც, ვინც ნიჭიერებით გამოირჩეოდა და ვინც ამა თუ იმ საინტერესო პრობლემაზე სერიოზულ მომუშავედ მიაჩნდა.

ჩემი სტუდენტური დღიურებიდან ერთი ასეთი ფაქტიც აღვადგინე.

1957 წლის გაზაფხულზე, ღამით, ლექციების დამთავრების შემდეგ გურამი და მე მელიქიშვილის ქუჩით მივდიოდით. მაშინ, მეორე თუ მესამე კურსიდან მეხუთე კურსის ჩათვლით, სტუდენტობისათვის ლექციები საღამოობით იწყებოდა და საკმაოდ გვიანაც მთავრდებოდა. ჩვენ თუ ლექციებზე არ ვიყავით, ხშირად უნივერსიტეტის ბაღში ვისხედით და მე-3 რე ახალგაზრდობის ტალღასთან ერთად მივყვებოდით საყვარელი თბილისის ჯერ კიდევ სუფთა და უხმაურო ქუჩებს.

პეტრიაშვილის ქუჩის კუთხეში შეგვხვდნენ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები მანანა ხიდაშელი, თამარ გამსახურდია და მათი რამდენიმე თანაკურსელი. გურამ რჩეულიშვილი ყველა მათგანს კარგად იცნობდა, ერთ ფაკულტეტზე სწავლობდნენ, ოღონდ ისინი ორი კურსით უკან.

მანანა და თამარი უახლოესი მეგობრები იყვნენ, თუ არ ვცდები, სკოლის მერხიდანვე და სტუდენტობის წლებშიც თითქმის ყოველთვის ერთად ვხედავდით. როგორც იტყვიან, მათ დანახვას არაფერი ჯობდა. ისეთი ლამაზები და ფერიებივით ჰაეროვნები იყვნენ, რომ ქუჩაში მიმავალთ ყველა ყურადღებას აქცევდა, ალბათ ბევრი ლოცავდა კიდეც თქვენმა მშობელმა გაიხაროსო, რადგან ისინი მართლაც ქართველი ქალის დიდებული მშვენებით გამოირჩეოდნენ.

იმის გარდა, რომ წარჩინებული სტუდენტი, სახელობითი სტიპენდიანტი და იმედის მომცემი მომავალი ისტორიკოსის

სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, თამარ გამსახურდია უნივერსიტეტის სტუდენტობის ყურადღებას იმითაც იქცევდა, რომ იყო დიდი ქართველი მწერლისა და ახალგაზრდობის სათაყვანო შემოქმედის კონსტანტინე გამსახურდიას ასული, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს ყოფილიყო უაღრესად თავმდაბალი, სათნო, თბილი და კეთილი ბუნების ადამიანი, რაც მის გარეგნულ სილამაზეს უფრო მეტ ელფერს სძენდა. თამარ გამსახურდიას, პოეტის თქმისა არ იყოს, მართლაც საქართველოს დედოფლობა დამშვენდებოდა. ამდენად კიდევ უფრო გულსაკლავია, რომ იგი სულ ახალგაზრდა წავიდა ამ ცხოვრებიდან.

გოგონები რუსთაველის პროსპექტისაკენ მიდიოდნენ, გურამმა თამარს შესთავაზა ჩვენ გაგაცილებთო, რადგან ის მარტო მიდიოდა სახლისაკენ. მან ჯერ ზრდილობიანად იუარა, მაგრამ რადგან გურამი თითქმის მეზობლად ცხოვრობდა, დათანხმდა. იმ წლებში ბიჭების მიერ გოგონების მეგობრული გაცილება და ღამით მარტო არ გაშვება სასიამოვნო მოვალეობად იყო ქცეული, რაც დღეისათვის საკმაოდ მივიწყებულია, რადგან ბევრს ეზარება ფეხით სიარული და თუ მანქანა არ ყავს, ზედმეტ ას მეტრსაც არ გაივლის.

დინჯი ნაბიჯებით მივყვებოდით პეტრიაშვილის ქუჩას. რამოდენიმე ზოგადი შეკითხვის შემდეგ გურამმა თამარს უჭველესი ქართული ქალაქებისა და მათზე გამავალი სავაჭრო გზების შესახებ ჩამოუგდო საუბარი. მე ვიცოდი, რომ გურამს უკვე დაწერილი ჰქონდა ისტორიის სიყვარულით შთაგონებული ნოველები „პროფესორი ლევან ჯანდიერი“ და „უსახელო უფლისციხელი“, ამიტომ შეკითხვები და მსჯელობაც არ გამკვირვებია. იგი თითქოს წინასწარ ამოწმებდა თუ როგორ მიიღებდნენ სხვები მის აზრებს. გურამი განსაკუთრებით მტკვრის გასწვრივ გაშენებულ ქალაქებზე ლაპარაკობდა, თამარმაც ამ საკითხზე რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. ისეთი პროფესიონალური საუბარი გაიმართა, რომ ალბათ ერთი საათი მაინც მოვუნდით გალის ქუჩამდე მისვლას.

როცა ვბრუნდებოდით გურამმა თქვა: „ძალიან ჭკვიანი გოგოა, ნაკითხი, განათლებული, თუმცა სხვანაირი ვერც იქნებოდაო“...

ამ დროს გურამს ჯერ კიდევ არაფერი არ ქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ სულ ორი-სამი თვის შემდეგ ქართველი ხალხი გაეცნობოდა მის ხუთ ახლებურ. თვითმყოფად ნოველას და ასევე ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილ „უსახელო უფლისციხელს“.

შემდეგ როდესაც გურამის ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებს და განსაკუთრებით კი „უსახელო უფლისციხელს“ სიტყვასიტყვით ვკითხულობდი, წყნარი თბილისური საღამო და ჩვენი მეგობრული საუბარიც მახსენდებოდა.

ამ განწყობილების გაძლიერების მიზნით მინდა მოვიტანო მცირე ნაწყვეტები გურამ რჩეულიშვილის აქვე ნახსენები ორივე ნოველიდან, რაც 1956 წელსა და 1957 წლის დასაწყისში დაიწერა და რაც ზემოთმოტანილ თემებს შეეხება:

„დიდხანს ფიქრობდა არმაზის დასახლების წარმოშობის პირვანდელ თარიღზე, მისი გაძლიერების დროზე. ახლა ასპარუგ ერისთავის არაბული წარწერა მოაგონდა და ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ გადაშალა. აშკარა იყო, რომ ჩვენს ერამდე დაახლოებით მე-5 საუკუნეში არმაზს ან ამავე ადგილზე მყოფ დასახლებულ პუნქტს უკვე საკმაო წონა უნდა ქონოდა. ამის დასტურად თუნდაც მარტო ის იყო საკმარისი, რომ არმაზის კერპს ასეთ თაყვანს სცემდნენ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე...“ („პროფესორი ლევან ჯანდიერი“).

„უფლისციხის ტერიტორიაზე პირველი დასახლებული პუნქტის შექმნა ეკუთვნის დაახლოებით მეორე ათასწლეულს ჩვენს ერამდე. ამავე დროს ეკუთვნის მისი მიდამოების დასახლება მტკვრის ორივე ნაპირზე. თუმცა ცალკეულ სამოსახლოებს ამავე ადგილებში ვხვდებით ენეოლითის დროიდანაც...

ეკონომიკური სიძლიერე და მასთან პოლიტიკურიც ნელნელა გადადის მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ. აქ იქმნება მთელი რიგი გამაგრებული ციხე-ქალაქებისა: მცხეთა, უფლისციხე. გორი, ურბნისი, ელინისტურ ხანაში ამ ქალაქებზე გადის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სავაჭრო გზა. გზა

მოდის ინდოეთიდან, ან ჩინეთიდან, ან სპარსეთიდან, ამოდის კასპიის ზღვაში, მოჰყვება მტკვარს, გამოივლის ხუნანს, ბოსტან-ქალაქს, მცხეთას, უფლისციხეს, გორს, ურბნისს, შორაპანს, გადადის კოლხეთში ფაზისამდე (ფოთი).

ამ დროისათვის უფლისციხე უკვე ძლიერი ქალაქია". („უსახელო უფლისციხელი").

სწორედ „უსახელო უფლისციხელის" გამოქვეყნების შემდეგ, 1957 წლის ოქტომბერში, როდესაც ჩვენ უკვე სტუდენტები აღარ ვიყავით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვცილდებოდით საყვარელ უნივერსიტეტს და ხშირადაც მივდიოდით, უნივერსიტეტის შესასვლელთან მე, გურამ რჩეულიშვილსა და ნოდარ ზედელაშვილს შეგვხვდა თამარ გამსახურდია მეგობართან ერთად. თამარმა გულწრფელად მიულოცა გურამს შემოქმედებითი წარმატება და შეაქო სწორედ მისი „უსახელო უფლისციხელი". გურამი ღრმად ნასიამოვნები სჩანდა. მას თავისთავად შექებაც ესიამოვნა, ხოლო დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ასულის მიერ მისი ნაწარმოების ასეთი მოწონება ალბათ ორმაგად გაუხარდა.

* * *

მეოთხე კურსზე ვიყავით, როდესაც გავიგეთ გურამს რეფერატის დაცვა აქვსო. თავად არ უთქვამს, ერიდებოდა ხოლმე საკუთარი სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საკითხების შესახებ ლაპარაკს, რამოდენიმე ბიჭი მაინც წავედით დაცვაზე. რომ შევედით შემოგვხედა. გაუხარდა. მაინც ესიამოვნა მეგობრების მისვლა. არც თუ ისე დიდი აუდიტორია მისი თანაკურსელებითა და პროფესორ-მასწავლებლებით იყო სავსე. თემა, თუ არ ვცდები, შუა საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს შეეხებოდა. ზუსტად აღარ მახსოვს.

მხატვრული ნარკვევით დაწერილი მშვენიერი თემა წაიკითხა, სადაც მწერლისა და მკვლევარის ერთად შერწყმული ნიჭი ჩანდა, უფრო მეტად კი უნიჭიერესი მწერლის სუნთქვა ისმოდა. რეფერატი ყველას მოეწონა, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ჩვენც გახარებულები ვულოცავდით.

ნეტავ ის რეფერატი თუ შემორჩა მის არქივს, ანდა იქნებ უნივერსიტეტის არქივში მოვიძიოთ. მისი გამოქვეყნება მართლაც საყურადღებო იქნებოდა.

გუგუნივით ახლოვდებოდა გურამის შემოქმედებითი აფეთქების დრო და ისიც დადგა. 1956 წლის დასაწყისიდან გურამ რჩეულიშვილმა სისტემატური, საოცრად ნაყოფიერი და მიზანსწრაფული წერა დაიწყო, მთელი ღირსებით შეუდგა ჭეშმარიტი მწერლის რთულსა და მოუსვენარ ცხოვრებას. დამთავრდა შინაგანი მომზადების პერიოდი, დამთავრდა შინაგანი წვა, ჩვენს შორის გაჩნდა განგების მიერ დიდ მწერლად მოვლენილი ახალგაზრდა კაცი.

* * *

1957 წლის ზაფხულში ქართველი ახალგაზრდობისათვის, ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა გამოსვლა დაიწყო ლიტერატურულ-მხატვრულმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა „ცისკარმა“.

პირადად ჩემთვის, მაშინ ახლად უმაღლესდამთავრებული. ოცდაორი წლის ბიჭისათვის, ამ ფაქტთან ერთად განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ ახალი ჟურნალის პირველივე ნომრის ფურცლებზე დაბეჭდილი იყო ჩემი უახლოესი მეგობრების გურამ რჩეულიშვილისა და გურამ გეგეშიძის მოთხრობები.

მანამდე სრულიად უცნობი ავტორი, ჯერ კიდევ არსად გამოქვეყნებული გურამ რჩეულიშვილი, ხუთი მოთხრობით წარუდგა მკითხველ საზოგადოებას.

ეს იყო მშვენიერი, ორიგინალური, საოცრად მაღალი და მართალი ნაწარმოებები, რომელთა მსგავსის წაკითხვა იმ წლებში და იმ პერიოდში იშვიათად გვიხდებოდა.

ლიტერატურის განვითარებისათვის ეს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო. სტალინის გარდაცვალებისა და პარტიის XX ყრილობაზე მისი გამანადგურებელი კრიტიკის შემდეგ ისევ მთელი ძალით ბატონობდა სოციალისტური რეალიზმის

დოგმები და ჩარჩოები, მწერლობა თუ ხელოვნება შეპყრობილი იყო სტერეოტიპული აზროვნებით, ცხოვრების მახინჯი მოვლენების გალამაზებული აღწერა და შორეული მომავლის ბუნდოვანი იმედით საზრდოობა მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

სრულიად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების უჩვეულო გახმაურება და აღიარება გამოიწვია იმ გარემოებამაც.. რომ იგი შემოქმედებითი გზის, დასაწყისშივე თამამად. გაბედულად ამსხვრევდა ხავსმოდებულ ნორმებს, ხატავდა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების ცხოვრებას, ამხელდა ჩვენი ყოფის მანკიერ მხარეებს და ჩანაფიქრს თავისუფლად გამოხატავდა. მის ნაწარმოებებში ნათლად გამოჩნდა ეროვნული სული და ძალა, ქართული სინამდვილის მართალი აღწერა. ზოგადკაცობრიული სიმაღლისაკენ სწრაფვა.

1983 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ყველაზე დიდი ვნება“ თამაზ ვასაძე წერდა გურამის გმირების შესახებ, რომ „ასეთი ადამიანი მანამდე არსებითად უცნობი იყო XX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის (ყოველ შემთზვევაში „არაპოეზიისათვის მაინც), ასე დოსტოევსკისებურად ადამიანს ქართველ მწერალთაგან გურამ რჩეულიშვილმა შეხედა“...

იგივე ავტორი 1986 წელს წერილში „გურამ რჩეულიშვილის პროზის სამყარო ში“ საინტერესო დაკვირვებით აღნიშნავდა:

„გურამ რჩეულიშვილისათვის, როგორც ირკვევა, ადამიანის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი თავისუფლების ხარისხია — ეს არის თავისუფლება შიშისაგან, ეგოიზმისაგან, ცხოვრებისა და აზროვნების სტანდარტული, ანონიმური წესისაგან. ლაღი და თვითმყოფი, სრულფასოვანი ინდივიდუალობების ძიება რჩეულიშვილის შემოქმედების უმთავრესი პათოსია“.

გურამის შემოსვლა ქართულ ლიტერატურაში დაბლობ ადგილას შმაგი მდინარის მოვარდნას ჰგავდა.

იმ წლებში, რომლებსაც ჩვენ დღევანდელობის სიმაღლიდან კრიტიკულად ვაფასებთ და სამართლიან შენიშვნებსაც

გამოვთქვამთ, სულაც არ იყო იოლი ასეთი უჩვეულო, ახლებური ნაწარმოებების დაბეჭდვა, რომელთა იდეური დატვირთვაც სასტიკ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. საჯაროობისა და დემოკრატიის გზაზე შედგომამდე თითქმის მესამედი საუკუნე რჩებოდა.

მაგრამ გურამი სისხლხორცეული მოწოდებით, შინაგანი არჩევანით, მისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცური სულით მოდიოდა ლიტერატურაში და იგი უპირველეს ნიშანსვეტად ქცეულ სიმართლეს ვერ უღალატებდა, მისი მაღალი ბუნება ვერ შეურიგდებოდა მედროვეთა და მლიქვნელთა კასტას, რადგან შაბლონისა და ტრაფარეტების წინააღმდეგ იყო ამხედრებული. იგი აშკარად უპირისპირდებოდა მონურ აზროვნებას.

გამოჩენილი ქართველი მწერალი, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი რეზო ინანიშვილი საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გურამის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იხსენებდა:

„გამომცემლობაში ვმუშაობდი პროზის განყოფილების გამგედ. ერთხელ მოთხრობები მოიტანა, კრებული უნდა მოგვემზადებინა გამოსაცემად. გადავხედე, წავიკითხე, ძალიან მომეწონა. მაშინ მოდაში იყო ასეთი რამ: მოთხრობებს წინ წარუძღვებოდა ერთი ან ორი ე. წ. იდეური, თანამედროვეობის თემაზე შექმნილი მოთხრობა და შემდეგ სხვებიც მოჰყვებოდა. ასეთ ხერხს ყველა „პარავოზს“ ეძახდა. თითქოს დამავიწყდა როგორი უნიჭიერესი და ამაყი ახალგაზრდა კაცი იდგა ჩემს წინ და გურამს ვუთხარი, მოდი ერთი „პარავოზიც“ შეარჩიე, რომ წინ წავუმძღვაროთ-მეთქი. გაოცებით ამხედ-დამხედა, ხმადაბლა ირონიულად ჩაუსტვინა და წავიდა. დღემდე სირცხვილის გრძნობასავით მახსოვს და თითქოს ვერ მომინელებია ეს ამბავი“.

ამავე გამოსვლაში რეზო ინანიშვილი იხსენებდა:

„ის ძლიერი, უშიშარი ბიჭი იყო და თითქოს თავისი მოსვლით კეთილი შიში დაამკვიდრა ორმოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაში. მისი მაღალი პიროვნება ლამაზად ერწყმოდა მისსავე თვითმყოფად შემოქმედებას. ეს ის დრო იყო,

როდესაც გურამისა და მისი თანამოკალმეების ახალ, გაბედულ და წარმტაც ცდებს ზოგიერთი უცხოეთის მიბაძვად თუ ქართული ლიტერატურის ტრადიციული, მაგისტრალური ხაზიდან გადახვევად მიიჩნევდა. იმას კი აღარ ფიქრობდნენ. რომ ასეთი სიახლე ქართული ლიტერატურის წინსვლა-განვითარებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობით იყო გამოწვეული. ეს უნიათო მოსაზრებები გაზეთებშიაც კი დაიბეჭდა. მაგრამ გურამის მიერ შემოტანილი სიახლეები ქართული მწერლობის ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის მიერ უყოყმანოდ იქნა მიღებული და გურამ რჩეულიშვილი ამ სიახლეთა მედროშედ იქცა“.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გურამ რჩეულიშვილმა ჩვენდა სამწუხაროდ მხოლოდ ოცდაექვსი წელი იცხოვრა. 1960 წლის 4 ივლისს 26 წელი შეუსრულდა, 23 აგვისტოს კი შავი ზღვის ტალღებში ტრაგიკულად და მოულოდნელად დასრულდა ეს ნათელი სიცოცხლე.

ხშირად ოცდაექვსი წელი დიდ ცხოვრებაში ფეხის შედგმის წლებად ითვლება. გენიოსებისა და ფენომენების გარდა 22-23 წლის ასაკში ძალზე იშვიათად თუ შეუქმნია ვინმეს უკვდავობის დაღდასმული ნაწარმოები, უთქვამს სრულიად ანლებური სიტყვა, საკუთარი კვალი გაუვლია უმდიდრეს ქართულ ლიტერატურაში, მოუპოვებია ხალხის, ახალგაზრდობის საყოველთაო სიყვარული და აღიარება, გამხდარა ერის სახელოვანი შვილი და დიდი მწერალი.

ყველაფერი ეს შეძლო სრულიად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილმა, მარტო ეს კი არა, 60-იანი წლების ლიტერატურული თაობის წინამძღოლად და უახლოეს ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ უვალი ბილიკების გამკვალავად მოგვევლინა.

ახალგაზრდა მწერალმა ნათლად გამოავლინა მძაფრი ტრაგიზმი და დრამატიზმი, ვეება ვნება და ზნეობრივი მაქსიმალიზმი, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში დახატა ძლიერი, მამაცი, უდრეკი სულის ადამიანები, მთლიანად მიენდო საქართველოს სიყვარულს, მის ისტორიას, აწმყოს, მომავალს, ბუნებას, ადამიანის დანიშნულებად დაგვისახა რაინდული, მე-

გობრული, კეთილი და მაღალი გრძნობებით ცხოვრება, მხოლოდ საკუთარი მამულისათვის თავდადება, მისი სიკეთისათვის ბრძოლა და სიკვდილისაც კი არად ჩაგდება.

აქ მახსენდება ნაწყვეტი გურამის პატარა ნოველიდან „ომი“, რომელიც ჯერ კიდევ 1956 წელს არის დაწერილი.

მთელი თავისი უგრძესი ისტორიის მანძილზე ქართველი ყოველთვის შეგნებულად იბრძოდა, ნათელი მიზნებისათვის იბრძოდა. მიზანი კი საკუთარი მამულის დაცვა იყო.

ასეთ დროს ქართველის ბრძოლაც და სიკვდილიც მამულის კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მაგრამ დრო წავიდა. დაპყრობილი პატარა ერი ძალით შეიერთა ერთი ასად მეტმა ერმა. ახლა ომს, ბრძოლას სულ სხვა სარჩული დაედო. აქ უკვე აბსტრაქტული ქვეყნის დასაცავად თუ სასარგებლოდ მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, დაიკარგა მიზანი, საკუთარი მამულისათვის გმირული თავდადების გრძნობა. სამამულო ომში, რომელსაც აღწერს გურამი, სვანი ქელეშბიც იბრძვის. იგი შემთხვევით ნახავს ტანკისტ ძმას. დიდხანს კოცნიან ერთმანეთს. „ახსენდებათ სვანეთი, საქართველოს დედაძირი“.

გარშემო კი დაუნდობელი ომი მძვინვარებს, მიზანგამოცლილი, - სხვის დასაცავად წარმოებული ომი; ამას კარგად გრძნობს ახალგაზრდა 22 წლის მწერალი, რომელიც ასეთ მკაცრ, შემაძრწუნებელ სურათს ხატავს.

„ახალმა მუხლუხამ ათეულიდან დარჩენილი ოთხი კაცი თან წაიყოლა, თან წაიყოლა ქელეშბიც. მირბოდა ქელეშბი, აღარაფერზე არ ფიქრობდა, აღარ აგონდებოდა არც საქართველო, არც სვანეთი, არც დედაძირი. დაავიწყდა რომ ნახა ძმა გულდაც. მოძრაობდა მთელი ბრძოლის ველი, უმოძრაოდ მხოლოდ დახოცილები, ფეხმოჭრილები და მწყობრიდან გამოსული ტანკები იდგნენ“.

* * *

გურამი გატაცებით წერდა, მას ყოველთვის თან დასდევდა მოახლოებული აღსასრულის მძიმე შეგრძნება და ჩვენც ხშირად გვეუბნებოდა... „დრო ისედაც ძალზე ცოტააო“.

ყველგან წერდა: სახლში კარში, მატარებელში. ზღვაზე, მთებში თუ სტეპებში, თითქოს წინასწარმეტყველივით რინობდა თავის მაღალ დანიშნულებას.

1956 წელს, როგორც ცნობილია, გურამ რჩეულიშვილმა თავის ახალგაზრდა მეგობარს, დღეს გამოჩენილ ქართველ მხატვარს კოკა იგნატოვს საკუთარი ოთახის კედლები მოახატვინა. ეს არ იყო რაიმე პოზა ან ორიგინალობა. მას უბკრალოდ სურდა შთამაგონებელი გარემო ჰქონოდა, რომ -ოთანში ზოგჯერ მთელი დღითა თუ კვირაობით - ჩაკეტილს მოწყენილობა და მისი ცოცხალი ბუნების დამთრგუნველი ერთფეროვნება არ ეგრძნო. სწორედ ამ ოთახში მუშაობდა გურამი მთელი თავდადებითა და თავდავიწყებით.

ძალზე საინტერესოა 1957 წელს სერგი დურმიშიძისადმი გურამის დედის ნათქვამი აზრი:

„ზის ასეთ ოთახში ჩემი გურამი და დღე და ღამე წერს. ვერ გამიგია, რა ხდებაო“.

ხედავთ. დედაც კი შეაშფოთა იმან, რომ შვილი შეუსვენებლად წერდა. ასეთი იყო მისი სულიერი მოთხოვნილება, ასეთი იყო ბედისწერის ავი ძახილით სულიანხორციანა შეძრული ვეება ტალანტით დაჯილდოებული ბიჭი, რომ თავისი სათქმელის დაუტოვებლად და საკუთარი კვალის გაუვლებლად არ წასულიყო ამ წუთისოფლიდან. იჯდა და წერდა, აუცილებლად უნდა მოესწრო. დიდი მთავარივით ლამაზი, ძველქართული კალიგრაფიის მსგავსი ხელით ავსებდა ქათქათა ფურცლებს.

რეზო ინანიშვილი ჩემს მიერ ზემოთ მოხსენიებულ გამოსვლაში წერისადმი გურამის სიყვარულს თავისებური საინტერესო დაკვირვებით იხსენებდა: „მწერლობა რომ უყვარდა და დიდი გატაცებით წერდა, ეს მისი ნაწერებიდანაც ჩანს. ბევრი ფურცელი ლამაზი კალიგრაფიული ხელით აქვს დაწერილი, სადაც ლამაზად ხვეული შ, წ, ჩ, ლ, ფ და სხვა ასოები სასიამოვნოდ მოგხვდებათ თვალში. როგორც ჩანს ამ დროს იგი და-

დინჯებით წერდა, მაგრამ იყო მკვეთრი აფეთქებისა და მძაფრი დაძაბულობის წუთები, ამ დროს კალიგრაფია არის აჩქარებული, აბობოქრებული, სწრაფი, რომ აზრების გადმოცემის დინება აყვეს ხელწერას. ზოგჯერ პწკარები უსწორმასწოროც არის, მაგრამ ამას ახალგაზრდა მწერალი არად დაგიდევთ, რადგან მას თავისი მიზანი აქვს მისაღწევი და ამას სისწრაფე, საოცარი სისწრაფე სჭირდება.

გურამ რჩეულიშვილი იყო ნამდვილად ხალასი, ჭეშმარიტი ნიჭი. მან დიდი სათქმელი თქვა, თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად საოცრად ბევრი მოასწრო და სამარადისოდ დარჩა ქართულ ლიტერატურას, როგორც მისი მშვენება და ერთერთი ყველაზე საუკეთესო, ორიგინალური აზროვნების წარმომადგენელი“.

„მას ჰქონდა დიდი ნიჭი, შრომისუნარიანობა, შეუპოვრობა, ხასიათის სიმტკიცე, საკუთარი ძალების რწმენა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და ხალისი, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამოცანა, რომელსაც ემსახურებოდა, ჰქონდა ღრმა განათლება. ერუდიცია. რომელიც უეჭველად თანდათან უფრო გაიზრდებოდა „. აღნიშნავდა 1969 წელს გურამ გეგეშიძე წერილში „გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი“, როდესაც უკვე ცხრა წლის დაღუპული ჩვენი უახლოესი მეგობრის დაბადებიდან ოცდათხუთმეტი წლისთავის სიმბოლურ შესრულებას აღვნიშნავდით.

ფართო გაქანების ბუნება. სიცოცხლეს ყველა გამოვლინებისა და ლაღი, შეუზღუდავი. თავისუფალი ცხოვრებისადმი სიყვარული სულაც არ უშლიდა ხელს სწავლასა და გულმოდგინე შრომაში. ვთქვათ. თუკი ერთ საღამოს მეგობრის დაბადების დღეზე გააცდენდა ან მეორე დღეს ქართლისა თუ კახეთის სოფელში გულიანად იქეიფებდა. შემდეგ შეეძლო მთელი კვირა ან თვე თავაუღებლად ემუშავა. ღამეებიც კი გაეტეხა, წერა და მწვერვალებისაკენ სწრაფვა მისი უპირველესი მოწოდება იყო.

ყველგან წერდა, თითქოს დროის გაცდენის ეშინოდა. ერთხანს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობდა, პირველ სართულზე პატარა ნახევრად ბნელ ოთახში იჯდა. აქაც

შეუჩერებლად წერდა. როცა დაიღუპა, ოთახის დათვალიერების დროს თანამშრომლებმა უამრავი ნაწერი ფურცლები იპოვეს და სახლში მშობლებს აუტანეს. როგორც ვთქვი, მსხვილი, ლამაზი, ძველქართული კალიგრაფიის მსგავსი წელი ჰქონდა, უცებ ავსებდა თაბახის ფურცლებს, ბანდახან სულ ორი-სამი წინადადებით.

მისი ცხოვრებისეული გამოცდილება. და ახალგაზრდა კაცისათვის საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია ღრმა. დახვეწილ ნაწარმოებებად იქცეოდა.

სწორედ ამიტომ მოასწრო 26 წლის გურამ ოჩეულიშვილმა ჩვენთვის ძალზე მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის დატოვება. მომავალში, სრული აკადემიური გამოცემისას. როგორც ითქვა, აქედან 4-5 ტომი მაინც შედგება. ეს დიდად სასიამოვნო ეროვნული მნიშვნელობის მოვლენაა, რაც ახალ შარავანდედით გაანათებს მის უკვდავ სახეს. გაახარებს ქართველ ხალხს, რომლის სამსახურიც მისი ცხოვრების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა და ვისი უმდიდრესი ლიტერატურის საგანძურის გამდიდრებაც სრულიად ახალგაზრდამ შესძლო.

* * *

გურამი ბუნებით მოძრავი, დაუდეგარი, აქტიური ბიჭი იყო. წერაში, ბიჭობაში, სუფრაზე, მეგობრებისა თუ ნაცნობების წრეში არავის და არასდროს ტოლს არ დაუდებდა. მაგრამ მე არ მახსოვს, ერთ ფაქტსაც კი ვერ ვიხსენებ, რომ მას იმდროინდელი იდეოლოგიისა თუ პოლიტიკის სფეროში რაიმე აქტიურობა გამოეჩინოს, კომკავშირისაკენ სწრაფვა ჰქონოდეს, ან ვინმე კომკავშირული მუშაკისათვის პატივი ეცეს. ის კი არა და ბევრს ისეთი დაუფარავი მრისხანებით ექცეოდა, რომ ისინი შიშით უვლიდნენ გვერდს და არც არაფერზე არ აწუხებდნენ.

ახლა აქ მინდა ჩემი კომკავშირულ-ჟურნალისტური მოღვაწეობის დასაწყისი გავიხსენო, თუნდაც იმიტომ, რომ მისი წინსვლა ძირითადად გურამ რჩეულიშვილმა და ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა ჩაშალა.

1952 წლის სექტემბერში თბილისის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაულტეტის სტუდენტი გავხდი. სექტემბრის თვეშივე ტარდებოდა შეხვედრა პირველ კურსელებთან. ატარებდა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი. მაშინ კომკავშირს დიდი ძალა ჰქონდა, არ დაგავიწყდეთ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო სტალინი და მის მიერ შექმნილი იმპერიალისტური ქვეყანა პარტიულ-კომკავშირული დიქტატით ცხოვრობდა.

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნად ყოფილი ჩემი სკოლელი მუშაობდა, ის რამოდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, სასკოლო, რაიონულ თუ საქალაქო მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადებზე ერთად გვიწევდა ხოლმე გამოსვლა. მე საკუთარ ლექსებს ვკითხულობდი, ის კი აღარ მახსოვს, უკრავდა თუ მღეროდა. აი, ამ ჩვენმა კომკავშირულმა ლიდერმა დიდი პატივი დამდო, მისი მითითებით დამიბარეს კომკავშირის კომიტეტში და მედალოსან პირველკურსელებთან სიტყვით გამოსვლა და ლექსის დაწერაც კი დამავალეს. უარის თქმას ვინ გაბედავდა და მეც დიდის გულმოდგინებით ვემზადებოდი.

საღამოზე ჩემმა გამოსვლამ მოწონება დაიმსახურა. სიტყვას ლექსიც მოვაყოლე. დღეს უკვე იმ ვრცელი ლექსის მხოლოდ ერთი დასაწყისი სტროფი მახსოვს: წრფელი განცდები ყველას გვალაღებს, ამდენ სიხარულს გული ვერ იტევს, ჩვენც ვაჟკაცობას გწამდეთ განახებთ და არ შევარცხვენთ უნივერსიტეტს.

ამ გამოსვლამ და ლექსმა განაპირობა ჩემი მცირე ხნის წარმატებები კომკავშირულ ასპარეზზე. ჯერ ჯგუფხელად ამირჩიეს, შემდეგ კი კვლავ დიდი ქედმაღლობით დამიბარეს კომკავშირის კომიტეტის სხდომაზე და უნივერსიტეტის მრა-

ვალტირაჟიან გაზეთში, რომელსაც მაშინ „სტალინელი“ ერქვა, ყველაზე დიდი განყოფილების კომკავშირული ცხოვრების განყოფილების გამგედ დამამტკიცეს. განყოფილებაში თითქმის 25 სტუდენტი-კორესპონდენტი იყო გაერთიანებული,

სიმართლე რომ ითქვას, მე ეს ამბავი ძალიან გამიხარდა. თანამდებობასთან ერთად საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი პირადობის მოწმობაც მომცეს, რისი ძალითაც უფლება მეძლეოდა ყველა ლექციასა თუ სტუდენტურ ღონისძიებაზე შევსულიყავი. ჩვიდმეტი წლის ბიჭს მეტი რაღა მინდოდა.

შევუდექით მუშაობას. ვიკრიბებოდით, ვადგენდით გეგმებს და ვმსჯელობდით რა უნდა გაგვეკეთებინა, როგორ ჩაგვეყვავებინა“ უნივერსიტეტი და მუშაობაში ჩაგვება ახალგაზრდობა, რომელიც იმ წლებში ისედაც ცხვარივით მორჩილი იყო და წინა თაობების დამთრგუნველი შიშით შებოჭილი არავითარ პოლიტიკურ დებატებში არ ებმებოდა. ის კი არა ერთ პოლიტიკურ ანეგდოტსაც ვერავის მოაყოლებდით, საგინებელ სიტყვას ვერ წამოაცდევინებდით. დიდი ბელადი ჯერ კიდევ უმკაცრესი მამა იყო და მისი გახსენება ყველას აკანკალებდა.

ზოგიერთი მეგობარი და ყველაზე მეტად კი გურამ რჩეულიშვილი სულ მეუბნებოდა: ბიჭო, რად გინდა ამ კომკავშირში რომ შეგიტყუეს და ამდენ დროს აცდენ, ჯობია სხვა. რამე სერიოზული გააკეთე, ლექსები წერე და ბეჭდე, შენ საქმეს მიხედე, თორემ ეგენი ბოლომდე ჩაგითრევენ და ვერაფერ სახეიროს ვერ ნახავო.

პირველ ხანებში მუშაობა თითქოს საინტერესოდაც მიდიოდა მერე კი სულ სხვა ხასიათი მიიღო, წერილებსა თუ ფორმაციებში სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა არა საქმის კეთების და კეთილგანწყობის, არამედ თავის გამოჩენისა და დაბეზღების მიდრეკილებები.

გაზეთში დასაბეჭდი მასალა პირველად ჩემთან მიჰქონდათ, მე უნდა წამეკითხა, გამესწორებინა და მერე გადამეცა რედაქციისათვის. ბევრი წერილი შევასწორე, ბევრგან სხვადასხვა მიზეზით ამოვშალე ჩემი ნაცნობების გვარები, რომლებსაც ძირითადად აბრალებდნენ ლექციების გაცდენას და

სტუდენტურ ცხოვრებაში, სასწავლო პროცესში არასათანადო მონაწილეობას.

ფიზიკის ფაკულტეტიდან ერთი კორესპონდენტი გვყავდა, მისი გვარი ვერაფრით ვეღარ გავიხსენე, პრივალოვი იყო თუ პრიბილოვი. ეს იყო ჩუმი, მლიქვნელი, ამ ქვეყნად დაბეზღებისა და ცუდის კეთებისათვის მოსული კაცუნა, სულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ კრიტიკული წერილები არ იბეჭდებოდა და მისი აზრით, წესრიგის უხეში დამრღვევი სტუდენტები ისევ განაგრძობდნენ უნივერსიტეტში პარპაშს.

ერთ დღეს ამ ყველაზე უფრო მეტად თავგამოდებულმა კორესპონდენტმა წერილი მოიტანა, გახარებული იყო, ისეთი მაგარი ფაქტები მაქვს დაჭერილი, ახლა ხომ მაინც ვეღარ იტყვიან უარს დაბეჭდვაზეო. თურმე მას თავისი პირადი ინიციატივით შეემოწმებინა ზოგიერთ ფაკულტეტზე სტუდენტთა ლექციებზე დასწრების საკითხი, განსაკუთრებით ჰუმანიტარული ფაკულტეტები ყავდა მიზანში ამოღებული.

დავიწყე წერილის კითხვა. ჯერ მთელი ისტორიაა მოყვანილი როგორი უნდა იყოს საბჭოთა სტუდენტი, საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი, როგორ უნდა ჰქონდეს ძვალ-რბილში გამჯდარი საბჭოთა პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი და უძლეველი სოციალისტური სამშობლოს ერთგულება, რაც კარგ სწავლასა და ლენინის ნაანდერძევ ერთგულებაში უნდა გამოიხატოს, ამ ვრცელი ტირადების შემდეგ ჩამოთვლილი იყვნენ ის სტუდენტები, რომელთაც განსაკუთრებით ბევრი გაცდენები ჰქონდათ. მათ შორის უხვად იყვნენ ჩემი მეგობრები: გიგი აბაშიძე, აგი აბაშიძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, ნიკო ლეონიძე, ქართლოს სვანიძე და სხვები.

წერილი მთავრდებოდა ფაქტიური მოწოდებით, რომ უნივერსიტეტის ასეთი შემარცხვენელი სტუდენტები არ უნდა იყვნენ ჩვენს შორის და სხვებსაც არ უნდა წამლავდნენ.

მე წერილი გამოვართვი, შევამცირე, გადავაკეთე, ყველა ჩემი მეგობრისა და ნაცნობის გვარი ამოვაგდე და სულ მალე ასე შეკრეჭილ-შემოკრეჭილი წერილი გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთში.

კორესპონდენტმა მიჩივლა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში. დამიბარეს და მეტისმეტად მკაცრად მელაპარაკნენ. რომ ასეთი რამ არ უნდა გამეკეთებინა. განსაკუთრებით ერთი უფროსკურსელი ქალიშვილი წიწმატობდა. მოითხოვდა მოვეხსენით თანამდებობიდან ან სასტიკი საყვედური გამოეცხადებინათ. ისევ ჩემმა ნაცნობმა კომკავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა მიშველა. მისი თავდებობით ვითომ პატივი მცეს და დროებით დამტოვეს.

უკვე მთავრდებოდა სასწავლო წელი და დამთავრდა ჩემი სტუდენტური კომკავშირული კარიერაც. მე ოდნავადაც აღარ მიწევდა გული ასეთი სახის სამუშაოსკენ და საერთოდ კომკავშირისაკენ, სადაც მლიქვნელობა. მაბეზღარობა. კარიერიზმი ძირფესვიანად იყო გამჯდარი. გურამ რჩეულიშვილის რჩევა, რომ საერთოდ გამენებებინა მათთვის თავი. ყურად ვიღე, წინ უფრო საინტერესო სამყარო მელოდა — ჩემს მეგობრებთან დღე და ღამე ყოფნა, თბილისის ქუჩებში ერთად ხეტიალი, ქეიფი. სწავლა, დაბადების დღეები, ახალ-ახალი სასიყვარულო თავგადასავლები და მეც უყოყმანოდ წავედი კომკავშირის სფეროდან, წავედი მთელი ათი წლით 1952-1953 წლიდან 1962 წლამდე. გურამ რჩეულიშვილის მოულოდნელი დაღუპვის შემდეგ კი ბედმა და უმუშევრობამ მაინც კომკავშირში მიმიყვანა სამუშაოდ.

იმ წლებში დავიწყე ინტენსიური ფიქრი გურამის ცხოვრებისა და შემოქმედების ახლო. მეგობრის თვალით გაანალიზების შესახებ და უკვე მისი დაკარგვიდან 5 წლისთავზე დაიბეჭდა ჩემი პირველი წერილი, რამაც საფუძველი ჩაუყარა წერილების, სტატიების, მოგონებების მთელ სერიას რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში და გურამ რჩეულიშვილის სამაგალითო ცხოვრებისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნს „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. იგი გახლდათ ერთგვარი შებრუნება თუ ინტერპრეტაცია გურამის ცნობილი მოთხრობის სათაურისა „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“.

1980 წელს გამოვიდა აღნიშნული წიგნის პირველი გამოცემა, 1984 წელს კი მეორე გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემა.

წიგნებს კრიტიკამ საკმაოდ ფართო ყურადღება დაუთმო, გადაცემები მოეწყო ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით, მკითხველებისაგან 300-ზე მეტი წერილი მივიღე საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან.

ალბათ ამის გამო იყო, რომ გამომცემლობა „ნაკადულმა“ გადაწყვიტა ჩემი წიგნი წარედგინა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

წიგნი დაწერილი იყო ახალგაზრდობის სათაყვანო მწერალზე და მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მას პრემიას ერთხმად მიანიჭებდნენ.

მაგრამ ასე არ მოდა, მაშინდელმა სამდივნომ და კომკავშირის ცეკას პირველმა მდივანმა უარი განაცხადეს წიგნი დაეშვათ კონკურსზე.

შემდეგ უარის მოტივიც გავიგე: გურამ რჩეულიშვილი არ იყო ახლოს კომკავშირთან, კომკავშირული თემატიკა მას საერთოდ არ გააჩნია, მისადმი მიძღვნილი წიგნიც სავსეა არსებული წესებისადმი დაუმორჩილებლობით, რაც ახალგაზრდობაზე საკმაოდ უარყოფითად იმოქმედებს, გურამის სახით გამოყვანილი დადებითი გმირი არ შეეფერება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს.

მოტივები საკმაოზე მეტიც ჰქონდათ უარის სათქმელად.

მაშინ ნაწყენი ვიყავი ასეთი მოქცევით. დღეს კი კმაყოფილი ვარ, წიგნისათვის რომ კომკავშირის პრემია მიენიჭებინათ ალბათ ეს გურამ რჩეულიშვილის ნათელი ხსოვნისადმი შეურაცხყოფის მიყენება იქნებოდა.

მას ერთი სიტყვაც არ დაუწერია კომკავშირსა და პარტიაზე, მაგრამ რაც დაწერა ძირითადად ახალგაზრდობაზე დაწერა და თავისი მაღალი შემოქმედებით უდიდესი ზეგავლენა მოანდინა ახალგაზრდა თაობაზე. ბევრ ცხოვრებისეულ ეროვნულ კითხვაზე დააფიქრა ისინი და მამულის ნაღდი სიყვარულისკენ მათ შემობრუნებას უეჭველად შეუწყო ხელი.

* * *

1955 წელს სტუმრად ვიყავით მეგობრებთან.

ერთი პერიოდი სიმღერები შეწყდა და სადღეგრძელოები გაჩაღდა. ქართველი და ქართული სუფრა როდის დარჩენილა პოლიტიკის გარეშე და აქაც ატყდა კამათი პოლიტიკურ თემებზე. მერე რომელიღაც სუფრის წევრმა სტალინის სადღეგრძელო წამოიწყო, დიდხანს და უთავბოლოდ ილაპარაკა.

გურამი გაბრაზდა, სახეზე წამოენთო. მას არ უყვარდა ხალხთა დიდი ბელადი. სადღეგრძელოს წამომწყებს და ზოგიერთ მხარის დამჭერს უთხრა: ძველ, უსაფუძვლო დინებას ხართ აყოლილი და კვლავაც იმეორებთ რომ ყველაფერი სტალინმა გააკეთა და რომ ერთადერთი კაცია ქვეყნად ყველა წინსვლის თუ სიკეთის შემოქმედი. სინამდვილეში კი ის იყო დესპოტი, მზაკვარი და დაუნდობელი ადამიანი. სადღეგრძელოს შესმა ადვილია, სიმართლის თქმა უფრო ძნელიაო.

დიდხანს ვიკამათეთ და ვიხმაურეთ. სტალინის ხსენებას უამრავი საკითხის გარჩევა მოყვა და სიმღერები რომ არა. ალბათ დილამდის გავაგრძელებდით კამათს.

შემდეგ დავით საყვარელიძეს, დათო ღოღობერიძის ბიძას ეთქვა დათოსთვის: კაცო, ეს რა პოლიტიკოსები ყოფილან გურამიც და, სხვებიც, რა სწორად ერკვევიან რთულ საკითზებში და რაც მთავარია, საქართველო როგორ ყვარებიათო. რასაც ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმდენ უბედურებაგამოვლილებმა, იქნებ მაგათ მაინც მიაღწიონ და ჩვენს მამულს თავისუფლების ნანატრი ხანა დაუდგესო.

ბატონი დავითი დიდებული ქართველი იყო, შესანიშნავი შესახედავი, სიტყვამოსწრებული და გონებამახვილი კაცი, 1924 წლის ისტორიული აჯანყების მონაწილე. მის მიერ ნათქვამი თბილი სიტყვები ძალიან გვესიამოვნა.

ერთხელ მეგობარი გოგონას დაბადების დღეზე ვიყავით მთაწმინდის უბანში. მე დამპატიჟეს, თან გურამ რჩეულიშვილი, გურამ რუსიშვილი და ვახტანგ მდივანი წავიყვანე. მაშინ ასეთი კოლექტიური მისვლები მოდაში იყო და ხშირად დაპატიჟებისას გვეუბნებოდნენ მეგობრებიც მოიყვანეთო.

მივედით ღამის ათი საათისათვის. გავიცანით ხალხი და მონარდეებს შევუერთდით. ეს 1955 წლის მარტის თვეში ხდებოდა, მაშინ ასეთი უცნაური და საკმაოდ სულელური წესი იყო:

რომელ საათზეც არ უნდა მისულიყავი, სუფრა მაინც ღამის 12 საათზე დაიწყებოდა და დილის 6-7 საათამდის გაგრძელდებოდა. კიდევ კარგი ეს წესი მაინც შეიცვალა და ხალხი მიხვდა, რომ დღის 3-4 საათზე დაწყებული ქეიფი არანაკლებ სასიამოვნოა და სასარგებლოც. როგორც იქნა მოატანა თორმეტმა საათმა და ოცი წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდები დამშეულებივით ვეძგერეთ მშვენიერ სუფრას. შევნაყრდით და თამადის არჩევის პროცესი დაიწყო. ერთმა უარი განაცხადა, მეორემ, მესამემ.

მე ავდექი ჭიქით ხელში და განვაცხადე თამადობას რად უნდა ამდენი რჩევა და წვალება, მე ჩემს მეგობარს გურამ რჩეულიშვილს ვასახელებ მეთქი. გურამმაც დაიწყო უარი, მაგრამ გურამ რუსიშვილმა და ვახტანგ მდივანმა ხელად ამიბეს მხარი, ადღეგრძელეს ახლად მოვლენილი თამადა და ასე უცებ გავიყვანეთ ჩვენი კაცი ხელმძღვანელად.

ოჯახის უფროსებს რაღა დარჩენოდათ, უნდობლად გადახედეს შერცხვენილ ნათესაობას და მხარი ჩვენს კანდიდატურას დაუჭირეს.

ქეიფი დაიწყო. გურამი როცა მოინდომებდა ბრწყინვალე თამადა იყო. ახლა სუფრის მთელი მსვლელობა და სადღეგრძელოები არ მინდა აღვწერო, მხოლოდ ერთ მომენტს გავიხსენებ.

სტუმრების უმრავლესობა მალე დათვრა. ლაპარაკი, სიმღერები და ხმამაღალი ყაყანი გაჩაღდა. სუფრას ერთი შორიდან ნაცნობი, გამხდარი და ყვინჩილასავით თმააქოჩრილი ბიჭი ესწრებოდა, ჩემი მეგობარი გოგონას ბიძაშვილი. ის თითქმის სხვებზე უფრო მალე გამოთვრა. როგორც ჩანს, სიმთვრალეში ვერ აიტანა ის ამბავი, რომ ოჯახისათვის უცნობი კაცი აირჩიეს თამადად და ცდილობდა ბევრი ელაპარაკა, თავი გამოეჩინა, ხანდახან გურამისთვის სიტყვა წაერთმია, ზოგჯერ ცოტა ეკბინა კიდეც.

გურამი თავისი ირონიაშეპარული ღიმილით შესცქეროდა ბიჭს“ და ხანდახან ჯიშიანი ცხენივით თავისთვის ჩაიფრუტუ-

ნებდა ხოლმე. მე გვერდით ვეჯექი, ბოლოს და ბოლოს შევატ-ყვე ცოტა გაბრაზდა კიდეც და ყურში მითხრა: მაგას თუ კისერი არ მოვტეხე, ბიჭი არ ვიყოო..

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. სადღეგრძელო სიმღე-რას ცვლიდა ის იყო გურამი ადგა და ჭიქა აიღო, რომ ყმაწვი-ლიც წამოდგა, თან შესამჩნევად ირწეოდა: ანა ერთი სადღეგ-რძელო მე უნდა დავლიო, რომლის დალევაც აქამდე თქვენ ვერ მოიფიქრეთო.

გურამს ცოტა გაბრაზებულად ჩაეცინა: კი, ბატონო, ბრძა-ნეთ, რა სადღეგრძელო გნებავთო.

ბიჭმა ჩაის ჭიქა აიღო, წინ გაიშვირა და განაცხადა: მე ახლა ჩვენი ბელადის, საქართველოს უდიდესი შვილის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის სიამაყის სტალინის სადღეგ-რძელო უნდა შევსვა, რომელიც ჩვენი მამა და მასწავლებელი იყო და იქნებაო.

გურამს ირონიულად გაეცინა და უთხრა: შე კაი კაცო, ასე გყვარებია სტალინი და პატარა ჭიქით როგორ სვამ ეგეთ ძვირფას სადღეგრძელოსო.

— მომიტანეთ განსხვავებული სასმისიო, — დაიყვირა ბიჭ-მა.

— აი, აგერ არის, ახლავე მოგართმევ. მოდი ამით დავლი-ოთო. — უთხრა გურამმა და ხილის დიდი მოვერცხლილი ვაზა აიღო.

— კი ბატონო, გინდა უფრო დიდიც იყოს. ოღონდ ვნახოთ მაგას როგორ დალევო, — გაიქაჩა ყვინჩილა.

ვაზაზე ერთი ლიტრიანი ბოთლი დაიცალა. ადგილი კიდევ რჩებოდა, მაგრამ მეტი აღარ დაუსხამთ. ბიჭმა კიდევ კარგა ხანს აქო და ადიდა სტალინი, მერე დიდი წვალებით და ად-გილზე ბანცალით დაცალა ვაზიდან ღვინო, ნახევარი გულ-მკერდზე გადაისხა, ვერაფრით ვერ წაგლიჯეს ხელიდან.

გურამს სტალინი არც უხსენებია ისე დასცალა ვაზა და მე გადმომიდგა.

გურამის მოქიშპე ბიჭი ენაწართმეული და თვალებამ-ღვრეული იჯდა. უკვე საცოდავად ქანაობდა, ათიოდე წუთის მერე, როცა საქართველოს სადღეგრძელო ისმებოდა. მან

მოწყვეტილივით დახარა თავი და ეს აჩეჩილი ქოჩორი პირდა-პირ მის წინ მდგარ საცივიან ლანგარში ჩადო, ცოტა ნანში გა-თიშული ფალავანი გაიყვანეს. გულმკერდი მობანეს და ლო-გინზე დააგორეს.

1954 წელს ჯერ კიდევ დაუნგრეველი საბჭოთა კავშირის ოთხგზის და მელბურნის მომავალი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მირიან ცალქალამანიძემ მსოფლიოს ახალგაზ-რდული თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა უმჩატეს წონა-ში და მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი მოჭიდავე გახდა, მი-სი მრავალრიცხოვანი ჯილდოები და მედლები მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალმაც დაამშვენა.

მირიანი, ედიშერ. დემნა და გურამ რჩეულიშვილების უახ-ლოესი ნათესავი იყო. ისინი ამაყობდნენ თავიანთი გამოჩენი-ლი ნათესავით, რომელთანაც ბავშვობიდანვე მეგობრობდნენ კიდეც.

გურამი იგონებდა ხოლმე: ზაფხულობით თელავში, ნადიკ-ვარზე, ეზოში ან აივანზე ჭიდაობაში შეჯიბრებებს ვაწყობდით. შედარებით პატარა ტანის მირიანს ვერცერთი ვერ ვაქცევდით, საოცრად მოქნილი და ღონიერი იყო, ის რომ ე. წ. „ჩოქბჯენში“ დადგებოდა. ორი-სამი ბიჭი ვექაჩებოდით და ძვრას ვერ ვუშ-ვრებოდითო.

1954 წლისათვის მირიანს ბინაც მისცეს დინამოს სტადიო-ნის უკან, გლდანის ქუჩაზე და მახსოვს მშვენიერი ახალმოსახ-ლეობაც ვიზეიმეთ.

თამადად დანიშნეს სპეციალურად მოპატიჟებული, იმ დრო-ისათვის ცნობილი კონფერანსიე. სკეტჩებისა და სახუმარო ლექსების ცნობილი ავტორი. მის გვარს ამჟამად არ ვასახე-ლებ, რომ შემთხვევით გული არ ვატკინო.

ქართული ლხინი გახურდა. თამადა მჭერმეტყველებდა, მახვილსიტყვაობდა, სუფრის თითქმის ყველა წევრს საკმაოდ უნიჭო თითო სტროფიანი ლექსი მიუძღვნა ექსპრომტად. ბუნ-დოვნად მახსენდება ამ დონის და ამ სტილის ზოგიერთი შეკო-წიწებული სტრიქონი;

„აბა, ჩვენ მას ვით არ ვუთხრათ,

იგი ჩვენთვის რასაც ნიშნავს,
წრფელი გულით გაუმარჯოს
ჩვენს საყვარელ ძია მიშას...“
„ტოკიოშიც. სტამბოლშიაც, იძახოდნენ, განი, განი,
ყველგან განდა ჩემპიონი ჩვენი კარგი მირიანი“..
„მე პირდაპირ უნდა გითხრა, რომ სიდინჯე მომწონს შენი,
წრფელი გულით ვადღეგრძელოთ ჩვენი კარგი ედიშერი“.

ედი ჩვენში ყველაზე დინჯი, თავშეკავებული იყო და ალბათ ამიტომაც დაიმსახურა ენამოსწრებული თამადის დაუვიწყარი პწკარები, მე და გურამს კი ხითხითი გვიტყდებოდა პოეზიის ასეთი ნიმუშების მოსმენისას და ძალზე ხშირად თამადის მწყრალ გადმოხედვას ვიმსახურებდით.

მერე თამადამ იმ დროისათვის დამახასიათებელი უსაზღვრო ქათინაურებით დაიწყო სტალინის სადღეგრძელო. ძია მიშა. გურამის მამა, ადგა და სუფრიდან გავიდა.

გურამმა მითხრა: ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტაბლინის სადღეგრძელოს დროს მამაჩემი. სუფრასთან გაჩერებულიყო, აუცილებლად დგება და გადის. ახლა კი არა, როცა სტალინი ცოცხალი იყო და ხალხი მისი სახელის ხსენებაზე მუხლებზე იწყებდა ფორთხვას, მაშინაც ასე იქცეოდაო, მოდი ცოტა ხანს ჩვენც გავიდეთ . ჰაერზე, ამისი ლაყბობა მომწყინდაო.

უკითხავად ავდექით და აივანზე გავედით. მე მაშინ ვეწეოდი და ჩემი „პრიმა“ მადიანად გავაბოლე, გურამი არ ეწეოდა, ისე მიწევდა პარტნიორობას და ბოლს ჩაუყლაპავად უშვებდა.

თამადამ კარგა ხანს ილაპარაკა, ცაში აიყვანა სტალინი, როცა სადღეგრძელო დამთავრდა, ძია მიშა მაშინ შემოვიდა და სუფრასთან დაჯდა, ჩვენც შევედით.

თამადამ კვლავ გააგრძელა ექსპრომტად გამოთქმული საშინელი ლექსების სუფრის წევრების სახელებისათვის მისადაგება, ჩვენც კვლავ გავაგრძელეთ დამცინავი ხითხითი, რეპლიკებიც არ დაგვიშურებია. სწორედ ამიტომ იყო, რომ პოეტურად შემამკობელმა თამადამ ჩვენ ულექსოდ დაგვტოვა და მშრალად შესვლა ჩემი და გურამის სადღეგრძელო. სუფრის ბოლოს თამადა, როგორც ჩანს, უკვე ისე იყო გაწიწმატებული

ჩვენზე. რომ როდესაც წასასვლელად წამოვიშალეთ, მე და გურამს გვითხრა: თქვენ იკითხეთ თქვენი ამბავი, თორემ მე თავი ქუდში მაქვსო. ქუდში. რაღა თქმა უნდა, გარკვეულ წრეებში თავის პოპულარობას გულისხმობდა.

ახლა არ მინდა ნიშნის მოგებით ვთქვა, რომ ეს ჩვენი მოშაირე სტალინელი იმაზე შორს ოდნავადაც აღარ წასულა. ზეპირად ნათქვამ მის უკბილო ექსპრომტებსაც დღის სინათლე არ უხილავთ. მე რომ არ გამეხსენებია ამ კონტექსტში, დაბეჭდვა არასოდეს ეღირსებოდათ.

ერთხელაც სტალინის გამო მეტად უსიამოვნო ამბავი შეგვემთხვა. შვიდი თუ რვა მარტი იყო. ბელინსკის ქუჩის კუთბეში ვიდექით მაშინ იქ არსებული საშაქარლამო მაღაზიის წინ. ისე მოხდა, რომ პროსპექტზე მომავალმა ხალხით გაჭედილმა სატვირთო მანქანამ ზედ ჩვენს წინ დაამუხრუჭა. ერთმა რეგვენმა ჩვენ და ჩვენთან ახლოს მდგომებს გადმოგვძახა: „გაუმარჯოს სტალინს! -დაიჩოქეთ!“ აქეთ-იქით ზოგიერთმა მართლა დაიჩოქა მარტის თოვლჭყაპით ატალახებულ ქუჩაში. გურამ რჩეულიშვილს, მე და ორიოდე მეგობარს არც კი გვიცდია დაჩოქება. ეს დაინახეს თუ არა მთელმა მანქანამ გადმოგვაფურთხა და პურის თუ ფუნთუშის ნარჩენებიც გადმოგვაყარეს. ეს იყო საშინლად არა სწორი მოქმედება. ზოგიერთებს სურდათ ყველა ერთნაირი მორჩილებით მოქცეულიყო, რაც უდიდესი დანაშაულია ნებისმიერ დროში, რადგან იძულებით საქმის კეთება არაფერ სასარგებლოს არ მოიტანს.

* * *

აქ ერთი შეხვედრისა და ჩვეული კამათის ამბავი მინდა გავიხსენო, რაც დღიურმა ზუსტად აღმიდგინა.

მეორე კურსის სტუდენტები ვიყავით, 19-20 წლის ბიჭები. ნამდვილად სტუდენტურად ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ფული არცერთს არ გვქონდა, ჩვენი მშობლებიც წესიერ ინტელიგენტურ ცხოვრებას ეწეოდნენ, განებივრება კი არა წელიწადში რომ ერთი ფეხსაცმელი ეყიდათ, ესეც დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის. რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ დაკერებული ფეხსაცმელებით დავდიოდი.

სწორედ იმის გამო, რომ არაფერი არ გაგვაჩნდა, ჩემმა უმცროსმა ძმამ ფეხსაცმელების კერვაც კი ისწავლა. დამეხეოდა ფეხსაცმელი, შევეხვეწებოდი და . თუ გუნებაზე იყო დამიჯერებდა, თუ უარს მეტყოდა, მერე ძალის პოლიტიკას მივმართავდი, რაც გაჭირვების გამო წლის მანძილზე ხშირად მეორდებოდა.

მიუხედავად ამისა მაინც რეალურად. ოპტიმისტურად ვუყურებდით ცხოვრებას. სწავლასთან ერთად ქეიფები და დროსტარებაც არ გვაკლდა, ხშირად გვპატიჟებდნენ მეგობარი გოგონები, ბიჭები, ვიკრიბებოდით, ვსვამდით. ვმღეროდით, ვცეკვავდით, ლექსებს ვამბობდით, გარკვეულად სასარგებლოდ ვიყენებდით დროს.

თუ სადმე გამოსაჩენ ადგილას დაგვპატიჟებდნენ. მეგობრები ხელს ვუმართავდით ერთმანეთს, კოსტუმს. პერანგს. პალტოს თუ ფეხსაცმელს ვათხოვებდით ხოლმე. ჩვენი მართლაცდა ღარიბული ტანისამოსით ერთ-ერთს მაინც გამოვაწყობდით ნორმალურად.

1954 წლის შემოდგომის დღეს, ლექციებს შორის შესვენების დროს, ჩემმა მეგობარმა ქალიშვილმა, რომელთანაც კარგა ხნის თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა, სახლში სტუმრად დამპატიჟა, თან იცოდა რა ჩვენი ხასიათი და ერთად ყოფნის სურვილი, მიპატიჟებისას დააყოლა შენი მეგობრებიც წამოიყვანეო.

ქეიფი საღამოსთვის იყო დანიშნული, სასწრაფოდ შევკრიბე მეგობრები გურამ რჩეულიშვილი, ბორის ინასარიძე, გურამ რუსიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და ნოდარ ზედელაშვილი.

შევიკრიბეთ და ვისაც რამე კარგი ეცვა ან ჰქონდა, ჩამაცვეს. ერთადერთი მე გამომაწყვეს. როგორც შესაძლო მომავალი სასიძო, თუმცა ჩემი მდგომარეობის გამო დიდხანს ცოლის შერთვასა და ოჯახის შექმნაზე ვერც ვიფიქრებდი და არც ვაპირებდი.

ასე მივედით სტუმრად. მე პრინცივით გამოპრანჭული, ჩემი მეგობრები კი ძველ, მიჭმუჭნულ-მოჭმუჭნულ ტანისამოსში გამოწყობილები.

შევატყვე. ესიამოვნათ ოჯახში, რომ მე ასე მშვენივრად ვიყავი ჩაცმული, ჩემი მეგობრები კი. რბილად რომ ვთქვა, ღარიბულად გამოიყურებოდნენ. შესახედავად ძალზე ლამაზები იყვნენ. მაგრამ იმ ოჯახსა და იმ სტუმრებში, როგორც ჩანდა. სილამაზეზე მეტ გავლენას მდიდრული ჩაცმა ახდენდა.

სტუმრები უკვე შეკრებილნი იყვნენ და მალე ქეიფიც დაიწყო. საკმაოდ ჭრელი საზოგადოება შეეკრიბათ. იმის გამო, რომ ჩემი მეგობრის მამა მილიციაში მსახურობდა, სუფრაზე მილიციის მუშაკები ჭარბობდნენ, ორი ფორმით იყო, სამიოთხი კი უფორმოდ. იყო ერთ-ერთი რაიკომის მეორე მდივანი, რომელსაც ყველა ხაზგასმული პატივისცემით ექცეოდა, განსაკუთრებით ოჯახის უფროსები. იყო ასევე პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე. ის, ჩემის აზრით, მეორე მდივანს წამოეყვანა ან თანამეინახედ ან მცველად. მაშინ პარტია ძლიერი იყო და ხელქვეითის გარეშე სუფრაზე მდივანი როგორ მივიდოდა.

თამადად. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დაბალი დონის ბრიყვი ნათესავი აირჩიეს. დამწყები მეცნიერ-მუშაკი. ის ბევრს ლაპარაკობდა, უფრო მეტად სისულელეებს, ჭიმავდა საუბარს და სუფრის ტემპს ახშობდა. ჩვენ, ახალგაზრდებს, ეს ტემპი სულაც არ გვაწყობდა და შიგადაშიგ საკუთარ სადღეგრძელოებს მივირთმევდით. ორიოდე საათის შემდეგ კარგად ვიყავით შექეიფიანებულები და ჩვენი საერთო სუფრის წევრების მიმართ საკმაოდ ცუდად განწყობილები.

როგორც სიმთვრალეში იცის, მალე სუფრაზე კამათი და ყაყანი დაიწყო. მეორე მდივანმა სიტყვა ითხოვა და დიდის რიხით დალია დიდი და დიდად საყვარელი სტალინის სადღეგრძელო - ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემოქმედის, კომუნიზმის მშენებლის, რისი აშენებაც ვერაგ სიკვდილს რომ არ გამოეტაცა იგი ჩვენი ხელიდან, მალე დასრულდებოდა.

მაშინ სტალინის გამანადგურებელი კრიტიკა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული და სადღეგრძელოს დამთავრებისთანავე ყველანი დაფეთებულებივით წამოცვივდნენ ფეხზე. ჩვენ არ ავმდგარვართ, ვისხედით და ჩვენთვის რაღაც სადღეგრძელოს ვამბობდით.

ამრეზილად და გაბრაზებით გადმოგვხედეს, თითქოს ჩაყლაპეს ჩვენი ასეთი მოქცევით გამოწვეული გაბრაზება, მაგრამ რაიკომის მეორე მდივანმა მაინც ვერ მოითმინა. მან კოპეშეკრულმა მოგვმართა:

— თქვენ სტალინმა გაგზარდათ, სოციალისტურმა სამშობლომ გასწავლათ, ჩაგაცვათ, დაგახურათ, მას ნათელი მომავლისაკენ მივყავართ, და თქვენ ახალგაზრდები კი როგორ იქცევით, უპატივცემულობას იჩენთ, ფეხზე ადგომასაც არ კადრულობთო.

გურამმა უპასუხა: სოციალისტურმა სამშობლომ გაგვზარდა თუ ჩვენმა მშობლებმა, ეს თქვენზე კარგად ვიცით, ისიც ვიცით, რომ სწორედ ამ სოციალისტური სამშობლოს რკინის წყობილებამ და მისმა შემოქმედმა ბევრ ჩვენგანს წაართვა მშობლები, მახლობლები, გაანადგურა სულიერად და ფიზიკურად, ახლა ჩვენ თუ ავდექით და ეს ყველაფერი სუფრაზე ვაქეთ, დანაშაულის ტოლფასი იქნებაო.

ამაზე სულ გადაირივნენ პარტიისა და მილიციის წარმომადგენლები. ერთ-ერთმა, ეს იყო მილიციის განყოფილების უფროსი, კინაღამ ცოფები გადმოყარა, ისეთი თვალებით შეხედა გურამს:

— რა იქნებ სოციალისტური წყობა არ მოგწონთ?

— ვთქვათ არ მომწონს, ამას რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, რატომ გინდათ, რომ ყველა ერთნაირად ფიქრობდეს?

— აბა, თქვენ რას ფიქრობთ, მაინც როგორი წყობა მოგწონთ?

გურამი ვერ ეგუებოდა სუფრასთან შეკრებილ საზოგადოებას და აშკარად ცდილობდა მათ გაღიზიანებას.

— პირადად მე თუ მკითხავთ, მომწონს ის წყობა, რაც ჩვენთან იყო საუკუნეების მანძილზე.

— რატომ და რისთვის მოგწონთ ახალგაზრდა კაცს სამუდამოდ აღკვეთილი წყობა, იქნებ პატივი დაგვდოთ და აგვიხსნათ.

— ჯერ იქნებ თქვენ მიპასუხოთ მსოფლიოში რამდენი ქვეყანა მოიძებნება. რომელსაც ოცდახუთი ან მეტი საუკუნის მან-

ძილზე მეფე მართავდა და მონარქიული წყობა ჰქონდა. ქართველი ბუნებით ლაღია, თავისუფალი და არტისტული გაქანების. მაგრამ იგი ყოველთვის თაყვანს სცემდა დიდ პიროვნებას, პირველ რიგში მეფეს, თუ იგი მის ინტერესებს იცავდა და მის მისწრაფებებს ასე თუ ისე გამოხატავდა. საერთოდ არცერთ დიდ თუ პატარა ქვეყანაში მონარქი ისე ახლოს არ ყოფილა ხალხთან, როგორც საქართველოში. საქართველოს რომ ბედი ჰქონოდა და ასჯერ უფრო მეტ მეზობელს ძალით არ დაეპყრო, თანაც ორჯერ თუ სამჯერ, უეჭველად ეყოლებოდა მეფე, ტრადიციული ქართული დარბაზის სახით ექნებოდა იგივე პარლამენტი და ასეთი წყობა უფრო მიესადაგებოდა მის სულსა და ბუნებას.

— კი, მაგრამ დღეს, ჩვენს სოციალისტურ წყობაში, როცა უკვე დავამყარეთ სოციალიზმი და კომუნიზმისაკენ მივდივართ, სისულელედ არ მიგაჩნიათ ასეთი ლაპარაკი, აღშფოთდა რაიკომის მდივანი, ალბათ ორასი წელია ჩვენ მეფე აღარ გვყავს, ტირანია საბოლოოდ დამხობილია, — თქვენ კი რას იგონებთ აქ?

— ორასი წელი რომ მეფე არ გვყავს ეს ჩვენი სურვილით არ მომხდარა, დამპყრობელმა რუსეთმა უგულვებელყო გეორგიევსკის ტრაქტატი და ვინაიდან მონარქიული სისტემა დიდად უშლიდა ხელს ერთპიროვნულ ბატონობაში, მეფის ტახტი გააუქმა და თავისი გამოწვრთნილი მეფისნაცვალი დააყენა. აბა, კარგად დაუკვირდით, როგორ შეესაბამება სინამდვილეს მეფისნაცვალი კანონიერი მეფის ნაცვლად მეფისნაცვალი.

— ხომ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რატომ აირჩიეს პრეზიდენტი და არა მეფე? დამცინავი სახით შეეკითხა ანერვიულებული რაიკომის მდივანი.

— ალბათ ვერ მოასწრეს, მაგრამ საქართველო მაინც მივიდოდა საუკუნეების მანძილზე არსებულ წყობამდე და ბაგრატიონებიც დაიბრუნებდნენ დაკარგულ ტახტს. იმ წლებში ისახებოდა ასეთი მოძრაობა.

— მაშინ ვთქვათ იყო, დღეს კი რისი იმედი გაქვთ?

— იმის, რომ საქართველო აღიდგენს დაკარგულ სახელმწიფოებრიობას, რაც ძალით წაართვეს. დამოუკიდებელი არსებობის პირობებში კი ქართველი ხალხი თავად აირჩევს მისთვის სასურველ წყობას.

— ხედავთ რას ლაპარაკობს, დღეს რომ ახალგაზრდა ასე აზროვნებს, ეს ჩვენი დაღუპვა და ყელის გამოჭრაა. თქვენი ბედი, რომ ამ ოჯახში ხართ, ეს კაცი ერთგული ძაღლივით გვემსახურება ჩვენ და მის ოჯახში ჩხუბს ხომ არ ავტეხავთ, თორემ სხვანაირად მოგელაპარაკებოდით, აპილპილდი მილიციის განყოფილების უფროსი, გაზაშვილი, — თანაც არ მცალია, საქმეზე მივდივარ და ოჯახის უფროსებთან ბოდიშსაც მოვიხდი.

იმაზე კი აღრ მოუხდია ბოდიში, ოჯახის უფროსი ერთგულ ძაღლს რომ შეადარა.

იგი წამოდგა, ერთი ჩაის ჭიქაც გადაკრა და გამოუმშვიდობებლად წავიდა, მთელი შემადგენლობა თან გაჰყვა, გურამი და ჩვენ უკმაყოფილო, დამცინავი სახეებით მივაცილებდით, ჩემის აზრით, გაბედული ლაპარაკით საკმაოდ დამფრთხალ წესრიგის დამცველებს.

სუფრა დაიძაბა, ნათესავები უკმაყოფილო თვალით შეჰყურებდნენ ნათესავ-თამადას. საპატიო სტუმრების გაცილებიდან მობრუნებული ოჯახის უფროსი მილიციის მუშაკიც ისეთი თვალებით იყურებოდა, რომ თუ არა ჩემი ხათრი და მისი ქალიშვილის მორიდება, ამ მავნებლურად მოაზროვნე ახალგაზრდებს დიდი სიამოვნებით გააბრძანებდა გარეთ.

სუფრის გაგრძელებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. თამადამ ერთი თუ ორი უბადრუკი სადღეგრძელოც მიკიბ-მოკიბა და წამოვიშალეთ.

გარეთ მანქანა გველოდა ჩვენი სახლებში დარიგების მიზნით.

დავემშვიდობეთ მასპინძლებს და მანქანაში ჩავსხედით, გურამი ჩემს გვერდით დაჯდა უკან. ამ დროს ნათესავი თამადა თუ ნათამადარი გვერდიდან მომადგა და მითხრა: დარჩი, სად მიდიხარ, მერე ერთად წავიდეთო. ასეთი მოქცევით გაბრაზე-

ბული გურამი გადმოხტა და ერთი წიხლი უთავაზა ჩვენს ყოფილ სუფრის უფროსს, შემდეგ დინჯად ჩაჯდა მანქანაში და სახლისაკენ წამოვედით.

მერე დიდხანს ვიდექით უნივერსიტეტის წინ, ვიხსენებდით უკვე განვლილი საღამოს წვრილმანებს, სიცილით ვკვდებოდით და ერთმანეთსაც ვაკრიტიკებდით. ის რომ გურამმა პარტიისა და მილიციის მუშაკებს კარგა მაგრად აუშალა ნერვები, ყველა ჩვენგანის კმაყოფილებას იწვევდა.

— „კარგი კი იყო. — ხითხითებდა გურამ რუსიშვილი, — მაგრამ ახლა ის რეგვენი და შავი მაიმუნივით დაბანჯგლული გაზაშვილი გადაგეკიდება და თუ შეგვხვდა, შეეცდება შური იძიოს. მაგას საჩივრების წერაც ეყვარება და სადაც საჭიროა შეიძლება იქაც მიმართოსო“.

— „რაც უნდა ქნას, ეგეთი ქაჯების და ველურების თუ შეგვეშინდა, საქმე კარგად ვერ წავა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას. რამდენიც უნდა იმდენი იჩივლოს, მე თავის დაცვა და პირიქით კბილების ჩანგრევაც კარგად შემიძლია. ისე რომ არაფრის შიში არ გქონდეთ. გაზაშვილები წავლენ-წამოვლენ, ჩვენ კი უნდა დავრჩეთ და ვიცხოვროთ ამ მადლიან ქვეყანაში. მეც უნდა ვიყო თუ განგებამ დამაცალა და სიცოცხლე არ მომისწრაფა“.

გურამის ხმაში კვლავაც ჩვეული სევდა გაერია, რაც სამწუნაროდ ხშირად გაისმოდა ხოლმე და რისი დაჯერებაც არც ერთ ჩვენთაგანს არ შეეძლო. ან ვინ წარმოიდგენდა, რომ მას სულ რაღაც 5-6 წლის სიცოცხლე ეწერა.

შემდეგ გურამმა სახლამდე მიმაცილა, თვითონ კი შუაღამისას ვარაზის ხევით გადავიდა ლარსის ქუჩაზე. იქ ახლად მიღებულ მყუდრო ბინაში უკვე ცხოვრობდა მისი ოჯახი - დედა, მამა. უმცროსი და მარინე, რომლებიც ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ სახლში მის ყოველ დაბრუნებას. საოცრად თბილი დამოკიდებულება, სიყვარული, ინტელიგენტური გარემო სუფევდა ამ ოჯახში, რაც ხშირად მახსენდება ხოლმე და ტკივილით მივსებს გულს.

* * *

ერთხელ მოწყენილი და საკმაოდ ერთფეროვანი გაზაფხულის ჟამს, როდესაც თუ არ ვცდები. უკვე მეოთხე კურსის სტუდენტები ვიყავით, გურამ რჩეულიშვილი შეგვითანხმდა მე და გურამ რუსიშვილს რამოდენიმე დღით მუხრანში წავსულიყავით.

მუხრანი ჩვენი სტუმრობის ადგილად იმიტომ აერჩია, რომ მაშინ იქ პრაქტიკას გადიოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, ჩვენი უახლოესი მეგობრები ბორის ინასარიძე, დათო ღოღობერიძე, ჩემი უფროსი ძმა ჯონდო და სხვები.

მუხრანამდე ღია სატვირთო მანქანით ვიმგზავრეთ, კიდევ კარგი არ ციოდა, · თორემ ალბათ გავითოშებოდით.

ბიჭებს გაუხარდათ ჩვენი ჩასვლა. თავად ქონდათ. ჩვენსავით გამოფხეკილები და გაჭირვებულები იყვნენ, მაგრამ ხელდახელ დატრიალდნენ, იშოვეს ღვინო, მწვანილი, მჟავე, რაღაც კერძიც მოამზადეს ბაზარში ნაყიდი ხორცით და მშვენიერი სუფრაც გაიშალა.

ერთ ოთახში ვისხედით თხუთმეტამდის ბიჭი და მიდიოდა ჩვენებური ახალგაზრდული, გულიანი ქეიფი.

ამასობაში დაღამდა კიდეც, წამოვიშალეთ, ზოგი წავიდა. საერთო საცხოვრებელსა თუ ნაქირავებ ბინაში, ზოგმა გადაწყვიტა სეირნობა, ჩვენ კი სახლის წინ ჭიშკართან გამართულ გრძელ ძელსკამზე სასაუბროდ ჩამოვსხედით.

იქვე ახლოს პატარა მოედანივით ადგილი იყო. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ აქ შეჩერდა სამი-ოთხი მანქანა, მათ კიდევ ვიღაცეები შემოუერთდნენ ახლო-მახლო სახლებიდან და ასე ოცამდის კაცი ერთმანეთში ლაპარაკობდა. ცოტა ხანში ლაპარაკი ხმაურში გადაიზარდა, ხელების ქნევა და გინება გახშირდა, რაღაც რთული საქმე ირჩეოდა.

მერე დავინახეთ ერთი კაცი ხელებჩამოშვებული იდგა, ორი-სამი კი გამეტებით ურტყამდა. მივხვდით, რომ ცნობილი ქურდული რიტუალი სრულდებოდა.

გურამ რჩეულიშვილმა მაინც ვერ მოითმინა. დაჩაგრულის გამოქომაგება გადაწყვიტა. თუკი მის თვალწინ ვინმეს ჩაგრავდნენ, ამცირებდნენ, წარმოუდგენელი იყო რომ გურამს

მოეთმინა, ნებისმიერ ძალას შეებმებოდა, თუნდაც ასჯერ მეტი ან ძლიერი ყოფილიყო, ასეთ დროს მისთვის შიში და უკანდახევა აღარ არსებობდა.

ახლაც გადასჭრა შარა და მოჩხუბარ-მოკამათეებთან მივიდა, ჩვენც უკან მივყევით, სულ 5 ბიჭი ვიყავით დარჩენილები, ჩვენთან ერთად იყო ბორის ინასარიძე, აგრეთვე მისი თანაკურსელი და მეგობარი გურამ კანდელაკი. ისიც, სამწუხაროდ, ძალზე ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვაზე მოჩხუბრები გაჩერდნენ და გაბოროტებული სახეებით შემოტრიალდნენ ჩვენსკენ.

— რაშია საქმე? — რიხიანად იკითხა გურამ რჩეულიშვილმა.

— რასაც ხედავ, — უხეშად მიუგო ერთ-ერთმა წვერგაუპარსავმა შავმა ბიჭმა.

— რომ ვხედავ და არ მომწონს ის, რასაც ვხედავ, იმიტომაც მოვედი, უპასუხა გურჯმმა.

— არ მოგწონს და ნუ მოგწონს. ჩვენს საქმეში რატომ ერევი, ჯობია გაიარო და მეგობრებიც გაიყოლო, სანამ ნერვები არ აგვშლია.

— თქვე კაი ხალხო, სამი ერთს სცემთ, ამდენი ხალხი კი უყურებთ, განა ეს არის ვაჟკაცობა ან ქართველობა? თუ ბიჭები ხართ ერთი-ერთზე დაარტყით. თუ ქართველობაზე თავს დებთ, მსგავს რამეს სხვა რომ აკეთებდეს, ისიც უნდა გააჩეროთ, თქვენ კი რას ჩადიხართ.

— ვახ, შენ ვინ გეკითხება საქმის გარჩევას, თუ ძმა ხარ, ერთი მითხარი შენ ვინა ხარ და რა გინდა.

— მე ვარ ვამეხ რჩეულიშვილი.

— ვა, მე კიდევ ხისთავა მქვია, მგელიაშვილი ვარ, არ. გაგიგონია?

— სამწუხაროდ პირველად მესმის. ხისთავას ერთ ქურდს ვიცნობდი. იმის საპატივცემულოდ ხომ არ დაგარქვეს?

ხისთავამ გახუმრება ჩაყლაპა, ან ვერ გაიგო.

— ის ქურდი იყო, მე ქურდების უსტაბაში ვარ, გაკმაყოფილებს?

— მე ის დამაკმაყოფილებს, რომ ქართველი ქართველს არ ჩაგრავდეს, არ კლავდეს.-მე მგონი თქვენც ამას უნდა ცდილობდეთ.

— ეს ლაპარაკი კარგია, მაგრამ შენ რომ აქ „პრავის კაჩაობას“ იწყებ, ეს არ მომწონს. ეტყობა სტუდენტები ხართ, ცოტა დაგილევიათ და ეხლა გაგრილება გინდათ. მოდი ჩავჯდეთ მანქანაში, ცოტა გავიაროთ, აქ ხალხი შეიკრიბა და სადმე სხვაგან ვილაპარაკოთ.

ამის თქმაზე გურამს ხელი მოკიდა და მანქანაში ჩასვა. გურამს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერთ წამში თითქმის მთელი ეს ხალხი ჩაჯდა მანქანებში, ჩვენგან ბორის ინასარიძემ და გურამ კანდელაკმა რაღაც სასწაულით მოახერხეს შეჭედვა მათთან ერთად და მანქანები მტვერში გაქრნენ.

შეკრებილთაგან ხუთიოდე კაცი დარჩა.

— სად გაუშვით, კაცო, ეს ბიჭები, — გვითხრა ერთმა შედარებით ხნიერმა კაცმა, ამ ბანდიტებს და კაცის მკვლელებს როგორ ჩაუყარეთ მეგობრები ხელში.

ჩვენ მთვრალები და სასტიკად დაბნეულები ვიდექით, აღარ ვიცოდით რა გვექნა, საით წავსულიყავით. ამასობაში სასეირნოდ წასული ბიჭებიც დაბრუნდნენ და ისევ ათამდის შევიკრიბეთ. მათაც დაწვრილებით მოვუყევით რაც მოხდა. გონებაარეულები ერთმანეთს არ ვაცლიდით ლაპარაკს და გეგმების დალაგებას, თუ როგორ მოვქცეულიყავით.

ისევ იმ ხნიერმა კაცმა, რომელიც იქვე ახლო-მახლო ცხოვრობდა, გვითხრა ეგენი ჩემის აზრით, სასაფლაოსკენ წავიდნენ, საერთოდ იქ უყვართ ხოლმე შეკრებაო.

დავტრიალდით, ავიღეთ ჯოხები, რკინის ნაჭრები და გადაეწყვიტეთ სასაფლაოზე წავსულიყავით.

ჩვენს ფაფხურსა და უმიზნო მოლაპარაკებაში საათზე მეტი გასულიყო.

წავედით მითითებული მიმართულებით. გავიარეთ გზის მოზრდილი მონაკვეთი და საღსალამათი ბიჭებიც გამოჩნდნენ. ჩვენ გახარებულები მივცვივდით, შემოვეხვიეთ და შეკითხვებიც დავაყარეთ.

მანქანებით მართლაც სასაფლაოზე აეყვანათ ბიჭები, ხისთავას ეთქვა, აქ ხელს არავინ შეგვიშლის და მოდი ვილაპარაკოთ, გავარჩიოთ საქმეო.

გურამს უპასუხნია: ნამდვილი ქართველი ვაჟკაცები ასე არასოდეს არც იქცეოდნენ და არც იქცევიან. ქართველი დაცემულსაც კი არ გაარტყამს ხელს, თქვენ კი შეცდომას შეცდომას უმატებთ. ხალხი ხომ გაიგებს, რომ თხუთმეტმა კაცმა სამი ბიჭი გვეცემეთ, ან დაგვჭერით, თავი გარეთ აღარ გამოგეყოფათ. გარდა ამისა ამ შეცდომას საბედისწერო შედეგები მოყვება. დღეს თუ თქვენ თხუთმეტნი ხართ, ხვალ მთელი სტუდენტობა წამოვა ჩვენთან ერთად და ასი დაგესხმებით თავს. ასე როგორ შეიძლება, თქვენი მოქმედებით ქართველი ქართველს. დაუპირისპირდება, ქართველი ქართველს სცემს თუ მოკლავს ეს ნებისმიერ დანაშაულზე უფრო დიდი დანაშაული იქნება, ასეთ ხალხს ერი შეაჩვენებს, შერისხავს, რადგან მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ნაცვლად, უმიზეზოდ თავს ვესხმით ერთმანეთს, თითქოს ქართვედები კი არა, მხეცები ვიყოთ. სამარცხვინოა ეს ყველაფერი და სწორ გზას თუ არ დავადექით, საქმე გამოუსწორებელი ტრაგედიით დამთავრდება.

როგორც ჩანს გურამის გაბედული, ვაჟაცური ქცევა და დალაგებული მსჯელობა ძალზე მოწონებია ხისთავას, ბოლოს-დაბოლოს მას გურამისათვის ხელი ჩამოურთმევია და უთქვამს: კარგი ვაჟკაცი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, შენი გაფუჭება მართლა დანაშაული იქნება და ჯობია შევრიგდეთო. დიდის ამბით დაურტყია გურამისათვის ხელი და მკერდზეც მიუხუტებია. ხელმძღვანელის ასეთ მოქცევას ამფსონებიც მოწონებით შეხვედრიან და გურამისათვის. ბიჭებისთვისაც უკლებლივ ყველას ჩამოურთმევია ხელი.

შემდეგ უთქვამთ ჩვენ ახლა საქმეზე მივდივართ. მუხრანში აღარ შევალთ, თქვენ ასე მოკლე გზით ჩადით სოფელშიო, კიდევ შევხვედებით ერთმანეთს, ახლა უკვე როგორც ნაცნობები და მეგობრები, ან უფრო სწორად, როგორც ქართველებიო. ბიჭებიც დაბრუნდნენ უკან.

გურამის ვაჟკაცურმა, გონივრულმა მოქცევამ ასე გადაარჩინა უეჭველ ჩხუბსა და კიდევ უფრო უარეს შედეგს ქართველების ერთი ჯგუფი და თანაც ზოგიერთი გზას აცდენილი ჩაიფიქრა საკუთარი ქცევის სისწორესა თუ ქართველი კაცის დანიშნულებაზე.

* * *

მეორედ მე და გურამი წავედით მუხრანში. ეს ამავე წელს იყო, როდესაც აქ აღწერილი ამბავი მოხდა. ჩემი უუროსი ძმა და მეგობრები მთელი ზაფხული პრაქტიკაზე იყვნენ. ისე რომ მასპინძლები გვყავდა.

მუხრანში ეს ხელახალი წასვლა უკვე კონკრეტული მიზნით იყო გამოწვეული. იმ წელს გურამ ხარაიძემ გადაწყვიტა ყველა ჩვენთაგანისათვის საოცნებო მოტოციკლეტი ეყიდა. დაიწყო ფულის გროვება. ზოგიერთმა ბიჭმა, მათ შორის ჩემმა ძმამ, საკუთარი მცირე თანხები შეაშველეს იდეის ავტორს, რადგან იმედი ჰქონდათ ამ ერთგვარი წილობრივი მონაწილეობის შედეგად მოტოციკლეტს ხანდახან მაინც ჩაიგდებდნენ ხელში.

გურამ რჩეულიშვილმაც დადო წვალებით შეგროვებული ორმოცდაათი მანეთი.

სწორედ იმ დღეებში გაიგო, რომ გურამ ხარაიძეს უკვე ეყიდა მოტოციკლეტი და ახლა ძირითადად მისი ნახვისა და დალევის მიზნით მივემგზავრებოდით მუხრანს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ბიჭები მუხრანის ბაზართან ცხოვრობდნენ. იქვე წინ იყო საკმაოდ ვრცელი სასოფლო მოედანი.

ჩვენ რომ ჩავედით, კვირა დღე იყო და ამ დანგრეულ, დიდი ვაჭრობის მერე იაფად ნაყიდ მოტოციკლეტს ორმოცდაათამდის ბიჭი მაინც ეხვია.

გურამი ხელად მოხვდა მოტოციკლეტთან და ღრმად კმაყოფილი სახით ათვალიერებდა. დადებული ორმოცდაათი მანეთის გამო მას სხვებზე მეტი უფლება გააჩნდა. მე კარგად ! ვიცოდი, რომ მანქანის ტარება არ იცოდა და აქ აპირებდა სახელდახელო შესწავლას. რომელიღაც ძალიან მცოდნე

ინ!,ტრუქტორივით გვიხსნიდა: აქ არის სიჩქარეები, ასე ირთვება, აქ არის პედალი, აქ მუხრუჭი, აქ გადართვა. აქ ხელის მუხრუჭი... ტარების მცოდნეს თუ არამცოდნეს ყველას სურდა მოტოციკლიტზე შეჯდომა. როგორც ყოველთვის. პირველობა აქაც გურამმა იგდო ხელთ, იგი მოხერხებულად მოკალათდა სკამზე და როცა გვეგონა მოედანზე აპირებდა საცდელ-საჩვენებელ გატარებას, ერთბაშად მისცა დიდი გაზი და გრიალით გაიჭრა სასოფლო გზაზე.

ცოტა ხანში მოტოციკლეტის ტკაცატკუცის ხმა მიწყდა.

იმედი გვქონდა გურამი მალე გამოჩნდებოდა, მაგრამ იგი არ ჩანდა. ამასობაში წვიმაც დაიწყო, ჩამოიღრუბლა.

ყველაზე მეტად გურამ ხარაიძე იყო შეშფოთებული: არც სტუმარი ჩანდა და არც წვალებით შეძენილი მოტოციკლეტი.

გამოვედით შარა-გზაზე და მეურნეობისაკენ წავედით. მეურნეობის კარებთან იდგა ტრაქტორი, თუ არ ვცდები „ბელორუსი“. ახლო-მახლო არავინ ჩანდა, გურამ ხარაიძე შეთანხმებულივით მიუჯდა საჭეს, ორი თუ სამი ბიჭიც გაჭირვებით მოვთავსდით და გავუდექით გზას.

გურამი არსად ჩანდა. ბოლოს მას თითქმის სოფელ · ძალისთან მივაგენით. კარგა დიდი გზა გამოევლო, ქროლვით ნასიამოვნები ჩანდა, მაგრამ ფათერაკიც შემთხვეოდა. წინიდან თურმე დატვირთული საბარგო მანქანა მოდიოდა, ახალბედა მოტოციკლეტისტმა გზა აუქცია მანქანას, გამოუცდელმა თავი ვეღარ შეიკავა და იქვე გზის გვერდით ტალახიან თხრილში გადაბრუნდა.

ყველას გაგვიხარდა, რომ ასე იოლად გადარჩა გურამი და თავისი საოცარი გაბედულების გამო უფრო მეტად არ დაზარალდა. ტალახში დასვრას და მოტორის გამორთვას ვიღა ჩიოდა.

დიდი წვალებით გამოვაბით მოტოციკლეტი ტრაქტორს და მუხრანისაკენ წამოვედით დასვრილ-გალუმპულები.

მეორე დღეს მოტოციკლეტი შეაკეთეს და გურამმაც გული იჯერა მუხრანის შუკებსა და ბილიკებზე ჯირითით. გურამ ხარაიძე კი, როგორც ტრაქტორის გამტაცებელი, პრაქტიკიდან და ინსტიტუტიდანაც გარიცხეს, სანამ საქმეში გავლენიანი

ხალხი არ ჩაერია. შემდეგ დადასტურდა, რომ მას ტრაქტორი არ ქონდა მოპარული და კვლავ დააბრუნეს მუხრანის მეურნეობაში პრაქტიკის გასავლელად თავისი ომისდროინდელი მოტოციკლეტით.

* * *

ზაფხულობით ძალიან უყვარდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში წასვლა და გათხრებში მონაწილეობის მიღება. საერთოდ მეტისმეტად იზიდავდა ხალხში ყოფნა და ტრიალი, ყველაფერს ეცნობოდა, აკვირდებოდა, ბევრ რამეს იწერდა, მათ შორის ქართულ-ხალხურ გამოთქმებს.

განსაკუთრებით უყვარდა მუშებთან ყოფნა, დაჯდებოდა მათთან და გააბამდა გულიან მეგობრულ საუბარს, ხან ღვინოს მოიტანდა, ხან წყალს, ხან ხილს და ყველას ეპატიჟებოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უშუალობით.

თავად უაღრესად საინტერესო საუბარი იცოდა, კაცს ხელად განაწყობდა სასაუბროდ, შემოიკრებდა გარშემო ექსპედიციის მონაწილეებს და იწყებოდა ლაპარაკი, კამათი, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ სველი ღვინიანი დოქიც ახლომახლო იყო მოფარებული.

ბიძამისი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟიშვილი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, მაშინდელი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თურმე ხუმრობით ამბობდა ხოლმე — „კაცო, ეს გურამი ან უნდა გაუშვა, ან ექსპედიციიდან მოვხსნა, თორემ მუშაობას გვიშლისო“.

გავიხსენოთ ნაწყვეტი მისი მშვენიერი ლირიკული მოთხრობიდან „ირინა“: „უკვე მთელი კვირაა დადიხარ მარტო, ხან ცარიელ ქუჩებში, ხან ხალხსავსე მოედნებზე. შენ მოცლილი ხარ და დადიხარ მარტო. მხოლოდ ერთი თვით — ერთი თვის შემდეგ შენ წახვალ ამ ქალაქიდან. წახვალ სოფლად, ურბნისში, არქეოლოგიურ გათხრებზე, მუშებს თავზე დაადგები და იმუშავებ. შენ დაგწვავს ქართლის თაკარა მზე. მაგრამ ეს იქნება ერთი თვის შემდეგ“.

აქვე ცხადადაა გამჟღავნებული გურამის დიდი კაცთმოყვარეობა, თბილი და მახლობლური დამოკიდებულება მოყვასისადმი, რაც ასე გვაკლია დღეს ჩვენ და რისკენაც საკუთარი მაგალითით მოგვიწოდებდა ოცდაოთხი წლის ბრძენკაცურად მეტყველი ახალგაზრდა მწერალი:

„ახლა გარშემო სიცოცხლეა, სიცილი. უცებ შეიცვალა ბუნება, კვირტები დასკდა და გაიშალა, მაგრამ ჯერ მაინც პატარები და საყვარლებია. მთელი ქვეყანა შენი ნაცნობია, ყველა გიყვარს, ყველას ესალმები გუნებაში“.

* * *

გურამს ზღვა ძალიან უყვარდა, სივრცე იზიდავდა, შეუცნობელის შეგრძნების სურვილს აქ ნაწილობრივ მაინც იკმაყოფილებდა. მთა უპირველესი სიყვარული იყო მისთვის, მთებისაგან მიღებულ სიყვარულს კი შემდეგ თვალმიუწვდენლად გადაშლილ ზღვას უნაწილებდა ხოლმე. ერთ-ერთ ნოველაში წერდა კიდეც: „მერე როგორ მიყვარს ტალღებთან არამაში“.

განსაკუთრებით იზიდავდა ახალი ათონის, ბიჭვინთის, გაგრის მიდამოები. ხშირად მოსაწყენი ზამთრის დამთავრებისთანავე, გული ზღვისკენ უწევდა, რომ ლურჯად დაბინდული სივრცის ცქერით დამტკბარიყო და ზამთრის ბუნაგიდან უხვად მცხუნვარე მზეზე გასულიყო.

ყველა წასვლას წინ მოლაპარაკებისა და ერთგვარი დარწმუნების დღეები უძღოდა, თანაც ფული უნდა გვეშოვა, სტიპენდიები აგვეღო ან ჩვეულებისამებრ გვესესხა.

მშობლები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები ჩვენი ამგვარი ბუნებრივი განავარდებებისადმი და რაც არ უნდა გვეწუწუნა უფულობაზე, ზედმეტ მანეთსაც არ მოგვცემდნენ.

ჩვენი შეკრებები მოსალაპარაკებლად ძირითადად უნივერსიტეტის ბაღში ეწყობოდა. ოდნავი გადაჭარბების გარეშე ერთხელ კიდევ მინდა განვაცხადო, რომ გურამ რჩეულიშვილი იყო ყველა ჩვენი მეგობრული წასვლისა თუ გამგზავრების წამომწყები და სულის ჩამდგმელი.

მას სხვანაირი ცხოვრება არ შეეძლო, უფერული დღეები მომაბეზრებელი ერთფეროვნების ნაღველით ავსებდა, ვითარების შეცვლა სჭირდებოდა, თან მეგობრებთან ერთად ყოფნა უხაროდა. პირველდამწყებისა თუ პირველგამ კვალავის უძლიერესი ვნება მას იმისათვის უნდოდა, რომ მეგობრები, ხალხი, მასა აეყოლიებინა და ყოველდღიური დუნე პროზაული ცხოვრების ჭაობიდან ამოეყვანა.

არც ისე მინდა გამიგოთ, რომ თვალი სულ ქალაქიდან გაქცევაზე ეჭირა. ქალაქიც ძალიან უყვარდა და სახლიც, საკუთარ ოთახშიც მშვენიერად გრძნობდა თავს, აქ იყო მისი შემოქმედებითი სამჭედლო. განცდილი და ნახული აქ გადაჰქონდა ქაღალდზე, ყველა წასვლა-წამოსვლა ცოტა ხნის შემდეგ ისევ საწერ მაგიდასთან განმარტოებითა და საკუთარ თავში ჩაღრმავებით მთავრდებოდა,

წერს კიდეც პიესა „იულონში“ ამ წინააღმდეგობრივი. რთულად გადასაწყვეტი განცდების შესახებ. რაც ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს და გარკვეულად ამთლიანებს, ჰარმონიულ სულისკვეთებას მატებს: „..ღმერთო ჩემო. ნუთუ ყველაფერი, წერაც. დადგმაც. მხოლოდ მოწყენილობისაგან იყო, მოწყენილობისაგან, რომელსაც არსად არ შეგიძლია გაექცე.

მე ვიცი ამ ოთახიდან გარეთ გასვლას აზრი არა აქვს, რადგან თუ ერთ ოთახში ვერ ნახავ შენ ადგილს, მას ვერ ნახავ სულ, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღედაღამე მთელ მსოფლიოში. დედამიწიდან კი არსად არის გასაქცევი.

...გასაგები მრჩება არა რაიმე, არამედ ყველაფერი და სანამ მექნება ეს სურვილი რამის გაგებისა, მე ვერა, ვერ შემჭამს მოწყენილობა“.

მისი ნათელი გონება თუნდაც სულ მცირე სიახლის განცდისაკენ იყო მიმართული, თუ შორს წასასვლელად ვერ დაგვრაზმავდა, მცხეთაში ან კოჯორში მაინც წაგვიყვანდა და ორიოდე დღის განსხვავებული ცხოვრებით შინაგანად მძაფრად დაიმუხტებოდა.

პირველად გურამმა წაგვიყვანა და შეგვაყვარა კახეთი, სვანეთი თუ ხევსურეთი, ნოსტე და უფლისციხე, ხევსურეთის ჭაუხები და ქართლის სოფლები, პირველად გურამმა წაგვიყვანა ზღვაზე და ალპინიადაში, პირველად გურამმა აგვაგულიანა რომ გვენახა მყინვარწვერისა და ორწვერის განუმეორებელი სილამაზე, დაგველაშქრა ეს მაღალი მწვერვალები. ყველგან, ყოველთვის, განუყრელად თან დაგვყვებოდა მისი დიდი იმედი და სიყვარული,

ახლა ხშირად მწარე სინანულით ვფიქრობ ხოლმე, ყოველთვის მისთვის რომ დაგვეჯერებინა, უფრო მეტს ვნახავდით, უფრო მეტს შევიცნობდით, ვინ იცის გაცილებით უფრო ძლიერები და მამაცებიც კი ვყოფილიყავით, ამისკენ იგი მუდამ მოგვიწოდებდა. წინ უშიშრად მიგვიძღვოდა.

ამ სინანულმა ერთი შორეული, სტუდენტობის პირველი წლების დროინდელი ამბავი გამახსენა, რამაც კიდევ დამარწმუნა ჩემი ფიქრის სისწორეში და სურვილი მომეძალა მკითხველისთვისაც გამეზიარებინა ან ცოტა მაინც მეგრძნობინებინა იმ გარდასული დღეების სურნელი, საუკუნის მესამედზე მეტი ხნის წინ რომ დარჩა უსასრულობაში.

ერთხელ, 1955 წლის გაზაფხულის მობრძანების ჟამს, გურამის წინადადებითა და დაჟინებული რჩევით გადავწყვიტეთ ორი-სამი დღით ზღვაზე წავსულიყავით ზამთრისეული მოწყენილობის გასაფანტავად.

მარტის თვე იდგა. თბილისის ახლო-მახლო ქედებზე გაზაფხულის თბილი სურნელი ტრიალებდა.

მივდიოდით ხუთი ამხანაგი. გურამი ყველა მათგანს სათითაოდ ესაუბრა და მისთვის ბუნებრივი გადამდები აზარტით დაარწმუნა ყველანი წასვლის სიკეთეში, რადგან მისი სიტყვებით აუცილებელი იყო ჩამოგვეფერთხა ზამთარში დაგროვილი სულიერი მტვერი და თბილისური გაზაფხულის სწრაფ დადგომას განახლებულნი შევხვედროდით.

გამგზავრება ჩვენი ძირითადი სარჩოს — სტიპენდიის აღებას დავამთხვიეთ, თორემ ასეთი ნახევრად თვითნებური განავარდების დროს, როგორც ვთქვი, მშობლები ზედმეტ კაპიკსაც კი არ გვაძლევდნენ. მაშინ ჯერ კიდევ ბატონობდა უმკაცრესი

წესი, რომ არავითარ შემთხვევაში შვილი არ გაენებივრებინათ. ჩვენ ყოველთვის გვქონდა თითო ხელი ტანსაცმელი, იშვიათი იყო კაცი, რომ ორი კოსტიუმი ჰქონოდა, უბრალოზე უბრალო ბამბაზიის ხალათებით იოლას გავდიოდით. მე მაგალითად, მამაჩემმა მხოლოდ მეოთხე კურსზე მიყიდა ერთი ხუთთუმნიანი კოსტიუმი, ისიც ხანგრძლივი თხოვნითა და პირობით იქნა მიღწეული.

ახლაც ასე ღარიბულად მივდიოდით, მაგრამ ძალზე დიდი იყო სურვილი სიახლეთა ნახვის, და ასეთ დროს ვერაფერი გვაჩერებდა.

სადგურზე გასვლის წინ ერთად ვივახშმეთ სარდაფში მოწყობილ სასაუზმეში და თითო-ორი ჭიქა იაფი კახური ღვინოც გადავკარით.

სალაროში ბილეთები არ აღმოჩნდა. ფულის დაზოგვის მიზნით, რასაკვირველია, საერთო ვაგონით მივბრძანდებოდით.

მატარებელი ათ საათზე გადიოდა, გასვლას ბევრი აღარ უკლდა. გურამი გამცილებელს მოელაპარაკა. გამგზავრების ნიშანი მისცეს და ჩვენც ავედით ვაგონში.

ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი. აუტანლად ცხელოდა. ყველა ეწყობოდა, ყაყანებდა, ერთმანეთს უძახდა. ჩვენ ძლივს ვიშოვეთ შესასვლელთან ახლო ორიოდე ადგილი. მაშინ ესეც საკმარისი იყო ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭებისათვის.

პირველად სამს მოუწია ორის ადგილზე დასხდომამ. ისტდნენ და ჩვეულებისამებრ სიცილით კვდებოდნენ.

გურამ თიკანაძემ მითხრა — ხვალ გადაუდებელი საქმე მაქვს, გურამს ვერაფრით გავუტეხე ხათრი, თორემ ახლა ნამდვილად არ წამოვიდოდიო. ამ ლაპარაკში მეც გამახსენდა ჩემი აუცილებელი საქმეები და ასე შევჩიოდით ერთმანეთს, რაც უდავოა მგზავრობის მეტად ცუდმა პირობებმა და გაჭედილი საერთო ვაგონით მგზავრობამ განსაკუთრებით გაამძაფრა.

გურამმა შემომთავაზა, მოდი ჩუმად დავრჩეთ, მაინც სამნი არიან, მხიარულად იქნებიან, ხუთნი ისედაც ბევრნი ვართ, დასაჯდომი ადგილიც კი არ გვაქვსო. მეც ჩავფიქრდი და როცა წარმოვიდგინე გაგრამდე თუ სოჭამდე ასე ნახევრად ფეხზე

მდგარი ჩასვლა, უფრო მეტად ჩემი ოთახი ლოგინი მომენატრა. თანაც რა სჯობდა — მშობლებს ვეტყოდი რომ არ წავედი, მათ დავუჯერე და მომავალში უფრო მეტი ავტორიტეტი მექნებოდა.

ბიჭებისათვის არაფერი არ გვითქვამს, რადგან განზრახვას არ მოგვიწონებდნენ და არ გამოგვიშვებდნენ.

ამასობაში მატარებელი მცხეთაში გაჩერდა. სულ რამდენიმე წუთი იდგა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავენახეთ ბიჭებს, გურამ რუსიშვილს სიგარეტიც კი გამოვართვით, ვითომ გაგვითავდა და მატარებლის დაძვრისას ფრთხილად ჩავედით გაკვირვებული გამცილებლის თვალწინ და დავრჩით.

თვალს მიეფარა მატარებლის უკანა ვაგონის წითლად მბჟუტავი სინათლეც. მცხეთის სადგურის ბაქანზე ციოდა და სუსხიანი გამჭოლი ქარიც უბერავდა მტკვრის ვიწრო ხეობიდან.

სადგური მკრთალი ყვითელი სინათლით იყო განათებული. ჩვენ მოსაცდელ დარბაზში განრიგი ვნახეთ. ნახევარი საათის შემდეგ გადიოდა თბილისისაკენ ბორჯომის მატარებელი .მაშინ მანქანები იშვიათად დადიოდა და მცხეთაც კი ჩვენთვის საკმაოდ შოო ადგილს წარმოადგენდა.

მე და გურამ თიკანაძემ ზღვაზე გასასეირნებლად გამიზნული ჩვენი საწყალი სტიპენდიიდან მაშინ სახელგანთქმული მცხეთური ღვეზელი მივირთვით და ლუდიც დავაყოლეთ. შემდეგ მატარებელში ჩავსხედით და ჯერ თორმეტი საათიც არ იყო, უკან თბილისში რომ დავბრუნდით.

გურამ რჩეულიშვილს ეს ამბავი ძალიან ეწყინა, ვერ წარმოედგინა როგორ ვთქვით უარი ზღვაზე. სივრცეზე, სიახლეზე, მისებურ განახლება-გადახალისებაზე და კარგა ხნის მანძილზე მაყვედრიდა ხოლმე ასეთ მოქცევას, ან ხშირად ისეთი გატაცებით, ისეთი ლამაზი ფერებით ყვებოდა იქ გატარებულ რამოდენიმე დღეზე. რომ გულის სიღრმეში სინანული მავსებდა — რატომ არ წავედი, რატომ არ დავუჯერე გურამს და რა საქვეყნო საქმეები გავაკეთე ჩემი მოულოდნელი დარჩენით.

ჩვენს მიერ მიტოვებულმა სამმა მეგობარმა პირველი დღე სოჭში გაატარეს, მეორე დღეს კი გაგრაში ჩამოვიდნენ, სადაც

ყოფნა გურამს ძალიან უყვარდა. გაგრაში მათ ერთერთი მეგობრის ახლო ნათესავი ექიმი შეხვდათ, გვარად გუგუშვილი, მან ბიჭები სახლში მიიწვია და კარგად უმასპინძლა.

ექიმის სახლი შუა გაგრაში იდგა. ვახშმობის შემდეგ გურამმა თქვა წავიდეთ და ზღვის პირას. ჰაერზე გავისეირნოთო.

კარგა ხანს ისეირნეს და მთვარის მკრთალი: შუქით განათებული ზღვის ცქერით ტკბებოდნენ.

ის დღეც და წინა დღეს მართლა მშვენიერი, მზიანი იყო. საკმაოდ ცხელოდა კიდეც, როგორც არც თუ იშვიათად იცის ხოლმე მარტის თვეში.

მერე ზღვაში კენჭებსა და ბრტყელ ქვებს ისროდნენ, გახურდნენ და ტანისამოსიც მოიშილიფეს. ზღვა ღელავდა, დაახლოებით ორ-სამ ბალამდის აღწევდა ღელვა.

გურამმა წინადადება წამოაყენა მოდი, ვიბანაოთო. ბიჭები წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ გურამმა დაარწმუნა ისინი: თქვე კაი ხალხო, უამრავი ადამიანი მთელი ზამთრის განმავლობაში ცივ, ყინულიან წყალში ბანაობს, თავს ბრწყინვალედ გრძნობენ, კაჟივით მაგარი ჯანმრთელობა აქვთ და ჩვენ ამ ერთხელ წყალში შესვლით რა მოგვივაო.

ზღვის წყალი მართლაც ცივი იყო, მაგრამ პირველი გაბედვის მერე თითქოს გათბა კიდეც და ცურვისას სასიამოვნოდაც კი იქცა. ბიჭებმა ცოტა იჭყუმპალავეს ნაპირ-ნაპირ, შორს შესვლა კი ვერ გაბედეს. გურამი მარტოდმარტო შევიდა შორს. მაშინ უკვე ბრწყინვალედ ცურავდა. ბიჭებს შეეშინდათ. ერთხანს უძახეს გურამს, მაგრამ როცა არაფერი გაუვიდათ, ჩაიცვეს და ისე ელოდებოდნენ.

გახალისებული გურამი აღმა-დაღმა დაუყვებოდა ნაპირს, ზოგჯერ ისე შორს შედიოდა ზღვაში, რომ არც არაფერი ჩანდა და აღარც ხანდახან მოტანილი ბგერების ხმა ისმოდა.

კარგა ხანს იყო ზღვაში, როცა გული იჯერა, მხოლოდ მაშინ გამოვიდა. ხომ არ გაიყინეთ უმოძრაოდო — გაიცინა, ცოტაც წაივარჯიშა. ირბინა და ტანისამოსი ჩაიცვა. მერე გაგრის ულამაზესი ფერდობებისაკენ გაიშვირა ხელი და თქვა: „ეს ადგილი ძალიან მომწონს. აქ უნდა დავრჩე სამუდამოდ და ავიშენო სახლიო“.

ის ადგილი, სადაც გურამმა ჯერ კიდევ ცივ. ნაზამთრალ ზღვაში იცურავა და სადაც მას საცხოვრებლად სახლი აშენებაც სურდა, იყო ზუსტად ის ადგილი. ანდა სულ რაღაც ოცი-ოცდაათი მეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ხუთი წლისა და ხუთი თვის მერე აბობოქრებულ გამძვინვარებულ ზღვაში სხვების სიცოცხლის გაფრთხილებისა და გადარჩენის დროს ტრაგიკულად დაიღუპა ოცდაექვსი წლის გურამ რჩეულიშვილი.

* * *

საყოველთაოდ ცნობილი აზრია, რომ არ არსებობს ქართული მწერლობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვისაც ქართული ბუნების სილამაზე და თავისებურება არ აღეწეროს. უდავოდ აქაც ცნაურდებოდა მამულისადმი ქართველი კაცის სიყვარულის ფენომენი. საქართველოს ულამაზესი ბუნების დამატყვევებელი ძალა.

ყველა ჩვენთაგანს შეუძლია გაიხსენოს ბარათაშვილის. ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, გალაკტიონის სისხლს, რეული დამოკიდებულება ბუნებასთან და ბუნების სურათების ფერადოვანი სიუხვე მათ შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ მათ გაამეფეს ბუნების კულტი და დიდი ტრადიციები დაუტოვეს ქართულ ეროვნულ მწერლობას.

„ბუნება მბრძანებელიაო“ ტყუილად როდი ბრძანებდა ბრძენი ვაჟა ფშაველა.

გურამ რჩეულიშვილიც ერთგულად მისდევს ამ ტრადიციებს. მის მოთხრობებსა და ნოველებში ძალიან ბევრგან გვხვდება ბუნების მიზნობრივად დახატული სურათები. ეს სურათები კი, არა მარტო ფონია ან ფასადი. არამედ მოქმედებისა და ვითარების ნაწილი. უსაყვარლესი მამულის სილამაზის ვიზუალური ამეტყველება, განუყოფლად თანმდევი სულისკვეთება. ეს იგივეა, რითიც სულ ახალგაზრდა დიდმა ილიამ სათაყვანო მამულის მთებს მიმართა:

„თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გული.“

დიდი ილიას და გურამის შემოქმედების ერთი საწყისის ამ თუნდაც შორეული შედარების დროს გამახსენდა სტრიქონები თამაზ კვაჭანტირაძის რედაქტორობით 1985 წელს გამოსული ჟურნალის „ქართული ენა და ლიტერატურა. სკო. ლაში“ წინასიტყვაობიდან „მცირე სათქმელი“.

„არის აგრეთვე ორი „მოტივი“. რომლებიც გამოკვეთილად ჟღერს ამ კრებულში: პირველი უკავშირდება „ახალგაზრდა“ ავტორს, სასკოლო პროგრამაში ჯერჯერობით ერთადერთი თხზულებით წარმოდგენილს. გურამ რჩეული . შვილს. მეორე კი, პირიქით ყველაზე „ხანიერსა“ და ამავე პროგრამაში ყველაზე მრავალფეროვნად ასახულს — ილიას. ერთს ახლახან შეუსრულდა 50 წელი. მეორეს მალე შეუსრულდება 150 წელი".

ნამდვილად სასიამოვნოა, რომ აქ გურამ რჩეულიშვილი მოხსენიებულია დიდი ილიას გვერდით.

გურამ გეგეშიძემ და რეზო ინანიშვილმა გურამი ბარათაშვილს შეადარეს, გიორგი შატბერაშვილმა გალაკტიონის გვეოდით მოიხსენია. თამაზ ვასაძემ მის ხედვას დოსტოევსკისებური უწოდა. ყველაფერი ეს ძალზე ნიშანდობლივად მეჩვენება დღესაც და მომავლისთვისაც.

როგორც ვთქვი. გურამს მთის. სურათების ხატვა უყვარდა. ამასვე ვხედავთ მის დაუმთავრებელ რომანში, რომელიც ხევსურეთის ცხოვრების ამსაველ ფართო და მრავალფეროვან ტილოდ იყო ჩაფიქრებული. აქ მოქმედება მძიმე პირობებში მიმდინარეობს. ადამიანთა რთული ვნებები ებრძვიან ერთმანეთს. ჯერ კიდევ ბატონობენ ძველი ადათ-წესები. სისხლის აღება ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ამიტომაც თავიდანვე ოსტატურად შემოტანილი ბუნების აღწერაც ზვიადია, გოროზი, მრისხანე. რაც თითქოს შინაგანად განგვაწყობს ნაწარმოების მომავალი რთული პერიპეტიებისათვის:

„შორი სიღრმიდან. ყრუდ, ნისლებში შემოაღწია მთის ნაკადულის ჩხრიალმა, ჭიუხის ნაკეოში ამოსული ბალახის ჭამით გართულმა ჯიხვმა ახლო კაცის არსებობა შეიგრძნო, კისერი გამართა. ყურები ცქვიტა. მერე უზარმაზარი ნახტომით გადა-

ევლო ქვემოთ ჩახერგილ ნაკადულს და ნისლებიდან გავარდა. მთის დამრეც ფერდაზე პატარა კენჭით შეჩერებული ლოდი ნელა დაიძრა ადგილიდან. დინჯად ამოტრიალდა, ოდნავ შენტა ბექობზე. ქანი აიღო და უცებ ზათქითა და ღრიალით დაეშვა დასახლებული ზეობისაკენ. კლდის ნამზღვლევს აჰყვნენ პატარა ქვები, გამხმარი გორახები, წყლისაგან დამრგვალებული პირები და ღრიალით აავსეს ნისლებით დაგუბებული ქედი. ქვევიდან ქარმა დაუბერა, ამოძრავდა ჯანღი, დაიხლიჩა, რამოდენიმე ადგილას შემოანათა მზის დაგრეხილმა სხივმა, ბურუსმა უფრო ზევით აიწია, გაიყო შუაზე და მზის სწორი სხივი დაეცა მთის წვერს; ახლა ჭიუხი გაერია შავ საბურველში, დაიმალნენ თეთრი თოვლები. ქარმა . იმატა, უმოწყალოდ დაუწყო ფანტვა ღრუბლებს, ქიმიდან ქიმზე მორბოდა ხტუნვით, შიშითა და სირბილი ჟინით შეპყრობილი ჯიხვების ნოტო, საჯიხვე ბილიკით გავარდა ჭიუხის წვეროებისაკენ და იქ გაქვავდა, წინა ფეხებით და მკერდით შეეზარდა კლდეს. დაკარგა მათთვის ყოველგვარი მნიშვნელობა ბუნების აღელვებამ, ამ უშიშარ ადგილას კლდის ქიმსავით უგრძნობი იქცა გარემოსადმი ჯიხვების მთელი ფარა. ქარი კი მატულობდა და გმინვითა და წივილით ავსებდა ქვებს შუა დარჩენილ ნახვრეტებს“.

ალბათ ვერავინ შემედავება თუ ვიტყვი, რომ მთის ბუნების ამ ოსტატურ აღწერაში ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მარად უკვდავი სუნთქვა იგრძნობა.

მძიმე, დამთრგუნველი ბუნების ფონზე მიმდინარეობს მოქმედება პიესა „იულონშიც“. აქ მთა არ არის, ტბა, ტყე და ტრამალია, მაგრამ გათამაშებულია ადამიანური დრამა. მართალია მტერი, მაგრამ ფაქტიურად უდანაშაულო ადამიანები მოკლეს, სისხლი დაღვარეს და ამდენად ბუნებაც მოქუფრულია, წვიმს, ტალახია, ირგვლივ რუხი, უსიხარულო ფერი ბატონობს:

„ჩვენი ათეული ბრუნდებოდა ტბის ნაპირიდან, სადაც სისრულეში მოვიყვანეთ სამი გერმანელისადმი მიძღვნილი სასიკვდილო განაჩენი. მოდიოდა წვრილი წვიმა, რისგანაც მიწა ბარაქიანად იყო გაჟღენთილი და უფრო და უფრო მეტად იკრავდა ჩემს სალდათურ ჩექმებს, ეს ცოტა სასიამოვნოც კი იყო

რადგან სხვა რამეზე ფიქრის საშუალებას არ იძლეოდა. ტბა დარჩა უკან ტყეში, სადაც იდგა ნაწილი, კიდევ რჩებოდა ორი-სამი კილომეტრი, გარშემო იდგა აბსოლუტური სირუხე თვალუწვდენელი ტრამალისა, მე აშკარად ვგრძნობდი, როგორ არ ვნიშნავდით არაფერს ამხელა სივრცისათვის და უცნაური თბილი შიში მეპარებოდა გულში“.

ადამიანურ ურთიერთობათა შემზარავ ფონზე ასეთივე ძალის ბუნების სურათებია დახატული. მაგრამ იქ სადაც მოქმედება მშვიდად მიმდინარეობს, ბუნების სურათებიც მშვიდია და სასიამოვნო, გინდ ზამთარი იყოს, გინდ ზაფხული.

ავიღოთ ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი ნოველიდან „მოუნდა“. ცეკვით დაღლილი და უზომოდ ნასიამოვნები ვაჟა ჯანდიერი — გურამი ბაკურიანის ცივ ღამეში მარტო მიდის სახლისაკენ, მართალია ცივა, მაგრამ ბუნება მშვიდია, ყოველგვარ საშიშროებას განრიდებული:

„სქელი თოვლი ფეხქვეშ ხრაჭუნობდა,
ზევიდან ახალი მოდიოდა.
მერე თოვლი შეწყდა.
ღრუბლებმა გადაიყარა.
აცივდა.
ვაჟა მარტო მიყვებოდა შარას.
თოვლი ჭრიალებდა.
ზევიდან ახალი აღარ მოდიოდა,
ციოდა“.

ანდა ავიღოთ პატარა ნაწყვეტი იმავე 1956 წელს დაწერილი და გამოუქვეყნებული უსათაურო ნოველიდან, სადაც მშვიდად იწყება გათენების სურათი, რადგან შემდგომი მოქმედებაც მშვიდად და მთავარი მოქმედი გმირისათვის სასიამოვნოდაც კი ვითარდება:

„ჯერ ძალიან ბნელოდა; ასე იცის გათენების წინ, მერე ოდნავ გაბაცდა სიბნელე, მერე უფრო გაბაცდა, ბოლოს გათენდა. ცაზე ღრუბელი არ იყო და საიდანღაც დაიწყო მზემ ამოსვლა“.

აქვე შეიძლება. მოვიტანოთ გათენების სურათი ზღვაზე. როგორც ვთქვი, გურამს ზღვა ძალიან უყვარდა, მრავალი მოქმედება და ბუნების სურათიც აქვს შექმნილი ამ თემაზე.

ერთ-ერთი ასეთია უსათაურო ნოველა „ნოდარმა ხელი მოდუ-ნები გაიქნია“, რომელსაც დაწერის ზუსტი თარიღიც უზის: „1957 წლის 11 აგვისტო, დილა“.

ნოველა, როგორც ვთქვი, ზღვაზე მშვიდი ზაფხულის დილის გათენების აღწერით იწყება. ეს აღწერა ძალზე მოკლეა, ლამა-ზი და ტევადი.

— „იჯექით წყნარად, ახლა დაინახავთ ზღვაზე მზის ამოს-ვლას.

შორს ჰორიზონტი შევარდისფრდა, მერე ზღვა ზოლებად და ყო, კიდევ დაიყო ახლა უფრო წვრილ წითელ, ვარდისფერ, ლურჯ, რუხ ზოლებად და სადღაც შორს. არა ახლო, გაურკვე-ველ მანძილზე მზემ თავი ამოჰყო, ახლა მთელი ჰორიზონტი გაწითლდა“.

როგორც აღვნიშნე გურამს უფრო მთისა და ზღვის სურათე-ბის აღწერა უყვარდა. ეს ორი საწინააღმდეგო სტიქია ავსებდა მის დაუდეგარ სულს. მაგრამ ის სუფთა ქალაქელი იყო და ქა-ლაქურ პეიზაჟებსაც ხშირად იყენებდა თავისი აზრების, სიუჟე-ტის, განწყობის შესაკრავად და მოსაჩუქურთმებლად.

ასეთ ადგილებს ვხვდებით თუნდაც ჯერ კიდევ გამოუქვეყნე-ბელ 1956 წელს დაწერილ ნოველაში „მარტი - გიქობის თვე“. ამ ჩამაფიქრებელ ნაწარმოებში ოცდაორი წლის `ავტორი უკ-ვე დასაწყისშივე ძალზე შთამბეჭდავად. თითქოს ნაცადი ოს-ტატის ხელით აღწერს ქალაქის დილას და მთავარი გმირის ვა-მეხის განწყობილებას. ეს ერთ-ერთი ადრეული ნოველათაგა-ნია, მაგრამ ნათლად იგრძნობა გურამის სტილი, წერის მანე-რა და შინაგანი სიძლიერე.

როგორც ვთქვი, აქ საყვარელი ქალაქის კოლორიტია აღწე-რილი. გაზაფხულის მზის პირველი სხივები, მერცხლების ისა-რივით ქროლვა, ლავგარდანებიდან მათი ამოვარდნა, მოძ-რაობა და ფორიაქი რაღაც მძაფრ ამბავზე მიგვანიშნებს, რაც მერე მართლაც ხდება ლამაზ, ახალგაზრდა გოგონასთან ურ-თიერთობით:

„დილის სუფთა ჰაერში მტვერი ავარდა. პატარა ნიავმა გვერდიდან მოუბერა და ადრიანად გამოსულ მემაწვნეს ფე-

ხებში მიაყარა. მეეზოვემ ახლა ქვეფენილის მეორე მხარეს გადაინაცვლა. ვამეხმა ფრთხილად მოიხურა ოთახის კარები, ნელა დაეშვა კიბეებზე, შემდეგ ქუჩაში გამოვიდა. გრილოდა. სახეზე პატარა ბუსუსებმა დააყარეს, ნაბიჯს აუჩქარა და ქვაფენილის მეორე მხარეს გადასულ მეეზოვეს მიესალმა. მატარებლის წასვლამდე მთელი საათი რჩებოდა. მზის პირველმა სხივებმა ქუჩის ბოლოს მოუსწრო. მან ნაბიჯს უკლო -და სადგურისაკენ მიმავალ გზას ფეხით გაუდგა. ახლადგაფურჩქვნილ აკაციის ტოტებში ჩიტები ჟღურტულებდნენ. „მერცხლებიც მოფრინდნენ“ გაეღიმა მას და ციდან ისარივით მომავალ ფრინველს თვალი გააყოლა. შენობის ლავგარდანიდან მეორე ამოვარდა, დაიჟღურტულა, პირველმა მერცხალმა ჰაერში ირაო გააკეთა, მერე მეორეს გამოუდგა. ჩქარა ორივენი გაუჩინარდნენ. ვამეხმა სადგურისაკენ გადაუხვია. მზის სხივები უკვე ქვაფენილს დაეცა“.

ჩემის ღრმა რწმენით, გურამ რჩეულიშვილის მიერ დიდი ოსტატობით დახატული ბუნებისა და მოქმედების ერთად შერწყმული აპოთეოზი მის ბრწყინვალე. „ალავერდობაში“ თვალშეუდგამ სიმაღლეზეა ატანილი და გაცხადებული, იმ ტაძრის სიმაღლიდან არის დანახული, სადაც უბრალო ადამიანი ვერასოდეს ავა, სადაც მხოლოდ უმამაცესი პიროვნება თუ ავარდება, ისიც ათასში ერთი და რჩეული.

გაიხსენეთ ალავერდის გუმბათზე მდგარი ჭაბუკის ამაყი, მართლა უდიდესი სიყვარულით სავსე სიტყვები, პეიზაჟის ხატვასთან ერთად დაუშრეტელი ეროვნული ძალის გადმოფრქვევა და თავისი ხალხის უკვდავების აღიარება:

„მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქედზე შემო დგარს არ დაუნახავს ალაზნის ჭალიდან ამოვარდნილი ალავერდი; მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში“.

აქ წარსული და დღევანდელობა ერთმანეთში უწყვეტი ჯაჭვითაა გადაჯაჭვული „...მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება

თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგეგმიანესი ალვნებით“.

წარსულიდან დღემდე მუხლჩაუხრელი შრომითაა შექმნილი ყველაფერი — „მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული“... დღეს კი აღარ ჩანს, ეს „გრანდიოზული, უსიტყვო“ შრომა, ზოგიერთები დაბნეულან და ქართველი ერის სიცოცხლისუნარიანობას ვერაფერს მატებენ. ამიტომაც გვასწავლის გურამი, რომ შემოქმედის ნამდვილი სიამოვნება მამულისათვის დაუღალავი შრომა და შექმნა, რადგან „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

ეს არის მთავარი და სწორედ ამას ქადაგებს ახალგაზდა ბრძენი მწერალი, რათა დაბნეულმა ხალხმაც შეიგნოს მამულისათვის საკუთარი უსიტყვო შრომისა და თავდადების აუცილებლობა, 70

„სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან“ შექმნილი ალავერდის ტაძრიდან ჩამოდის ჭაბუკი. იგი დიდხანს იდგა ზეკასთან აჩლოს. ხალხი დაშლილა. სანთლები ინთება და ცხოვრება მთელი ძალით გრძელდება.

„სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ“,

ასე ძლიერად არის შერწყმული ბუნება და ადამიანის ვნებები, ასე ავსებენ ერთმანეთს, გვავსებენ და გვამაღლებენ ჩვენც. პირადად მე თვით მოთხრობა და განსაკუთრებით ეს ადგილი, ანუ დასასრული, ერთ-ერთ უძლიერესად მიმაჩნია მთელს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში.

* * *

გურამი საქართველოს გამრავლებას ნატრობდა, რაც ჩვენი წინსვლის საფუძვლად და ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა. ყოველი ქართველის დაბადება მისთვის გულწრფელი ხალისი იყო, მახლობლის დაბადება კი მითუმეტეს

დიდ სიხარულს იწვევდა. მას ღრმად სჯეროდა, რომ ახალგაზრდობა არის ერის მომავალი, რომელთაც წინაპრების დაწყებული საქმე უნდა გააგრძელონ, გააძლიერონ და გამარჯვებამდე მიიყვანონ. ახალგაზრდობის იმედი მას ყოველთვის ჰქონდა, არა მარტო თანატოლებთან თუ უფროსებთან, უმცროსებთანაც მთელი გულით მეგობრობდა, მათ მიერ გასასვლელ რთულ გზებს იმედიანი თვალით გასცქეროდა.

აქ კიდევ მინდა მოვიტანო ნაწყვეტი ნოველიდან „ბატონო ტელემაყურებლებო“. ეს ნაწარმოები და მასში შემავალი ეს ნაწილიც იწერებოდა მაშინ, როდესაც მის უახლოეს ნათესავსა და მეგობარს დათო ჯავახიშვილს ვაჟი შეეძინა. გურამი ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა რამოდენიმე თვით, იქ მუშაობდა. მოსკოვის ცენტრში, დიდი იუჟინსკის შესახვევში, პუშკინის მოედნიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე მცირე მიწური სახლის ერთი ციცქნა ოთახში იჯდა, ოცნებობდა და ჩვეული გამალებით წერდა გურამ რჩეულიშვილი. პატარა ნათესავი შორეულ რუსეთშიც არ ავიწყდებოდა და სითბოთი სავსე მახლობლური გრძნობით მიესალმებოდა, მისი დაბადება კი იმდენად სასიამოვნო მოვლენად მიაჩნდა. რომ ყველას ერთიანად ულოცავდა:

მომილოცია თქვენთვის. ტელემაყურებლებო, ახალი ჯავანიშვილის დაბადება!.. ვუსურვებ ჩემს პატარა ძმისშვილს, ყველაზე ცოტა, ღირსეული ტელემაყურებელი მაინც იყოს, როცა გაიზრდება. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მას თვით მოუსმენს ხალხი; ის ჩვენი მომავალია! რა საოცარია, არა? მარტო მომავლებით ვართ თითქოს... აბა, პატარა ჯავახიშვილო! ღმერთო ჩემო, შენი სახელი მაინც ვიცოდე, მაგრამ ის ვიცი, რომ შენ ქართველი ხარ, შენი ჭირიმე და გწამდეს ჩემი, თუ ოდესმე დახმარება დაგჭირდა, მოდი ჩემთან, შენს უფროს ბიძასთან...“

აი. დაუკვირდით, რა შესანიშნავი, როგორი წმინდა ეროვნულია მისი მიმართვა ახლადდაბადებული ჩვილისადმი:

„ღმერთო ჩემო, შენი სახელი მაინც ვიცოდე, მაგრამ ის ვიცი, რომ შენ ქართველი ხარ...“

ახალგაზრდა მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ფაქტს, რომ მის პატარა მამულს კიდევ ერთი ქართველი შეემატა და სწორედ ეს ახლადდაბადებულები გააკეთებენ იმ დიდ საქმეს, რომლის წინააღმდეგაც გიგანტური სახელმწიფო ილაშქრებს.

გურამს აქვს ერთი ნამდვილად მშვენიერი, ღრმა ნოველა „ახალი წელი“. ნოველა დაწერილია 1958 წელს. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იდო მწერლის არქივში ეს ნაწარმოები და მხოლოდ 1985 წელს გამოქვეყნდა ერთტომეულში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“.

ნოველაში რამოდენიმე მკვეთრად გამოხატული მოტივია. ეს არის საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული, ქართველების გამრავლების დიდი სურვილი, ცხოვრებასთან ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსი სულის შერკინება და ბოლოს ცხენისადმი, ამ უჭკვიანესი ცხოველისადმი გურამის განსაკუთრებული კაცური დამოკიდებულება, რაც აშკარად გამოჩნდა მის ნოველებში „სალამურა“. „ერთგული“, „თვირთვილა“, „ესტატე“, „კოლა და ვანო“, „ალავერდობა“ და სხვ.

ალბათ საჭირო იქნება აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სტრიქონები გურამის მამის ძია მიშას ნაამბობიდან, რაც აკადემიკოსმა სერგი დურმიშიძემ გამოიყენა გურამისადმი მიძღვნილ წერილში:

„გურამი ცხენზე პირველად ალვანში შევსვი მაშინ, როდესაც 9-10 წლისა იქნებოდა. კარგი ცხენები მყავდა. განსაკუთრებით კი თვირთვილა და სალამურა (შემდეგ მისი მოთხრობების გმირები). გურამი ბავშვობიდანვე ბუნებით მეტისმეტად გამბედავი იყო და ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პირველი შეჯდომისთანავე გააჭენა ისეთი ფიცხი ცხენები. როგორიც სალამურა და თვირთვილა იყო, გურამმა ჩემთან ერთად ცხენით იმოგზაურა დაღესტნის (ავარეთი, დიდოეთი) და თუშეთის მთების სამივე ხეობაში, წოვათში. ალაზნის თავზე და სხვ“.

გურამის „ახალი წელი. საინტერესოდ იწყება:

ნოველის გმირი — თავად გურამი, ასეც ქვია მას. ახალ-წლის დამდეგს შეღამებულში ჩადის სადგურზე, შემდეგ მარ-ტოდმარტო ფენით მიდის ხოვლეში, ეს მისი უსაყვარლესი ბე-ბო საშას სოფელია. „იქ ნათესავი აღარავინა ყავს, მაგრამ გლეხები, ძველი ნაცნობები მისი წინაპრებისა, ელიან“.

სიმონისა და თეკლეს ოჯახში, სადაც გურამი სტუმრად მივი-და, დიდი შეშფოთებაა: ოჯახის უფროსი ქალიშვილი ქალაქში სწავლობდა სამკერვალოზე, იქ შეცდომით გადადგა ნაბიჯი. გვიან გაიგეს, რომ ფეხმძიმედ იყო და ახლა უკვე შვილს აჩენს. ბავშვის მამის გვარს ზიზღით არ ასახელებს. მატყუარასა და ფლიდთან ცხოვრებას სიკვდილს ამჯობინებს.

უაღრესად შეწუხებული ოჯახის უფროსის განცდები გაორე-ბულია და ამღვრეული:

„...თუნდაც დახოცილან, უკეთესი არაა? ვტყუი. ბიჭო, ვტყუი. პირველი შვილიშვილი შემეძინება, ისიც უგვარო, იმის გაჩე-ნას ვენაცვალე...

ქართველი გლეხკაცი გაბოროტებულია ადამიანის უსინდი-სობით და ორპირობით, ასეთ დროს რაიმე მცდარი და გაბე-დისწერო ნაბიჯიც შეიძლება იქნეს გადადგმული. მაგრამ ით-რგუნება მავნე გრძნობები. ქართველი გლეხკაცი ისევ და ისევ ბრძენად რჩება:

„ცუდ დროს კი შეგხვდი ახლა... ვინ იცის, ლხინის მაგიერ, თუმცა ნუ გეშინია, რაც უნდა მოხდეს, ჩემი ბუხრიდან ამაღამ სიმღერის ხმა ავარდება ახალ წელთან ერთად!

რა მშვენიერი, სწორი და ღრმა ფილოსოფიაა, როგორი ქართული ეროვნული სიძლიერე გამოსჭვივის ამ პწკარები-დან!

სოფლის ბნელ ღამეში ნელ-ნელა მოდის ახალი წელი.

— „მე აღარ მინდა. პაპა სიმონ, დალევა. ერთი შენ ცხენზე დავჯდები, დგება გურამი უხერხულობის გასაფანტავად...

გურამი თავლაში ჩადის, ფიქრობს საწყალ ქალზე, არა უფ-რო სწორედ. უკანონოდ დაბადებულ ბავშვზე. საჯინიბოში წი-ვის და თივის სუნი დგას. სიბნელეში ლაშების შმაშუნს გრძნობს და პირდაპირ ეხლება ცხენს...

ერთხანს ორღობეში მიაჭენებდა მოკლე ოთხით, მერე მინდორში მიუშვა ნებაზე სასაფლაოსაკენ, სადაც ბებიამისის ნათესავები ასვენიან - ჯავახიშვილები, რატომღაც მოუნდა ახალ წლამდე ენახა ის ადგილი, ხრაშუნით გადავიდა ხევზე. დაიწყო სწორე, ნაცნობი მინდორი. მთლიანად მიუშვა ლაგამს, გახელდა ცხენი. მაგრამ თავმიშვებულს ჩქარა მოსწყინდა სირბილი, ნაბიჯს უკლო, ისევ მოვიდა, დააოთხა. გახურდა თვითონაც, ჭენებამ თავისი რიტმით ააკანკალა, თითქმის გაუჩერებლივ გადახტა ცხენიდან".

აქ არის ნაქალაქარი, ირგვლივ შავი, შიშველი კედლები თითქოს ღაღადებენ ცხოვრების ამაოებას. გურამმა იცის, რომ მისი უძველესი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ, პატივს მიაგებს მათ უკანასკნელ სამყოფელს (და დგას როგორც მარადიული სიცოცხლის გაგრძელება, რითაც თავისებურ. ჯანსაღ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას ქმნის.

შემდეგ გურამი „ფეხით მიდის სოფლისკენ, ცენი აღვირით მიჰყავს. მსხვილლანჩა მაღალყელიანები ხრაშუნებენ თოვლში რაღაცნაირად, ჭრიალით, ცხენის ფლოქვები კი ყრუდ ცემენ: დუმ, დუმ. თავი გაიქნია გურამმა, ცხენივით. დაიჭიხვინა და ზურგზე მოქცა უბელოს".

უკვე ახალი წელი დგება. სოფლიდან ისმის ორლულიანი თოფებისა და ნაგანების გასროლის ხმები. გურამს ჯერ თითო ქოს არ უნდა გარეთ შეხვდეს ახალ წელს, ადგილიდან მოწყვეტილ ცხენს უშიშრად მიაქანებს სიბნელეში, „მოყინულ თოვლის გოროხებზე მალაყებით გადადის სიმონას შამილა".

უბელო ცხენზე ამხედრებული გურამი მარტოდმარტო ხვდება ახალ წელს სოფლის გარეთ. წინაპრების ხსოვნის პატივისცემის გამო დაიგვიანა. მის თავში ფიქრები ირევა, თითქოს არ უნდა უღალატოს ტრადიციას, მაგრამ მისი თავისუფალი სული უფრო მაღალი სფეროსაკენ მიილტვის.

სწორედ აქ იწყება ბარათაშვილის მერნისებური სრბოლა, სწორედ აქ იწყება ბარათაშვილის მონათესავე სულის გამმაფრება, დაბრკოლებათა არ ეპუება, მარადიული მოძრაობისაკენ სწრაფვა.

გურამმა თავისი დიდი სულიერი წინაპრების ბარათაშვილისა და ილიას მსგავსად კარგად იცოდა, „რომ მოძრაობა და მარტო მოძრაობა იყო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

— „დამებედოს, გაუშვი დამებედოს“ — დახტიან ფიქრები გურამის თავში — „დამებედოს გზა, ხიფათი, გარეთ ყოფნა, ჭენება, დაე დამებედოს, ეშმაკმა წაიღოს სახლში ჯდომის დაბედება, გაუშვი დამებედოს ეგეთი ბედი“.

— ییییჰიჰოი! — ჭიხვინებს თვითონ. ჭენებისაგან გახელებულმა ცხენმაც წინ წაწია თავი.

— ییییჰჰჰუჰი! ისევ დაიხვიხვინა გურამმა.

გურამის მასპინძელი ოჯახი დიდ დარბაზში ერთად ხვდება ახალ წელს.

სუფრას თამადად უზის ოთხმოც წელს მიღწეული პაპა სიმონი, იგი მოადგილედ ირჩევს გურამს, შემდეგ ამბობს ქვეშეცნეულად ქართული ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილ სადღეგრძელოს, მეტისმეტად საინტერესო აზრებით ავსილი სიტყვას, რაშიც გურამის ცხოვრებისეული შეხედულებებია ჩადებული:

„...მრავალ ახალ წელს დაასწროს ჩვენი მიწა გამჩენმა, ეგ ერთია იმედიანი ჩვენთვის, შენც ამ მიწისა ხარ, ამ ძირებისა, მაგას ვენაცვალე. აგე, ჩემი ქვევრები, აგე ჭირნახული, აგე ცოლ-შვილი და ახლად შეძენილი შვილიშვილი. მზე დაგოლავს, დახეთქავს ამ ბარაქასა. იმდენი მაინც მოვა თავთავი, რო სხვაგან არ წავიდე სათხოვნელადა. ეგ ბუშიც ახლა ჩვენია, ჩვენი მიწის შვილი, სიკვდილს რა უნდა მაგასთან, ამინ! გაუმარჯოს ახალ წელს, ახალ შვილიშვილს, ამ მიწის პატარა შვილს!“

იცლება ყანწები. ქეიფობს დარდგადანაყარი პაპა სიმონი. ნაქეიფარი მეზობლები და ქალები სტოვებენ სუფრას, მამლების ყივილისას მარტონი რჩებიან სუფრასთან სიმონი და გურამი. სიმონს სადარდელი მაინც არ ასვენებს, მას ვერ გადაუწყვეტია რომელ გვარზე დაწეროს პატარა ბიჭი, დედის გვა-

რი, ე. ი. თავისი, არ უნდა რომ მისცეს, მერე სოფელში არასწორად გაიგებენ. განთიადისას კიდევ შემოდიან სიმონთან ახალი წლის მისალოცად გლეხები.

გურამი სთხოვს სიმონს მას მოანათვლინოს ბავშვი და გვარის მიცემასაც პირდება. საქართველოს სიყვარულითა და ჭეშმარიტი ჰუმანური გრძნობებით ჟღერს მისი სათხოვარი, მისი სადღეგრძელო:

— „სიმონ! ჯავახიშვილები აღარ არიან ამ სოფელში, გადავიდნენ ქალაქში, იყოს მისი გვარი ჯავახიშვილი! სახელი გიორგი, დავლიოთ სიმონ?!“

ისევ დაჭექა ულამაზესმა სიმღერამ. „მუმლი მუხასაო... მუმლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“ და ჩვენც ყურში ისევ მკაფიოდ, ომახიანად, ქართული ეშხით ჩაგვესმის გურამ რჩეულიშვილის უკვდავი ხმა.

„მომილოცნია თქვენთვის... ახალი ჯავახიშვილის დაბადება... შენ ქართველი ხარ, შენი ჭირიმე...“

შემდეგ ნამთვრალევი გურამი გარეთ გამოდის. „ხოვლიგორის ნაქალაქარზე ყველაფერი გადათეთრებული იყო. „დიდი წარსული მოჩანდა ირგვლივ, აქ სიცოცხლე აღარ სუნთქავდა. მაგრამ ახალი ძალით გრძელდებოდა მომავალი საქართველოს სიცოცხლე „...ყინვაში გიორგი ჯავახიშვილის ტირილის ხმა იჭრებოდა“.

ხოვლეში უკვე დილაა, თოვლის სიმძიმით დაზნექილი ტოტები გაყინულ მიწას ეხებიან, ყინავს, გურამს სიამოვნებს სივრცე და სიცივე, უხარია რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. დიდი სიამოვნების ნიშნად მას ცხენივით ჩაფრუტუნება უყვარდა ხოლმე. ახლა თოვლში უქუდოდ მდგარს მომავალი საქართველოს პატარა მოქალაქის სახე უდგას თვალწინ და უსაზღვრო სიყვარულს თავისებურად გამოხატავს:

„გურამი დიდ დათოვლილ ხესთან მივიდა; თვალწინ ბავშვის ერთი ბეწო დაწითლებული სახე ედგა, რომელიც დილით აჩვენეს, მერე პატარამ გაიღიმა მის გონებაში. გურამმა ხელი დაკრა დაბლა დაწეულ ტოტს, ერთად ჩამოყრილ თოვლს შეუშვირა გახურებული შუბლი, ნელა მიაბრუნა გუნდებისაგან

გათეთრებული ხუჭუჭა თავი საჯინიბოსკენ და ჩუმად ჩაიფრუტუნა თავისთვის“.

ცხენებისადმი გურამ რჩეულიშვილის რაღაც განსაკუთრებული ვაჟკაცურ სიყვარულზე წერის დროს ყოველთვის მაგონდება გურამის შემოქმედების ერთ-ერთი პირველი შემფასებლის, გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის სტრიქონები.

მწერალი თავისი ახალგაზრდა მეგობრის საფლავთან დგას, მასში მწუხარე ფიქრების მთელ გამას იწვევს „...გურამ რჩეულიშვილის საფლავის ქვა, თბილისის გარეუბანში, ვაკის ძველ სასაფლაოზე“.

გიორგი შატბერაშვილი ყურადღებას ცხენსა და მარადიულ ქროლვაზე ამახვილებს:

„...ჭაბუკი მხედარი გაჭენებულ ცხენზე ზის. მხედარს საკინძე გახსნილი პერანგი აცვია. მარჯვენა ხელით გაფრენილი ცხენის აღვირი თუ ფაფარი უჭირავს, მარცხენით გაშლილი პერგამენტი თუ ქაღალდის გახსნილი გრაგნილი. საფლავის ქვის თავსა და ბოლოს მზე და მთვარეა ამოკვეთილი, აქა-იქ ვარსკვლავთა ყვავილებია მიმოფანტული. ცხენი ჰენებით მიჰქრის, მკერდი წინ.წაუგდია...

ჭაბუკი მზითა, მთვარითა და ვარსკვლავების შუქით განათებულ გზაზე მიაქროლებს თავის სალამურას. დიახ, ეს სალამურაა, ან თვირთვილა.

ძლიერ უყვარდა ჭაბუკს თავისი ურჩი სალამურა, უხედნი, ურა კვიცი“.

ასე ხატავს მწერალი უსასრულო „დროსა და სივრცეს შეჭიდებულ ჭაბუქს“, რომლის ქროლვა და წინსვლა დაუსაბამოა.

* * *

1956 წლის აგვისტოში ახალ ათონში ისვენებდა. 23 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში წერდა: „ახალი ათონი მშვენიერი აღგილია. მთა და ზღვა. რაც მე მინდა... ბიჭო! რო იცოდე

რა ლამაზი სახლი მაქვს, თავისი ფანჩატურით ზედ ზღვაზე, ნეტა შეიძლებოდეს ჩამოხვიდე... მე უმეტესად მოწყენილი დავდივარ. ხომ იცი უთქვენოდ მიჭირს. თან ზღვა აყენებს კაცს ნაღვლიან ხასიათზე“.

1956 წელსვე, აქვე ახალ ათონშია დაწერილი პატარა ნოველა „უკანასკნელი აბენსერანჟი“. აქ ფრანსუა შატობრიანის მოთხრობის სათაური გამოუყენებია. ნოველაში აღწერილია ყოფილი თავადების ჩამომავლის, ამჟამად კი მწყემსად მომუშავე აჩბას ცხოვრების ერთი დღე.

ეს ნოველა საინტერესოა იმითაც, თუ როგორ შემოჭრილა გურამის შემოქმედებაში აფხაზეთის თემა, რაც პირად წერილებსა თუ მოგონებებშიც ხშირად ჩანდა ხოლმე. ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1985 წელს გამოცემულ გურამის ერთტომეულში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“.

ნოველა „უკანასკნელი აბენსერანჟი“ საინტერესოა, ექსპრესიული და გურამის მრავალი დიდი თუ მცირე ნაწარმოების მსგავსად ბევრის დამტევი.

აფხაზი მწყემსი აჩბა მთებიდან ჩამოვიდა. იგი უკვე 31 წელია ცხოვრობს აფხაზეთის მთებში და მწყემსის ურთულეს პროფესიას მისდევს, რამაც ყველა ადამიანურ სიკეთეს დაშორა, ცივილიზაციას მოწყვეტილ ნახევრად გაველურებულ ადამიანად აქცია. „დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე ბარში დროს სატარებლად. ძალიან უყვარდა შამპანური, განსაკუთრებით მოსწონდა, როცა ბოთლსა ხსნიდნენ და საცობის გავარდნასთან ერთად ტკბილი, მათრობელა სითხე რომ გადმოსჩქეფდა ხოლმე. იგი ახლა სასმელზე და რუსის გოგოებზე ფიქრობდა.

თითქმის მთელი წელი საქონელს უდგა. ახლა მოსწყურდა დროსტარება და ბარად დაეშვა“.

მწერალს ასეთი მოთხოვნილება სრულიად ბუნებრივად მიაჩნია. მთელი წელი საქონელთან და ძაღლებთან გაატარა ადამიანმა, გარეთ ეგდო წვიმასა და ქარში, თოვლსა და ყინვაში, ხვატსა და პაპანაქებაში, ან ვინ შეუქმნიდა თუნდაც მინიმალურ ადამიანურ პირობებს, ვის ეცალა მისთვის და სხვების-

თვის, მხოლოდ გეგმა უნდა შეესრულებინათ, რომ მერე სახელი და დიდება სხვას შეხვედროდა, წართმეული ბედნიერება სხვას რგებოდა,

ბარად ჩამოსულმა მწყემსმა აჩბამ თითქოს მიაგნო თავის პატარა, მირაჟულ ბედნიერებას, ნანატრი შამპანურიც უხვად სვა და რუსის ქალის გაცნობაც მოახერხა.

კარგად შემთვრალი აჩბა ქალს უნდა შეხვედროდა. ამ დროს დაინახა, რომ მის ქალს ვიღაც ელაპარაკებოდა, „ამ უკანასკნელმა ხმას აუწია და რუსულად შეაგინა, მერე საცემრად მიიწია“. გაქანებულმა აჩბამ ძლიერი დარტყმით გააგორა თავისი მეტოქე, მაგრამ მას დაეხვივნენ და ცემით ლამის სიკვდილის პირამდე მიიყვანეს.

„იგი უკვე ვეღარ არჩევდა თავზე წამოხვეულ მოწინააღმდეგეებს. მერე დაიღალა, გადაწყვიტა უკან დაეხია, აქ თხრილში ჩაუვარდა ფეხი და წაიქცა.

— Бей его, დაიღრიალა ვიღაცა მთვრალმა და ყველაფერი აირია. აჩბა გრძნობდა, რომ ხვდებოდა წიხლები. მაგ: რამ არ ტკიოდა, სახეზე ხელები აიფარა.

— Наверно умер. — გაიმეორა იგივე ხმამ“.

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ასე უმოწყალოდ რუსმა დამსვენებლებმა დაბეგვეს „აფხაზეთის თავადების შთამომავალი“ თუმცა ცოტათი მეც ვეჭვობ და შეიძლება მკითხველიც და ქვდეს, აფხაზებიც ხომ არ ერივნენ ამ ველურ ცემატყეპაში, რადგან მარტო რუსები ამდენს ვერ გაბედავდნენ. თუ მხოლოდ წამოძახილი რუსული სიტყვები გვიბიძგებს რუსების მიერ ჩადენილი დანაშაულის დაჯერებისაკენ, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ ბევრი აფხაზი. თანაც სწორედ გუდაუოასა და ახალ ათონში, რუსებზე ნაკლებად არ ლაპარაკობს რუსულად.

მაგრამ ეს არ არის მთავარი და გადამწყვეტი. მთავარია ის, რომ რასაც არ უნდა წერდეს ახალგაზრდა მწერალი, ყველაფერი მის მიერ არის ნანანი და განცდილი. ყველა ეპიზოდისა თუ მსჯელობის უკან. ყველა გმირისა და პერსონაჟის გვერდით დგას ავტორი. რაშიც შეგვიძლია დავრწმუნდეთ თუკი მის პირადი წერილებსაც გადავხედავთ, რაც დღემდის შემოგვრჩა მე და ზოგიერთ მის მეგობარს.

აქვე, ზემოთმოყვანილ, 1956 წლის 23 აგვისტოს წერილში გურამი სხვა ამბებთან ერთად მწერდა: „ერთი კვირის წინ გოგიასთან ერთად ვიქეიფეთ (გოგიაც აქაა ჩემი ბინაშვილი) და აფნაზებმა მაგრა გვნაყეს ტყუილად. ეხლაც არ ვიცი რატომ. დანა მომიქნიეს, მაგრამ ხელით ავიცილე. მერე თარილში ფეხი ჩამივარდა. ზედ შემდგნენ და ისე მბეგვეს. ერთი ოცი კაცი მაინც იყო".

ხედავთ როგორი მსგავსი მომენტებია, ბევრი სცემს ერთს, სცემს უმოწყალოდ, იქაც და აქაც ფეხი თხრილში ჩაუვარდება ერთს და ბევრნი ველურებივით ზედ შესდგებიან.

იგივე 1956 წელს გურამი ზღვიდან, ახალი ათონიდან "წერილს უგზავნის ჩვენს საერთო ახლო მეგობარს დათო ღოღობერიძეს. ვრცელ წერილს ბოლოში აქვს მინაწერი. რაც მინდა მოვიტანო იმ შორეული წლების ახალგაზრდული განწყობილების გადმოსაცემად. თაბანის ერთ ფურცელზე გურამის მსხვილი, ძველი ქართულის მსგავსი ხელით მხოლოდ ეს არის დაწერილი, (მომაქვს ზუსტად, სიტყვების განლაგებაც კი):

„გწერს პატივისცემით
შენი
პატივისმცემელი
შენი
მეგობარი თავადი
გ. რჩეულიშვილი,
მთვრალი არყითა და მისი ფანჯრიდან
გადაშლილი, ზღვაში არეული არყის
ხეების სიმშვენიერით.
წელი 1956, თვე აგვისტო,
რიცხვი 1 სექტემბერი".

როგორც ჩანს, საკმაოდ ვრცელი წერილის წერა გურამმა წინა დღეს დაიწყო და 1 სექტემბერს დაასრულა ,ამიტომაა ერთად აგვისტო და სექტემბერი.

გურამი სხვა ამბებთან ერთად აქაც აფხაზებთან ჩხუბისა და მათთან რაღაც საოცრად დაძაბული განწყობილების შესახებ წერს:

„რაც აქა ვარ სულ სამჯერ მცემეს მთვრალი; ოთხჯერ გამოვედი ფხიზელი „დასტოინად“. ოღონდ ქვევიდან. რთული ხალხია, კბილებამდე არიან შეიარაღებულები რეაქტიული თვითმფრინავებით, ტანკებით, ატომური იარაღით (ხომ იცი ატომის საუკუნეა) ქვებითა და ბლაგვი, ჟანგიანი ჯაყვებით (ზოგიერთები განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან), აქვთ ხელკეტებიც და სხვა პირველყოფილი იარაღი (ქამრის ბალთების მსგავსი) აქა ვხურავ დიდ და პატარა ფრჩხილებს — შენ გახსენი“.

გურამი, რა თქმა უნდა, გროტესკულ და ჰიპერბოლურ სახეებს იშველიებს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი სიმართლესაც ზუსტად იყენებს, შექმნილ მდგომარეობას არ ალამაზებს, არ მალავს.

პირადად. მ. თითქმის ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი წერილებიდან აღვადგინე ის შორეული დღეები, ორი ხალხის წამომადგენლებს შორის უკონტროლო, ყოვლად დაუშვებელი დამოკიდებულება, ძალიg თავს მოხვეული ძმობის საწინააღმდეგო ოციდივები. ეს მიფუჩეჩებამ და უგულებელ ყოფამაც მიგვიყვანა 1989 წლის 15 ივლისის ტრაგედიამდე. რაც წარუშლელ ლაქად დააჩნდა ჩვენს სულიერ კ ოვრებას და ღრმად ჩაგვაფიქრა წლების მანძილზე დაშვება, უხეშ, გამოუსწორებელ შეცდომებზე.

წარმოუდგენელია იმის თქმა, რომ გურამ რჩეულიშვილს ვინმე განსაკუთრებით არ უყვარდა, რომელიმე ერის წარმომადგენელს პატივს არ სცემდა, რა თქმა უნდა, ვინც ამას იმსახურებდა. მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, როგორ უარყოფითად იყო განწყობილი ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთა დასაგმობი, მიუღებელი თვისებების მიმართ. ბუნებისა თუ ხასიათის ამგვარ გამოვლინებებს იგი ყოველთვის დაუნდობლად აკრიტიკებდა ხოლმე. გინდ ქართველი ყოფილიყო, გინდ რუსი, ოსი თუ აფხაზი.

იმ წლებში. მხედველობაში მაქვს ჩვენი სტუდენტობის წლები, არდადეგების უზრუნველ დღეებს თითქმის ყოველთვის ბაკურიანში ვატარებდით. ბაკურიანში დიდი რაოდენობით სახ-

ლობდნენ ოსები და არცთუ იშვიათად მათთან ჩხუბიც ხდებოდა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ოსების მჩრიდან სტუმარ-მასპინძლობის წესების დარღვევას, რომელიმე არყით ან ჟიპიტაურით მთვრალი ოსი აუხირდებოდა ქალაქელ სტუდენტებს, ან პირიქით მოხდებოდა შეჯახება და შემდეგ ატყდებოდა ვაი-უშველებელი, ცემა-ტყეპა, დახვედრა, დამალვა, შეხვედრის და შერიგების სცენები.

ამ ვითარების ერთგვარ გამოძახილად მეჩვენება 1956 წელს დაწერილი და დღემდე გამოუქვეყნებელი პატარა უსათაურო ნოველა. რომელსაც სათაურად პირობითად შეიძლება „რესტორანში“ ეწოდოს.

დაბის რესტორნად წოდებულ სასადილოში შედიან გურამი, გაგა და მეგობარი გოგონა.

„ოთახი გრძელი იყო და ვიწრო. ოთახის წინ დახლი იდგა. მოთეთრო ხალათიან დახლიდართან ერთად. შესასვლელში ექვსი მთვრალი ოსი იჯდა ოთხადგილიანი მაგიდის გარშემო და სვამდნენ. პირველად გურამი შევიდა, რატომღაც იფიქრა, რომ ჩხუბი მოუვიდოდა მაგიდის კუთხეში მჯდარ ოსთან; უკან გოგო მოდიოდა, მერე გაგა; რაღაც არ ესიამოვნა, არ ესიამოვნა ის, რომ ოსი დიდი ჩანდა და ჩაის ჭიქას თითებში მალავდა. „უეჭველად მომერევა, თან დაღლილი ვარ“, — გაიფიქრა, მერე გოგოს გადახედა: ის ოდნავ იღიმებოდა. „აქ რო მომერიოს, ამასთან სირცხვილია" ისევ გაიფიქრა. მერე კიდევ იფიქრა, რომ საჩხუბარი ივ სთან არაფერი ქონდა, არც იცნობდა, არც თვითოიცოდა ვინ იყო, მაგრამ სახე ქონდა იმას დიდი და ბოროტი. ზედიზედ კლიდა ჭიქებს უშნო. დიდი პირით“,

მეგობრები არაყს, ბორჯომს. ლიმონათს და საუზმეს უკვეთავენ. ოსები თავისთვის სვამენ. ჰაერში მაინც ჩხუბისა და დაძაბულობის სუნი ტრიალებს.

— „ახლა მაგ ოსებს ჰგონიათ, დროს ატარებენ. გურამმა ირიბად გაიხედა იქით სუფრისაკენ.

— მაგათი დედაც ვატირე.— გაგამ ბოთლის თავს შეხედა.

— რა საცემია არა? გაიცინა გურამმა.

— მეც სიამოვნებით დაგეგმარებოდით მაგაში, — სერიოზულად თქვა გოგომ“. ეს განწყობილება რაღაც წინა შემთჩვევების, დაძაბული დამოკიდებულების გამოხატვის ნიშნითაა აღბეჭდილი, სხვაგვარად უდანა მაულო კაცზე არაფერს იტყოდნენ. არც გურამი დაწერდა მსგავს პწკარებს. მაგრამ როგორც ვთქვი მიზეზები არსებობდა.

მეგობრები სვამენ და კამათობენ. ლაპარაკობენ მოპასანის, უფრო ჰემინგუეის შესანებ: იმ წლებში ჰემინგუეის ნაწარმოებების, მისი გმირების გავლენას ბევრი განიცდიდა და თითქოს საუბრისას ამ საკითხს არჩევდნენ.

შემდეგ კიდევ უკვეთავენ ოფიციანტს სასმელს.

„მე თვითონ ვერ ვიფიქრე, თქვა ხმამაღლა ოფიციანტმა, მერე ჩუმად დააყოლა; აქ კაცს ყველაფერი დაავიწდება.

— მაგას გონია, იმ ოსებზე უკეთესია. თქვა გაგამ, როცა ოფიციანტი წავიდა. გოგო იჯდა და ისევ ფანჯარაში იყურებოდა“.

ნოველის მიხედვით იმ დღეს არ მოხდა ჩხუბი, იყო კი მონაცემები ჩხუბის დაწყებისათვის. ახალგაზრდა მწერალიც პატარა ნოველის მანძილზე ოსტატურად გვძაბავდა. რომ შეიძლებოდა რესტორანში სმა ცუდად დამთავრებულიყო, მაგრამ ჩხუბი არ მოხდა.

გურამ რჩეულიშვილი აქაც და სხვაგანაც გრძნობს. ხედავს ხალხებს შორის დაძაბულობის დაწყების პროცესს, იმას, რაც წლებისა და დემოკრატიის შემდეგ ტრაგედიაში გადაიზარდა. ეს პატარა ნოველაც დღეს ამოვარდნილი ქარიშხლის დიდი ხნით ადრე შექმნილ საწყის პრელუდიასავით გაისმის.

მაგრამ სრულიად ბუნებრივ მოვლენად მოჩანს ისიც, რომ გურამი ყველა წესიერ, პატიოსან ადამიანს ერთნაირი პატივისცემით ექცეოდა რა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო. მას სურდა ადამიანებს შორის სიმშვიდე; დაძაბულობა კი სიკეთისა და სარგებლობის მომტანად არ მიაჩნდა. შინაგანად წესიერ ხალხთან ის უმალ პოულობდა საერთო ენას, უგებდა და თანატოლივით ექცეოდა.

ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად გავიხსენოთ 1956 წელს, გურამის შემოქმედებითი ცხოვრების პირველ ეტაპზე დაწერილი ნოველა „აქ კი თბილა“.

ქალაქის ერთფეროვნებას გამოქცეული ვაჟა ჯანდიერი, - გურამის ეს რეალური პროტოტიპი, მარტოდმარტო ჩავიდა ბაკურიანში. იმ წელს ბაკურიანში „დიდი სიცივეები იყო“. ორდღიანი ძებნის შემდეგ ვაჟა თბილ ოთახში მოეწყო, ოსების სახლში. სტუმარსა და მასპინძლებს შორის უცებ დამყარდა თბილი ადამიანური დამოკიდებულება.

მინდა აქ მოვიტანო საკმაოდ მოზრდილი დამახასიათებელი ნაწყვეტი: „ვაჟას სიამოვნებდა, რომ ცივ ოთახში მარტო გატარებული ორი დღის შემდეგ მის გარშემო თბილოდა, თან დედაკაცები, ოსურ-ქართულად ლაპარაკობდნენ... დიასახლისმა სუფრა გაშალა, კარადიდან არაყი გამოიღო.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში, თქვა ვაჟამ და ჭიქა დაცალა.

— კეთილი იყოს, თქვა დიასახლისმა.

— გაგიმარჯოს, — თქვა მეზობელმა, ღრძილები გამოაჩინა და გადაჰკრა, მერე ოცი წლის გაშორებული ქმრის ლანძღვას მოჰყვა.

ვაჟას არ ეხამუშებოდა მისი გაწეწილი, დამახინჯებული ქართული. დიასახლისმა ღორის ხორცი ჩამოარიგა. მოშივებულები გამალებით ჭამდნენ. ოთახში მხოლოდ პირის ტკაპატყუპი ისმოდა. „რა მადიანად ჭამენ“ — გაიფიქრა მან, მერე თვითონაც ცადა პირი ეტკაპუნებინა. შეუჩვეველს არ გამოუვიდა, ჩუმად განაგრძო ჭამა. გარშემო კი ისმოდა ტუჩების ტყაპუნი. ვაჟას უხაროდა, რომ ის მადიან გლეხ ხალხთან იჯდა და ოთახში თბილოდა. მეზობელმა თეფში მოლოკა, ისევ გაიღრიჯა და თითები გაიტლიკა. ვაჟამ მის მაგალითს მიბაძა. ყველამ გაიცინა.

— ნამდვილი ოსის ბიჭია, — თქვა მოსულმა.

— აბა, ქალო, სულ არ იპრანჭება, — თქვა დიასახლისმა.

პატარა ბიჭი ახლო მივიდა მასთან, გამხდარი ხელი გადახვია. ვაჟამ პაპიროსი გააბოლა“.

გურამი პატივს სცემდა რუსეთს, რუსულ კულტურას, რუსულ მწერლობას, უყვარდა ბლოკი და ესენინი, ტოლსტოი და დოსტოევსკი, ხშირად შემოქმედებითი მუშაობისათვის რუსეთისკენაც კი უწევდა გული, მაგრამ მისი წარმომადგენლების ნაკლს არასოდეს ფარავდა, ყოველგვარ სიმახინჯეს ამზეურებდა, სხვების დასანახავადაც ხდიდა, რაც ჭეშმარიტი მწერლობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და გურამს, მწერლობაში სიმართლის, ჭეშმარიტების, ვაჟკაცური სულის დამამკვიდრებელს, სხვანაირი მოქცევა არაფრით არ შეეძლო.

გავიხსენოთ როგორი მკვეთრი, დაუნდობელი ფერებით დახატა მან მოღალატე რუსის ქალები მეუღლეები — ნოველებში „მოხუცებული“ და „კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ“,

პირველ ნოველაში გურამი ცდილობს ფსიქოლოგიურად ახსნას და ადამიანური გამართლების თუნდაც მცირე ნაწილი მაინც მოუნახოს მოღალატე ცოლს: ვალენტინა ახალგაზრდაა, ევგენი პროკოფიევიჩი კი ბებერი, ჩვიდმეტი წლის გოგო ცოლად გაჰყვა ორმოცდათხუთმეტი წლის კაცს. წლებმა ეს ზღვარი კიდევ უფრო გაადიდა. ქალი აქ მარტივი, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ფორმულებით მსჯელობს — „ის ბებერია, მე კი სიცოცხლე მინდა“.

ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ ამ ქალებს თითქოს სისხლში აქვთ ჩაქსოვილი ღალატის გრძნობა. ეს კი ისეთი კატეგორიაა, რისი უგულებელყოფაც არ შეიძლება.

თუ პირველ ნოველაში ქმარი“ მოხუცებულია, მეორე ნოველაში ქმარი ახალგაზრდაა, ლამაზიც და ძლიერი მამაკაციც, „ამაყი, შეკრული სახის“.

გავიხსენოთ ნაწყვეტები ნოველის დასაწყისიდან „კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაში ყვებოდნენ“,

„გაზაფხულის დასაწყისში ლერმონტოვის ქუჩის თავში, სადაც სითბოსთან ერთად იფურჩქნებიან სურნელოვანი იასამნები და ფანჯრის გაღებისთანავე ავსებენ თავიანთი არომატით ოთახს, დასახლდა მოსკოვიდან ჩამოსული ახალგაზრდა

ცოლ-ქმარი. ქმარი იყო ლამაზი, არისტოკრატიული გარეგნობის ვაჟ კაცი. ლეიტენანტის ჩინით... ასეთი შესაფერისი და მშვენიერი წყვილი ამ ქალაქში არასოდეს ყოფილა... მეზობლებმა ჭორაობის დროს გადაწყვიტეს, რომ ეს სამაგალითოდ შესაფერისი გარეგნობის ცოლ-ქმარი ერთმანეთს არასოდეს უღალატებდა...“

მაგრამ მაინც მოხდა მოსახდენი, ლამაზმა, ახალგაზრდა. ათქვირებულმა ქალმა უხეშად. უსინდისოდ უღალატა თავის ლამაზ ქმარს, თანაც ვისთან - „შავგვრემან. მოძრავთვალებიან, შეშინებულ კაცთან“.

ასეთი ბინძური ღალატის პატიება ყოვლად შეუძლებელი იყო, ჯერ ქმარმა დასაჯა მოღალატე ცოლი, სახლში მოიყვანა მსუბუქი ყოფაქცევის. 20-30 წლის ქალი და სმის შემდეგ. ცოლის თვალწინ, მეზობელ ოთახში სტუმართან დაწვა, მწერალმა კი ქმრის მოღალატე ცოლი ყოველგვარი სიმკაცრის უმაღლესი საზომით დასაჯა:

„ნიკელის საწოლის თავზე ფეხებმოკუნტული, ხალებიან პირსახოცზე ეკიდა ჩამომხრჩვალი მისი მეუღლე“.

ძალიან ძლიერი, სულის შემძვრელი ნოველაა, ღალატისა და არაადამიანური ქცევის უარყოფისაკენ მიმართული. ახალგაზრდა მწერალი ამ მძიმე ფაქტებს ანზოგადებს, მხატვრული ზემოქმედების ძალას ანიჭებს, რომ სხვებზე მაინც იმოქმედოს ამგვარი მაგალითებით.

1956 წელს არის დაწერილი პატარა ნოველა „რუსის გოგონა ზღვაზე“. ოცდაორი წლის ბიჭი უკვე აღიქვამს ბევრ ისეთ ნიუანსს, რაც მაშინ დაფარული იყო და რამაც შემდეგში გაცილებით მკვეთრად, სრულად, რელიეფურად იჩინა თავი.

ზღვაზე დასასვენებლად ჩასული რუსი გოგონა ანიუტა სამგზავრო კაპარჭით ბრუნდება პატარა ნავსაყუდში. იგი უაღრესად კმაყოფილია იმით, რომ სოხუმში ლამაზი შავულვაშებიანი ქართველი ბიჭი სიყვარულში გამოუტყდა. მას ეს ბიჭი დიდი ხანია მოსწონდა. მეორე ცისფერთვალება თბილისელმაც გადაუშალა გული.

მეტი რა უნდა სიცოცხლითა და ვნებით სავსე ახალგაზრდა რუსის გოგოს. მას მეტისმეტად იზიდავს ეს მხარე, „ამ მხარის

ჭაბუკები, მაღალი, დიდი შუბლითა და ლამაზად დაყენებული ულვაშებით“. იგი თბილადაა განწყობილი თითქმის ყველა ქართველი ბიჭის მიმართ, მზად არის არავის არ უთხრას უარი გაცნობაზე, არ აწყენინოს.

ანიუტას ხვდება ნაცნობი „ულაზათო, ცხვირაპრეხილი“ რუსის გოგო. რესტორნიდან გამოსული ბიჭების გაბედული კომპლიმენტისთანავე ანიუტა და მისი თანამოსაუბრე გოგონა დაუყოვნებლივ ავლენენ რუსულ ხასიათს, ცდილობენ ყველაფერი ქართველებს მოახვიონ თავს, თვითონ რომ გამომწვევად იქცევიან და პირიქით ყველაფრის უფლებას აძლევენ ბიჭებს ამას აინუნშიაც არ აგდებენ:

„საშინელი უზრდელები არიან“, — ცხვირაწევით თქვა გოგონამ, რომელსაც ყურადღება არ მიაქციეს.

— „აბა, აბა, — დაემოწმა ანიუტა და იმწამსვე მკაცრი სახე მიიღო. სოხუმშიაც არ მასვენებდნენ, ველური ხალხია პირდაპირ, გაუზრდელი... (ოღონდ აქ არ ჩანს ვის იხსენიებენ ასეთი დაფარული ეროვნული ზიზღით ქართველებს თუ აფხაზებს; ალბათ ორივეს ერთად — ნ. წ.).

— ამბობენ რუს გოგოებს არ ასვენებენო, მართალია?

— კი, კი, მე თვითონ ვიცი შემთხვევები, საშინელი ველური ხალხია, უცერემონიო,

აგარაკის ბაღში ბიჭები ნელი სიმღერიდან გურულ „დელიოდელაზე“ გადავიდნენ, ვიღაც კრიმანჭულს ახვევდა.

— ტურებივით ჰკივიან, თქვა ისევ მეორე გოგონამ.

— მართლაც არავითარი სმენა და მელოდიის გრძნობა არა აქვთ...

...რაც გინდა იყოს, უხეში ხალხია“.

ასე აგინებენ საქართველოს, ქართველ ბიჭებს, რომლებზედაც თვალი რჩებათ და ყოველ წუთს თავად აძლევენ საბაბს გამოელაპარაკონ და ნაცნობობის გაგრძელების რეალური ვარიანტებიც მონახონ.

ნაცნობს დაცილებული ანიუტა სულ ცოტა ხნის შემდეგ ტირში გაიცნობს ქართველ ბიჭს, რომელიც სროლისათვის მის მაგივრად იხდის ფულს, პატიჟობს გაზიან წყალზე. „ანიუტას აშკარად მოსწონდა ბიჭი“, მან აღმართზე ხელკავიც გამოს— დო

უცნობ ვაჟს და ერთად წავიდნენ მე-3 სანატორიუმისაკენ თუ სხვა ადგილისაკენ, ეს უკვე აღარ ჩანს. ნოველა აქ წყდება, მაგრამ სათქმელი უკვე ნათქვამია და ჩვენც სხვა მოტივებს შორის ნათლად ვხედავთ რუსების მხრივ ის მიუღებელი განწყობილება. ის არასწორი, უტაქტო დამოკიდებულება, რა საც უკვე ჰქონდა ადგილი და რასაც ხაზს უსვამდა ახალგაზრდა მწერალი. დღეს როგორ აშკარად გადმოიფრქვა საკავშირო პრესის ფურცლებიდან თუ სატელევიზიო გადაცემებიდან.

აქ აღნიშნული ნოველის „რუსის გოგონა ზღვაზე“ კითხვისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ნოველის ბოლოს მინაწე. რასაც საერთოდ აკეთებდა გურამი და მომავლისთვის იტოვებდა თავის ნაფიქრალს დღიურის ერთგვარი სახეცვლილი ფორმით თუ პირადი ჩანაწერების სახით.

ამ პატარა. ხუმრობაგარეულ მინაწერშიც კი ჩანს. როგორ შრომობდა 21-22 წლის ბიჭი. როგორ სჭირდებოდა საკუთარ თავთან ჩაღრმავება. შინაგან ფიქრებსაც კი როგორ უზიარებდა უსაყვარლეს დედას:

„ხელს მიშლიან ჯურხა და ნოდარი. მივდივარ.

1—145, დედა აღარ მაცალეს“.

საერთოდ რუსულ თემას ხშირად ვხვდებით გურამის შემოქმედებაში, ადრე ამ თემას სულ სხვა თვალით განვიხილავდით, მხოლოდ კარგის აღნიშვნა შეგვეძლო, დიდი ერის წარმომადგენლებზე უარყოფითის თქმას ვინ გაბედავდა. თუ გაბედავდა ვინ დაბეჭდავდა?

დღეს უკვე სხვა თვალით ვუყურებთ ცხოვრებას და ვცდილობთ საგნებს საკუთარი სახელი დავარქვათ. ნაწარმოები გავიგოთ ისე, როგორც ქონდა მწერალს ნათქვამი და ჩაფიქრებული.

ზემოთ დაყენებული საკითხის საილუსტრაციოდ მინდა მოვიტანო ნაწყვეტი ნოველიდან „პირველად ტრამალებში".

ვაჟა ვაგონში გაიცნობს ახალგაზრდა რუსის გოგონას ვალია გრაჩოვას. ხალხი იძინებს, კუპეში ჯდომა ძნელდება, ვაჟას ახალგაცნობილი სანდომიანი გოგონა ტამბურში გაჰყავს.

„... გოგონა სახელურს ჩაეჭიდა, კიბეზე ჩამოჯდა. ვაჟამ უხმოდ მიბადა. ისევ შეხვდნენ მათი მხრები ერთმანეთს. ისევ იგრძნო ქალის სხეულის სითბო ვაჟმა. მან ხელი ნელა დაადო მხარზე, შემდეგ ქვევით ჩამოიტანა. გათამამდა. ახლა წელზე მოხვია და მიიკრა. ღამე ტრამალებში გრილოდა. გოგოს შესცივდა. ოდნავ აცახცახდა. ვაჟამ კიდევ უფრო მიიკრა. გოგო მიჰყვა. ერთხანს ასე ისხდნენ“.

ის რაზედაც რუსები ლანძღავდნენ ქართველებს, თამამები და ველურები არიან. ქალებს აძალებენო, სინამდვილეში რუსი ქალების თანხმობით და გამოწვევით იწყება. ვალია გრაჩოვა აქ ეხუტება ვაჟას და ცოტა მეტი დრო რომ ქონოდა არფერს დაიკლებდა, ამ დროს მას სადგურზე, როგორც ჩანს, საქმრო ელოდება:

„ჩქარა ”მატარებელი დაიძრა. გოგონა ცხვირსახოცს უქნევდა. შემდეგ ვიღაცის დაძახებაზე მობრუნდა და ქერათმიან ვაჟს კისკისით მაგრად ჩამოართვა ხელი. ვაჟა იდგა კიბეზე და ხედავდა: ქერათმიანმა ვაჟმა ფუთა აიღო, ვალიამ ხელკავი გაუკეთა, ისე წავიდნენ მანქანისაკენ“. — მართლა ზუსტი ცხოვრებისეული სურათია,

1956 წლის 23 აგვისტოს (4 წლის შემდეგ გურამისათვის ტრაგიკულ 23 აგვისტოს) გურამმა წერილი გამომიგზავნა თბილისში. ამ წერილიდან ნაწყვეტები ბევრგან მოვიტანე ჩემს წიგნში და აქაც მინდა გავიხსენო ერთი ნაწყვეტი. გურამი თითქმის დაწვრილებით ამიწერს ახალ ათონში დასვენების დღეებს, ზოგიერთ ამბავს თავისებური ღრმა იუმორით ავსებს, სასიამოვნო განწყობას ქმნის. იგი მწერს:

„ჩემთან ერთი კვირით სტუმრად იყო ჯურხა (გურამის სტუდენტობის მეგობარი, ცნობილი ქართველი არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე — ნ. წ.). აქ ყოფნისას რამოდენიმე გენიალური აზრი მოუვიდა. ერთი რუსების შესახებ: „რუსები არიან ცივილიზაციის სანაგვე ყუთში ამოთხვრილი, გამაიმუნების გზაზე დამდგარი ადამიანები“ და სხვა. ამ აზრზე დააყენეს რუსმა ქალებმა საცურაოზე პომიდორის ჭამის დროს“.

მიუხედავად იუმორისა და მეგობრის აზრის ასეთივე კონტექსტში ხმარებისა, გურამი მაინც აკრიტიკებს ადამიანების ყოველ მიუღებელ თვისებებს.

* * *

საერთოდ ამ ვრცელ თემაზე იმდენი რამის გახსენება შეიძლება. ალბათ მთელი წიგნიც არ ეყოფა. იმ დაუვიწყარი წლების ჩემს დღიურებში ერთ ჩანაწერს შევხვდი და ისიც მინდა გავიხსენო.

საღამო ხანს მე და ნოდარმა გურამს გავუარეთ. ის იჯდა თავის პატარა ოთახში და კითხულობდა. გვითხრა აქვე ნაცნობ მწერალთან უნდა წავიდე, რომელსაც გაუგია „ცისკარში“ გამოქვეყნებული ჩემი ნოველების შესახებ და ძალიან უნდა რომ თარგმნოსო.

ჩვენც წავყევით. ის მწერალი თუ მთარგმნელი ტოლია "ჩერნიახოვსკი არბატზე ცხოვრობდა. ორი ამხანაგი სწვეოდა, სახელდახელო სუფრაც იყო გაშლილი ერთოთახიანი ბინის ფანჯარასთან. მაგიდაზე ელაგა გახსნილი თევზის კონსერვი, ქაშაყი, მოხარშული კარტოფილი, არაყი და ლიმონათი.

ჩვენც მიგვიპატიჟეს. სულ ერთი ბოთლი არაყი ჰქონდათ და ერთიც პორტვეინი. ეს ამ ექვს კაცს ყელის ჩასასველებლადაც არ გვეყოფოდა, ამიტომ მე და ნოდარი გამოვედით, იქვე ახლოს მდებარე გასტრონომში უხვად შევიძინეთ სასმელი. სანოვაგე და დაბრუნებულებმა თვალებგაბრწყინებული რუსების წინ სუფრაზე დავალაგეთ. დღევანდელ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს

კიდეც ასე უცებ სასმელი და სანოვაგე როგორ იყიდესო. იმ წლებში ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, თუ ფული გედოთ ჯიბეში. ყველგან იყიდებოდა ღვინო, არაყი. კონიაკი, ათეული დასახელების ცხლად თუ ცივად შებოლილი თევზი, დოში, წითელი და შავი ხიზილალა, თანაც რიგების გარეშე. „2 დროს შავი ხიზილალა ასოთხმოცი-ორასი მანეთი ღირდა, ანუ დღევანდელი თვრამეტი-ოცი მანეთი. ეს მაინც დიდი, მიუღწეველი თანხა იყო ჩვენთვის და ამის გამო ხიზილალას წლიდან-წლამდე იშვიათად სადმე თუ გავსინჯავდით ხოლმე.

საჭმელ-სასმელის ეს მცირე ისტორიულ-ლირიკული ექსკურსი აქ იმიტომაც გავაკეთე, რომ ერთხელ კიდევ მეთქვა როგორ უკან-უკან წავიდა საქმე და როგორ საოცრად გაფუჭდა ცხოვრება, ახლა მთელი მოსკოვი რომ შემოიარო, ბოთლ არაყსაც ვერ იყიდი, დოში და ხიზილალა კი მხოლოდ წიგნებში შემორჩა, გასტრონომში მათი ხსენებაც აღარ არის.

აქ გამახსენდა ერთი სასაცილო თუ სატირალი შემთხვევა.

მე და ცნობილი ქირურგი რომან პირტახია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ მოსკოვში ჩამოვედით. თბილისისკენ მატარებლით მოვდიოდით.

ყველა სიკეთით გავსილი და გაჭედილი გერმანიის ქალაქებისა და მაღაზიების შემდეგ მოსკოვი ომის დროინდელ ქალაქს გავდა. ცარიელი დახლები, გრძელი რიგები, ბევრ ადგილას გასტრონომებში სურსათის ნაცვლად კოოპერატივების მიერ შეტანილი საოცრად დაბალი დონის მანუფაქტურა, გადასაყრელი სიგარეტები, პირდაპირ ქუჩებში ვაჭრობა და სხვა ატრიბუტები დამთრგუნველ გავლენას ახდენდა.

მატარებლით თბილისამდე თითქმის ორი დღე უნდა გვევლო. სამგზავროდ სანოვაგის შოვნა აქა-იქ მოვახერხეთ. მერე გადავწყვიტეთ ერთი ორი ბოთლი მოსკოვური არაყიც გვეყიდა გზაში გართობის მიზნით, მითუმეტეს რომ მე კბილის ძლიერი ტკივილის გამო მთელი ღამე არ მეძინა.

წამოსვლის წინ რომანს სკოლისა და ბავშვობის მეგობარმა გამოუარა, რომელიც დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობს და ძალიან გავს უცხოელს. დევი ადრე მოვიდა და ჩვენ ვუთხარით, რომ გზისთვის ერთი ბოთლი არაყი გვინდოდა გვეყიდა. გაიცინა, თუ იშოვითო.. მე ვიცი ადგილი. სადაც მუდამ იყიდება, აგვისტოში ვიყავი და სავსე იყო-მეთქი. ის აგვისტოში იყო, ახლა კი ოქტომბერია და საერთოდ არ არისო. არ დავუჯერეთ. ათობით გასტრონომი ჩამოვიარეთ. არსად არაფერი არ იყო. ერთგან ჩვენს მჟავე „ვაზისუბანზე“ გრძელი რიგი იდგა.

დევი ეშმაკურად იღიმებოდა. ჩვენ ჩავიქნიეთ ხელი და წამოვედით კურსკის ვაგზალში. დევიმ მანქანა გააჩერა. გადმოვედით” და იქვე ახლოს მდგარ ბარგის მზიდავებს ხელი დაუქ-

ნია. ერთი მათგანი მოვიდა, ჩვენ გვეგონა ბარგისათვის დაუძახა, დევიმ კი ამოიღო ფული, მისცა მებარგეს და უთხრა სასწრაფოდ არაყი მომიტანეო, მე და რომანი პირდაღებულები გავჩერდით. ხუთი წუთის მერე ბარგის მზიდავი დაბრუნდა და პარკით არაყი მოიტანა. თითოეულ ნახევარ ბოთლში 25 მანეთი აეღო, ეს კიდევ არაფერი, თურმე იაფად გამოვსულვართ. საღამოთი არყის მაზანდა მაღლა იწევს, 30 მანეთამდე. შედარებით გვიან ღამით კი ნახევარი ბოთლი თურმე 35-40 მანეთი ღირს. ვერ იქნა და ამ საკითხსაც ვერ მოუარეს.

ვუბრუნდები ჩვენს სუფრას, სადაც ჩვეულებრივ სმა და სადღეგრძელოები გაჩაღდა. რაც რამოდენიმე ჭიქის შემდეგ კიდევ უფრო გახურდა. ვრცელი გახდა, ლაპარაკში ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ყველა ცდილობდა ორიგინალური აზრები გამოეთქვა, განსაკუთრებით რუსები. ფაქტიურად კი სუფრას გურამი ხელმძღვანელობდა.

მერე როცა სამშობლოს სადღეგრძელომდეც მივედით, კარგად მახსოვს გურამმა თქვა: გაუმარჯოს თქვენს დიდ სამშობლოს და გაუმარჯოს ჩვენს პატარა, მრავალტანჯულ, ათეულობით საუკუნის ისტორიის მქონე სამშობლოს, რომელიც ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარსო.

ამ სადღეგრძელოზე ერთი რუსი მოულოდნელად ახტა, ჩვენ ერთი, განუყოფელი სამშობლო გვაქვს დიადი საბჭოთა კავშირი და შენ ცალ-ცალკე რატომ სვამ, თან ერთი ციცქნა საქართველოს უფრო წინ აყენებო. მთვრალმა რუსებმა ხელად დაუჭირეს მხარი პროტესტის ავტორს.

გურამმა უთხრა: ვისაც საკუთარი სამშობლო არ უყვარს, იმას არც სხვისი ეყვარება, რუსებს კი ის უდიდესი ნაკლი გაქვთ, რომ ყველა კუთხეს თქვენს სამშობლოდ და საკუთრებად თვლითო.

ამაზე სულ გადაირივნენ, განსაკუთრებით ერთი რუსი — სახელად ევგენი, რომელიც მეგობართან სალაპარაკოდ უკვე კარგად შეზარხოშებულ მდგომარეობაში იყო მოსული და აქ სამასი-ოთხასი გრამი არყის ხარბად გადაყლურწვის შემდეგ უკვე ბარბაცისა და გაპობის პირამდე იყო მისული.

ევგენიმ ბოროტი გამომეტყველებით გადმოქაჩა თვალები და გურამს უთხრა: ათასობით ნაკლის გარდა, ქართველებს ის დიდი ნაკლიც გაქვთ, რომ უმადურები ხართო, მე კარგად ვიცნობ ქართველებს, ბევრი მეგობარი მყავს და ძალიან ცუდი არის ის, რომ ყველა თქვენსავით აზროვნებსო. ჩვენ დაგიცავით, ფიზიკურ განადგურებას გადაგარჩინეთ, ჩვენს ფრთებ ქვეშ მოღონიერდით, ჩვენს პურს ჭამთ და ახლა კიდევ ჩვენს მიმართ პრეტენზიებსაც აყენებთო. ჩვენ ჯერ ისიც არ დაგვიწყებია იმ ხალხის მოღალატე, ჯალათი სტალინის გულისათვის რაც ჩაიდინეთ თბილისში და თქვენ კიდევ აქ რა სისულელეებს ლაპარაკობთო.

სამივე სტუმრად მისული დავიბოღმეთ და წამოვჭარხლდით. ერთი სული გვქონდა ამ გადებილებული პიროვნებებისათვის გვეთავაზებინა, მაგრამ ქუჩაში ხომ არ ვიყავით, გვერდით ოთახებში მეზობლები იყვნენ და არ გვინდოდა მიზეზი მიგვეცა სალაპარაკოდ — ქართველები ისე დათვრნენ, რომ ჩვეულებისამებრ ჩხუბი ატეხესო.

გურამმა ევგენის უკვე აღშფოთებული სახით შეხედა და უთხრა: ის ქართველი შევარცხვინე ვინც შენთან ან შენს მსგავსებთან იმეგობრებსო. თქვენ ფიზიკურ განადგურებას კი არ გადაგვარჩინეთ, ძალით დაგვიპყარით, ასი ერთს მოერიეთ, უამრავი სასირცხვილო, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისათვი სრულიად შეუფერებელი საქციელი ჩაიდინეთ და წალკოტივით აყვავებული კუთხე გააუბედურეთო. თქვენი პურის საჭმელი ჩვენ რა გვქონდა, პირიქით, გაგვცალეთ, გაგვქურდეთ, რომ მანეთში დაბრუნებული კაპიკიც დაგეყვედრებინათო. ახლა რომ ჯალათს უძახით, ოცდაცამეტი წელი სტალინის მზეს ფიცულობდით, მისი მონობა თქვენთვის უმაღლესი ბედნიერება იყო, მისი ჯალათობა იმან განაპირობა, რაც თქვენგან ისწავლა, თორემ საქართველოდან რომ წამოვიდა პოეტი იყოო. ცხრა მარტსაც რომ იხსენებთ თქვენ, როგორც ყოველთვის, გეშლებათ, ხალხი სტალინს კი არ იცავდა, საქართველოს და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელებს უტევდა, რადგან ყველა ქართველში სტალინსა და ბერიას ხედავთო.

აქ, თუ არ ვცდები, მწერალ-მთარგმნელი ჩერნიაზოვსკის ჩაერია: გურამ, სწორს არ ამბობ, თქვენი მეფე არ იყო, რომ ეხვეწებოდა რუსეთის იმპერატორს შემიერთე და დამიცავითო, ყველაფერს რომ თავი დაანებო გეორგიევსკის ტრაქტატს რას უშვებიო?

— ჩვენი მეფე კი არ ეხვეწებოდა, თანასწორ მოლაპარაკებას აწარმოებდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო და არა ხელქვეითი, — მიუგო გურამმა. თქვენ საერთოდ არ იცნობთ ისტორიას, ან როგორც რუსებს სჩვევია, აყალბებთ, თქვენს სასარგებლო ინტერპრეტაციას აძლევთო, მოკავშირეობის ხელშეკრულება თქვენ ფეხქვეშ გათელეთ და ძალის პოლიტიკით დაიპყარით გაცილებით მცირერიცხოვანი ხალხი, რასაც რუსების წინააღმდეგ უთვალავი დიდი თუ მცირე აჯანყება ადასტურებს, ასეთ მოქმედებას კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ დამპყრობლები და ოკუპანტები ჩადიანო.

— ე. ი. თქვენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ ჩვენ დამპყრობლები და ოკუპანტები ვართო, — ერთად წამოიქოჩრნენ ედმეტად მთვრალი ბიჭები.

— ოკუპანტები იყავით და ოკუპანტებად დარჩითო, მიახალა უკიდურესად გაბრაზებულმა გურამმა, ერთხელაც დაგვიპყარით და მეორედაც დაგვიპყარით 1921 წელს, როცა კვლავ ძალისმიერი პოლიტიკით მოახდინეთ თავისუფალი საქართველოს ანექსია, მაგრამ რამდენიც არ უნდა გელაპარაყოთ მაინც ვერაფერს გაიგებთ ისე ხართ მოწამლულები. ახლა აქ ძალის მეთოდი ვერ გაგივათ, სამი ვართ სამზე, მაგრამ ესენიც რომ არ იყვნენ, მარტოც ისე დაგნაყავდით სამივეს, ერთმანეთს ვეღარ იცნობდითო. თქვენი ბედი, რომ სახლში ვართ, (თორემ გარეთ ვერ გადამირჩებოდით და საერთოდ გაფრთხილებთ თუ სადმე შემხვდებით დაიმალეთ, თორემ კბილებს დაგამტვრევთო.

შეშინებულ რუსებს ყბები დაუგრძელდათ და ლაპარაკის გაგრძელებას ვეღარ ახერხებდნენ.

— წავიდეთ ბიჭებო, გვითხრა გურამმა, ამ მათხოვრების არც თარგმანი მინდა, არც არაყი და საერთო ჰაერიც კიო.

ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო სამმანეთიანი და მაგიდაზე დაადგდო, — ეს თქვენი არაყი რომ დავლიეთ პირველი ბოთლი, იმისია, თქვენი სასმელის წვეთიც არ შეგვერგებაო, — უთხრა ყოფილ ნაცნობსა და მის შოვინისტ ამფსონებს, შემოვტრიალდით და დაუმშვიდობებლად წამოვედით.

ორი თუ სამი დღის მერე მწერალთა კავშირის რესტორანში ლუდს ვსვამდით. ვხედავ ტოლია ჩერნიახოვსკი შემოვიდა იმ სუფრაზე მყოფი ერთ-ერთი მეგობრის თანხლებით. რაღაც მხიარული სიცილით მოდიოდნენ, ეტყობა ისევ გადაკრულები იყვნენ, გურამი რომ დაინახეს სახეზე სიცილი შეეყინათ, დაბნეულები შეჩერდნენ, მერე მიტრიალდნენ და მთვრალი კაცის ფაცაფუცით გავიდნენ გარეთ.

ჩერნიახოვსკის, როგორც ჩანს, გულმა არ მოუთმინა, ათიოდე წუთის შემდეგ შემოვიდა, მოვიდა ჩვენთან და გურამს უთხრა: დამნაშავე ვარ, თუ გინდა მაგრად მცემე, ოღონდ მაპატიე, ძალიან დავთვერით და ჩვენი სულელური ლაპარაკი ვეღარ მოვზომეთო. გურამმა უთხრა: არც შენი შერიგება მინდა, არც შენნაირის ცემა, არც შენი ნაცნობობა, თავი გამანებეო. ამის შემდეგ ჩერნიახოვსკისათვის მე თვალი აღარ მომიკრავს.

ოცდათორმეტი წლის წინანდელმა დღიურმა ასე გამახსენა მის ოთახში გატარებული უსიამოვნო საღამო და გურამის სწორი, იმ დროისათვის ჯერ კიდევ საოცრად გაბედული ლაპარაკი. მაშინ ბევრი რამ ჩემთვისაც ახალი, ან ბოლომდე ღრმად გასაგები ვერ იყო.

გურამს აქვს ერთი პატარა სამგვერდიანი ნოველა, რომელსაც ასეთი ორმაგი და ზუსტად მიმანიშნებელი სათაური აქვს: „ოპერა გამოვიდა (სხეულით მოვაჭრე დედაკაცები“). იგი ზოგიერთ სხვა გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებთან ერთად გადმომცა მარინე რჩეულიშვილმა, როდესაც გურამის დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით ვამზადებდი კრებულს „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“. ცენზურის მაშინდელი მძვინვარების გამო ეს და სხვა არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები ვერ ეღირსა გამოქვეყნებას. ისინი დღის სინათლეს ალბათ სა-

ბოლოოდ იხილავენ მარინეს მიერ მომზადებულ გურამის ნაწარმოებების აკადემიურ გამოცემაში, რისი გამოცემაც რამოდენიმე ტომად არის მოფიქრებული ღრმად ვარ დარწმუნებული, დიდ სიხარულს მიანიჭებს ქართველ მკითხველს.

დაწერილია ნოველა 1956 წლის 30 ოქტომბერს, მაშინ გურამი 22 წლის ასაკს ოდნავ იყო გადაცილებული.

ნაწარმოებს წინ პატარა შესავალი აქვს და შემდეგ იწყება ამბავი. თხრობა ბევრ ადგილას ღრმა ფსიქოლოგიური ხედვით არის გადაწყვეტილი. ერთი საღამოს ფონზე ნაჩვენებია ორი მეძავის უბედური ცხოვრება.

ოპერის თეატრში დამთავრდა სპექტაკლი, გარეთ ცივა. „ამ შემოდგომას ადრე დაიჭირა ყინვები“,

ხალხი ტროლეიბუსისა და მანქანებისაკენ მიეშურება, ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. ორი ქალი კი მუშ-. "ტარს ელოდება.

— „არავინ მოდის, — უთხრა გაჩერებასთან მდგარმა დანაოჭებულსახიანმა ახალგაზრდა რუსის ქალმა თავის მეგობარს.

— ჯერ ყველანი არ გამოსულან, დააიმედა უკვე ხანში შესულმა გამხდარმა ვალიამ და თვალზე ახვეული მარლა გაისწორა“.

დგას ეს ორი რუსის ქალი ამ სიცივეში, გამვლელი ბიჭები ეხუმრებიან. დასცინიან, რადგან ისინი მათთვის მხოლოდ ქუჩის სხეულით მოვაჭრე დედაკაცებს წარმოადგენენ.

— „როგორ მიდის ნადირობა. ჰა?“

შემდეგ ისინი მსახიობთა გამოსასვლელთან დგანან, ღიმილად იფრქვევიან, ერთ-ერთი მომღერალი მეორე დღის ხუთ საათზე იბარებს ქალებს.

ვალია და გალია „რუსთაველის კინოსაკენ გაემართნენ“. თანაც დაბალ ხმაზე „რუსული სიმღერის ღიღინით“ მიდიან. ლაპარაკობენ თავის სატკივარზე, რომ მათ კლიენტ შოფერს ნამდვილად ჰქონდა დაავადება და ახლა სხვასაც გადაედება, თუმცა ამას არაფრად აგდებს გალია და ვალიასაც უბიძგებს ბილწი საქმისკენ.

როგორც ვთქვი, ახალგაზრდა მწერალი ხატავს რიგითი რუსი ქალების ცხოვრების ერთ საღამოს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ მათი ყველა საღამოც და მთელი ცხოვრება ამ საშინელი დონისაა. გამოსავალი არსად არ ჩანს, ერთ-ერთ ქალს იმის ფულიც კი არ აქვს, დაავადება მოირჩინოს. გაბოროტებული. ვნებადაცლილი და ხელჩაქნეული ქალი იმის კენაც აშკარად უბიძგებს მეგობარს, რომ სხვა სულიად უდანაშაულო დააავადმყოფოს,

საშინელი, გულის გამყინავი ადგილები აქვს აღწერილი გურამს, აქ რუსი მეძავების მძიმე ფსიქოლოგიაც ჩანს და ის ულმობელი, უკუღმართად მოწყობილი ცხოვრებაც. რომელმაც ფეხქვეშ გაქელა ქალების ღირსება და საერთოდ დაუკარგა ადამიანური სახე თუ ბუნება:

— „შენ რა? იმათ შენ ედარდებით თუ რა? შენ კი უნდა შეიბრალე, ჰა, ჰა, ჰა, ჯობია მაგაზე არ იფიქრო.

— შენ ბრიყვი ხარ, თავი კი გამოცდილივით გიჭირავს. მაგას რომ გადასდო, ვიღა მოვა შენთან, ვინ იცის გცემონ კიდეც. აი, მაშინ სამუდამოდ დაგვეკარგება ფული. ბავშვი კი ღრიალებს ახლა სახლში“.

მწარედ ჩაფიქრებული ქალები მიდიან სიცივითა და ზიზღით სავსე ქუჩაში. მერე ჯიბეში ჩარჩენილ ხურდებს ამოფხეკენ და მორიგე აფთიაქში შედიან, რომ დაავადების საწინააღმდგო საშუალება იყიდონ. ამ დროს, როცა უკვე „რადიოში ჰიმნი სრულდებოდა“, წყვეტილი საყვირის ნიშნები გაისმა, გაყინულ ქალებს ბედმა გაუღიმა, აფთიაქთან „პობედის“ მარკის ავტომანქანაა მომდგარი:

„...შიგნიდან შავტუხა, კეპიანმა შოფერმა ღრეჭით გამოყო თავი, თან ენა სიამოვნებით ააცმაცუნა გამოსული ქალების დანახვაზე“.

ამით მთავრდება ნოველა და გვრჩება ძლიერად ღატატული სურათის საშინელი განცდა: ცივ ქუჩებში დახეტიალობს ორი გაჭირვებული მეძავი რუსის ქალი, გამწარებულები ეძებენ მუშტარს, არაფერს არ ერიდებიან. რადგან ჯიბეში კაპიკები უყრიათ, სახლში კი მშიერი ბავშვი უტირით, უიმედო, გამოუ-

ვალი მდგომარეობაა დახატული. ასეთი რამის დაწერა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, როდესაც დიდი ერის წარმომადგენლის ქუჩის უბადრუკ „პროსტიტუტკად“ ჩვენება იდეურ დივერსიად ჩაითვლებოდა, სრულიად შეუძლებელი იყო, გამოქვეყნება კი უტოპია. ამიტომ, 1984 წელს, როცა რაიმე დემოკრატიაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა, გურამის ეს ნაწარმოებიც, ათეულობით სხვების მსგავსად, ამოღებულ იქნა გამოსაცემად გამზადებული კრებულიდან.

* * *

1957 წლის 23 თებერვალი იდგა. თბილისში ციოდა, ყინულის სუნთქვით სავსე ქარი მოქროდა დიღმის მხრიდან და ხეშეში თოვლის ფანტელებს მოაფრიალებდა.

სიცივის მიუხედავად ჩვენ წესისამებრ შევიკრიბეთ. ასეთი სიცივეების დროს ჩვენს საყვარელ ადგილას ზემელზე, ანუ ჩვენს „ბირჟაზე“ ვეღარ ვდგებოდით, მეგობრებთან ვიკრიბებოდით, სასმელს მივირთმევდით, ნარდს ვთამაშობდით, ლექსებს ვკითხულობდით, ვხუმრობდით და ვერთობოდით.

იმ დღეს გურამ რჩეულიშვილმა, დათო ღოღობერიძემ, ბორის ინასარიძემ და მე დიდხანს ვიარეთ. ამასობაში მოგვშივდა. სახლში ერთმანეთის დაპატიჟების საშუალება არ გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი სტუდენტური კაპიკები შეგვეკრიბა და სადმე ერთად გვევახშმა. ერთ-ერთი

ყველაზე იაფფასიანი სასადილო იყო უნივერსიტეტის ახლოს. მელიქიშვილისა და იაკობ ნიკოლაძის ქუჩების კუთხეში. ანლა ის ადგილი. სამწუხაროდ, მთლიანად ამოქოლილია, მაშინ კი ასე თხუთმეტიოდე კიბის საფეხური ჩადიოდა მოზრდილ სარდაფში.

ხალხი საკმაოდ იყო, უცხოებიც და უბნის ლოთებიც. სიცივეც სმის სურვილს აძლიერებდა. ერთი პატარა მაგიდა ვიშოვეთ, შევუკვეთეთ იაფი კატლეტი, მწვანილი და ორიოდე ბოთლი ორმოცდაათ კაპიკად ღირებული საფერავი. სულ რაღაც ნახევარი მეტრის მანძილზე კარგი უხვი სუფრა იყო გაშლილი.

სუფრასთან ხუთნი იყვნენ. მათ შორის ერთი შორიდან ნაცნობი მაღალი და ლამაზი ქართველი ოფიცერი, მაიორის ჩინით. მას ქეიფი უყვარდა და ხშირად ვხვდებოდით ხოლმე რესტორნებში, განსაკუთრებით მაშინ სახელგანთქმულ რესტორან „თბილისში“.

ჩვენი სუფრის მეზობლები უკვე კარგად იყვნენ შექეიფიანებულები.

სანამ ჩვენს მწირ კერძებს მოგვიტანდნენ, მეზობელ სუფრაზე თამადამ საქართველოს სადღეგრძელო შესვა. ჩვენ ჩუმად, ყურადღებით გავცქეროდით სუფრას. ოფიცერი მოგვიბრუნდა და გვითხრა ბიჭებო, გთხოვთ, საქართველოს, სადღეგრძელო დაგვილიეთო. დიდი თავპატიჟი არ გაგვივია. სავსე ჭიქები მოგვართვეს და ყველა დავდექით სუფრის გარშემო. სიტყვა ჩვენი სახელით გურამმა თქვა, ის სიტყვა კოცხლად დარჩენილ მეგობრებს დღემდე გვახსოვს და ერთმანეთს ვახსენებთ ხოლმე, იმდენად გაბედული და უჩვეულო იყო იმ მძიმე წლებისათვის, ახლაც თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიხსენებ:

„მე ვსვამ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მამულის სადღეგრძელოს, იმ ისტორიულად ჩამოყალიბებული კუთხის სადღეგრძელოს, რომელიც ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს და ხმამაღლა თუ ფარულად. სამწუხაროდ დღეს უფრო მეტად ფარულად, ვცდილობთ ვიაროთ ჩვენი წინაპრების გზით და ვეძებოთ ჩვენი სატკივარის მიზეზი, ჩვენი სამშობლო ოდნავადაც აღარ არის ის, რაც უნდა იყოს, ის არის დამონებული, რაც არ უნდა ვამაყობდეთ ჩვენ და დიდი, სახელოვანი წარსული თავი მოგვქონდეს, ჩვენი ღირსება მაინც ფეხქვეშ არის გათელილი დამპყრობლის მიერ. უდიდესი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ყველა უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ის რაც ჰქონდა ჩვენ ერს სრულიად კანონიერად მოპოვებული, უნდა დავიბრუნოთ. რაც ვერ გაეკეთეს წინა თაობებმა. მისი გაკეთება უნდა შევძლოთ. ჩვენ იმით ვართ ბედნიერნი, რომ მიზანი გვაქვს და ამ მიზანს ერთგულად უნდა ვემსახუროთ. ცხრა მარტს ქართველი ხალხის მიმართ გამოჩენილმა არნახულმა დაუნდობლობამ ეს გრძნობა კიდევ უფრო გააღვივა და შეშინების ნაცვლად გაბედულება

შეგვმატა. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თავისუფალი ცხოვრება არის ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება“.

მეზობელი სუფრის წევრები და ქართველი ოფიცერი პირდაღებულები უსმენდნენ იმ პერიოდისათვის მიუჩვეველ სადღეგრძელოს. როგორც ჩანს, გულში ყველა ეთანხმებოდა გურამს, ოფიცერმა მეგობრულად გადაკოცნა კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ მეზობელი სუფრიდან გამოგზავნილი ღვინო, მწვადები, ხილი მოგვართვეს და მეგობრული ლხინიც გაჩაღდა.

შემდეგ ზემელზე წამოვედით. იქ ე. წ. „ბირჟაზე“ შეგეხვდნენ ჩვენი მეგობრები ედიშერ რჩეულიშვილი, გურამ რუსიშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, თამაზ თოფაძე, ნოდარ ცხვირავაშვილი და კიდევ რამოდენიმე ვიდექით ჩვენთვის მყუდრო ადგილას. ვსაუბრობდით. მერე იქვე კაფეში ფანჯარასთან მოვკალათდით და სიცივის მიუხედავად რუსთაველის პროსპექტზე მიმავალ-მომავალ ხალხს გავცქეროდით.

გურამი იმ დღეებში ჩვეულებრივზე მეტად იყო აფორიაქებული. საერთოდ 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის მერე მისი შინაგანი აღშფოთება და რადიკალიზმი ხშირად იფეთქებდა ხოლმე. განსაკუთრებით ჩვენი შეკრებისას სუფრაზე თუ მეგობრებთან. იქაც. ზემელზე. მეგობრების წრეში. თითქოს სარდაფში წარმოთქმულ სადღეგრძელოს ანვითარებდა თუ აგრძელებდა. გურამი სიბრაზეშეპარული ხმით გველაპარაკებოდა: „ისე როგორც ათასობით ოჯახმა, ჩვენმა ოჯახმა დიდი განსაცდელი გამოიარა. ყველა რეპრესირებულია. ყველას ადამიანური ღირსება ფეხქვეშ გათელილია, ჩვენი ოჯახისათვის 25 თებერვალი გლოვის დღეა, ეს თარიღი არასოდეს არ აღგვინიშნავს. ისტორიის მიფუჩეჩება ძალიან მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს. ჩვენ უნდა ვუთხრათ ბევრ დაბნეულს, სამხიარულო კი არა, სატირალი და თავში საცემი გვაქვს“.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ იმათ, ვისაც გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ პირველი და მეორე გამოცემა ყურადღებით აქვთ წაკითხული და ასეთი კი ალბათ ბევრია. თუნდაც მიღებული წერილებით

თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება მოეჩვენოთ, რომ გურამის ეროვნული შეხედულებები და ამ საკითხთან დაკავშირებული გაბედული აზრები ახლაღა გამახსენდა, როცა ასე აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ ამის გაფიქრება სწორი არ იქნება. მე გურამისადმი მიძღვნილ წიგნს ძირათადად 1978 წელს ვწერდი. მოგეხსენებათ, მაშინ სულ სხვა დრო იყო, გაბედულად მე კი არა, ორი-სამი მართლა თავგანწირული პიროვნების გარდა ვერავინ ახერხებდა სიმართლის წერას.

ეს ყველაფერი კარგად მახსოვდა მეც და ჩემს მეგობრებსაც, მაგრამ წიგნში ვერ შევიტანე. ის კი არა, რაც შეიტანე, იმის დაბეჭდვაც გამიჭირდა, სულ მეუბნებოდნენ რა, ქეიფების, ჩხუბისა და ხეტიალის მეტს არაფერს აკეთებდით, გურამს იდეური ნაწარმოებები ჰქონდა თუ არა, მართლა ასე უყვარდა საქართველო და სხვ. ამგვარი კითხვის დამსმელებს, მონური ფსიქოლოგიით შეპყრობილ ადამიანებს, აოცებდათ გურამის გაბედულება, მისი განსხვავებული აზრები, ბრძოლა ყოველგვარი დახავსებულის წინააღმდეგ ბრძოლა მშობელი ხალხის გამოფხიზლებისათვის, რაც მან თავისი ბრწყინვალე „ალავერდობით“, სხვა მრავალი ნაწარმოებით და პირადი ცხოვრებით გააკეთა:

ხშირად იმასაც მეუბნებოდნენ, რომ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნში არა ერთი და ორი გვარი მაქვს მოხსენიებული. ისევე როგორც მოგონებათა ამ ახალ წიგნში, შემიძლია ვთქვა: ამას შეგნებულად ვაკეთებდი. მე მიმაჩნია, რომ გურამზე ამა თუ იმ ფაქტის, გარემოების გახსენების დროს მაშინ ჩვენთან მყოფი ცოცხალი მეგობრების დასახელება კიდევ უფრო ანმტკიცებს სათქმელის დოკუმენტურობას და მასალის შეჯერებაც Fs დენიმე პიროვნების მეხსიერების გათვალისწინებით გაცილბით ფასეულია და დამაჯერებელი, ანდა ვთქვათ, თუკი ვინმეს დაებადება შეკითხვა, შეუძლია ჩემს გარდა რომელიმე დასახელებულ პიროვნებასაც მიმართოს.

* * *

გურამის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნში მახსოვს იმის შესახებაც ვთქვი, რომ გურამს, მე და ჩვენს მეგობრებს ძალიან გვიზიდავდა ხოლმე რესტორან „თბილისში“ შესვლა.

დარწმუნებული ვარ დღეს ამის თქმა ბევრს გაუკვირდება, რა ნახეს ასეთი მიმზიდველი და საყვარელი რესტორან „თბილისშიო“.

დღეს ეს სწორია, თითქოს აღარაფერი დარჩა საინტერესო კედლებისა და სვეტების გარდა. მაგრამ იმ შორეულ წლებში სულ სხვა იყო, აქ იკრიბებოდა ქალაქის რჩეული საზოგადოება, უკრავდა შესანიშნავი ორკესტრი, შენობების შუაში მოთავსებული აუზი სავსე იყო კრიალა წყლით და შადრევანიც სცემდა, აუზში საკმაოდ ჰყავდათ თევზები, ხშირად იღებდნენ დაკვეთას და ხელად მოგართმევდნენ შემწვარ კოცხალ თევზს.

დარბაზში გაქათქათებულ სუფრებთან ყოველთვის ისხდნენ ნაცნობები. იყო მიპატიჟება. მოკითხვა, ღიმილი, გაგზავნ-გამოგზავნა, ძალზე იშვიათი იყო ჩხუბი და აყალ-მაყალი. ბევრჯერ ჩხუბის წამომწყები თვით ხალხს გაუგდია კარში.

1955 წლის ერთ საღამოს გურამ რჩეულიშვილი, მე, ბორეს ინასარიძე და გურამ რუსიშვილი მეგობრული შეხვედრისათვის შევედით „თბილისში“.

იმ დღეებში თბილისში სტუმრად იყო ჩამოსული ცნობილი პოპულარული რუსი მსახიობი ოლეგ სტრიჟენოვი, ის მაშინ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობ ნუგზარ შარიასთან მეგობრობდა და რამდენადაც მახსოვს სწორედ ნუგზარის მოწვევით იყო ჩამოსული ჩვენს ქალაქში.

ნუგზარ შარიამ დაგვინახა თუ არა. წამოხტა და სუფრასთან, მოგვიპატიჟა. ისინი ორნი ისხდნენ და საყოველთაო ყუდღების ქვეშ მიირთმევდნენ შამპანურს.

თუ არ ვცდები, ნუგზარს მაშინ ახლად ნათამაშები ქონდა მთავარი როლი კინოფილმ „პალიასტომის ტბაში“ და იქ აღებული სოლიდური თანხით წელგამართული გულუხვად გვიმასპინძლდებოდა.

ქართული ქეიფი და სადღეგრძელოები გახურდა. ნაცნობებიც მოდიოდნენ, გვადღეგრძელებდნენ, განსაკუთრებული პატივისცემით გამოყოფდნენ სტუმარს. მერე გვიგზავნიდნენ ღვინოს, სუფრა ბოთლებით იჭედებოდა. ეს ჩვენ მაშინ ძალიან მოგვწონდა.

როდესაც ერთი სადღეგრძელოს დროს ფეხზე წამოვიშალეთ, თხელი მაღალი სასმისი გატყდა და ბორის ინასარიძემ გაიჭრა ხელი. სისხლი მოწვეთავდა, გურამ რჩეულიშვილმა მას ხუმრობით უთხრა: „სტუმარს ჭიქაში ჩაუწვეთე. ვითომ ძმად ეფიცები, რუსები ჩვენი სისხლის სმას მიჩვეულები არიან და ეგეც სიამოვნებით დალევსო“.

ეს რომ სტრიჟენოვს უთარგმნეს, სიცილით მოკვდა, ეს რა თქვა გურამმა, რუსები სისხლის მსმელებად მოგვნათლაო,— თან დააყოლა, — მაგაში რა თქმა უნდა სიმართლეც ურევიაო.

ბოლოს ეს ხუმრობით შეფერილი ნათქვამი იმით დამთავრდა, რომ ბორისმა ყველა სასმისში თითო წვეთი სისხლი ჩააპკურა და ჩვენც ძმადშეფიცულებივით სასმისები შევსვით.

სადღეგრძელოს თქმის დროს, როგორც ეს რუსებს საერთოდ სჩვევიათ, ოლეგ სტრიჟენოვმა პირველმა გადაკრა მუშხუნა შამპანური ღვინით სავსე სასმისი. გურამმა კვლავ იხუმრა:

— „ხომ გითხარით, ნახეთ რა სიამოვნებით დალია ქაროველების სისხლიო“.

ამ ხუმრობაზე კარგა ხანს ვიცინოდით. ჩვენი სუფრა გვიანობამდე გაგრძელდა. შუაღამისას ავიშალეთ და ჩვეულებისამებრ ვისეირნეთ თბილისის განუმეორებელი მყუდროებით მოცულ ქუჩებში.

* * *

გურამს საქართველო და ყველა ქართველი მოყვასის სიყვარულით უყვარდა. მისთვის საქართველო იყო სისხლხორცეულად საყვარელი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ წინაპრები, სადაც საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან მტრებთან

თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად მუხლჩაუხრელი შრომით იქმნებოდა „მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული“ ფასეულობები.

კიდეც ამიტომ აცხადებდა სიამაყით ავსილი გურამი:

„ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხიო“.

გურამისთვის საქართველო სახელოვანი წარსულისა და დღევანდელობის ერთიანი ჯაჭვი იყო, აქ განუწყვეტელი სიცოცხლე მოედინებოდა საუკუნეთა სიღრმიდან, მოდიოდა, მოსჩქეფდა, თანამედროვეთა სახეებში ირეკლებოდა.

მისთვის მეგობრობა ქართველების მთლიანობისა და შეკავშირების საწინდარს უდრიდა. მეგობრები უსაზღვროდ უყვარდა, თავს ევლებოდა, ყველას ერთმანეთთან აკავშირებდა, თუ სხვას ზედმეტად გადაკრულ სიტყვას არ აპატიებდა, მეგობარს ძმაზე უფრო მეტის უფლებას აძლევდა, მუდმივად მხარში ედგა, თავისი ძლიერი, ფართოდ გადაშლილი ბეჭებით იფარავდა, უშიშარი და ამაყი სულის ნაწილს გადასცემდა.

გურამისათვის ამ ერთ-ერთ უპირველეს სასიცოცხლო ნიშან-თვისებას მისადმი სიყვარულით მიძღვნილ ჩემს წიგნშიც — „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ — შევეხე და კიდევ მრავალჯერ შევეხები.

მეგობრებისა და ახლო ამხანაგების მეტად ფართო წრე ჰყავდა, რომ დასჭირვებოდა უცებ შეკრებდა სამოც-სამოცდაათ კაცს. მათ შორის იყვნენ ისტორიკოსებიც, ფილოლოგებიც, ჟურნალისტებიც, ინჟინრებიც, მხატვრები, მუსიკოსებიც; სფერო და დარგი არ იყო, მახლობელი რომ არ ყოლოდა.

როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, ჩემთვის ავიღე ქაღალდი და რამოდენიმე წუთში სამოცზე მეტი კაცი ჩამოვწერე, სამოცზე მეტი რჩეული, ღირსეული ქართველი და კვლავ გაოცებული დავრჩი.

საკუთარ თავთან მარტო მყოფს და ფიქრებში ჩაძირულს ზოგჯერ ასე მიკვირს ხოლმე სრულიად ახალგაზრდა ბიჭმა როგორ მოასწრო ამდენი ერთგული მეგობრის შემოკრება, შეყვარება და შემომტკიცება.

საქართველოში მეგობრობის კულტი რომ ყოველთვის უმაღლეს დონეზე იდგა, ამას ჩემი მტკიცება სულაც არ სჭირდეაბა. მეგობრობამ, სითბომ, მახლობლობამ, ბევრი რამ გააკეთა ერთიანობისა და მამულის სიყვარულისათვის.

გურამ რჩეულიშვილს ეს გრძნობა ღვთით ქონდა მომადლებული, მისი დიდი ტალანტი აქაც იჩენდა თავს. ამ ურთიერთობებშიც ფეთქავდა და ცხადდებოდა.

რაინდული სულისკვეთებით აღზრდილი გურამ რჩეულიშვილი შეუდარებელი მეგობარი იყო: თუ ვინმე უყვარდა, მთელი გულით უყვარდა, მისთვის ნახევრად სიყვარული ან რაიმე სიყალბე არასოდეს ყოფილა მისაღები, მეგობრისათვის და მახლობლისათვის ყველაფერს გააკეთებდა, თავსაც დადებდა. მისი მამაცი ბუნება მუდამ ფარივით მიგვიძღვოდა წინ, თითქოს ჩვენი მცველი იყო, რომ ვაგლახად ვერავის ბოროტი ხელი ვერ შეგვენებოდა. ამიტომაც ვერაფრით მოხერხდა იმ დიდი სიცარიელის ამოვსება. რაც დაგვრჩა გურამის მრავალრიცხოვან მეგობრებს მისი მოულოდნელი დაკარგვის შემდეგ.

მეგობრების გარეშე ერთი საათიც არ უნდოდა ყოფნა, იგი ანდამატივით იზიდავდა გარშემო მყოფებს, აერთიანებდა და აკავშირებდა მეგობრებს „ნებსით თუ უნებურად, მეგობრები მუდამ ვცდილობდით მიგვებაძა მისთვის გულისხმიერებაში, ერთგულებაში. მუყაითობაში, პირდაპირობასა თუ გამბედაობაში, ვცდილობდით. მაგრამ ყოველთვის და ყველაფერში ის წინ იყო და ასე. წინმყოფი. დარჩა სამუდამოდ ჩვენს მეხსიერებაში” (დავით ჯავახიშვილი. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1-2, 1985 წ).

ის იყო ყველა მეგობრული შეხვედრის მოთავე და წამომწყები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვა, რომ ჩვენს მიერ რაიმე სიახლის შეცნობასა თუ ნახვას ის იწყებდა, ის გვაგულიანებდა და ნაცადი მეგზურივით მიგვიძღვო-და მამულის გზებზე, რაც მას ჩვენთან შედარებით მრავალი წლის წინ ჰქონდა მოვლილი და სისხლხორცეულად შეთვისებული.

ამავე დროს საოცრად უშუალო, ღირსეული და ვაჟკაცური იყო თავის ქცევებში! ჩემს წიგნში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ ვიხსენებდი იმ ამბავს, თუ როგორ შეგვკრიბა ჯერ კიდევ

პირველი კურსის სტუდენტები და თელავში, წაგვიყვანა. აქ იყვნენ ჩვენი ახლო მეგობრები სკოლიდან თუ უნივერსიტეტიდან: ნათია ამირეჯიბი, რუსუდან ენუქიძე, ელზა რატიანი, თამაზ ტოგონიძე, ნიკო ლეონიძე, გურამ სიხარულიძე, დევი ბერძენიშვილი, თამაზ ბოკერია, ნოდარ მენაბდე, ზურაბ ბახტაძე. მე და გურამი, სულ 12 ახალგაზრდა,

როგორც მახსოვს, გურამს წინასწარი გაფრთხილებებით და შეხვედრების დაგეგმვით თავი დიდად არ შეუწუხებია, დარწმუნებული იყო, რომ მისი უახლოესი ნათესავები დემნა და ედიშერ რჩეულიშვილები ჩვეული გულითადობით დაგვხვდებოდნენ. რაც მთავარია, იქ ეგულებოდა შესანიშნავი ქართველი ქალი. დემნას და ედის დედა, მისი საყვარელი მამიდა ნატაშა რჩეულიშვილი.

თორმეტი ადამიანის მოულოდნელი სტუმრობა არავისთვის არ არის იოლი. თანაც ბიჭები ცხოვრებაში პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდნენ, დემნა ოცდაორი წლის იყო, ედი კი ცხრამეტი-ოცი წლისა. მიუხედავად ამისა, მათ ყვე"ლაფერი გააკეთეს გურამის მეგობრების მისაღებად.

შეიძლება ითქვას, ასეთი ქართული კოლორიტული სუფრა ჯერ არც გვენახა. მაგიდა გაეშალათ თელავის ულამაზეს ადგილას — ნადიკვარზე მდებარე სახლის ძველებურ ფართო აივანზე. ღია აივანი მწვანეში ჩაფლულ ბაღს, თელავის ძველ უბნებს, ალაზნის ველს, ველის ბოლოს ჩამდგარ ქლიავისფრად დაბინდულ გორებს და მათ უკან ალაგ-ალაგ თოვლით დაფარულ მაღალ მთებს გადაჰყურებდა. სიწყნარე და სიგრილე მოდიოდა ბაღიდან, წითლად ღუოდა მსხალი და ატამი, მთებისაკენ დაგორებული მზე ოქროსფრად ღებავდა გარემოს, ჰაერი სიჩუმით და სურნელებით იყო სავსე.

ასეთ ადგილას ქეიფი კი არა უბრალოდ ჯდომაც დაატყვევებდა კაცს. ჩვენც აქამდის არ დაგვვიწყებია ის საოცარი დღე. როცა გურამ რჩეულიშვილმა საფუძველი ჩაუყარა მამულთან ჩვენს დაახლოებას და რაც მთავარია, სამუდამო, გაუუნარი სიყვარულით შეგვაყვარა თელავი, კახეთი, ალაზნის ველი.

თელავში ასეთი გულიანი დაპატიჟება გურამისაგან არასოღეს დაგვკლებია. მომავალ წელს მან კვლავ თელავში მიმიპატიჟა. როგორც ხუმრობდა ხოლმე — თავის სატახტო ქალაქში. მე ისე ვიყავი შეყვარებული გურამის თელავზე, რომ ბორჯომ-პარკში დასვენებას თავი მივანებე და ივლისის ბოლო რიცხვებში თელავს მივაშურე.

თვეზე მეტი დავყავი გურამთან. მერე, მოპატიჟებული ქართლოს სვანიძეც ჩამოვიდა. ზემოთ ჩემს მიერ აღწერილ აივანზე გვედგა საწოლები, გვიან ღამემდის ვსაუბრობდით. გავყურებდით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ალაზნის ველზე აქაიქა მოკიაფე სინათლეებს, მთვარის შუქზე დარწეულ ხეთა ჩრდილებს და ფილტვები გვევსებოდა მაღალი მთებიდან გამოქროლილი ქარით.

გურამმა სად აღარ გვატარა, თუმცა მაშინ ტრანსპორტი ძალიან ჭირდა. ვიყავით შუამთაში, წინანდალში. თეთრ წყლებში, გომბორზე, სოფლებში, ახმეტაში. ეს იყო მამულის უკეთ გაცნობის დღეები. ჩვენთან ერთად იყვნენ მეგობრები, ღირსეული თელაველი ბიჭები დემნა და ედი რჩეულიშვილები, თენგიზ ჯაშიაშვილი, ჯიმი რჩეულიშვილი. ქართლოს ჯაფარიძე, ბიძინა სეხნიაშვილი, ალბერტ ნარეკლიშვილი, ფარნაოზ სიდამონიშვილი და სხვები, რომლებიც ცდილობდნენ სამუდამოდ შეგვყვარებოდა თელავი.

* * *

რადგან გურამის მიერ თელავში ჩემი მიპატიჟება გავიხსენე, მინდა აქ ერთ ამბავსაც შევეხო.

ეს მომავალ წელს მოხდა, მეორე თუ მესამე მიპატიჟების დროს. განმეორება რომ არ გამომივიდეს ამ ამბავთან დაკავშირებით ერთ ნაწყვეტს მოვიტან ჩემი წიგნიდან „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. მართალია საკუთარი ნაწერია. მაგრამ უკვე გამოქვეყნებულს ყველგან წინწკლებში ვსვამ:

„...ორმოცდაცამეტი წლის აგვისტოში, როცა თელავში. ვისვენებდით, წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად წავედით გურამი, მე, ედიშერ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და ორი სხვა თელაველი ამხანაგი.

მუზეუმის, ბაღის, ღვინის ქარხნის დათვალიერების შემდეგ ბაღის შემოსასვლელთან ახლოს მწვანეზე გაიშალა სუფრა, დალაგდა ჩვენს მიერ წამოღებული სანოვაგე, ტანინიანი კახური ღვინოც გაჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გურამს და მე გვხვდა წილად წავსულიყავით სასადილოში და მიბარებული ხორცისაგან მომზადებული კერძი მოგვეტანა.

სასადილო არც ისე ახლოს იყო, როდესაც მივუახლოვდით. დავინახეთ დიდ მწვანე მინდორზე საბალახოდ დაბმული საკმაოდ კარგი შესახედაობის მოშავო ფერის ცხენი, გურამი აღელდა. სასტიკად მოუნდა ჭენება. შორიახლოს ვენახში მომუშავე გლეხაცებს ჰკითხა. ცხენი ვისიაო, სასადილოშიც გაიკითხა. მაგრამ პატრონს ვერ მიაგნო. ცოტას ვაჭენებო, თითქოს მოიბოდიშა და ცხენს ერთი ხელის დაკვრით მოახტა.

საკმაოდ ფიცხი ცხენი აღმოჩნდა, ტყვიასავით მიქროდა შარაზე და მხედრის შეძახებისას მაღალ ბუჩქებს მოხდენილად ახტებოდა,

როცა გურამმა გული იჯერა ჭენებით, მე შემომთავაზა, შეჯექიო, მაგრამ ულაყი ისე ტოკავდა და ხტოდა ადგილზე. რომ უარი ვუთხარი. აქამდე სულ ერთხელ ვიჯექი ცხენზე, ისიც ძალით შემსვა გურამმა თეთრ წყლებში სტუმრობისას. მართალია, მაშინ ცხენის ქროლვით კი ვისიამოვნე, მაგრამ გადმოვარდნის სიმწარეც ვიწვნიე და ამიტომ სიფრთხილეს ვიჩენდი.

გურამმა ბევრი იცინა ამაზე, მერე ზურგს უკან შემომისვა და ახლომახლო მიდამოები მომატარა.

ამ შემთხვევას, სამწუხაროდ, საკმაოდ მწვავე ინციდენტიც მოჰყვა, თუმცა მას ცხენებით თავდავიწყებული ჭენებისადმი გურამის სიყვარულისათვის ბევრი არაფერი დაუკლია...“

ეს იყო და ეს, მაშინ თხრობა აქ შევწყვიტე. როგორც ჩანს. მკითხველმაც არ მიაქცია ყურადღება შემდეგ სტრიქონს: „ამ შემთხვევას. სამწუხაროდ, საკმაოდ მწვავე ინციდენტიც მოჰყვა“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ აღნიშნული წიგნის მეორე გამოცემის შემდეგ მკითხველებისაგან თითქმის სამასი წერილი მივიღე, წერილები ათობით რაიონიდან მომივიდა, მეკითხე-

ბოდნენ უამრავ წვრილმანს გურამის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ეს ინციდენტი კი დღემდე საიდუმლოებად დარჩა.

ოცდათექვსმეტ-ოცდაჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, ამაზე თუ სხვა არანაკლებ მწვავე ინციდენტზე მე შეგნებულად არაფერს ვამბობდი. მძიმე დრო იყო, ტყუილებით დამძიმებული წლები, რაღაც საოცარი განუკითხაობა სუფევდა, უნებლიე შეცდომასაც არ გაპატიებდნენ, მითუმეტეს იდეურპოლიტიკურს. თუნდაც წლების მერე გაეგოთ სათანადო ინსტანციის წარმომადგენლებს, რომ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ან სულ უმნიშვნელო შეცდომისათვის სასამართლოს მიერ იყავი დასჯილი, ამას ისეთი არასწორი შეფასება მიეცემოდა, რომ შეიძლებოდა ყველაფერი დაგეკარგა.

ასე ვუდგებოდით ამ შემთხვევასაც, რომელსაც ახლა სიმართლის დადგენის მიზნით ვიხსენებ.

გურამმა მართლა იკითხა ვინ არის ცხენის პატრონიო და როცა ვერ მიაგნო, სასადილოში მებუფეტეს და იქვე მდგარ რამოდენიმე პირს უთხრა ცოტას გავაჭენებო.

ალბათ ერთი ოცი წუთი, ან ნახევარი საათი დაქროდა. როდესაც შემთავაზა ცხენზე შეჯდომა და მე უარი ვუთხარი, მერე შემომისვა ზურგს უკან, რადგან ორნი შევსხედით, ცხენს აღარ აჭენებდა, მეც მიფრთხილდებოდა.

ალბათ ათიოდე წუთით გამატარ-გამომატარა და კვლავ იმ მინდორზე დააბრუნა ცხენი. სადაც უნდა დაება.

ამ დროს ხმაურის გამო უკან მოვიხედეთ. სწორედ სასადილოს მხრიდან მორბოდა ორი თუ სამი კაცი, ერთ-ერთი ჩვენი ტოლი თუ იქნებოდა.

რამოდენიმე წამიც და ზურგში, მარჯვენა მხარეს. ის ადგილი სულ დალურჯებული მქონდა, ტყვიასავით მომხვდა მთელი ძალით ნასროლი რიყის ქვა. სიმწრისაგან თვალთ. და— მიბნელდა და ცხენიდან გადმოვვარდი.

გურამი თვალის დახამხამებაში გადმოხტა ცხენიდან. ჩემთან მოირბინა, თავი გამისინჯა, ეტყობა შეეშინდა თავში ხომ

არ მომხვდა ნასროლი ქვა, წამომაჯინა. ბეჭებზე მომისვა ხელი. ტკივილისაგან დავიკვნესე. იგი დარწმუნდა რა უნამუსობაც მოხდა და სიბრაზისაგან სახე შეეცვალა.

ამასობაში თავდამსხმელები ჩვენგან ოციოდე მეტრის დაშორებით გზასთან იდგნენ. გურამი რომ ფეხზე წამოვარდა და მათკენ გაიხედა, მიხვდნენ რაც ჩაიდინეს. სწრაფად მიტრიალდნენ და ფაცხაფუცხით შეცვივდნენ გზის იქით მაღალი ბუჩქებითა და ხეებით დაფარულ ბაღში.

გურამი ცხენისაკენ გაქანდა. ასევე გაქანებული გადაახტა და გაქცეულებს გამოეკიდა. ის ცხენდაცხენ პირდაპირ ხეებში ვერ შევარდა და იმ მხარეს მიმავალ ბილიკზე გააფრინა ცხენი.

მე სასადილოდან გამოსული რამოდენიმე კაცი შემომეხვია. მეკითხებოდნენ „როგო ხარო". „ კიდე კარგი, ბიო, თავში არ მოხვდა, თორე ხო წააცლიდა მაგ გოგოასო“, პერანგიც ამიწიეს და დაბეჟილი ადგილი დაათვალიერეს. თან ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. „რა უნდოდა. კაცოო. ამ ბალღ ქვა რო სთხლიშა. რა მჟავე ხასიათი აქ ამ შობელძაღლო“ ლაპარაკში რამოდენიმეჯერ ახსენეს შალა. გრიშა. ყვავო, მივხვდი რომ ესენი იყვნენ, მე რომ ქვა მითავაზეს მარჯვენა ფერდში.

ამასობაში გურამი დაბრუნდა. ვერავინ ვერ ეპოვა. მთვრალები ეხუმრებოდნენ: „კაცოო, მაგაი მეძებარი ძაღლიც ვერ იპოვის, ბუჩქებში დაძვრებოდნენ მაჩვებივითო“.

ჩვენ მეგობრებისაკენ წამოვედით. მათ ჯერ არაფერი გაეგოთ და უჩვენოდაც აგრძელებდნენ ქეიფს. ამ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ შეგვაგვიანდა. ორი ბიჭი ისე იყო მთვრალი. ფეხზეც ვეღარ დგებოდნენ და ბალახებში წასაძინებლად ემზადებოდნენ.

ჩვენს ნაამბობზე ბიჭები გამწარდნენ, სტუმარს ქვა როგორ ესროლაო, თითქოს გლეხებს უნდა სცოდნოდათ მე რომ სტუმარი ვიყავი. თუ სახეზე გახსოვთ ვინ იყო. წამო, სოფელი დავიაროთ და პასუხი მოვიპოვოთო,

ამ მსჯელობისა თუ ხმამაღალი ყაყანის დროს ბაღის კარებიდან გამოსვლა დაიწყო ადამიანთა დიდმა ჯგუფმა, ალბათ ასი-ასორმოცდაათი კაცი იქნებოდა, როგორც მერე გავიგეთ,

მეურნეობაში სამუშაო დამთავრებულიყო და მუშები მოდიოდნენ.

აქ მოხდა არასასიამოვნო კონფლიქტი და ჩვენი შეცდომაც, რადგან მათ შორის იმათ ვეძებდით. ვინც არ დაგვინდო და რიყის ქვები დაგვიშინა (ვინც ფაქტიურად და გინდ იურიდიულად გამოიწვია მოსახლეობასთან შეტაკება).

დაიწყო გაწევ-გამოწევა, გარტყმა, გაშველება, ერთ-ერთ ჩვენთან მყოფ თელაველს თავში ლეწეს თოხის ტარი, მეორეს, რომელიც მისაშველებლად იქაჩებოდა, მკერდზე ფიწალი მიაჭირეს, ვერ ვიტყვი მიარტყეს-მეთქი, და მერე სამ ადგილას აჩნდა სისხლიანი ღრმულები.

სხვა გზა არ იყო და ჩვენც ხელი გამოვიღეთ. ჩვენი ორი მთვრალი ამხანაგი ძლივს ბარბაცებდა, სწორედ ისინი დაზარალდნენ ყველაზე მეტად. თოხის ტარიც და ფიწალიც მათ ერგოთ. დარჩენილი ოთხი ბიჭი ამოდენა მასას რას დავაკლებდით, ისე რაც კი შეგვეძლო უკან არ დაგვიხევია და არც მოზღვავებული ხალხის შეგვშინებია, მიუხედავად იმისა, რომ ერთზე ალბათ ოცდაათი კაცი მოდიოდა.

შეიქმნა საშიში მდგომარეობა, მსხვერპლიც არ იყო გამორიცხული. ამ დროს გაისმა ჰაერში სროლის ხმა და რამოდენიმე მილიციელი მოვიდა. ჩვენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გავჩერდით და გამოვყევით ჩვენს მხსნელებს.

სასწრაფოდ შედგა საქმე და ახალგაზრდა ოპერრწმუნებული ლეიტენანტი ვალიკო ტიღაშვილი არაჩვეულებრივი გულმოდგინებით, სიჩქარით, ზედაპირული წესით შეუდგა გამოძიებას.

მას ახლადდაწყებული ჰქონდა მილიციაში მუშაობა ბუნებრივია, ცდილობდა ყურადღება დაემსახურებინა, მკაცრი მოუსყიდავი მუშაკის სახელი მოეპოვებინა, რათა სამსახურებრივ კიბეზე მაღლა და მაღლა ევლო. თუმცა აქვე ამასაც დავძენ, რომ ჩვენს მერეც მილიციაში თავისი არაკაცური თვისებების გამო თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა და ყველაზე დიდი თანამდებობა, რასაც მიაღწია. ბაზრის დირექტორობა იყო,

მან როგორც ჩანს სწრაფად აწონ-დაწონა შექმნილი ვითარება, ჩვენი მხრიდან ფულის მიმცემი არავინ იყო, ცოტად თუ ბევრად გავლენიანი ნაცნობიც არ ჩანდა. თელავში მხოლოდ გურამის დედა დეიდა მარო და მამიდა ნატაში იყვნენ. ქალებს კი რა შეეძლოთ.

ამიტომ ლეიტენანტმა ჩვენი სამაგალითო დასჯა მოინდომა. თავი და თავი კი იქ იმალებოდა, რომ მაშინ რაიონის მეფე პარტიის რაიკომის მდივანიც იმ სოფლიდან იყო, სადაც ჩხუბი მოხდა და მისი ბრძანება-მითითების შემდეგ ამ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭებს ისე გვექცეოდნენ, როგორც ბანდიტებს ან სამშობლოს მოღალატეებს.

გამომძიებელმა განსაკუთრებული იერიში გურამ რჩეულიშვილსა და ჩემზე მოიტანა. მის შედგენილ ოქმებში ქვის, გარტყმისა და მხარის დალურჯების ამბავი ამოვარდა, ისე გამოყავდა, რომ გურამი და მე სრულიად უმიზეზოდ დავესხით თავს ცხენის პატრონს და ცემა დავუწყეთ.

ეს იყო სრული სისულელე, რასაც პირველი კლასელი ბავშვიც კი არ დაიჯერებდა.

ჩემი მისამართით ცუდად და რაც ყველაზე უარესია ცბიერად განეწყო, მარტო მე ერთი დამაკავა მთელი დღეღამით. შეშფოთებული ბიჭები და მარინე ყოველ წუთას მილიციის წინ იდგნენ, საჭმელი მოჰქონდათ, მეც დიდი ხნის პატიმარივით შევექცეოდი საჭმელს სიძველისაგან გაშავებულ მილიციის მელურ სკამზე.

დღემდე მახსოვს როგორ ფლიდურად მეკითხებოდა ტიღაშვილი: შემთხვევის ადგილას ხალხი ბევრი შეიკრიბა, არა? სრულიად გამოუცდელს მეგონა რაც უფრო მეტი ხალხი იქნებოდა შეკრებილი ჩვენი სიმართლე უფრო ადვილად დადასტურდებოდა. იგი კი თურმე თავაწყვეტილი ხულიგნობის სურათს ქმნიდა.

— მაინც რამდენი კაცი იქნებოდა?

— ძალიან ბევრი.

— ასე ასი, ასორმოცდაათი?

— მეტი, ალბათ სამასამდის იქნებოდა.

და ტიღაშვილიც სიამოვნებით წერდა: შემთხვევის ადგილას შეიკრიბა სამასამდის კაცი. ამას დაერთო ერთი უსიამოვნო ფაქტიც. წამოწყებული შეხლა-შემოხლის დროს ერთი-ორი ბიჭი და განსაკუთრებით ჩვენი უახლოესი მეგობარი თენგიზ ჯაშიაშვილი ხმამაღლა გაიძახოდნენ: წერეთელს ხელა არ ახლოთ, წერეთელს არავინ მიეკაროს, წერეთელი ჩვენი სტუმარია. წერეთელს გაუფრთხილდით და ა. შ.

ლეიტენანტ ტიღაშვილის არეულ-დარეული და გამომწვევი დაკითხვების დროს გლეხების უმრავლესობამ, რომელთაც კარგად არც ახსოვდათ რაში იყო საქმე, პანტაპუნტით განაცხადეს — წერეთელი იყო მთავარი, წერეთელმა დაგვარტყა და წერეთელმა გვცემაო, ბევრჯერ გაგონილი გვარი ადვილად დაემახსოვრებინათ. ყველა ბიჭი ამტკიცებდა, რომ წერეთელს არავითარი განსაკუთრებული დანაშაული არ მიუძღვოდა, შეიძლება — ერთ-ერთს გაარტყა, როცა ეს ბარის ტარის დარტყმას უპირებდა. მაგრამ უფალ ლეიტენანტს ეს არ აწყობდა, მას რამოდენიმე დღეში შესაშური, სამაგალითო ოპერატიულიებით უნდა დაემთავრებინა ასეთი „დიდი“ საქმე, ვითომ მტი გაწევ-გამოწევა და აყალმაყალი თელავის რაიონში არ მომხდარიყოს.

მოწმეთა ერთ-ერთი დაკითხვის დროს პატარა ბატონ ვალიკოს როგორც ჩანს თავად შეეპარა ეჭვი: „კაცოო, ამოტოლა ხალხ მარტო შენ როგორ დაარტყამდი, მითომ რა ხარ ეგეთიო“, მაგრამ ეს გულის წამიერი აჩვილება ნორმალური, კანონიერი და კითხვებითა და შემდგომ ოქმებში შეტანით არ გამოუმჟღავნებია.

ოპერრწმუნებულმა ცალმხრივი და პრიმიტული გამოძიება ჩაატარა. უთანხმოების არავითარი მიზეზი არ უძებნია, არ ცდილა ჩხუბის დაწყების საბაბი დაედგინა. შვიდ-რვა დღეში ათეულობით მოწმე დაკითხა. ყველაფერი აურდაურია. ახალგაზრდების ბედი ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა, ვითომ პრინციპულს თამაშობდა, მაგრამ ექვსიდან ერთის საქმე ისე მოატრიალა, რომ სასამართლოზე საერთოდ მოწმედ იქნა გაყვანილი.

ტენდენციური და შინაგანად ბოროტი აღმოჩნდა ჩვენი ბედის გამგებელი ლეიტენანტი ტიღაშვილი. თუმცა იგი წარმოადგენდა და განასახიერებდა იმ დროისათვის უკვე სავსებით დეფორმირებულ. კორუმპირებულ და თავად უკანონობის ბუდედ ქცეულ მილიციის ორგანოებს.

მეტი არც მოეთხოვებოდა. ცინიკოსი და ხეპრე ეყო, ლაპარაკში არც მალავდა. რომ „ქალაქელებ“ და „სტუდენტებ“ ვერ იტანდა,

იგი 5 აგვისტოს შეუდგა საქმეს და 12 აგვისტოსთვის უკვ, მზად ქონდა ნაჩქარევად შეთითხნილი საბრალდებო დასკვნა. 13 აგვისტოს უკვე მთლიანად ამთავრებს საქმეს და ამაყად წერს: (აქაც და ქვემოთაც მისი ენა, მართლწერა და სტილი ზუსტად არის დაცული).

„ამრიგად. კვლევა ძიება აღნიშნულ საქმეზედ ჩაითვალოს დამთავრებულად და წარდგენილი ბრალდება დამტკიცებულად. საქმე დამთავრებული სახით გადაეგზავნოს თელავის რაც პროკუროს ქვემდებარეობისამებრ საქ. სასამართლოში წარმოსადგენად. საბრალდებო დასკვნა შედგენილია საქ. შ. ს.ს. თელავის რაე მილი კიის ოპერრწმუნებულ მილ. ლეიტენანტ ტიღაშვილის მიერ. 1953 წ-ის 13/VIII-ს ქ, თელავი“.

ხელს სიამოვნებით აწერს დასკვნაზე: „ოპერრწმუნებული ტიღაშვილი“ ვინ იყო პატრონი, გამკითხავი. სიმართლის დამდგენი და 1953 წლის 16 აგვისტოს უკვე უფო მეტი ძალის მქონე სამოთალდამცველის წარწერა ჩნდება: „ვამტკიცებ“. საქ. შ. ს. ს. თელავის რაი მილიციის უფროსის მ/ა მილ. კაპიტანი: იასეშვილი“. საქმეში ჩაწვდომით არც უკანასკნელს შეუწუხებია თავი, მილიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა და ალბათ გულის ფანცქალით ელოდა უფროსობას.

ოცდაჩვიდმეტი წელი მქონდა შენახული ჩემს პირად არქივში თხელ ყვითელ ქაღალდზე დაბეჭდილი ეს საბრალდებო დასკვნა. ახლა აღარ მახსოვს როგორ ვიშოვე. გადაგდებით კი არასოდეს გადამიგდია, ალბათ ვფიქრობდი, როდისმე გამოვიყენებდი ამ შეთითხნილ და უაზრო დოკუმენტს. რა უნდოდა ტიღაშვილს. რატომ არ ეძებდა მიზეზს, რატომ გვექცეოდა ქვეყნის დამაქცევრებივით ჩემთვის დღემდე გაუგებარია და

ისევ მაშინდელი სამართალდამცველი ორგანოების უკუღმართობით თუ ვხსნი ხოლმე.

ახლა ამ ოცდაჩვიდმეტი წლის წინ შექმნილ საოცარ დოკუმენტსაც გადავხედოთ სიმართლისა და იმდროინდელი ჯითაროების აღდგენის მიზნით. (მართლწერას და სტილს კვლავ ზუსტად ვიცავს:

„საბრალდებო დასკვნა. 3/ძიების საქმე # 142594 გ გამო ოჩეულიშვილი გურამი მიხეილის ძის. დევიძე გივი დიმიტრის ძის, რჩეულიშვილი ედიშერ გიორგის ძის, ჯიბღაშვილი ელიზბარ გრიგოლის ძის და ჯაშიაშვილი თენგიზ კონსტანტინეს ძის დანაშაული გათვალისწინებულია საქ. ს. ს. კ. 75 მჟა. II ნაწ. და 155 მუხლის მიხედვით“.

(მე აქ გამომტოვა უფალმა ტიღაშვილმა. რადგან თავის ჭკუით ცალკე გამოყოფს და უფრო მეტი სიმკაცრით მიპირებს დასჯას).

„ბრალდებულები: დევიძე გივი დიმიტრის ძე (რომელიც შემდეგ მოწმის რანგში იქნა გადაყვანილი). რჩეულიშვილი გურამ მინეილის ძე. რჩეულიშვილი ედიშერი გიორგის ძე. ჯაშიაშვილი თენგიზი კონსტანტინეს ძე. წერეთელი ნუგზარი აკაკის ძე და ჯიბღაშვილი ელიზბარი გრიგოლის ძე აწ 4 აგვისტოს ქ. თელავიდან დევიძე გივის ავტო მანქანას „მოს კვიჩით“ წავიდნენ სოფ. წინანდალში საბჭოთა მეურნეობის დეკორატიული ბაღის დასათვალიერებლად, რომლებსაც თან ჰქონდათ წაღებული ღვინო და საჭმელი. ბაღის დათვალიერების შემდეგ მათ პურის ჭამა დაიწყეს დეკორატიული ბაღის მახლობლად მდებარე საავადმყოფოს ეზოში, როდესაც უკვე კარგად დათვრნენ ბრ. წერეთელი ნუგზარი აკაკის ძე და ბრ. რჩეულიშვილი გურამი მიხეილის ძე წავიდნენ მეურნეობის სასადილოში კერძის მოსატანად, (ტიღაშვილი უკვე იწყებს ფერების გამუქებას, ჯერ კარგად დავთვერით და მერე მოვინდომეთ კერძის მირთმევა), ვინაიდან სასადილოში კერძი არ ჰქონდათ, ამიტომ ორივენი ცარიელები დაბრუნდნენ უკან ამხანაგებთან, (კერძი როგორ არ ექნებოდათ, როცა ხორცი ჩვენ თვითონ მივუტანეთ, მაგრამ ტიღაშვილს აწყობს, რომ ჩვენ ხელცარიე-

ლები ვიყოთ და ხელს არაფერი გვიშლიდეს ცხენის მოტაცებაში ნ. წ.) ამ დროს რჩეულიშვილმა სასადილოს აღმოსავლეთით გზის პირზე შენიშნა დაბმული ცხენი, რომელიც აუშვა და ზედ შესხდნენ წერეთელი და რჩეულიშვილი და არბენინებდნენ უენო პირუტყვს დეკორატიული ბაღის შესასვლელი კარების მახლობლად (იხ. ს. ფ.).

ამბავი შეიტყო ცხენის პატრონ ზანაძე გრიშამ (ხედავთ რა ამბავი მოხდა ნ. წ.), რომელიც მოვიდა ცხენზე მჯდომ წერეთელთან და რჩეულიშვილთან ცხენის წამოსაყვანად, მაგრამ მისვლისას რჩეულიშვილი ჩამოხტა ცხენიდან და უმიზეზოდ გაარტყა ზარნაძე გრიშას, (საერთოდ გამორიცხულია, რომ გურამს უმიზეზოდ გაერტყა ვინმესთვის, მით უფრო უფროსი კაცისა და თანაც ცხენის სრულიად უდანაშაულო პატრონისათვის, მაგრამ ასე აწყობს მართლწესრიგის დამცველ ტიღაშვილს 8 წ.). წერეთელიც ჩამოვიდა ცხენიდან და მოიწადინა ზარნაძისადმი გარტყმა. მაგრამ ამ დროს ზარნაძემ შენიშნა რა მათი ოთხი ამხანაგი, რომლებიც მუქარით მოდიოდნენ ზარნაძისაკენ ამან შეაშინა ზარნაძე გრიშა და გაიქცა დეკორატიულ ბაღში დაიმალა. მას უკან გამოეკიდნენ წერეთელი, რჩეულიშვილი, დევიძე, რჩეულიშვილი, ჯაშიაშვილი და ჯიბღაშვილი, რომლებმაც დაიწყეს ბაღში გრიშა ზარნაძის ძებნა. (იხ. ს. ფ.)“.

დაუკვირდით რამდენი სისულელე და შეუსაბამობაა: ორი ბიჭი სრულიად უმიზეზოდ ვუპირებთ უდანაშაულო ცხენის პატრონს ცემას, ამ დროს იგი შენიშნავს, ე. ი. შორიდან შენიშნა, რომ მისკენ მუქარით მოდის კიდევ ოთხი ამხანაგი (რა იცოდა, რომ მაინცდამაინც მას ემუქრებოდნენ — ნ. წ.). და გაიქცა, ექვსი ბიჭი გავრბივართ მის საძებნელად.

იმ წლებში ორ ბიჭს ერთის წინააღმდეგ რად გვინდოდა კიდევ ოთხის მოშველება, ზარნაძე რომ მარტო ყოფილიყო და საერთოდ ვინც გინდა ყოფილიყო, გურამი მშვენივრად გაუმასპინძლდებოდა მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე. მაგრამ აი, ასე ხლართავდა მთელ ვითარებას ტიღაშვილი, რომ მეორე მხარე ფრთიან ანგელოზებად გამოეყვანა, ერთ

ლოყაში რომ დავარტყამდით და იმ წამსვე მეორეს გვიშვერ-
დნენ, ჩვენთვის კი მხეცებისა და ხულიგნების როლი დაეკის-
რებინა.

კიდევ ვიმეორებ. ხშირად ვფიქრობდი და ვფიქრობ, რა
ამოძრავებდა, რა განაწყობდა ჩვენდამი ზიზღით სამართლის
დამცველის მანტიით შემოსილ ტიღაშვილს და კვლავ ჩემის
შეხედულებით სრულიად სწორი მოსაზრებით ვხსნი: ეს იყო
ჩვენი მხრიდან რაიმე პატივისცემის იმედის უქონლობა, „მა-
გათგან რა ხეირ ნახამს კაცი“ და ის რომ სულში ბოროტ გლე-
ხად დარჩენილი ტიღაშვილი ფიზიკურად ვერ იტანდა „ქალა-
ქელებ“ და „სტუდენტებ“, ყველა მათგანი პოტენციურ დამნაშა-
ვედ მიაჩნდა.

გავაგრძელოთ ჩვენი შეწყვეტილი საბრალდებო დასკვნა. ე.
ი. ექვსივე გამოვეკიდეთ სრულიად უდანაშაულო საწყალ
კაცს, რომელიც მოწიწებით მოვიდა საკუთარი ცხენის წასაყვა-
ნად, ჩვენ კი ყოველგვარი შეკითხვისა და კამათის გარეშე ცე-
მა დავუპირეთ.

„ვინაიდან გრიშა ზარნაძე ვერ იპოვეს, ექვსივე დაბრუნდნენ
უკან და ბაღის შესასვლელ კარებთან გაჩერდნენ და დაიწყეს
უცენზურო სიტყვებით გინება. (თუკი ექვსივე ასე ერთნაირად
ვიქცეოდით, როგორ ჩაუწყო ტიღაშვილმა ერთ-ერთს თავი-
დანვე მოწმის როლი, ასეთი რამ უმიზეზოდ არ მოხდებოდა —
ნ. წ.) მათმა ასეთმა საქციელმა გამოიწვია მოსახლეობის შეკ-
რება ბაღის წინ გზაზედ. რომლებსაც ბრალდებულები აგინებ-
დნენ და ესროდნენ ქვას (თუკი აგინებდნენ და ქვებს ესროდ-
ნენ რაღას იკრიბებოდნენ ეს დალოცვილები? — ნ. წ.). სწო-
რედ ამ დროს საბჭოთა მეურნეობაში დამთავრდა მუშაობა და
დაღლილი მუშები მოდიოდნენ, რომლებსაც უნდა გამოევ-
ლოთ ბაღის კარების წინ გამავალ გზაზედ, მომავალი მუშები
სამუშაო იარღებით მოულოდნელად დაესხნენ თავს, წაარ-
თვეს იარაღები (ე. ი. ექვსმა ბიჭმა მუშების მთელი ჯგუფი გა-
ნაიარაღა. სულ არეულ-დარეულია ისედაც უბადრუკი აზრები,
აქ შეიძლება ისეც გაიგოს ვინმემ რომ მუშები დაგვესხნენ
თავს — ნ. წ.) და დაუწყეს ცემა ხალხს, ამ დროს ბრ. წერეთელ-
მა სამუშაოდან მომავალ მუშა ზარნაძე არჩილს შემოარტყა

მუშტი, რის გამოც ზარნაძე დაეცა მიწაზე, დაარტყა თავი ქვას და გახდა უგონოდ. რომელსაც მიაყენა სხეულის დაზიანების კატეგორია. (დაკითხვის დროს არჩილ ზარნაძეს პირდაპირ შთააგონა ტიღაშვილმა, რომ მას წერეთელმა დაარტყა და არა სხვა ვინმემ. იმდენჯერ უთხრა ზარნაძეს ხო ეს იყო კაცო, აღიარე თორემ კანონის ძალით დაგაპატიმრებო, რომ შეშინებულმა გლენკაცმაც ბოლოს და ბოლოს თავი დააქნია — ნ. წ.). მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულებს მიეღოთ მსუქნიშვილის და ფაციაშვილის წესიერი მითითება, მათ პირიქით დაუწყეს ცემა და მოქ. ფაციაშვილს სხეულის მსუბ. დაზიანება და ჩაიდინეს თავაწყვეტილი ხულიგნური მოქმედება, რითაც აშკარა უპატივცემულობა დაიმსახურეს წინანდლის მცხოვრებთა შორის, რისთვისაც დევიძე გივი, რჩეულიშვილი გურამი, რჩეულიშვილი ედიშერი, ჯაშიაშვილი თენგიზი და ჯიბღაშვილი ელიზბარი მიცემულ იქნა პ გებაში საქ. ს. ს. კ. 75-ე მუხ. II ნაწილით, ხოლო ბრალდებული წერეთელი ნუგზარი მიცემული იქნა პ/გებაში საქ. ს. ს. კ. 75 მუხ. 11 ნაწ. და 155 მუხლით. საქმეზედ დაკითხულმა ბრალდებულებმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არა სცნეს დამნაშავედ და განმარტეს, რომ მართალია ა/წ აგვისტოს იყვნენ წინანდალში და მათ უმიზეზოდ თვით სცემეს მოქალაქეებმა ცხენზე შეჯდომის გამო. ბრალდებულების ასეთ განმარტებას გამოძიება ვერ მიიღებს გამამართლებელ მოტივად იმის გამო, რომ საქმეში არსებული მასალებით სახელდობრ მოწმეთა ჩვენებით ა/წ 4 აგვისტოს სოფ. წინანდალში მთვრალ მდგომარეობაში მყოფებმა ჩაიდინეს თავაწყვეტილი ხულიგნური მოქმედება და მსუბუქად დააზიანეს მოქ. ზარნაძე არჩილი და ფაციაშვილი დავითი (იხ. ს. ფ. ზემოაღნიშნულიდან ბრალფ ედებათ“...

ამის შემდეგ წინანდალში მომხდარი კონფლიქტის ექვსივე მონაწილის ანკეტური მონაცემებია ჩამოთვლილი და კვლავ გამეორებულია, როგორც ბრალდების მოტივები ისე წაყენებული მუხლები.

ასე დაასრულა ლეიტანანტმა ტიღაშვილმა თავისი საქმე და სინდისის ქენჯნის გარეშე გასწირა ახალგაზრდები. ახალგაზ-

რდობისადმი საერთოდ ასეთი ნდობა და სიყვარული ბატონობდა იმ წლებში საქართველოში და მთელს კავშირში. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე გაჩერებაც კი არ შეიძლებოდა, საკმარისი იყო სამი-ოთხი ბიჭი რამდენიმე წუთით გაჩერებულიყავით, რომ მილიციონერი მოგადგებოდათ ცივად ნასროლი სიტყვებით: „დაიშალეთ, გაიარეთ, ნუ გაჩერდებით“. თუ არ დაუჯერებდით, მილიციის განყოფილებაში წაყვანა არ აგცდებოდათ; ეს ის დრო იყო, როდესაც დიდად პატივცემულმა შინაგანი სამსახურის გენერალმა, თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა რუსთაველზე, ლაღიძის წყლების წინ, მეგობრებთან გაჩერებულ გურამს ხევსურეთიდან ჩამოტანილი ორიგინალური თითბრის ბეჭედი თითიდან წაგლიჯა და ტლანქი ჩექმის დარტყმით რუსთაველის პროსპექტის ქვაფენილს დააჭყლიტა.

ერთი სიტყვით, ეს ის დრო იყო, როცა ახალგაზრდობის ჰხოივ თუნდაც სულ უმნიშვნელო არაკომუნისტური და არაკომკავშირული გამოვლინება სასტიკად იდევნებოდა, როცა რაიმე დემოკრატიაზე ფიქრიც კი სასაცილოდ ჩანდა და ყველა ერთიანად იყო შეშინებული დამთრგუნველი ძალის ულმობლობით.

ასეთ დროში ჩვენ ვინ რას გვაპატიებდა და ვინ გვიშველიდა, ლეიტენანტ ტიღაშვილის თავდადგმული საქმე გაგრძელდა და წარმატებით დაგვირგვინდა. საბჭოთა სასამართლოშიც უხვად იყვნენ ტიღაშვილები და სილამაზის ფეხით გამსრესი გენერლები.

გამოძიების მსგავსი ფაციფუცით. მოწმეთა ზედაპირული და კითხვით, უყურადღებობითა და უსულგულობით იმავე აგვისტოს თვეში შესდგა სასამართლოც და კვლავ ფულით კაზულუქებულმა მოსამართლემ ჩვენი დანაშაული და მოპირდაპირე მხარის აბსოლუტური უცოდველობა დაადასტურა. ედეგი ასეთი იყო: როგორც ვთქვით, ერთი გაანთავისუფლეს, ოთხს, მათ შორის გურამ რჩეულიშვილს წელიწადითა და სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს, მე როგორც სტუმარს პატივი მცეს და ერთი თვით მეტით წელიწადითა და ოთხი თვით დამაჯილდოვეს.

მახსოვს საღამოს გულდამძიმებულები როცა ვისხედით ნადიკვარზე გურამ რჩეულიშვილმა თქვა: „რა ვუყოთ. ასე მოხდა. ბოლოსდაბოლოს კოლონიაში ერთად ვიქნებით. ერთმანეთს მოვუვლით და თან ცხოვრებას კიდევ უფრო ახლოს გავიცნობთ. მაგრამ ნუგზარს რა ვუყოთ, ჩვენ რომ გამოვალთ, ერთი თვე მარტო როგორ გაძლებსო“. მეც ამას ვფიქრობდი. ეჰ, მაშინ მხოლოდ ცხრამეტი წლისანი ვიყავით.

ჩვენი მშობლები საქმის ამგვარ მძიმე დაბოლოებას სრულიად არ მოელოდნენ. თვით წინანდლელი გლეხებიც დაბნეულები და დაღონებულები იყვნენ. ცხენის პატრონი გრიშა ზარნაძე პატიოსანი კაცი აღმოჩნდა, თავს იკლავდა. ეს რა მომივიდა, ეს რო მცოდნოდა, მე მეგონა ბიჭებს შეაშინებდნენ და ამით მორჩებოდა ყველაფერიო, კარგი ბიჭები ყოფილან. ამათი დაღუპვა როგორ იქნებაო და არჩილ ზარნაძეს, აგრეთვე სხვებსაც ეუბნებოდა — სიმართლე დავწეროთ კაცო. მილიციას და სასამართლოს ვუჩივლოთო. უჩივლო თორე შენც ვინმეს ყურებზე ხახვი არ დააჭრაო, — პასუხობდნენ შერცხვენილ ადამიანს, რომელიც განიცდიდა მომხდარ შემთხვევას.

დატრიალდნენ ჩვენი მშობლები. საქმე უმაღლეს სასამართლოში გადმოიტანეს. აქ უკვე ტიღაშვილის და მისთანების დონე აღარ იყო. თანაც ჩვენს ადვოკატად ყოფნა ისურვა ირაკლი რაზმაძემ. ის იყო უაღრესად განათლებული, ლამაზი და კეთილშობილი კაცი. უპატიოსნესი ადამიანი. თავად ბევრჯერ რეპრესირებული. 1924 წლის სისხლში ჩაეშობილი აჯანყების მონაწილე, გურამის მამის ძია მიშას ბავშვობის მეგობარი.

მან ბრწყინვალედ წარმართა საქმე. პროცესზე გამოვიდა ვრცელი, ზედმიწევნით დამაჯერებლად აგებული სიტყვით, მთლიანად გააცამტვერა ტიღაშვილის ცალმხრივი, დაუსაბუთებელი, ტენდენციური მოკვლევა და ჩვენც ცხვირწინ გაღებულ ციხის საშინელ კარებს გადავრჩით. თელაველი ბნელი, მოსამართლის მიერ მოსჯილი პატიმრობის ვადა იძულებითი მუშაობითა და სახელმწიფოსათვის ოცი პროცენტის გადახდით დამთავრდა.

მერე მე მამაჩემმა რაღაც ტაქსოდერმიულ ლაბორატორიაში მომაწყო დამხმარე მუშად, სადაც ძირითადად ფიტულებს

აკეთებდნენ, მაგრამ თანამშრომლებს ნადირს არავინ აკვლევინებდათ და საქმეც ცოტა იყო. მივიდოდი, მსუბუქად წავიმუშავებდი და მერე მივდიოდი მეგობრებთან.

გურამ რჩეულიშვილი ბიძამისმა შალვა ნიჟარაძემ, რომელსაც მშენებლობის ხაზით დიდი პოსტი ეჭირა, სოლოლაკიდან ბოტანიკური ბაღისკენ გამავალ დიდ გვირაბში მოაწყო სამუშაოდ.

ჩემი დაწესებულება კოლმეურნეობის მოედანზე მდებარეობდა, იქიდან ფეხით ავდიოდი გურამთან. ვინაიდან მაშინ ჩვენთვის ტელეფონი არ არსებობდა. წინა საღამოს დავთქვამდით ხოლმე შეხვედრის დროს.

ვიჯექით და ვსაუბრობდით. მერე შევკრიბავდით ჩვენს კაპიკებს, ვიყიდდით რაიმე საჭმელს, ავდიოდით იქვე კალას მთის კალთებზე და გადმოვცქეროდით ჩვენს საყვარელ ქალაქს. სიცხეში გვირაბით გავიდოდით ხოლმე ბოტანიკურ ბაღში, სადაც ჩანჩქერთან გვიყვარდა დასხდომა. ხშირად რომელიმე მეგობარი — გურამ გეგეშიძე, თენგიზ ჯაშიაშვილი, ედიშერ რჩეულიშვილი, გურამ რუსიშვილი ან სხვა მოვიდოდა და მაშინ მხიარულად ვატარებდით დროს. ერთად ყოფნით ცხოვრება ჩვენთვის გაცილებით იმედიანი ჩანდა.

* * *

რახან ასე ფართოდ შევენე ჩვენი სასამართლოს საკითხს, მინდა აქვე მეორე დრამატული შემთხვევაც გავიხსენო.

ზოგიერთისათვის იქნებ მიუღებელიც კი იყოს ამ ფაქტების გახსენება, კრიტიკული შენიშვნაც შეიძლება გაუჩნდეს მკითხველს ჩემს მიმართ: სად ჩანს აქ ეროვნული სულისკვეთებაო, მაგრამ გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე ცხოვრების თუნდაც სულ უმნიშვნელო დეტალებიც კი დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იმაზე სიტყვის გაგრძელება, თუ რაოდენ დიდია ქართველი ხალხის, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობის დაინტერესება გურამ რჩეულიშვილის ფენომენით, ზედმეტად მიმაჩნია. მსგავსი მოგონებებითა თუ ლიტერა-

ტურული წერილებით თანდათან სრულყოფილად წარმოსადგენი ხდება ახალგაზრდა მწერლის პიროვნება და შემოქმედებითი გზა.

ამ უსიამოვნო ფაქტმა, რომელიც ძირითადად გურამს და მე შეგვეხება. საუკუნის მესამედზე მეტხანს გაუძლო. იგი სასწაულით გადაურჩა დასჯით, დაუნდობლობითა და განადგურებით სახელმოხვეჭილი კომპარტიის წესად ქცეულ შურისძიებას. ანკეტურ მონაცემებში აღნიშნულ შემთხვევებს ვმალავდი, ანუ პარტიული ენით რომ ვთქვათ, ფაქტებს „შეგნებულად ვაყალბებდი“. ასე რომ არ მექნა საერთოდ უადგილოდ დავრჩებოდი და პარტიისაგან შერისხული ვერაფერს მივაღწევდი. 27-28 წლის წინ ძნელი განსაჭვრეტი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ათწლეულობით ნანატრი დრო ასე მალე დადგებოდა. მაშინ მთელი ძალებით ცდილობდნენ ჩვენში ამ ბედნიერ დღეებზე ფიქრიც კი ჩაეკლათ და ჩაემარხათ, რასაც სამწუხაროდ დროებით მაინც აღწევდნენ.

ზემოთმოყვანილი წინანდლის ინციდენტს და სხვა მსგავს ფაქტებსაც უფრო იმიტომ ვიხსენებ, რომ წლების გადმოსახედიდან გარკვევით ვხედავ ტოტალიტარული სახელმწიფოს უმძიმესი რეჟიმი როგორ ბოჭავდა ახალგაზრდობას და ყველა, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომისათვის მის ფეხქვეშ გათელვას როგორ მიესწრაფოდნენ მავანნი, ყელზე მარყუჟივით შემოჭერილ რეჟიმთან ერთად კორუფციაც აშკარად იყო მომძლავრებული და უსამართლობას უსამართლობა ცვლიდა, სარგებლის ძებნაში ნამდვილ დამნაშავეებს ხელს აფარებდა ნენ, შედარებით მცირე ნებით თუ უნებლიე დანაშაულს კი ბუქავდნენ და უპატრონოთა დაშინების მიზნით სასჯელს არ იშურებდნენ.

ამგვარ უსიამოვნო ფიქრებთან ერთად ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ერთი ამბავი, რაც ოცდათხუთმეტზე მეტი წლის წინათ შეგვემთხვა.

1955 წლის ცივი იანვარი იდგა. საშინლად ციოდა და გაყინულ ქუჩებში რაც შეიძლებოდა თბილად ჩაცმულები დავხეტიალობდით, თბილისის საყვარელ ქუჩებში სიარულს კი ვერ ვიშლიდით, მაინც ვიკრიბებოდით და ერთად ვატარებდით დროს.

15 იანვარს ჩვენი თანაკურსელის და მეგობრის მედეა ლორთქიფანიძის დაბადების დღე იყო. მე და გურამი მიგვიპატიჟეს. ჩვენც დიდი სიამოვნებით წავედით, ასეთ მშვენიერ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდით.

იუბილართან არ დაგვიგვიანია. დროზე მივედით ყოფილი კლარა ცეტკინის, ამჟამად წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, გურამის ყოფილი სახლიდან, ე. ი. რენინგერის ქუჩიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე ჩვენი მეგობრის ბინაში.

მშვენიერი დაბადების დღე იყო. ძირითადად 20-21 წლის ლამაზი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა მხიარულობდა, სიმღერას ლექსი მოსდევდა, ლექსს სიმღერა ცვლიდა და სადღეგრძელოებიც სიამოვნებით ისმებოდა.

ჩვენ გვარიანად, შევქეიფიანდით და უკვე თორმეტი საათი იყო გადასული, როცა სახლისაკენ წამოვედით.

ნელნელა მივდიოდით, ბევრ რამეს ვიხსენებდით, ვკამათობდით, ხან ვიცინოდით, ხანაც ვცხარდებოდით. ერთი ჩვენი თანამესუფრე და ამხანაგი ამიხირდა — ამა და ამ გოგონას შენ კომპლიმენტებს რატომ ეუბნებოდი, ხომ იცოდი, რომ ჩემი საუკეთესო მეგობრის საცოლეაო. ამაზე შევყევით და გურამი რომ არა, შეიძლება ჩხუბიც მომხდარიყო.

ლაპარაკ-ლაპარაკში მარჯანიშვილის ქუჩაზე გამოვედით, აქ მე და გურამი მარტო დავრჩით, იქვე, მოედნისაკენ მივდიოდით.

შორიახლოს, ქუჩის მარჯვენა მხარეს, პატარა დუქანი იყო, მისი განათებული ვიტრინის წინ ოთხი-ხუთი კაცი კამათობდა. როგორც ჩანს გვიან გამოსულიყვნენ დუქნიდან და დაწყებულ კამათს აგრძელებდნენ. ჩვენი ცნობისმოყვარეობამ გვძლია და გავჩერდით.

საკმაოდ უხეშად ლაპარაკობდნენ. ერთმანეთს უმტკიცებდნენ ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი, ვიტრინისაკენ ზურგით მდგომმა მის წინ გაჩერებულ ერთ-ერთ ამხანაგს ხელიც კრა კარგი, გეყოფა, შენი გზით წადიო. ამანაც ვეღარ მოითმინა და კიდევ უფრო გამეტებით უთავაზა, ვიტრინისაკენ ზურგით

მდგარი ძალიან მთვრალი იყო, ვეღარც წონასწორობას იცავდა. იგი მოწყვეტით მიეჯახა ვიტრინას და შუშა ზრიალით ჩამოიფშვნა.

ამ ხმაურზე იქვე ახლოს მდგომი ღამის დარაჯი მოვარდა ძველი ერთლულიანი თოფით. ის ხელის კვრით გააგდეს. დარაჯი განაწყენებული ყვიროდა ყველას დაგხოცავთო. მთვრალები მას ეკამათებოდნენ, ეუბნებოდნენ რა ღირს, გადავიდითო, დარაჯი კი დამტვრეული სომხურ-ქართულით ჯიუტად იმეორებდა: არა. მილიციაში უნდა წამოხვიდეთო.

ამ აყალმაყალში კარგად შეზარხოშებულ ახალგაზრდათა ჯგუფმაც ჩამოიარა, მათ გატეხილი ვიტრინიდან ორი-სამი ბოთლი, აგრეთვე შამფური აიღეს და გზა გააგრძელეს. ჩხუბში გართულ დარაჯს ეს არც შეუმჩნევია.

ამ დროს მოკამათეებთან ახლოს მაშინდელი ავტომანქანა „პობედა“ გაჩერდა, გაჭინჭყლებული ამხანაგები დანარჩენებმა შიგ შეტენეს და ღამის დარაჯის პროტესტის მიუხედავად თვალს მიეფარნენ. ჩვენც წამოსვლა დავაპირეთ. გაცეცხლებული დარაჯი დაგვეტაკა — თქვენ ერთად იყავით და მითხარით ვინ იყვნენო. გურამმა უთხრა ერთად როგორ ვიყავით. ჩვენ მოვდიოდით ზემოდან, ეგენი კი უკვე ჩხუბობდნენ. ჩვენ ხომ თქვენს წინ გამოვიარეთ, იქ რომ იჯექით გასტრონომის კარებთანო.

ღამის სიცივეში თავად გადაკრული დარაჯი, როგორც მერე დავადგინეთ, კარო ვართაპეტოვი, სულ გადაირია: მე არ ვიცი. ვინ სად იყო, თქვენ ვერსად ვერ წახვალთ, სანამ მილიცია არ მოვაო, თანაც თავისი სასტვენით უაზროდ უსტვენდა და უსტვენდა.

გურამი მაინც მოტრიალდა და წამოვედით. ტვინარეული დარაჯი წინ გადაგვიდგა და ხელებით დაგვიწყო გაჩერება. გურამმა მისი ხელები მოიცილა, ის მაინც არ გვეშვებოდა. ბოლოს შეგვაგინა და გურამს ხელი უხეშად ჰკრა სახეში. აქ კი დაკარგა მოთმინება გურამმა, მაგრამ ამ საწყალი კაცუნასათვის მაინც არ გაურტყამს, რომ გაერტყა ალბათ ვეღარც ააყენებდნენ. სხვანაირად კი დასაჯა უხეში კაცი. დარაჯს ღია რუხი ფერის ჯარისკაცული თბილი მაზარა ეცვა, რაც ბევრს შემორჩა

ომის შემდგომი წლების მანძილზე თბილისში. გურამმა ხელი სტაცა ამ კოჭებამდე დაშვებული მაზარის უკანა კალთებს, ერთი ათჯერ მაინც დაატრიალა, დააბზრიალა, შემდეგ ხელი გაუშვა და წონასწორობადაკარგული დარაჯი მატერიალურად ზარალმიყენებული თავისი ღამის ობიექტის წინ ასფალტზე მოწყვეტილივით დაემხო.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მარჯანიშვილის მოედნის მხრიდან სწრაფად მომავალი მილიციის მოტოციკლეტი. ჩვენ მწარე გამოცდილებით ვიცოდით, რომ სიმართლეს ვერ დავამტკიცებდით, ამიტომ მოვტრიალდით და იქვე ეზოში შევვარდით.

ჩაბნელებული ეზოს სიღრმეში სახლები იდგა. იქვე მეორე ეზო ქვის მაღალი კედლით იყო გამოყოფილი. გაქანებული გურამი შეახტა ამ ღობეს, აიწია მკლავებზე და იქით მხარეს გადავარდა. ჩქარა, ჩქარაო, — იქითა მხრიდან მეძახდა. მაგრამ მე კედელთან უკვე დაკარგული მქონდა ქანი, გადახტომას ვეღარ ვახერხებდი. დრო კი არ იცდიდა, ამიტომ მოვტრიალდი, იქვე გვერდით მდგარი სახლის სადარბაზოში შევვარდი. ორი-სამი საფეხურით დაბლა სარდაფი თუ რაღაც სიცარიელე იყო, იქ გაჭირვებით შევძეერი და სიღრმეში დაგდებულ ყუთებს ამოვეფარე.

გარეთ, ეზოში, უკვე ისმოდა ხმაურის ხმები, დადიოდნენ და ეძებდნენ დამნაშავეებს. ჩემთვის ვიწექი გაყუჩებული და გულს დაგადუგი გაჰქონდა, მერე სარდაფში ჯიბის ფარნების საკმაოდ ძლიერმა შუქმა შემოანათა და ერთ-ერთი დამნაშავე მიპოვეს.

რა თქმა უნდა, გამომიყვანეს, მე ჩემსას ვლაპარაკობდი, დამტკიცებას ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზი ის იყო, რომ მართლწესრიგის დამცველებს გავექეცი. თუ დამნაშავე არ იყავი, რატომ გარბოდიო, — ამ სალდაფონურ რკინის ლოგიკას სადღა გაექცეოდი.

დარაჯიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა — „ეგ მაგანთი ამხანაგია, ყველაფერი იცის, ისე „სპარავედლივად“ რომ ვთქვათ, მაგას არც ჩაუტეხამს და არც მე გაურტყამსო“, — ოდნავ მაინც

დამინდო კარომ. მაგრამ მის სიტყვებს უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ჩამსვეს ეტლიან მოტოციკლეტში, ერთი მილიციელი ჩემს უკან დაჯდა და უხეშად მაწვებოდა ხელებით, ვითომ რომ არ ამოვმხტარიყავი.

მიმიყვანეს კინოთეატრ „კოლხიდის“ პირდაპირ მდებარე მილიციის განყოფილების პატარა, ჭუჭყიან, სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ ოთახში. უკვე ძალიან გვიან იყო, მაგრამ მილიციის უფროსი თურმე იქ ბრძანდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა მაღალი, მწითური მაიორი. მორიგე წამოხტა, გაეჭიმა და შეუსვენებლად მოახსენა მილიციელთა ბრიგადის ნაამბობი. ამასობაში მთავარი მოწმე კაროც მოიყვანეს, ისიც თავისი ჩიქორთული ქართულით მოყვა ღამის ინციდენტის შესახებ და ყველაფერს „ნათელი მოეფინა“; „სწორედ ამნაირები არიან ქვეყანას რომ აქცევენ. — ბრძანა უფალმა მაიორმა, — დაჰკითხეთ და დაადგინეთ დანარჩენები ვინ იყვნენ, დამნაშავეები სათანადოდ უნდა დაისაჯონო“.

ოქმი შეადგინეს, ყველაფერი ჩაწერეს და დილით გამომძიებლის მოსვლას დაელოდნენ, რომ გამოცდილ ოპერმუშაკს წარემართა ასეთი რთული და ძნელად გასარჩევი საქმე.

როცა ოქმს აფორმებდნენ, ბინის მისამართი და ტელეფონიც მკითხეს. ვინაიდან ტელეფონი არ გვქონდა, მეზობლის ტელეფონი მივეცი. სწორედ იმმეზობელთან დაერეკათ. ის იურისტი იყო, საკმაოდ ბოროტი და უკულტურო ადამიანი, დილაადრიან დაეძახა ჩვენებისათვის: ნუგზარი დაუჭერიათ ხულიგნობისათვის და მილიციაში გიბარებენო. საწყალ დედაჩემს გული წასვლოდა, მამა კი მეგობართან გაქცეულიყო, იქნებ ვინმეს ეშველა ამგვარი გაჭირვების დროს.

დილით მოვიდა გაფითრებული, ხმაჩავარდნილი, აღელვებული მამაჩემი. აღელვების საბაბი კი ჰქონდა. სულ ცოტა ხნის წინ კინაღამ დაგვღუპეს ახალგაზრდა ბიჭები, ახლაც აშკარა საფრთხის წინაშე ვიდექით. თანაც მაშინ მამაჩემი ფაქტიურად სრულიად უუფლებო იყო, რადგან ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული თბილისში ცხოვრების უფლება და თავისი უკუღმართი ბედის გამო თავად შიშით კანკალებდა.

საქმე ის არის, რომ მამაჩემი აკაკი წერეთელი, ფილოლოგი და მწიგნობარი კაცი, პოლიტპატიმარი იყო. მას ხალხის შიშით დამზაფვრელი ხელისუფლების მიერ ათი წელი ჰქონდა მისჯილი. დიდი ხნის წვალების შემდეგ ომის დაწყებისას დაიჭირეს, თანაც ზუსტად საქართველოს განთავისუფლების დღეს — 26 მაისს დილით, რომ მაშინდელი „ჩეკას“ თუ „ენკავედეს“ აზრით რაიმე საბოტაჟი არ მოეწყო და თანამოაზრენი არ აეყოლიებინა. ამისათვის იგი საიმედოდ უნდა ყოფილიყო იზოლირებული. თანაც მამაჩემს კაცობრიობის მამისა და პროლეტარიატის გენიალური წინამძღოლის შესახებ სადღაც სუფრაზე აუგიც ჰქონდა ნათქვამი, რაც მისმა ორმა ვითომ ერთგულმა თანამშრომელმა, სინამდვილეში კი სუკის აგენტებმა, დაუყოვნებლივ აცნობეს წერილობით იქ, სადაც გულგრილად წყდებოდა ათასობით ადამიანის ყოფნა-არყოფნის ბედი. მასთან ერთად დაიჭირეს უსპეტაკესი ქართველი კაცი ალიოშა ასათიანი, რომელიც მამაჩემს ბიძად ერგებოდა და ორივე ბიძა-დიშვილი ერთ საქმეზე, სამშობლოს ღალატისათვის წაყენებული მუხლით გაასამართლეს ათ-ათი წლით.

მამაჩემი და მისი მეგობარი შევიდნენ იმ მწითურ, ზედმეტი ჭამა-სმისაგან აჟინჟღილებულ მილიციის უფროსთან. ნაცნობობითა და როგორც გვიან გავიგე, გარკვეული გასამრჯელოს გამოძალვით ჩაეწყო საქმე და მე გამომიშვეს. თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გულისგამაწვალებლად მიბარებდნენ და მიბარებდნენ. თითქმის ყოველდღე მეკითხებოდნენ ვინ იყვნენ ის მთვრალები, რომლებიც „პობედით“ გაიქცნენ და განსაკუთრებით, როგორც ღამის დარაჯმა კარომ აღწერა, ის ხუჭუჭთმიანი, ლამაზი. ჯანიანი ბიჭი. როგორც ჩანს, კაროს მწარედ დაამახსოვდა გურამის მიერ ჩიკორივით დაბზრიალება და მისი მიწაზე გამგორებლის გარეგნულ დახასიათებას ჯანღონის გამომხატველი ეპითეტიც დაუმატა.

კარო რომ გაიძახოდა ხუჭუჭთმიანია დამნაშავეო, ეს ეტყობა ღამის განათებისა და გადაკრული არყის ბრალი იყო. გურამს ქონდა ლამაზად ატალღებული ხვეული თმები, რასაც

ზოგიერთი ხუჭუჭა თმად ნათლავდა. თავად ეს ეპითეტი სასტიკად არ მოსწონდა და ცდილობდა თმები სულ სწორად დალაგებული ჰქონოდა.

ვიტრინის ჩამტეხი მთვრალების შესახებ განუწყვეტლად ვიმეორებდი იმას, რაც იყო სინამდვილეში. გურამის შესახებ კი ვამბობდი, რომ ის ვიღაც ხუჭუჭთმიანი ისევე იდგა სეირის მაყურებელთა შორის, როგორც მე და ალბათ სხვებიც, და რომ მას პირიქით შეურაცხყოფა მიაყენა ბატონმა კარო ვართაპეტოვმა, მან კი აშკარად გადააჭარბა თავის უფლებებს.

მთავარი მოწმე დარაჯი და კიდევ ორიოდე იქვე მცხოვრები, რომლებიც სადარბაზოდან თუ ფანჯრიდან უცქეროდნენ სეირს, ამტკიცებდნენ, რომ ის ვიღაც ხუჭუჭთმიანი, ოდნავ გაცვენილი თმებით, სპორტული აღნაგობის ძლიერი ტანით, იყო ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე. ამას მოყვებოდა ჩაცმულობის აღწერა: უქუდო, სიცივის მიუხედავად საკინძეჩახსნილი, მუქი ფერის პერანგი, რუხი ფერის ნახევარპალტო, შავი ვიწოო შარვალი და შავი ფერისავე მაღალყელიანი ბათინკები. მოკლედ გურამის პორტრეტი საკმაო სიზუსტით იყო წარმოდგენილი.

ხუჭუჭთმიანი ბიჭის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. ამასობაში რამოდენიმე თვეც გაილია. საქმე დამთავრდა და განსახილველად სასამართლოს გადაუგზავნა.

ალბათ ბედნიერება იყო ის, რომ მაშინ ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული დადებითი დანასიათებების თუ ნაკლები დაინტერესების გამო სულ რაღაც წელიწადნახევრისწინანდელი ჩვენი ნასამართლობა არ ამოტივტივდა. ეს კი გარკვეულ იმედებს გვისახავდა მეც, გურამსაც და ჩვენს უახლოეს მეგობრებსაც.

დაინიშნა სასამართლოს დღეც. სასამართლო მდებარეობდა მაშინდელი საბჭოს ქუჩის პატარა მოედანზე. „კირიჩნთან“ ანლოს, გურამ რჩეულიშვილის ოჯახის ყოფილი საალიდან სულ რაღაც 200-300 მეტრის დაშორებით.

ბევრი ჩემი მეგობარი, მახლობელი და თანაკურსელი შეიკრიბა. სხდომას ესწრებოდა გურამ ოჩეულიშვილის მამაც, აკადემიკოსი მიხეილ რჩეულიშვილი და სხვები.

სასამართლოს სხდომათა ოთახი პირველ სართულზე იყო. ფართო ფანჯრები მოედანზე გადიოდა.

დაიწყო სხდომა, წაიკითნეს საქმე. ოთახში შეკრებილ ხალხს გააცნეს რაც მოხდა. დამ კითნეს მე. ნელახლა დაკითხეს ღამის დარაჯი ბატონი კარო და მოწმეები, მათ გამოსვლებში ყველგან ფიგურირებდა ხუჭუჭთმიანი მაღალი ბიჭი.

ამ დროს მე შემთხვევით გავიხედე ფანჯარაში, თვალი მოვავლე სასამართლოს პირდაპირ მდგარ ძველებურ სახლებს და მოულოდნელობისაგან კინაღამ შევყვირე: ვიწრო მოედნის, ფაქტიურად 12-15 მეტრიანი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, დაბალი ორსართულიანი სახლის მეორე სართული. პატარა აივანზე იჯდა გურამ რჩეულიშვილი და თვალმოუცილებლად დაჰყურებდა სასამართლოს ოთახს, სადაც სხდომა მიმდინარეობდა.

ცოტა ხანში რამოდენიმე წუთიანი შესვენება გამოცხადდა და გურამის მამამ ძია მიშამაც დაინახა იქვე სულ ახლოს აივანზე ჩვეულებისამებრ უქუდოდ მჯდარი გურამი და გაოცებისა თუ სიბრაზისაგან ყბა აუცახცახდა: ეძებენ ამ ხუჭუჭთმიან ბიჭს, აღწერენ მის გარეგნობას, ჩაცმულობას, ის კი ზუსტად ისევე ჩაცმული როგორც აღწერენ, აქვე ზის მართლმსაჯულების ცხვირწინ და გასცქერის თუ რა ხდება დარბაზში.

სახელდახელოდ გავგზავნეთ ერთი მეგობარი, რომ ის წასულიყო, მაგრამ გურამ რჩეულიშვილმა ფენიც არ მოიცვალა, იჯდა, გაჰყურებდა დარბაზს და როგორც მერე გვითხრა, თურმე საშინელი მღელვარებით ელოდებოდა სასამართლო როგორ დამთავრდებოდა, ე. ი. რა განაჩენი იქნებოდა გამოტანილი.

დამთავრდა სასამართლო, რაღაც მუხლებით მომისაჯეს პატიმრობა, მაგრამ მერე კვლავ რაღაც და რაღაც მუხლების ძალით ხუთი წლით პირობითად თავისუფლების აღკვეთით შემიცვალეს. ასე იყო თუ ისე, გადავრჩი და მეგობრებიც მილოცავდნენ, გურამმაც გადამკოცნა და მოედნიდანვე მეგობრებთან ერთად წავედით „ზემელისაკენ“, რომ ეს გადარჩენა აღგვენიშნა.

მერე გურამმა გვითხრა: „იმ სახლში ერთი ნაცნობი ცხოვრობს, იმასთან მივედი და ვთხოვე აივანზე სკამი დაედგა, რომ სხდომის ოთახისათვის მეცქირა, სხვანაირად ვერ მოვისვენებდი, ვერსად ვერ გავძლებდი. დარბაზში მალხაზ მიქაძე შემოვგზავნე, რათა ყველაფერი ზუსტად გაეგო და ჩემთვის ამბავი მოეტანა. რომ გაწყრომოდათ ღმერთი და შენთვის რამე მოესაჯათ, იმავე წუთში უნდა შემოვვარდნილიყავი დარბაზში და მეთქვა მე ვარ დამნაშავე. თუკი ამას დანაშაული ქვია, და გთხოვთ დამსაჯოთ, რადგან მე ვიმსახურებ სასჯელს და ჩემი გამოუცხადებლობის მიზეზით თქვენ უდანაშაულო ადამიანს სჯით“.

ამ აღსარებამ ყველა ჩვენთაგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეჭვიც არავის შეპარვია, რომ გურამი თავის ნათქვამს შეასრულებდა, მას ხომ მოყვასისათვის უშურველად შეეძლო ყველაფრის გაღება.

* * *

მე ხშირად ვფიქრობ ხოლმე გურამის მსგავსი გულგაშლილი და ნაღდი მეგობრობა რიგითი მოვლენა არ იყო, როგორც თავად იტყოდა ის ქართული ეროვნული ძირებიდან მომდინარეობდა, საუკუნეების მანძილზე „მოყვარის მძებნელი“ ალალი ქართველის უკვდავი სულით იყო განათებული. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ თითქმის ყველა ცდილობდა გურამთან ახლოს ყოფილიყო, მისი განსხვავებული, თავისუფლებით ავსილი ცხოვრებით ეცხოვრა და გურამის დიდი გულის სითბოთი გამთბარს თავი მის უახლოეს მეგობრად ჩაეთვალა.

შესანიშნავად წერდა გურამის ამ დიდებული თვისების შესახებ ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ 1975 წელს ჟურნალ „ოქროს საწმისის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ალავერდობის ცეცხლი“. აქ იმდენად ღრმა დაკვირვებებია, რომ ციტატის შემოკლებაც კი შეუძლებლად მომეჩვენა.

„ნებსით თუ უნებლიეთ, ყველა შენი ნაცნობი, ახლობელი თუ შორეული, შენზე ლაპარაკისას ისე სახავდა საქმეს, თითქოს შენ მისი უახლოესი ადამიანი ყოფილიყავ. წარმოიდგინე, მეც ასე ვიყავ, მე, რომელიც მხოლოდ რამდენიმეჯერ შეგხვდი

ცხოვრებაში. მაგრამ ის რამდენიმე შეხვედრა დაუვიწყარია ჩემთვის. ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე და ბოლოს მე მგონი მივხვდი, შენ მართლაც რომ უახლოესი ხარ ყველა იმისა, ვინც ეზიარა ცოტად თუ ბევრად შენი პიროვნების განუმეორებელ ცეცხლს, და ვინც ეს ცეცხლი წაუკიდა თავისი სულის პატრუქს. შენ მართლაც ყველას მახლობელი იყავ, ვინაიდან შენში ხედავდნენ ადამიანები თავიანთ უშინაგანესს, უმთავრესს, შესაძლოა უფრო მკაფიოდ გამოხატულს, ვიდრე თავად გააჩნდათ. შენ დაამსხვრიე ის ბორკილები, რომელსაც ატარებდნენ სხვები. შენ ვერ იგუე ის ბორკილები, შენში ხედავდა ყველა თავისთავს ბორკილების გარეშე, და უთუოდ ეს იზიდავდა მათ! შენ ასახიერებდი თავისუფლებას, რომელსაც ყველა მიელტვის, ცნობიერად თუ არაცნობიერად. შენ ცხოვრებისეული პარადოქსებით ამსხვრევდი მეშჩანური მორალის დოგმებს, შენ, გარეგანად თითქოს ქაოტიური, თავად იყავი უდიდესი, შინაგანად მაორგანიზებელი ძალა. შენ უარყოფით აძლიერებდი ჰყოფას. შენ თითქოსდა მოჩვენებითი დისონანსი, თავად იყავი განსაცვიფრებელი ჰარმონია. მოდავე, მქირდავი, თან შემწყრებელი, მამხილებელი, დამგმობი, თან მომტევებელი, ელვასავით ფიცხი და თან კრავივით თვინიერი, ზოგჯერ თითქოს, უხეში, თითქოს სასტიკი, მაგრამ ამავე დროს გულჩვილი, ბალღივით მიამიტი. მახსოვს შენი თვალების ცეცხლი, მახსოვს შენი შეუდარებელი, ცასავით კრიალა ღიმილი, შენი გააფთრება, შენი მჭექარება, მახსოვს ამავე დროს შენი დინჯი ჟესტები, რომლებიც შენ გამშვენებდნენ, როგორც ჭეშმარიტ იბერიელს. უთუოდ შენზეა ნათქვამი: „ვაჟკაცი ამო -გემო, სჯობს, რო გაჭირდება მჭეხარი“. მთელი შენი ცხოვრებით შენ ახორციელებდი თავისუფლების იმპულსს, ხოლო შენი სიკვდილით გვიჩვენე ყველას მაღალი თავგანწირვის უნარი“.

იმ შორეულ წლებში, როცა დღეს დაგმობილი იდეოლოგია და საოცრად მძიმე დოგმები იყო გაბატონებული, გურამ რჩეულიშვილის თავისუფლება, ბორკილებისაგან გაძარცული სული, ყოველგვარი ფონისა და ფასადის გაბედული მოშლა ლაღი ცხოვრებისაკენ სწრაფვა თუ ორიგინალური აზროვნება ბევრს არ მოსწონდა. კონსერვატული აზროვნება გადახრებს,

არ უშვებდა. ალბათ ძნელი იყო წარმოდგენა, რომ ჩვენს შორის დადიოდა ჯერ კიდევ ჭაბუკი დიდი მწერალი, რომელიც სულ სხვა თვალით უცქერდა გამრუდებული გზით მიმავალ ქვეყანას, თავისი შტამპებგადახაზული დამოკიდებულება ჰქონდა მთელ სამყაროსთან.

ვფიქრობ ამ განსაკუთრებულ თვისებებში, უნდა ვეძებოთ გურამ რჩეულიშვილის ფენომენის, განსაკუთრებული ხასიათი და მისი ქართული სულის ჭარბი სიძლიერე, გაბედულება, სიმამაცე. ნიჭიერება, კეთილი ხშირად დაუდეგარი ხასითი. მოყვასისადმი მუდმივი თანაგრძნობა, რაც ყველას იზდავდა, ხიბლავდა, სამეგობროდ განაწყობდა.

ის იყო განსხვავებული პიროვნება. მასში თითქოს იდეალუოდ იყო თავმოყრილი ყველა ის თვისება, რაც სხვებს ნაკლებად ჰქონდათ ან სულ არ ჰქონდათ და ასე ვაჟკაცურ თვისებებზე ოცნებობდნენ. ის ადამიანური შესაძლებლობებპის ზღვაოს სოულიად ბუნებრივად ლახავდა. არ უფრთხოდა და არ ეპუებოდა. ბუნებით თავისუფალი აკეთებდა იმას რაც სურდა.

ცხოვრების მდორე მდინარებას ვერ იტანდა. ოაღაც უფეოული განწყობილების დროს თავის საკუთარ — ხან სრულიად მოულოდნელ ხან თუ გნებავთ შლეგურ აზრს წამოაყენებდა და საოცარი ის იყო, რომ ყოველთვის მისი აზრი იმარჯვებდა. პოლოს ჩუმი თუ ხმამაღალი თანხმობით ირკვეოდა ის, რომ გურამის ნაფიქრალი. გურამის გადაწყვეტილება ყველას სეოდა გაეზიაოებინა, ან თავად წამოეწყო. მაგრამ ვერ ახერსებდნენ, ამის უნარი არ შესწევდათ და ერთი სულით ხოოცამდე კაპედული. ერთფეროვნების წინააღმდეგ ამხედრებული ბიჭი უინტერესო ცნოვრების წამიწამ აფორიაქებას ანერნებდა.

გავინსენოთ როგორ ახასიათებდა თავის ახლო მეგობარს ნიჭიერი მხატვარი თემო ჯაფარიძე ერთ-ერთ ინტერვიუში:

„მე ზუსტად მაქვს წარმოდგენილი. როგორი იქნებოდა ახლა გურამი. როგორ ძალიან აკლია თბილისს მისი პიროვნება (მე დავუმატებდი როგორ აკლია მთელ საქართველოს მისი პიროვნება — ნ წ.)

გუშინდელივით მახსოვს ჩვენი გაცნობის დღე.

მაშინ თბილისელი ბიჭები ახლანდელ კიროვის პარკში ვიყ-დიდით თავს. მოსაღამოვდებოდა თუ არა. უსიტყვოდ. მოლა-პარაკების გარეშე, დაბარებულებივით მივდიოდით პარკში. ვსაუბრობდით ფილოსოფიაზე, ლიტერატურაზე, მხატვრობა-ზე.

ერთ დღეს პარკში გურამი შემოვიდა. თეთრი პერანგი ეცვა. სკამზე ადგილი არ იყო და იქვე. მიწაზე დაჯდა. ცოტა ხანს გვის-მინა და მერე თქვა: აბა, ამ სკამს ვინ გადაახტებაო.

მაშინ გურამი უკვე მოთხრობებს წერდა და ის, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობდით. მასაც აინტერესებდა — მერე თვითონაც არაერთხელ უკამათია. მაგრამ მოვიდა თუ არა. ბიჭური, კაცუ-რი სიშლეგე მოიტანა. დისპუტი ერთბაშად შევწყვიტეთ და სკამზე გადახტომაში დავიწყეთ შეჯიბრება.

თავის გარშემო ადამიანების შემოკრების საკვირველი ნიჭი და მოთხოვნილება ჰქონდა ერთი შეხედვით იქნებ ეგოცენ-ტრულიც მოსჩვენებოდა ვინმეს. მაგრამ ეგოცენტრიზმი მე-გობრების გასაერთიანებლად სჭირდებოდა და როგორც კი მიზანს მიაღწევდა, ის „იზმიც“ უკვალოდ ქრებოდა“. (გაზ „თბი-ლისი“, 19.IV 1986).

მახლობელი მეგობრები ყავდა მხატვრებშიც. მოქანდაკეებ-შიც თემო ჯაფარიძე. გოგი ოჩიაური, კოკა იგნატოვი. ზურაბ წე-რეთელი, ავთო ვარაზი მისთვის კაცური თვისებებისა და ნი-ჭიერების შერწყმის ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

გავიხსენოთ ერთი ნაწყვეტი ნოველიდან: „ბატონო ტელემა-ყურებლებო“. აქ იგი ახალგაზრდა მხატვრების მთელ თაობას გემოვნების, ბიჭობის, ქართული ეროვნული პირების დამცვე-ლისა და გამამრავლებლის როლში უდგენს დღეს სახელგან-თქმულ მოქანდაკეს გოგი ოჩიაურს.

ოცდაოთხი წლის გურამი ასე მიმართავს მხატვრებს და მა-თი სახით ანალგაზრდობას, საკუთარ მეგობრებს თუ საერ-თოდ ქართველებს:

„იყავით პატიოსანი! იარეთ სიონში, აღადგინეთ და მონა-ტეთ დანგრეული ქართული ეკლესიები, მისი კედლები მოგცე-მენ ხატვის ახალი მანერის შერწყმის საშუალებას ქართულ

ეროვნულ ძირთან. თქვენ წინ არის მაგალითი ასეთი მხატვრისა, რომელიც თქვენ ყველას გიყვართ, ის თქვენი ასაკისაა გოგი ოჩიაური. იძმაკაცეთ მასთან! ის წაგიყვანთ მთაში, გაჩვენებთ შატილს, განადირებთ და ვერც გაიგებთ. ისე ჩუმად იმოქმედებს თქვენს დამახინჯებულ გემოვნებაზე“.

გურამისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნში - „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ აღვნიშნავდი, რომ გურამს ძალიან უყვარდა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი და მოქანდაკე ლადო ქოქიაშვილი.

თავისი ნიჭიერებითა და ბიჭობით ლადომ უცებ მოიხვეჭა სახელი მთელს თბილისში. ლამაზი ბიჭი იყო, ძლიერი ქართული სახით, ფართოდ გაშლილი ბეჭებით. როგორც ჩანს, ბევრს ვარჯიშობდა, სპორტს პატივს ცემდა, ეს საშუალო ტანის ბიჭი სულ კუნთებად იყო ქცეული.

გურამი მაშინ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ სცენარზე მუშაობდა და ერთ ღამეს ვარაზის ხევში გამანდო, რომ ალუდას როლი სურდა ლადო ქოქიაშვილს ეთამაშა.

სწორედ იმ პერიოდში მოხდა გამოუსწორებელი უბედურება, რამაც ქალაქი ერთიანად შეძრა: ლადო ქოქიაშვილი დანის დარტყმით მოკლეს.

ჩვენ დაწვრილებით შევიტყვეთ ჩხუბში მყოფი ასტამურ აჩბასა და სხვებისგანაც როგორ მოხდა ეს შემზარავი ამბავი, როგორ გაარტყა ლადომ ერთ-ერთ მეტოქეს და მანაც როგორ იხმარა დანა.

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ იმ წლებში, კერძოდ, 1957, 1958 თუ მანამდელ წლებშიც, ძალზე იშვიათი შემთხვევა იყო ადამიანის მოკვლა. რა თქმა უნდა, იყო ჩხუბებიც. შეტაკებებიც, მაგარი ცემაც, მაგრამ იარაღს და მითუმეტეს დანას იშვიათად თუ ვინმე იხმარდა, ამიტომაც 21 წლის ბიჭის მკვლელობა ყველას გულში მოხვდა, ყველა დაადარდიანა და მწარედ ჩააფიქრა.

გურამმა უაღრესად მტკივნეულად განიცადა ბრწყინვალე მომავლის მქონე ქართველი ბიჭის უდროო დაკარგვა. იმ იშ-

ვიათი, თითებზე ჩამოსათვლელი ტირილიდან და ცრემლიდან, რაც გურამის ვაჟკაცურ სახეზე მინახავს, ერთ-ერთი ლადო ქოქიაშვილსაც ერგო.

მახსოვს ლადოს გასვენების შემდეგ, ღამით, სადღაც დუქანში ვისხედით ბიჭები და შესანდობარს ვსვამდით. აქ იყვნენ ედიშერ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, ბორის ინასარიძე, გურამ რუსიშვილი და ორიოდე მეგობარი.

ლადოს შესანდობარი სუფრის ბოლოს მეორედ შევსვით, გურამმა წამოსული ცრემლები შეიმშრალა, ჭიქა ასწია და თქვა:

„ქართველმა ქართველი, ახალგაზრდამ ახალგაზრდა როგორ უნდა მოკლას, ამაზე საშინელი ამ ქვეყანაზე რაღა შეიძლება არსებობდეს. ლადო იყო უნიჭიერესი ბიჭი, მოვლენა, წინ დიდი მომავალი ელოდა და ასე უმიზნოდ დაკარგა საქართველომ თავისი ღირსეული შვილი. ერთი ჭეშმარიტად სამაგალითო ქართველი დააკლდა ლაშქარს. საერთოდ კაცის მკვლელისა და მითუმეტეს ჩვენი პატარა სამშობლოს შვილის მკვლელისათვის მე მგონი სასჯელის განსაზღვრაც კი შეუძლებელია. რამხელა გენიოსი იყო ვაჟა-ფშაველა „ალუდა ქეთელაური“ და „მოკვეთილი“ რომ დაწერა. ეს იყო მთელი ერის გაფრთხილება, როგორც ფშავ-ხევსურეთში იტყვიან ზარის დარისხება, რომ ქართველმა ქართველზე ხელი არ აღმართოს და საკუთარი მოყვასი, გენეტიკურად სისხლი და ხორცი ამ უნდო წუთისოფელს არ გამოასალმოს. მკვლელი უნდა განიდევნოს, მისი სასჯელი ზიზღი და: ჩაქოლვა უნდა იყოს“.

მე ბევრჯერ აღვნიშნე, ამასვე აღნიშნავს გურამ გეგეშიძე და გურამის არაერთ კრიტიკოსი თუ მეგობარი, რომ იგი ნაწარმოებებში უხვად იყენებდა საკუთარ ბიოგრაფიას, უშუალოდ ნანახსა და შეცნობილს, ყველაფერ იმას, რასაც უღრმავდებოდა და განიცდიდა. ბევრ ნოველასა და მოთხრობაში მთავარი გმირი თუ მთხრობელი თავად გურამია. ასეთ დროს იგი პირდაპირ ლაპარაკობს პირველ პირში. ხშირად მოქმედება მესამე პირში მიმდინარეობს და ჩვენ მაინც აშკარად ვგრძნობთ, რომ ახლებური, სულიერად ძლიერი, ადამიანურად მოაზროვნე გმირების გვერდით დგას ახალგაზრდა მწერალი, რომლის

თვითნაბადი შემოქმედება ყველას ინადირებს თუნდაც სულ უბრალო მოვლენაშიც კი სიღრმისეული წვდომით, გამძაფრებული ტრაგიზმითა და შინაგანი დრამატიზმით. ვეება ვნებითა და ზნეობრივად სრულყოფილი ახალგაზრდული მაქსიმალიზმით,

21 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული ლადო ქოქიაშვილის გახსენებისას სწორედ ჩემი აზრის დამადასტურებლად მოჩანს 1957 თუ 1958 წელს დაწერილი გურამის ერთ-ერთი უსათაურო ნოველა „ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა“, რომელიც პირველად დაიბეჭდა დაწერიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტის გასვლის შემდეგ გურამის ორმოცდაათი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ ერთტომეულში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“.

ნოველას სათაურად „სადიპლომო ნამუშევარი“ ეწოდა. ნაწარმოები ლადო ქოქიაშვილს მიეძღვნა. ზოგადად მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი იცავს დიპლომს. მას შესანიშნავი ნახატი აქვს, თავად ძალიან მოსწონს. ნამუშევარს ჰქვია „შესანდობარი“ ან „ლადო მოკვდაო“.

მხატვარმა, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა გურამმა, მთელი არსებით, მთელი შეგნებით იცის რაც შექმნა. ის იმდენად მაღალი დონის ნაწარმოებია, რომ ყველას უნდა მოეწონოს. ახალგაზრდა კაცის ბუნებრივი აღტაცება ცივ და ბნელ გონებას შეეჯახება. იგი უხსნის სურათის იდეას, სულს. კომპოზიციას გამომცდელებს, უხსნის, რომ ლადო იყო ვაჟკაცი, ერთი ერთზე მისი მომრევი ძნელად თუ იქნებოდა ვინმე. ყველას ცემდა, მერე კი დანით მოკლეს. დუქანში მაგიდასთან მსხდარი ბიჭები მას გლოვობენ და ყველა სიმბოლიური შტრიხი და ჩანაფიქრი ამ იდეის განხორციელებას ემსახურება.

გამომცდელი რუსი პროფესორი ვერაფრით ვერ იგებს ახალგაზრდა მხატვრის უწრფელეს ზრახვებს. ვერ იგებს ნახატში ფერებით ამეტყველებულ დიდ ტკივილს, რადგან მისი შექმნის მიზეზსა და შთამაგონებელს არ იცნობდა.

სამწუხაროდ მოჩანს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ქართველიც მხარს უბამს ან არ ეწინააღმდეგება რუსებს, ამით გურამ

რჩეულიშვილი სხვის წინაშე მორჩილებისა და მონური ქედის მოხრის წინააღმდეგაც ილაშქრებს.

იმ შორეულ წლებში, როცა რაიმე დემოკრატიზაციასა და საჯაროობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩანასახში იმყოფებოდა და მის სათავესთან ორი-სამი დაუჯერებლად ძლიერი ახალგაზრდა ბიჭები იდგნენ, გურამი უკვე თავისი აზრით, ნაწერით, შექმნილით დოკუმენტალურად ილაშქრებდა რუსეთის მძიმე დაწოლის წინააღმდეგ, ქართველ ხალხში გამეფებული უმოძრაობის წინააღმდეგ, როდესაც რუსი პროფესორისა და საერთოდ ქართველების შესახებ წერდა:

„უ მაგისი, ჩვენ ვაჟკაცობას დასცინის, ვფიქრობდი, დასაცინიც არის, ვისაც შეუძლია ხმას არ იღებს...“

ნოველა „სადიპლომო ნამუშევარში“ ეს ადგილი, სადაც ლადოსადმი მიძღვნილი მხატვრული ტილოს აღწერა და დიპლომის დაცვის სცენაა ნაჩვენები იმდენად ძლიერია და საინტერესო, იმდენად აშკარადაა დახატული ავტორის განცდები, რომ გადავწყვიტე ერთი მოზრდილი ციტატა მოვიტანო და კიდევ ერთხელ გავახსენო მკითხველს ის გარდავლილი დრო, ის მძიმე განცდები. ის პროტესტი და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება, რაც უკვე მაშინ იჩენდა თავს, მაშინ იწყებოდა, ქართველი ერის საუკეთესო შვილების არსებაში და შეგნებაში ყალიბდებოდა, რომელთა პირველ რიგებშიც ვაჟკაცურად იდგა გურამ რჩეულიშვილი:

„მაღალ ტილოზე წინ ვაჟ კაცის მკლავი ჩანდა, სახსარში მოხრილი. ის დაბალზე ეყრდნობოდა, მტევანი დიდი იყო, გრძელი ძლიერი თითებით, რომელშიაც თავი იყო ჩაფლული. ხშირი შავი თმა ზევიდან ეფინებოდა შიგ შეჭრილ თითებს, ცერი ყურზე ჰქონდა მიდებული. ყური მოჩანდა ძლიერი და შემართული. დანარჩენი კორპუსი სიბნელეში იყო. სიბნელიდანვე მოჩანდნენ კედელს აკრული ლანდები დიდი კათხებით ხელში, მხოლოდ თვალები უელავდათ. ფერები სინათლეზე შეუდარებელი გამოვიდა. პროპორცია მართალია სადღაც ირღვეოდა, მაგრამ განგებ გავაკეთე ასე. წინა პლანზე მინდოდა ფიზიკური ვაჟკაცობა გამეტანა. გამომივიდა კიდეც. მთელი

დუქანი გლოვობდა. ჩაბნელებული მოდღლეზილი კორპუსები და სიმწუხრისაგან ჩავარდნილი თვალები, რომლებიც ოდნავ ელავდნენ. დახლის წინ ქონდრის კაცის ტოლი ოფიციანტი იდგა დიდი კათხით ხელში, სახეზე სიფლიდის მაგვარი ეკრა, მაგრამ თვალები ქონდა მწუხარე. ისიც ნამდვილად განიცდიდა. ყველაზე ძალიან მაინც წინა პლანზე დახატული ბიჭი მომწონდა, რომელსაც დახლზე ჰქონდა ხელი დადებული და თავი ჩარგული თმებში. ისევ გამიტაცა ჩემმა ნახატმა. მისი ყოველი წვრილმანი წარმოვიდგინე. ნეტა აქა მქონდეს, გავიფიქრე. მერე ისევ ეჭვებმა შემიპყრო, იქნებ არც ისე კარგი იყო, როგორც მე მეგონა. არა, არ შეიძლებოდა, უბრალოდ, ტექნიკური მხარე რომ დაეწუნებინათ, კიდევ ჰო, მაგრამ კომპოზიცია? არ ვიცი, დარწმუნებული ვარ ვერ გაიგეს. ახვლედიანმა და ჯაფარიძემ გაიგეს. მოეწონათ კიდეც ძალიან. ჯერ დაცვის წინ მითხრეს, ბრწყინვალეაო. ახალი გააზრება ნახეს შიგ ამბის, ბრწყინვალე შესრულებით. ნამდვილად იმ რუსის ბრალი იყო. ის ვერ მიხვდა, ან საიდან მიხვდებოდა. ჯერ იმაზე მომდო შარი, რატო ქვიაო „შესანდობარი“ და „ლადო მოკვდაო“, ორივე ერთად ან თუნთაც ერთიც. მე ძლივს ვამტვრევ რუსულს. უფრო დავაბნიე. მას კი რაც შეიძლება მჟავე სახე ჰქონდა. იმედად ჯაფარიძე დამრჩა, მაგრამ როცა გაეცნო ჩამოსული რუსი მხატვრის აზრს, რატომღაც თვითონაც შეიცვალა. რაღაცეები აუხსნა, მაგრამ ძირითადში დამეთანხმა. ვიჯექი და მახრჩობდა ბრაზი. საიდან უნდა გაეგო რუსს „შესანდობარი“ ან „ლადოს სიკვდილი“. ვერაფრით ვერ დავუმტკიცე, რომ ლადო ვაჟკაცი იყო, მოჩხუბარი, დამრტყმელი, ერთი ერთზე ჩხუბობდა, ყველას სცემდა. მერე დანით მოკლეს. მას გლოვობენ მეთქი დუქანში ბიჭები. ის მკლავი კი, რომელიც დახლზე დევს და რომელიც ყველაზე მეტად არის განათებული, სიმბოლოსავით არისთქო მისი ვაჟკაცობის. არაფერი გამივიდა. ვერ გაერკვა... “Значит был хулиган да?!”— იძახდა, მერე ხითხითი დაიწყო, „Дилом и нарисовал, как смерть хулигана оплакивают хулиганы, а?” კინაღამ არ მოვკალი, ერთი კი მივწვდი, მაგრამ ნოდარმა მტაცა ხელი. გამოვედი. კედელზე სურათები აფრიალდნენ, ისე მოვიჯახუნე კარები. უ მაგისი, ჩვენ ვაჟკაცობას

დასცინის. ვფიქრობდი, დასაცინიც არის, ვისაც რაღაც შეუძლია, ხმას არ იღებს, ჯაფარიძეს და არ მოეწონა? თვითონ თქვა შესანიშნავიაო, მაგრამ შეეშინდა“.

როგორც აღვნიშნე, გურამის ნოველებისა და პირადი წერილების, აგრეთვე ნოველების ბოლოს საკუთარი მინაწერების ასოციაციური შედარების დროს ნათლად ჩანს როგორ ოსტატურად იყენებს იგი საკუთარ ნანახს და განცდილს, თავის მაღალ პიროვნულ თვისებებს მკაფიოდ ამჩნევს ნებისმიერ ნაწარმოებს.

ამის შესახებ გამოკვეთილად აღნიშნავდა ვრცელ ინტერვიუში „მონოლოგი დიალოგიდან“ გურამის უახლოესი მეგობარი გურამ გეგეშიძე ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე (# 9, 1988 წ).

„მე ვფიქრობ, გურამმა, პირველად უახლეს ქართულ ლიტერატურაში, შემოიყვანა ძლიერი და ჰარმონიული გმირი. მისი ნაწარმოებების გმირები, თუნდაც არაფერს აკეთებდნენ, უაღრესად მთლიანი, ნათელი პიროვნებები არიან. ეს იმიტომ, რომ მათ უკან მდგარი ავტორი, სწორედ ასეთი პიროვნებაა. როცა ვაჟა-ფშაველა ამბობს, „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო“, ეს წუწუნი კი არ არის, არამედ ვაჟკაცი კაცის მიერ გამოთქმული სოფლის სამდურავი და მგრძნობიარე მკითხველი ამას მყისვე გრძნობს. არიან მწერლები, რომლებიც ხატავენ გმირებს, რომლებიც მთელი წიგნის მანძილზე მარჯვნივ და მარცხნივ ხოცავენ ლომებს და დათვებს, მაგრამ გამოცდილი, ჭკვიანი მკითხველი მაინც არ იჯერებს ამ „გმირის“ გმირობას, რადგან ის უკან ამჩნევს სუსტი პიროვნების ოცნებას გმირობაზე. გურამ რჩეულიშვილის პერსონაჟები კი ჭეშმარიტად ძლიერი სულისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანები არიან, სხვანაირები არც შეიძლება იყვნენ, რადგან ასეთი იყო მათი ავტორი, ავტორი კი აუცილებლად გამჟღავნდება თავის ნაწერში“.

უაღრესად სწორი და მართებული აზრია მეგობარი მწერლის შემოქმედების შესახებ, რაც მთავარია, მწერლისავე თვალით დანახული და შინაგანი სიღრმით შეცნობილი.

* * *

ერთ-ერთ მეგობრულ შეხვედრაზე, რომელსაც გურამ თიკანაძე, ერლომ ახვლედიანი და სხვები ესწრებოდნენ, გურამი ლექსების კითხვის გუნებაზე იყო, რაც საერთოდ უყვარდა, განსაკუთრებული ძალით უყვარდა ქართული პოეზია: ვაჟაფშაველა, გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე... ამის შესახებ თავად აღნიშნავს 1956 წლის 14-15 ივნისით დათარიღებული უსათაურო ნოველის ბოლოს, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ მინაწერში.

„მე აშუღურ ლექსებს ვამბობდი. მერე ტიციანი დავურტყი, რომელიც სიმთვრალეში სულ პირზე მაკერია:

„დიდებულია ყაბახზე დილა,
ახალი მთვარის ვხედავ კუნძულებს,
ორბელიანთა გაუთხოვარ
ქალების ძუძუებს“,

ამავე შეხვედრას მათი სტუდენტობის მეგობარი ჯ. მიქაძეც ესწრებოდა. იგივე ნოველის ბოლო მინაწერში გურამი თავისთვის, ერთგვარი დღიურის სახით გასახსენებლად წერს:

„ჯინა იგონებდა ხევსურეთს: მახსოვს კანკალებდიო ცხენის დანახვაზე. ახლაც იმ დღეს „ამფიბიაში“ მჯდარი გნახეო, მე ყოველთვის ვაჟკაცობის მაგალითად მყევხარო. მე მესიამოვნა“.

აქ ხსენებულ „ამფიბიაზე“ გამახსენდა: პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით. მაისის ბოლო თუ ივნისის დასაწყისი იდგა. როცა მთელი სტუდენტი ახალგაზრდობა გარეთ არის გამოფენილი.

ლექციების დამთავრების შემდეგ რუსთაველის პროსპექტისაკენ მივსეირნობდით. ყოფილი ვერის ბაზრის წინ გაჩერდა ღია მწვანეფრად შეღებილი უსახურავო სამხედრო მანქანა, „ამფიბიას“ რომ უწოდებენ. მანქანას სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჩვენი ტოლი ბიჭი მართავდა.

გურამი მივიდა მძღოლთან და თავისებური უშუალობით სთხოვა რუსთაველის პროსპექტზე გავესეირნებინეთ, დაუყოვნებლივ მცირე თანხაც შეკრიბა და მძღოლს ჯიბეში ჩაუტენა. თავგადახდილ მანქანაში ავძვერით გურამი, მე, შალვა რჩეულიშვილი, რეზო ერისთავი და გურამ რუსიშვილი, ამ სამხედრო მანქანით ალბათ ერთი ათჯერ მაინც გავიარეთ წინ და უკან ქალაქის საბჭოდან ვაკემდე, მაშინდელ სასოფლოსამეურნეო ინსტიტუტამდე; ხალხი გაოცებით გვიცქერდა „ამფიბიაში“ მსხდაოებს, ჩვენი ტოლები ხელის ქნევით გვესალმებოდნენ, განსაკუთრებით მძღოლის გვერდით სარდალივით გამოჭიმულ გურამს. ჩვენ ძალზე ახალგაზრდები ვიყავით და ეს მოგვწონდა.

* * *

ერთხელ თელავში წავედით გურამი, ედიშერ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და მე. ეს უკვე აღარ იყო სიჭაბუკის წლები, თარიღი ზუსტად ვეღარ ვიპოვე ჩანაწერებში, ოღონდ ეგ კია, რომ სტუდენტები აღარ ვიყავით, ორი ჩვენი მეგობარი უკვე მუშაობდა, მე და გურამს კი უმუშევრები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ალბათ არაკეთილსაიმედო პიროვნებები გვერქვა.

ქალაქში სეირნობისას გურამს ერთი თავისი ძველი თანაკლასელი და ახლო ამხანაგი ალვანელი თუში წამალაიძე შეხვდა. შეხვედრა ჩვეულებრივად აღვნიშნეთ ქალაქის ცენტრში მდებარე დუქანში, რომელსაც ახალგაზრდობიდან გეგეს დუქანს ვუწოდებდით.

მერე წამალაიძემ გურამი და ჩვენც დაგვპატიჟა სოფელ მატანში: პაპაჩემს, დედაჩემის მამას, საუკეთესო ღვინოები აქვს, სტუმრებიც ძალიან უყვარს და ხვალ ვეწვიოთო.

მოვილაპარაკეთ მეორე დღეს პირველ საათზე ახმეტის ცენტრში შევკრებილიყავით.

დილიდანვე მანქანა შევიგულეთ წასასვლელად.

ჩვენთან ერთად მოდიოდა ჯემალ მერაბიშვილიც. ის ნადიკვართან ახლოს ცხოვრობდა. ჩვენი მეგობრების მიშა და გივი ჩოხელების მეზობლად, ჩვენზე სამი-ოთხი წლით უმცროსი

იყო, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, რომ გვემეგობრა ამ იუმორით, სიკეთით და ქართული მარიფათით სავსე ბიჭთან.

დროზე გავემგზავრეთ და უკვე პირველი საათისათვის დათქმულ ადგილას შევიკრიბეთ. მშვენიერი მზიანი დღე იდგა. სექტემბრის ბოლო დღეების ნათელი ოქროსფრად ღვიოდა ალაზნის ველზე. ვიდექით და ჩვენთვის ვსაუბრობდით.

არ მახსოვს სადმე ჩავსულიყავით, ნებისმიერ ქალაქსა თუ რაიონში, რომ გურამს ვინმე არ შეხვედროდა და არ დაეპატიჟა. ახლაც თავისი სტუდენტობის ამხანაგს პოპიაშვილს შეხვდა. როგორც შევიტყვეთ, ეს ცნობილი გამძრომ-გამომძრომი პოპიაშვილი პარტიის რაიკომში მსახურობდა ინსტრუქტორად, აღარ მახსოვს ყვარელსა თუ ლაგოდეხში. მას თავი მინისტრივით ეჭირა, დინჯად, სიამაყის შეგრძნებით იქცეოდა და თავის წარმატებებზე სიამოვნებით ლაპარაკობდა. ის საქმეზე გამოეგზავნათ ახმეტის რაიონში და ახლა უკან ბრუნდებოდა.

ძალზე შეძლებული ოჯახიდან იყო, მამამისი წლების წინათ აღმასკომის თავმჯდომარე და რაიკომის პირველი მდივანიც ყოფილა. ახლა დიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა და მისი ოჯახი ისე გალაღებულად ცხოვრობდა, მოულოდნელად ასი კაციც რომ კარს მისდგომოდა, წარბსაც არ შეიხრიდნენ.

ამ პოპიაშვილმა უთხრა გურამს: წავიდეთ ჩემთან ყვარელში, მეგობრებიც წამოიყვანე და ერთი გემრიელი პური ვჭამოთო.

ამ დროისათვის გურამს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ნოველები ჟურნალ „ცისკარში“ და როგორც ჩანდა, დამწყები პარტმუშაკი პოპიაშვილი მწერლობის ეშხით იყო მოხიბლული, რადგან ლაპარაკში ქებით შეეხო გურამის ნაწარმოებებს და მოინდომა ჩვენთვის მწერლობის ცოდნა დაემტკიცებინა. ისე ალბათ დაპატიჟებას თავს აარიდებდა.

გურამმა უთხრა — „ჩვენ უკვე დაპატიჟებულები ვართ. გველოდებიან, უხერხულია, შენც ჩვენთან წამოდი და მერე გადავწყვიტოთ, ან საღამოთი წავიდეთ თქვენთან, ან ამაღამ აქ დავრჩეთ და ხვალ თქვენთან ვიქეიფოთო“.

პოპიაშვილი მცირე ყოყმანის შემდეგ დათანხმდა გურამის წინადადებას და ჩვენი ჭრელი კომპანია დაადგა სოფელ მატანის გზას, სადაც ბევრი ჩვენთაგანი არ იყო ნამყოფი.

სოფელში, ერთ მაღლობ ადგილას, საიდანაც დიდებულად მოჩანდა მთელი მიდამო, იდგა წამალაიძის პაპის კოხტად გამართული ორსართულიანი სახლი. სუფრის გაშლამდე გავერთეთ, ნარდი ვითამაშეთ, წესისამებრ საოჯახო ალბომი დავათვალიერეთ და პურ-მარილიც დაიწყო.

როცა სამოცდაათ წელს გადაცილებული პაპის სადღეგრძელო შეისვა, გაირკვა, რომ იგი, ბატონი იოსები, სულ ორიოდე წლის წინ იყო დაბრუნებული შორეულ ციმბირში გადასახლებიდან. გურამი ხელად დაინტერესდა: რაზე იყავით პაპა დაპატიმრებულიო.

— რა ვიცი, შვილო, პოლიტიკურზე ვიყავი, თოთხმეტი წელი გავატარე იმ ჯოჯოხეთში, არ ვიცი როგორ გავძელ, ნაც ჯანმრთელობითაც არ გამოვირჩეოდი, მაგრამ სიცივემ და შრომამ გამაკაჟა, არ მინდოდა ჩემი კუთხის უნახავად მოვმკვდარიყავი, ვერც კი წარმომედგინა ჩემი მატანის მიწისთვის რომ არ მეკოცნა. აი, დავბრუნდი და თავს ისე კარგად ვგრძნობ, აწი სიკვდილიც ვეღარ მომერევა.

— ღმერთმა ათასი წელი კარგად გამყოფოთ, პაპა, რა ისეთი პოლიტიკური დანაშაული გქონდათ ჩადენილი, რომ თოთხმეტი წლით გადაუსახლებიხართ, თუმცა მაინც ბედის მადლიერი უნდა იყოთ, რომ ბოლშევიკებმა მათი წესისა და ჩვეულების თანახმად არ დაგხვრიტეს.

— მადლობელი ვარ შვილო, გადასახლებით კი იმიტომ გადამასახლეს, რომ შავ სიაში ვიყავი მოხვედრილი.

— რა შავი სია იყო ასეთი, მაინც რაში გამოიხატებოდა თქვენი დანაშაული?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის ბიჭებს ვიცნობდი, სუ დარჩეული ბიჭები ყავდა, ვაჟკაცები,..

— ქაქუცას რაზმელი იყავით?

— რაზმელი არა ვყოფილვარ. იმ დროს მწყემსად ვმუშაობდი, ტყე-ღრეში გდებით გავცივდი, სულ მახველებდა და მახვე-

ლებდა, გავხდი და დავილიე, სოფლური წამლებით ვმკურნალობდი. ქაქუცამ მითხრა — ტყეში შენი წამოსვლა ვერ გამოვა, იქ დღეღამ სიარულს ვერ გაუძლებ. ისევ აქ იყავი ჩვენს შეკავშიოედო. მე ასეთი დავალება ძალიან გამინადა. ცნოპები უნდა გადამეცა. სურსათის შეგროვებაზე მე»რუნა. სანდო პლენოპა შემერჩია, იმ დროს საქართველოშ-. და კერძოდ კახეთში. ჯერ კიდევ ვერ ჰყავდათ ხალნი ბოლომდე შეშინებული და დამონებული ბოლშევიკებს. ბევრს ხვრეტავდნენ. მაგრამ არც მათ აყრიდნენ ნეირს. ბევრი ბოლშევიკი გვინანია აი იმ ხეებზე ჩამოკიდებული, რომ სხვებს ჭკუა ესწავლაო.

1924 წლის აჯანყების დაწყებამდე ქაქუცა და მისი ქმად შეფიცული რაზმელები ძირითადად კახეთის ტყეებში იმყოფებოდნენ. ჩვენ, ე. ი. მეკავშირე. ერთგულმა ხალხმა ვიცოდით მათი ადგილ-სამყოფელი. დათქმულ დროს. რაღა თქმა უნდა, ღამღამობით, ავკიდებდით ვირებს ნორაგს, ღვინოს. წყალს, ჩასაცმელს და მიგვქონდა რაზმის ადგილსამყოფელში. ერთი შემთხვევაც არ მახსოვს ქაქუცას მადლობა არ ეთქვას, არ მოგვფერებოდეს, €შირად რაიმე პატარა საჩუქრითაც დაგვაჯილდოვებდა ხოლმე. დღემდე მაქვს შენახული და თვალის ჩინივით ვუფრთხილდები მის ნაჩუქარ ხანჯალს, როცა დაკით—ხვებზე დაბარება დამიწყეს, გავახვიე გაზეთილ ქაღალდში და მიწაშიც კი ჩავფალი, აი, იმ დიდი ცაცხვის ხის ახლოს. რომ არ დამვიწყებოდა.

— დაკითხვები რაღაზე დაგიწყეს?

— როცა აჯანყება დამარცხდა და სისხლით გაუმაძღარი ბოლშევიკები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ვიღაცას დავებეზღებინე ქაქუცას რაზმელი იყო, ბოლშევიკებს ებრძოდა, ახლა კი თავისუფლად დაბრძანდებაო. შუაღამისას მომადგა ჩეკა და სულ ცემა-ტყეპით წამიყვანეს. მე, რა თქმა უნდა, არ გამოვტენილვარ და არ მითქვამს, რომ ქაქუცას ვიცნობდი. რაღაც გრძელი სიები ჰქონდათ; როგორც ჩანს ქაქუცას რა!მელების გვარები და სანელები იყო, იქ ეძებდნენ ჩემს გვარს, თან სულ მეკითხებოდნენ: ზედმეტ სახელად რა გქვია, მარტო იოსებს გეძახიანო? მე ვუთხარი ზოგი სოსოსაც მეძახისმეთქი. ეძებეს.

ეძებეს, მაგრამ ჩემი სახელი და გვარი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ორი წლით მაინც ჩამაყუდეს — თან ამგრძნობელი იყოო. 1926 წლის ბოლოს გამოვედი ციხიდან. ღმერთმა მიშველა, თორემ ჩემი ხველების პატრონი იქ როგორ გავძლებდი.

— აბა, თოთხმეტი წელი როდისღა იჯექით.

— მერე მომიკითხეს. მოკლედ გამოვედი და მივყავი ხელი მეურნეობას, შრომაში გამოვკეთდი, ცოლშვილს მოვეკიდე, ოჯახში ბარაქა დატრიალდა. ვშრომობდი ჩემთვისა, ერთი წუთით მოცლაც კი არა მქონდა. მერე კოლექტივი ჩამოაყალიბეს და ყველანი ძალით, ჩხუბით, მუქარით ცხვრებივით შეგვლალეს შიგა. რა უნდა მექნა, იქაც ვშრომობდით და სახლშიცა, შვილები მეზრდებოდნენ, მოვლა სჭირდებოდათ. 1937 წლის სისხლიან დღეებს გადავურჩი, მატარეს,მაწვალეს, მაგრამ არ დამაპატიმრეს. თურმე ეს დროებითი იყო, რა ვიცოდი, თორემ მეც სადმე გადავიხვეწებოდი. იმ უბედურებას ტყეში გასვლა ჯობდა.

ომი რომ დაიწყო სულ მიბარებდნენ ადგილობრივ ჩეკაში და არსად არ წახვიდეო, წელსაც მაწერინებდნენ. სად უნდა წავსულიყავი, სად უნდა გავქცეოდი ამ ძაღლთაპირებს. 1942 წელს კი, როგორც არაკეთილსაიმედოო და ქაქუცას ყოფილი თანამგრძნობელი დამიჭირეს და ათი წელი გადასახლება მომისაჯეს, მერე შორეულ ციმბირშიაც უბრალო შეპასუხებისათვის ხუთი წელი ციხის დამატებითაც გამაბედნიერეს და მხოლოდ 1956 წელს გამომიშვეს, როცა პატიმრობის ვადის დამთავრებას ერთ წლამდისღა უკლდა. ღვთის მადლით დავბრუნდი, შვილები კარგად დამხვდნენ, უშრომიათ, ოჯახი გაუძლიერებიათ, ახლა აქა ვარ და ვშრომობ. ისე რა გამაჩერებს, ვერა ვძღები ჩემი მიწის მშვენიერებით, სიკვდილის აღარ მეშინია, იმდენი სიკვდილი და ვაება მაქვს გადატანილი.

— ქაქუცა დიდი ვაჟკაცი იყო, არა პაპა?

— დიდი ვაჟკაცი და დიდი სახელოვანი კაცი იყო. მაგისთვის მარტო ამდენი წვალება კი არა, თავდადებაც ღირდა. ეს იყო ნამდვილი სამშობლოს მოყვარული, წმინდა და ხალხის სიკეთისათვის მებრძოლი კაცი.

ამ ჩვენი საინტერესო საუბრის დროს, რამაც ყველაფერი დაგვავიწყა და მოსაუბრეს პირში შევჩერებოდით, განსაკუთრებით გურამ რჩეულიშვილი, რომელიც შეკითხვას შეკითხვაზე უსვამდა პაპას, მოხდა ერთი საწყენი, სამწუხარო შემთხვევა: გურამის მიერ მოპატიჟებულ პოპიაშვილს მალე მოეკიდა ღვინო და რაღაც გამოთაყვანებული, გაბოროტებული სახით იცქირებოდა, ბოლოს და ბოლოს ეტყობა ვეღარ გაუძლო ქაქუცას ამდენ ქებას და იმით ღრმად ნასიამოვნებ პაპას, რომ ახალგაზრდები ასეთი ყურადღებით უსმენდნენ მის ნაამბობს, უხეში, უსიამოვნო ხმით პირდაპირ პირში მიახალა:

— რა ვიცი, ქვეყანა ამტკიცებს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბანდიტი იყო, ხალხს ძარცვავდა, ყაჩაღების ბრბო ყავდა შემოკრებილი, თქვენ კი ბელადად გამოგყავთო.

პაპა იოსებს კინაღამ მეხი დაეცა, გაოცებულმა შეხედა და ჩაწყვეტილი ხმით კითხა: რას ამბობ, შვილოო, თითქოს ვერ დაეჯერებინა, რომ მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობის წარმომადგენელი ასეთ რამეს იტყოდა.

გურამ რჩეულიშვილი აენთო, სიბრაზისაგან გაწითლდა, წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეში მძიმედ სუნთქავდა, მერე იმ ბრიყვ პოპიაშვილს მისივე კილოთი მიუგო:

— თუ გინდა სიმართლე იცოდე. ბანდიტი და ხალხის მყვლეფელი ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი არ იყო, მამაშენია, შენ კი ისა ხარ, ვინც ამ პატიოსან ხალხს ასმენდა და ციხეებში ალპობდაო.

პოპიაშვილს ენა ჩაუვარდა, იგი გურამმა სუფრიდან ეზოში ჩაიყვანა. ჩვენც გავყევით, გვეგონა რომ ცემას უპირებდა.

გურამმა კი უთხრა თავის ყოფილ თანაკურსელს: „შენი დაპატიჟებაც შევარცხვინე და შენთან ქეიფიც, პაპას ეხლავე ბოდიში მოუხადე, მერე ჩაჯექი მანქანაში და აქედან დაიკარგე, შენნაირი თავის მომჭრელი ჩვენთან ვეღარ დარჩება, წადი და პარტრაიკომის მუშაკები დაპატიჟე შენი ჭკუისა და გაქანების ისინი არიანო“.

პოპიაშვილი შეეცადა თავის მართლებას, რაღაც სისულელეების დამტკიცება დაიწყო, მაგრამ არაფერი გაუვიდა, გურამმა მანქანაში ჩასვა და გამომშვიდობებლად გაუშვა. მას

შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, იგი გურამს არსად აღარ შეხვედრია და არც ჩვენ გვინახავს.

სულ რაღაც ორიოდე წელიწადში გურამ რჩეულიშვილი ტრაგიკულად დავკარგეთ, პოპიაშვილი და მისთანებით კი ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, მრავლად დარჩნენ ამ „ცოდვა-ბრალით მონათლულ“ ქვეყანაში.

* * *

ერთ დილით გურამ რჩეულიშვილის დიდი ოჯახის მახლობლები ოსიკო გაგუნაშვილი და ავთო წვერიკმაზმაშვილი, რომელსაც მოძრავი, დაუდეგარი, ემოციური ბუნების გამო ენამოსწრებულმა თელაველებმა კვიცა შეარქვეს, ტყეში მიდიოდნენ ხეების მოსაჭრელად. ეს ის დრო იყო, როცა მეცხრეკლასელი გურამი თელავში იმყოფებოდა და მათ თხოვა დასახმარებლად წამოგყვებითო.

ავთოს და ოსიკოს სისხლი უდუღდათ, ახალგაზრდები იყვნენ, მრავალი თავსატეხისა და საეშმაკოს მოგონებითაც იყვნენ ცნობილები. ამ დღესაც ასე იყო. ერთი რომ ხეს სჭრიდა, მეორე ხეზე ადიოდა. მოჭრილი ხე გადმოხრას დაიწყებდა თუ არა, მოჰყვებოდნენ ზემოდან ხან ერთი. ხან მეორე და მერე მაღალ ბალახებში ხტებოდნენ. ამ ხერხით ისინი ხის ჭრას თავისებურად აჩქარებდნენ.

გურამს ასეთი რამ არ ენახა, თან მოეწონა და თანაც უკვირდა მათი სისწრაფე თუ მოხერხებულობა. ოსიკომ უთხრა გურამს — მიდი, შენც ადი კენწეროზე და ჩამოხტიო.

— არა, ჯერ კარგად ვერ გავიგე რას აკეთებთო, — უთხრა გურამმა.

— კარგად ვერ გაიგე კი არა, გეშინიაო, გააჯავრა ოსიკომ.

გურამმა ერთი კი შეხედა ოსიკოს და ყველაზე მაღალ ხეს მოექცა წვერზე. ამ ხის მოჭრა ავთოს ქონდა დაწყებული.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა მოჭრილი ხის ჭრიალი და ვეება ხე შხუილით დაეშვა ძირს. გურამი არ გადმომხტარა, ზესთან ერთად უშიშრად დაეშვა მიწაზე.

ახლა კი ოსიკოსაც გაუკვირდა — რასა შვრები, ბიჭოო!

— აბა გადმოხტომა რა ვაჟკაცობაა და რა საინტერესოა, ასე უფრო ძნელიც არის და უფრო კარგიცო, — მიუგო გურამმა.

ოსიკო გაჩუმდა. ის და კვიცა გაოცებულები შესცქეროდნენ ოდნავ ულვაშებშეღინღლულ გურამს, მაგრამ როგორც ჩანს, მალე დარწმუნდნენ გურამის ახალი, კიდევ უფრო გაბედული მეთოდის უპირატესობაში და უკვე მოჭრილ ხესთან ერთად ეშვებოდნენ მიწაზე.

* * *

1957 წლის ზაფხულში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გურამი და მე რამოდენიმე ხნით თელავში ჩავედით. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი ბოლო ჩასვლა თელავში, მეტი ერთად დასვენება აღარ გვეწერა.

ივლისის თვე იდგა, უკვე საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ თბილისური ხვატის შემდეგ თელავის ჰაერი მაცოცხლებელი ძალით მოქმედებდა ჩვენზე. გაშლილი მიდამოები ძველებურად გვატკბობდა. ამ დროს თელავში იმყოფებოდნენ ჩვენი უახლოესი მეგობრები თენგიზ ჯაშიაშვილი და ედიშერ რჩეულიშვილი.

ისევ ერთად შევიკრიბეთ, რაც უსაზღვრო სიამოვნებას გვანიჭებდა, ისევ ერთად მოვიარეთ ნაცნობი, საყვარელი ადგილები, ვიქეიფეთ ალავერდში, შუამთაში, გომბორზე.

ამასობაში ათიოდე დღეც გავიდა. დილით რადიოში მოვისმინეთ, რომ თბილისში ტარდებოდა საფეხბურთო შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. მაშინ ამ შეხვედრებს მეტად პრინციპული ხასიათი ჰქონდათ და საყოველთაო ინტერესსაც იწვევდნენ. ჩემს წინა წიგნში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ ისიც კი აღვწერე, გურამი, მე და ჩვენი მეგობრები როგორ წავედით ერევანში ფეხბურთის სანახავად და რა ფათერაკი გადაგვხდა თავს. საერთოდ ფათერაკებისა და თავგადასავლების საოცარი სიუხვე გვქონდა იმ შორეულ წლებში, რაც ახალგაზრდული ენერგიით და დამყა-

ყებული, ტოტალიტარული რეჟიმით გაუფასურებული ცხოვრების როგორმე გამრავალფეროვნების სურვილით იყო გამოწვეული.

ძალზე მოგვინდა წამოვსულიყავით თბილისში და მატჩს დავსწრებოდით, ოღონდ საქმე იმაში იყო, რომ წამოსასვლელი საშუალება არ ჩანდა. მატარებლით თბილისამდე გამომგზავრება არ ღირდა, ისე სისტემატურად აგვიანებდა, ავტობუსები არ დადიოდა, ავტომანქანების ასეთ სიუხვეზე მაშინ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, საკუთარი მანქანების მფლობელები ერთეულები იყვნენ.

ნადიკვრიდან ქალაქის ცენტრისაკენ წავედით გურამი, ედიშერ რჩეულიშვილი და მე პრობლემის როგორმე გადაწყვეტის მიზნით. ვიდექით ცენტრში, მაშინდელი თეატრის ცოტა იქით, მოედანზე და ვმსჯელობდით რა გაგვეკეთებინა.

ამ დროს ჩვენ წინ გაჩერდა მაშინდელი სახელგანთქმული „პობედა“. მანქანიდან დემნა რჩეულიშვილი და ავთო წვერიკმაზაშვილი გადმოვიდნენ, დაენახათ რომ ვიდექით და ჩვენ შემოგვიერთდნენ.

გურამმა თხოვა მათ — მოდით თბილისში წავიდეთ და ფენბურთი ვნახოთო.

დემნა და კვიცა ცოტა დაფიქრდნენ, მაგრამ შეატყვეს იოლად თავს არ დავანებებდით და შეეცადნენ წასვლისთვის რაიმე დამატებითი საბაბიც მოეძებნათ, ან რაიმე თავსატეხი მოეფიქრებინათ.

მე მაშინ ცნობილი ვიყავი იმითაც, რომ ასობით საკუთარი თუ სხვისი ლექსი ვიცოდი ზეპირად და ძალიან ხშირად მეგობრების წრეში ვკითხულობდი.

დემნამ თქვა — თუ ნუგზარი თბილისამდე გაუჩერებლად სულ ლექსებს იკითხავს ზეპირად, ოღონდ არ გაიმეორებს, მაშინ წავიდეთო.

გურამმა მხარი წამკრა, ასეთ წინადადებაზე უარს როგორ ვიტყოდით. თანაც დემნამ დაუმატა, რამდენ ლექსსაც იტყვის, დავთვალოთ და იმდენ ხინკალს თავისივე ლუდით ვიკისრებო.

ამ წინადადებამ ბიჭებსაც და მეც სულ ფრთები შეგვასხა. ტყუილუბრალოდ ლექსების კითხვა არ მომიწევდა და მატერიალური დაინტერესებაც ძალას მმატებდა. ეს კი იმ სიღარიბითა და პატიოსნებით ავსილ წლებში ცოტას როდი ნიშნავდა. . გურამი, მე და ედიშერი უკან მოვთავსდით. მანქანა ცივგომბორის მიმართულებით გაქანდა.

მართლაც თბილისში შესვლამდე ლექსებს ვკითხულობდი და ვკითხულობდი. მაშინ ალბათ ახალგაზრდული წლების გამო ისეთი მეხსიერება მქონდა, ხუთასამდე ლექსი მაინც ვიცოდი ზეპირად, განსაკუთრებით გალაკტიონი. ტიციანი, გოგლა, პაოლო, საკუთრებსაც უხვად ვიშველიებდი.

ფეხბურთის დაწყებამდე დიდი სიამოვნებით შევექეცით ჩემი ოფლით მოპოვებულ ხინკალსა და ლუდს. რასაც გულუნვმა მასპინძლებმა სხვა ასორტიმენტიც დაუმატეს.

მერე ყველანი წავედით ფეხბურთზე.

თამაში რაღაც უსიამოვნოდ წარიმართა. მაშინდელი ჩვენი სახელგანთქმული დინამოელები ჩვეულ ფორმაში არ იყვნენ. მგონი სამით ერთს ვაგებდით. ბოლოს ატყდა ერთი აურზაური, დაიწყეს რაღაც საგნების სროლა, სტვენა, ღრიანცელი, ხალხი მოედანზეც გადავიდა და თამაში ჩაიშალა.

გულდამძიმებულები ვბრუნდებოდით სტადიონიდან. დემნა, კვიცა და ედიშერი თელავში დაბრუნდნენ, ჩვენ კი დავრჩით. მე და გურამს ჩვენი მეგობრებიც შეგვხვდნენ გურამ რუსიშვილი, ნოდარ დვალი, ჰასანა ნადირაძე, ომარ ბერაძე. ერთად გავაგრძელეთ გზა.

მერე დიდხანს ვიდექით ზემელზე, ჩვენს საყვარელ ადგილას და ჩაშლილი თამაშის დეტალებს ვარჩევდით.

— „წავაგეთ და ალბათ ღირსებიც ვიყავით რომ წავაგეთ, — ამბობდა გურამი. — მაგრამ წაგებასაც უნდა ახლდეს თავისი ღირსება, რას გავდა ჩვენი ფეხბურთელების თამაში. თითქოს ხალხისთვის საამაყო, თუ გნებავთ ეროვნული მნიშვნელობის საკითხი კი არ აფიქრებდათ. არამედ ტყუილუბრალოდ აქეთიქით სირბილი სურდათ, ან ხალხის გადაცვენა რას გავდა მოედანზე, ან რისთვის გადადიოდნენ. თუკი მათი გუნდი აგებდა

და ფეხბურთელები იყვნენ დამნაშავე. ვთქვათ მსაჯი მართლაცდა სტუმრებს ემხრობოდა. როგორც ამბობთ, მეთორმეტე ფეხბურთელად თამაშობდა, მერე რა მოხდა, ნუთუ ქართველს არ უნდა ქონდეს ისეთი ვნება და მისწრაფება, რომ თერთმეტმა ქართველმა თორმეტი სხვა ერის წარმომადგენელს მოუგოს? სულ რომ გავიძახით ერთი ათს არ უშინდებოდა და ერთი ათს სჯობდაო, რითი ვამტკიცებთ ამას, რითი ვადასტურებთ. მოედანია თუ ცხოვრების სხვა მოვლენა, ქართველმა არ უნდა დაკარგოს თავისი სიამაყე და არა მარტო ნიჭით, არამედ მონდომებით, რწმენით და შემართებით შესძლოს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება. ეს არის უდიდესი მიზანი და ამას ერთსულოვნად უნდა ფიქრობდეს ქართველი ხალხი, სხვანაირად ჩვენი პატარა ქვეყანა ვერ დაიკავებს იმ თვალსაჩინო ადგილს, რაც მას ისტორიულად ეკავა და მომავალშიც ეკუთვნის. ჩვენი სიმცირე სწორედ გულმოდგინებითა და ვაჟკაცობით უნდა დავფაროთ. სხვა არაფერი გვიშველის, არ უნდა გაქრეს მამა-პაპათა გმირული სული, მუდმივად მათ ნაკვალევზე უნდა ვიაროთ“.

* * *

1956 წელს განეკუთვნება გურამის დღიურიდან ანუ მინაწერებიდან ნაწყვეტები, რომლებსაც ქვემოთ მოვიტან. იმ დროს, აგვისტოს თვეში, იგი დედასთან და უმცროს დასთან ერთად ახალ ათონში ისვენებდა. ზღვის იდეალურ სილამაზეს ღრმად განიცდიდა.

„...ვიჯექი მე-3 სანატორიუმთან, ყოფილი ათონის მონასტერში და გავცქეროდი ყურეს აი ჭეშმარიტი სილამაზე, ვიჯექი მთელი სამი საათი უხმოდ... ოჰ, რა კარგია, რა ლამაზია ჩვენი პლანეტა. თავი გამალებით მუშაობდა. ოთხამდე პატარა ნოველა მომივიდა თავში. მაინც რა ლამაზია ჩვენი პლანეტა. ზღვის ყურე, წიწვის და ნაძვის ხეები, ალვები, სახლი ტყეში, უსაზღვრო სივრცე“.

ახლა ერთგვარი შედარებისათვის ვნახოთ ზოგიერთი ადგილი იმავე წელს და იმავე აგვისტო-სექტემბრის თვეში დაწერილი მოკლე და როგორც ყოველთვის, საოცრად ტევადი ნოველიდან „უკანასკნელი აბენსერანჟი“.

აქაც საგრძნობი ნაწილი უკავია ზღვის აღწერასა და მის მომაჯადოებელ სილამაზეს, ოღონდ აქ ახალგაზრდა მწერალი უკვე თავისი გმირის — აფხაზი მწყემსის აჩბას თვალით უყურებს თავის მიერ ღრმად აღქმულ გარემოს:

„მის ქვევით უზარმაზარი ყურე იყო. აქ წყალს ბაცი ფერი ჰქონდა. აქედან ზღვა ნელა იშლებოდა და გამუქებული კარგებოდა ცაში. ყურედან ალვის ხეებისა და ევკალიპტების ხეივანი მოდიოდა მთისაკენ“.

დღიურში, ალბათ უფრო სწორედ დღიურის სახით მინაწერში, არის ასეთი ადგილი: „ჩემს ქვევით უგემოვნოდ ნაშენი სახლები აფუჭებენ ხედს. ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია“.

ახლა ვნახოთ ამ უშუალოდ განცდილს როგორ იყენებს გურამი იგივე ნოველაში. მაღალი მთებიდან ბარად დროებით ჩამოსული და ყველაფერს მონატრებული მწყემსი აჩბა მოჯადოებულივით გასცქერის ზღვას, ტკბება სითბოთი და მისთვის წლობით დაკარგული სილამაზით. „...მერე მზერა ისევ ხეობაში გადმოიტანა. რაღაც არ ესიამოვნა, თითქოს ახლა დაინახა ორსართულიანი, თეთრად შეთხიპნილი სახლები. ხასიათი თავისდაუნებურად წაუხდა: ბუნებამ დაკარგა თავისი სიმშვენიერის ნაწილი. „ნეტა ეს სავლები საიდან არის, ან ვინ ააშენა“, — გაიფიქრა გუნებაში. მზერა ისევ ზღვაზე გადაიტანა. ხასიათი უფუჭდებოდა, მაგრამ მიზეზს კარგად ვერ მიხვდა. რაღაც უცხო დაინახა ზღვაშიც, მერე ისევ ის სახლები გაახსენდა. დაისი დასრულდა. ბინდმა სულ უფრო იმატა“.

როგორც ვხედავთ, თავის უშუალო ნაფიქრსა და განცდილს, დღიურებსა და ჩანაწერებს უხვად იყენებდა ნოველების, პიესების, თუნდაც პირადი წერილების წერის დროს.

1956 წლის 19 აგვისტოს ოცდაორი წლის გურამ რჩეულიშვილს დაუწერია უსათაურო ნოველა „იყო ჩვეულებრივი ომი“. ეს ნოველა 29 წლის შემდეგ შევიდა მის ერთტომეულში. აქ ჩემი ყურადღება მიიპყრო ბოლო მინაწერმა, რასაც ერთგვარი

ლიტერატურული დღიურის სახით და იმჟამინდელი ზუსტი განწყობილების აღსადგენად აკეთებდა გურამი:

დღეს უკვე მეორედ დავწერე. „პახმელიაზე“ ბორჯომის და ხაშის მაგივრად ნოველებით გამოვდივარ, ზედ არყის მაგივრად დღიურებს ვატან. „აბა-დელა“, გული მიწუხს — სმა და ცურაობა, სულ გავიოხრე ეს ოხერი“.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ნაწყვეტი 1956 წლის 23 აგვისტოს ჩემთვის გამოგზავნილი ვრცელი წერილიდან, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ზემოთ ნათქვამის სისწორეში:

„სმით არა უჭირს რა, ვსვამთ. საერთოდ მინდა თავი დავანებო. „პახმელიაზე“ ხაშის მაგიერ ხანდახან თითო ნოველასა ვწერ და ზედ არყად წერილებს ან დღიურს ვაყოლებ. დღეს არაყი შენზეა“.

ასე იქმნებოდა საკუთარი ბიოგრაფიით, საკუთარი ვნებითა და დუღილით სავსე ცხოვრებით ის უმდიდრესი, თვითმყოფადი ლიტერატურა, რაც მხოლოდ მისეული სამარადისო ნიშნით აღბეჭდილი დაუტოვა გურამ რჩეულიშვილმა ქართველ ხალხს და თავის სათაყვანო საქართველოს.

* * *

გურამ რჩეულიშვილის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად მრავალი ღონისძიება ჩატარდა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო საღამო მოეწყო ლიტერატურის მუზეუმში 1984 წლის 26 დეკემბერს.

ამ საღამოზე ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სარგის ცაიშვილმა, თქვა:

„დადგა დრო და უკვე ვამბობთ, რომ გურამ რჩეულიშვილი არის დიდი მწერალი“.

მან გაიხსენა გურამის გაცნობა: „საოცრად მიმზიდველი და გადამდები მოყოლა იცოდა, ისე გატაცებით ჰყვებოდა რომელიღაც არცთუ ისე მნიშვნელოვან მწვერვალზე ასვლას, მე და ჯუმბერ მეძმარიაშვილს დაგვავიწყდა, რომ სღებული გვქონდა მწვერვალების მეფე უშბა და ახლად დაბრუნებულნი ვიყავით ტრავერსიდან.

შემდეგ გურამს სვანეთის სივრცეებში 'მევხვდი. ჯუმბერ მეძმარიაშვილი, მე და სხვები ბანაკში ავედით, რომ მწვერვალებზე ასვლის წინა წვრთნა გაგვევლო. ერთ დღეს დიდი ერიამული ატყდა. არიქა ცხენი დაიკარგაო. მთელი სოფელი კაციან, ძალიან, ბავშვიან გამორბოდა.

თურმე გურამი მოხტომოდა ერთ მობალახე ფიცხ უბელო ცხენს და მთებისაკენ გაეფრინა. ჩვენ დავაშოშმინეთ ხალხი, ნაცნობები და მერე როცა ნახეს ლამაზად მომქროლავი გურამი, როცა გაიგეს ვინ იყო იგი, თქვეს თუ ასე უყვარდა ცხენი, ეთქვა და თუგინდ მთელი დღით მიეცემდითო.

მერე შხელდის ასაღებად მივდიოდით. შეიძლებოდა მხოლოდ სამი კაცის წასვლა. მე და ჯუმბერ მეძმარიაშვილმა მესამე თანამგზავრად უკვე გამოცდილი გურამ თიკანაძე ავირჩიეთ. ჩვენზე ცოტათი უმცროს გურამს გული დაწყდა, რომ ამჯერად შხელდაზე ასვლა არ მოუწევდა, მაგრამ თავისი ვნებების და სურვილების გასაქანი მაინც მონახა. მწვერვალთან მისასვლელ ძირა ბანაკამდე ერთი ცხენით უნდა წაგვეღო სხვადასხვა საჭურველი, ზურგჩანთები, საკვები და იარაღი. გურამმა დიდი სიამოვნებით იკისრა წამოგვყოლოდა ჩვენ ძალიან შორ სავალზე, მერე მარტო ცხენდაცხენ დაბრუნებულიყო უკან და მაღალი მთების ციცაბო ბილიკებზე ქროლვით დიდი სულიერი სიამოვნება მიეღო“.

* * *

1956 წელს მე-4 კურსი დავამთავრეთ. ივლისის თვეში ერთთვიან სამხედრო შეკრებაზე უნდა წავსულიყავით. კიდევ კარგი ახლოს მაინც გაგვამწესეს — დუშეთის სამხედრო გარნიზონში.

სამხედრო საქმე თუ სამხედრო ლექციები უსაზღვროდ გვეჯავრებოდა. არადა კვირაში ერთი დღე სწორედ სამხედროს ჰქონდა დათმობილი. ბიჭი იყავი და გააცდენდი, შემდეგ აუცილებლად უნდა აგენაზღაურებინა, ან სტიპენდიას დაკარგავდი, ან საერთოდ მიგარიცხავდნენ უნივერსიტეტიდან.

გურამის ჯგუფს ქართველი პოლკოვნიკი ფანგანი მაინც ასწავლიდა, ჩვენ ფილოლოგებს უფრო არ გვწყალობდა ბედი.

პირველ-მეორე კურსზე სამხედროს გვასწავლიდა პოდპოლკოვნიკი რუდაკოვი. ეს იყო დინჯი, წყნარი, გამობრძმედილი იეზუიტი და დემაგოგი, ხმას არ აუწევდა, მაგრამ როგორ გვტანჯავდა, მართლა სისხლს გვწოვდა, დღედაღამ გვინერგავდა აზრს, რომ სამხედრო საქმე უპირველესი საგანია ჩვენთვის, რომ მის გარეშე არა მარტო სტუდენტი, არამედ ნებისმიერი ადამიანი არარაობას წარმოადგენს.

განსაკუთრებით უყვარდა ე. წ. პოზიციური ბრძოლის ვარიანტების განხილვა. გამოგვიყვანდა წინასწარ მომზადებულ ქვიშით სავსე ფანერის ყუთთან, რომელიც სიმბოლურად ბრძოლის ველს წარმოადგენდა და იწყებოდა ჩვენი წამება. უნდა მოგვენახა მტერთან ბრძოლის ვარიანტები, სათანადოდ მოგვეწყო ჯარის განლაგება, მანევრები, შეტევა, დარტყმა, უკანდახევა და სხვა უამრავი იდიოტობა. რუდაკოვს ბრძოლის არცერთი ჩვენი ვარიანტი არ მოსწონდა, იწუნებდა და გვტანჯავდა.

როგორც ჩანს, სამხედრო ნიჭი არ გამომყვა და ისევე როგორც ბევრი ჩემი თანაკურსელი ამ შტაბის ვირთხა პოდპოლკოვნიკმა მეც გამომიჭირა; შეტევის მისი მოსაწონი ვარიანტი ვერ განვახორციელე, ან როგორ განვახორციელებდი, როცა მას თავი ისე ეჭირა ჩვენთან, თითქოს კუტუზოვი ან სუვოროვი ყოფილიყოს. ამას დაერთო ის, რომ კალაშნიკოვის ისედაც მოშლილი ავტომატი ერთ წუთში ვერ დავშალე და ვერ ავაწყვე, ვერც ღრმა თეორიული მომზადება გამოვავლინე და წურბელა რუდაკოვმა დიდი, დაუფარავი სიამოვნებით დამიწერა ორიანი.

ამ ორიანს სულ უმტკივნეულოდ ავიტანდი, მაგრამ გულს ის მიკლავდა, რომ მეორე კურსელი 18 წლის ბიჭის, ე. ი. ჩემი შემოსავლის ერთადერთ წყაროს სტიპენდიას, ჩემი წასვლა-წამოსვლისა და მეგობრებთან ქეიფის იმედს ვკარგავდი. არავითარმა თხოვნამ და დაპირებამ რუდაკოვთან არ გაჭრა, დეკანმაც თხოვა პირობით დაუწერე ნიშანი და მერე ჩააბარებინეთო, სამხედრო კათედრიდანაც სთხოვეს, მაგრამ ქართველი სტუდენტებისა და საერთოდ ქართველობის მოძულე უგულო პოდპოლკოვნიკმა არავინ ახლოს არ გაიკარა.

ჩემი გაჭირვება გურამსაც შევჩივლე, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო-მეთქი. ერთი ხანობა დახვედრა და რუდაკოვის მაგრად მიბეგვაც კი დავაპირეთ, მაგრამ ამგვარი ფიქრი მხოლოდ გულის მოსაფხანად ჩავთვალეთ, გამოსავალი ეს არ იყო, თან უეჭველად დაგვაჭერინებდა.

შემდეგ გურამმა მითხრა შალიკო ჩავაბათ საქმეში, იურისტია და იქნებ რამე მოიფიქროსო. გურამის უფროსი ბიძაშვილი შალვა რჩეულიშვილი ამ დროს იურიდიულზე სწავლობდა და გურამის ყველა მეგობარი მასთანაც მეგობრობდა. ის ამჟამად ცნობილი იურისტია, რის უდავო ნიჭსაც თავიდანვე ამჟღავნებდა. უხვად ეწაფებოდა იურიდიულ ლიტერატურას, იცოდა ყველა კანონი და განმარტება, თანაც მახლობლის, მეგობრის დახმარება მისთვის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა.

ჩაფიქრებულმა შალიკომ მოისმინა ჩემი გაჭირვება. ჩვენი მოსაზრებები და გვითხრა რამოდენიმე დღე დამაცალეთ, ვეცდები რამე მოგიხერხოთო.

პირველ რიგში გავიგეთ სად ცხოვრობდა ჩვენი ვერაგი და დაუნდობელი რუდაკოვი. ქობულეთის აღმართზე, ზუსტად გურამისა და ჩემი სახლების შუა ადგილას იდგა ერთი ძველებური, ორსართულიანი, უშნო ყაზარმული ტიპის შენობა. ეს იყო რაღაც სამხედრო მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის მსგავსი. აქ მეორე სართულზე ერთოთახიანი ბინა ეჭირა ცხოვრებისაგან გაავებულ და ყველა გაღიმებული ქართველის მოძულე პოდპოლკოვნიკს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა რუდაკოვი შინ არ ბრძანდებოდა, შალვამ პირველი გაცნობის ვიზიტი გაუკეთა მის მეუღლეს. ამ დროს მე და გურამი სახლიდან ასიოდე მეტრის მოშორებით ვიდექით, სახლსაც ვხედავდით და აღმართსაც გავცქეროდით, საიდანაც ერთადერთი ამოსასვლელი გზა ედო იმხანად ჩემს დაუძინებელ მტერს.

შალვამ თურმე თავაზიანად გაიცნო რუსი ქალი, დიდხანს ელაპარაკა მომხდარი ფაქტის შესახებ, ჩემს შესახებ, ლაპჰაკში ცოტ-ცოტა კეთილშობილი ტყუილებიც გაურევია, უთქვამს

ობოლია და მხოლოდ სტიპენდიით ცხოვრობსო, ერთი გამზრდელი ბებია ჰყავდა, ისიც ამ ცოტა ხნის წინ მოუკვდა და იმიტომ ვერ შესძლო გამოცდისათვის სათანადო მომზადება, თორემ სამხედრო საქმე გაგიჟებით უყვარს და თქვენს ქმარს, როგორც ამ საქმის უდიდეს სპეციალისტსაც ძალიან აფასებსო.

გულმოწყალე რუსი დედაკაცი შეპირდა ვცდი იქნებ მოველაპარაკო ჩემს მიუკარებელ ქმარსო.

შალვამ მეორე დღესაც წაგვიყვანა მცირე ყაზარმისაკენ, კვლავ ელაპარაკა ქალბატონს, კიდევ ვერ მიიღო თანხმობა, კიდევ ერთი-ორი ვიზიტიც გაუკეთა მომდევნო დღეებში, ყვავილების თაიგულიც მიართვა და მის მიერ დასახულმა გეგმამ მიზანს მიაღწია, მოხდა სასწაული: რუდაკოვმა უკვე გადაცემული ორიანი თავისი საკუთარი ხელით გადაასწორა ოთხიანად. გადარჩა ჩემი საწყალი სტიპენდია, მე და გურამმა ჩემი მხსნელი შალიკო გადავკოცნეთ და პატარა ღარიბული სუფრით აღვნიშნეთ მისი მოხერხებულობა.

და აი. ახლა, ივლისის თვეში ამ საშინელი, საძულველი სამხედრო საქმის გასაღრმავებლად მივყვადით დუშეთში, როგორც ვთქვი, იქ ზუსტად ერთი თვე უნდა ვყოფილიყავით სამხედრო ბანაკში და საფუძველი ჩაგვეყარა ჩვენთვის თადარიგის უმცროსი ლეიტენანტის წოდების მონიჭების მათი აზრით დიდმნიშვნელოვანი პრობლემისათვის.

აქვე მინდა ერთი უსიამოვნო ამბავიც გავიხსენო. 1978 წელს, როდესაც დავამთავრე გურამ ოჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჩემი ბიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურული ნაშრომი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. ბუნებრივია მისი წაკითხვა-გასინჯვა იმ წლებში მთელი ძალით მძვინვარე საქლიტშიც მოხდა.

აქ, ან უფრო სწორედ მათი სახით გამომცემლობა „ნაკადულში“. მოხდა ზოგიერთი გაბედული ადგილის დაწუნება. მაგალითად. მომცეს წინადადება საერთოდ ამომეღო, ან როგორმე გადამეკეთებინა სამხედრო ბანაკში ყოფნის ეპიზოდი, რადგან სამხედრო ბანაკის ხსენება და მითუმეტეს იქ სტუდენტების მომზადების თემა თურმე მკაცრად ტაბუდადებული ყოფილა.

ძალიან არ მინდოდა ამ ეპიზოდის ამოღება, ამი, წიგნი ბევრს კარგავდა, ამიტომაც სამხედრო ბანაკი რაღაც არსებულ სპორტულ ბანაკად გადავაკეთე, სადაც ვითომ სპორტულ წვრთნას გავდიოდით, ვრცელმა ეპიზოდმა სულ სხვა ხასიათი მიიღო და ძირითადი აზრიც დაიკარგა.

ახლა როცა ასეთ წვრილმანებს ყურადღება უკვე აღარ ექცევა, გადავწყვიტე მრავალი სხვა ეპიზოდის მსგავსად, ვთქვა სიმართლე ისე როგორც იყო, არაფერი აღარ შევალამაზო, რასაც ხშირად იძულებით ვაკეთებდით, რომ წიგნს როგორმე დღის სინათლე ღირსებოდა.

ივლისის დასაწყისის ძალზე ცხელი დღე იყო, ჩაგვყარეს დახუთულ სიძველისაგან მორყეულ ავტობუსებში და გაგვიყენეს დუშეთის გზას. გადაჭედილ, სუნიან ავტობუსებში ორის ადგილას სამი-ოთხი კაცი იჯდა. მაგრამ ბევრიც ფეხზე დარჩა. ასე იდგნენ იმ სამოცი კილომეტრის მანძილზე, რის გავლასაც დანჯღრეულმა ავტობუსებმა თითქმის სამი საათი მოანდომეს.

დაიწყო ჩვენი გაწამებული ცხოვრება სამხედრო ბანაკში.

დღეს როდესაც ამბობენ არმიაში ქართველებს უსაშინლესად ექცევიან და აუტანელი ცხოვრებით სიკვდილის პირამდე მიყავთო, სრულიად სარწმუნო ნათქვამად მიმაჩნია, ჯერ კიდევ მაშინ, იმ შორეულ 1956 წელს, რა სასტიკად. მართლა მტრებივით გვექცეოდნენ და იმის მერე წამების მეთოდები ალბათ როგორ დაიხვეწებოდა.

სამხედრო გარნიზონის გვერდით მდებარე მოტიტვლებულ და მზით თონესავით გახურებულ ფერდობზე, სადაც ხე კი არა ერთი ბუჩქიც არ იდგა, გაიჭიმა ჩვენი სამ-ოთხ კაციანი კარვები. პატარა კარავში გვერდი-გვერდ მდგარ ვიწრო საწოლებში მოვთავსდით გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე და მე. მეოთხე საწოლზე. ხშირი კონტროლის მიზნით ახლოს ყოფნისათვის, იძინებდა ხოლმე ჩვენი უშუალო უფროსი, სერჟანტი ვიქტორ კოშევოი.

ვიქტორი ცუდი ბიჭი არ გამოდგა, მყვირალა და უფროსობის მოყვარული კი იყო, მაგრამ სმისა და შემდეგ ამხანაგობის ყადრიც ასე თუ ისე იცოდა. გურამმა მას რამდენჯერმე დაალევინა, ერთხელ დალევის შემდეგ ჭიდაობისას მიწაზეც მაგრად

დააბერტყა და საბოლოოდ მოათვინიერა, იგი გურამს ზედმეტად ხმას არ სცემდა, ყველაზე მეტი პატივისცემით ექცეოდა და ყველაფრის გაკეთების უფლებას აძლევდა.

როცა ჩვენ ივლისის აუტანელი სიცხისაგან გახვითქულები კისერზე ბოლომდე შეკრული ღილებით დავდიოდით, გურამი თავისი მოშავო-მოწითალო ჭრელი ხალათით მკლავებდაკაპიწებული და ფართოდ საკინძეჩახსნილი დადიოდა.

იმ შორეული ტკბილ-მწარე წლების გასახსენებლად სამწუხაროდ სულ ორიოდე სურათი შემომრჩა. ერთში მე და გურამი აქეთ-იქით ვსხედვართ, ვიქტორ კოშევოი კი შუაში დგას თუ რაღაც შემაღლებულზე ზის, სამხედრო ფორმა გვაცვია. მაღალი ჩინის ოფიცრების შემოწმების დროს გურამი დროებით იცვამდა ხოლმე ე. წ. „გიმნასტიორკას.

მეორე სურათზე გურამ გეგეშიძე და გურამ რჩეულიშვილი სხედან. ვიქტორ კოშევოი შუაში უზით, უკან ვდგევართ მე, ჟორა ბერძენიშვილი, შურა ვაჩნაძე და ერთი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. წესისამებრ ყველას მჭიდროდ აქვს შეკრული ღილები, გურამ რჩეულიშვილი კი ზის თავისუფალი, ვაჟკაცური, თავისი ჭრელი პერანგით, მკლავებდაკაპიწებული საკინძეჩახსნილი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება ჩვენგან და ეს ასეც იყო, იგი • ბუნებრივად ახერხებდა ყველა ვითარებაში დარჩენილიყო ისეთად როგორიც იყო თავისთავადი, ორიგინალური, რომ სხვებისთვისაც დაენახვებინა თავისი უშუალო ქცევის სიკეთე.

სამხედრო ბანაკში ჩვენი წამება გადაუდებლად დაიწყო: დილის 6 საათზე ხმაურით ფეხზე წამოგვყრიდნენ. სულ სამ წუთში უნდა ჩაგეცვა, საწოლიც დაგელაგებინა და კარვის კალთებიც აგეკეცა. ამასობაში ოცეულის უფროსი, რომელიმე ბატონი ლეიტენანტი ან კაპიტანი ჩამოივლიდა ღია კარვებს და ბიჭი იყავი შენი გასწორებული ლოგინი არ მოსწონებოდა. თუ კარგ ხასიათზე იყო რამოდენიმეჯერ გაგასწორებინებდა, თუ მის ბრძანებას ზუსტად ვერ შეასრულებდი, ან რაიმე საწინააღმდეგო სიტყვა წამოგცდებოდა, რიგგარეშე მორიგეობას სასადილოში, ტუალეტში ან საგუშაგოზე ვერ აცდებოდი. ბრძანებას გასცემდა ვიღაც უგულო, უკულტურო, უზრდელი სამხედრო

პირი და მერე შენს წამებას კიდევ უარესი წამება დაემატებოდა.

ყოველ დილით სადილამდე იწყებოდა სამწყობრო მომზადება, რაც ხშირად სადილის შემდეგაც გრძელდებოდა. გაგვიყვანდნენ ბანაკის მახლობლად მდებარე ფერდობზე. ოცმეთაური თუ სერჟანტი აუცილებლად პირით მზისკენ დაგვაყენებდა, თვითონ კი შებრუნებით იდგა და საათობით სისულელეზე გველაპარაკებოდა.

აუტანელი, მართლა გაუძლები სიცხე იცოდა დუშეთის ამ გორაკებზე ივლისის თვეში. ოფლი თქრიალით მოგვდიოდა და მთელ ტანს გვისველებდა, ტანისამოსი გვეწებებოდა, მუხლები გვეკეცებოდა, მძიმე ჩექმებში სქელი ნარმის სანვევები ფეხებს გვიწყლულებდა.

ყველაზე მეტი უბედურება ის იყო, რომ პატარა, ვიწრო „პილოტკები“ მზისაგან ვერ გვიფარავდა, დიდი სიცხისაგან ბიჭებს თავები დაუსივდათ და საშინელი ტეხვა დაეწყოთ.

ჩვენი საცოდავი თავების ამბავმა თბილისამდისაც მოაღწია, ალბათ წერილებში ვწერდით, იმ პერიოდში წერილებს რეგულარულად მიგზავნიდა ჩემი უმცროსი ძმა გობრონი. არქივში ერთი მისი წერილი ვიპოვე 1956 წლის 7 ივლისით დათარიღებული. რვეულის ერთ ფურცელზე დაუწერია მას წერილი, გურამთან და ჩემთან მოკითხვები ზედვე მიუწერით გურამის დედას დეიდა მაროს და მარინეს.

მარინე რჩეულიშვილებისათვის დამახასიათებელი იუმორით წერდა:

„გურამ! აღარც ადგილია, აღარც დრო და ამიტომ მოგწერ მხოლოდ იმას, რომ შენი წერილი გაგვეხარდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო თავების ამბავი. შენი სიტყვების სიმართლე ადვილად დავიჯერეთ, რადგან მე, როგორც კარგი ფსიქოლოგი და კარგი დაკვირვების მქონე ახალგაზრდა, ყველას გატყობთ მაგ ავადმყოფობის დაწყების ნიშნებს ისე, რომ უფრთხილდით! განსაკუთრებით ნუგზარს, ცივ წყალში ჩაყოს ხოლმე დილდილაობით თავი.

დასიების წინააღმდეგ წამალი დანამდვილებით გავიგე, ისე რომ ყველამ მიიღეთ მხედველობაში. კიდევ ერთი რამე იყო

შენ წერილში საინტერესო: ყველა სიტყვას ეტყობოდა კვალი იმისა, რომ თოფის ტარზე იწერებოდა...“

ჩვენი ჯარისკაცული ცხოვრება სახუმაროზე უფრო მეტად სატირალს გავდა. დილის გათენება გვეზარებოდა, როცა გაგვახსენდებოდა ექვს საათზე ფეხზე წამოცვენა და შემდეგ.: როცა მზე კარგად შემაღლდებოდა, გაგანია სიცხეში მზისკენ სახით ცქერა. უარეს ტანჯვას ინკვიზიტორებიც ვერ მოიგონებდნენ.

ექიმთან მისვლა, ბიულეტენის აღება თუ საავადმყოფოში, ანუ სამედიცინო-სანიტარულ ნაწილში დაწოლა, საერთოდ რაიმე თანაგრძნობის გამოწვევა გამორიცხული იყო. ან ორმოცზე მეტი გრადუსი ტემპერატურა უნდა მოეცა ან საერთოდ გულწასული უნდა დაცემულიყავი, რომ ვინმეს მინიმალური ყურადღება გამოეჩინა და რაიმე წამალი დაენიშნა. ერთი სიტყვით რომ ვთქვა, ისე გვიყურებდნენ, როგორც გერმანელ ტყვეებს და ცდილობდნენ მოკლე დროის მანძილზე ჩვენში ყოველგვარი სიკეთე ჩაეხშოთ.

აქ მინდა გავიხსენო პწკარები 1956 წელს დაწერილი გურამის ნოველიდან „როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი“, სადაც უდავოდ ჩანს სამხედრო ბანაკში გატარებული მძიმე დღეების გამოძახილი:

„ცხელა, ეშმაკმა დალახვროს, — გაიფიქრა იგორ კობლუკოვმა. რომელიც ყველაზე ძნელად ეგუებოდა ჯარს, — ჩრდილიც არსად არის... გინდაც იყოს, ვინ მოგცემს უფლებას. თავი შეაფარო, მიმიფურთხებია ასეთი ცხოვრებისათვის, ეჰ, რა გაძლებს აქ სამ წელიწადს, ამ ორ თვეში ლამის გავგიჟდე“. დაუკვირდით, როგორ გავს ეს სტრიქონები ზემოთ აღწერილ სიცხე-პაპანაქებაში ჩვენს წამებას.

მეოცნებე, შრომისათვის დაბადებული, სხვებზე გაცილებით ადამიანური იგორ კობლუკოვი უმოწყალოდ ისჯება ყველა მცირე შეცდომისათვის, გულმოდგინედ, მეთოდურად ცდილობენ ჩაკლან მასში ყველაფერი ადამიანური, აქციონ უსიტყვო მონად ან შემსრულებელ რობოტად.

ნოველის მსვლელობისას გურამს, ისევე როგორც გაზეთებიდან ამონაწერი „ალავერდობაში“, ოსტატურად შემოაქვს

ამონაწერი წესდებიდან, რომლის წაკითხვასაც ჰაუპტვახტიდან ახლად გამოსულ კობლუკოვს ურჩევს ათმეთაური:

„მუხლი II — „იყავი უსიტყვოდ მორჩილი შენს ზემოთ მდგომი ჩინებისა. შეასრულე ბრძანება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, შენ მასზე არ აგებ პასუხს. პასუხს აგებს ბრძანების გამცემი“.

როგორი აზრებია ჩადებული ამ საშინელ პწკარებში! თუ ჩინით მაღლა მდგომმა გიბრძანა წყალში გადავარდიო, უყოყმანოდ უნდა გადავარდე, ესროლეო, უნდა ესროლო, არც მოკვლაზე გჭირდება დაფიქრება, რახან გიბრძანეს. ხელები უკვე თავისუფალი გაქვს.

ეს კაცისმჭამელთა ფილოსოფია თავისებურად მოქმედებს იგორ კობლუკოვზე. ის არც ისეთი ძლიერი პიროვნებაა იყოს თავისთავადი და არ დაეკარგოს საკუთარი სახე, უფერულ და ერთფეროვან მასაში არ გაითქვიფოს. არაადამიანური სიმკაცრე, უმძიმესი პირობები, გამოუვალი მდგომარეობა, ყველა წვრილმანისათვის უმკაცრესი დასჯა, ე. წ. „სასტიკი პატიმრობა“ დამთრგუნველად მოქმედებს ახალგაზრდა ჯარისკაცზე, უკარგავს მას იმედს და უბიძგებს გახდეს ისეთი მონამორჩილი, როგორიც მოსწონთ ზემდგომ, დიდ თუ პატარა ტირანებს.

„რა მენაღვლება — გაიფიქრა იგორმა. — მეტი რა ძალაა, უნდა შევასრულო, კაცმა რომ თქვას, სწორიცაა — მერე უფრო ღრმად ჩაფიქრდა: ალბათ სწორია. ყველა ასე იქცევა, ვინც არა, აგერ ბელოუსოვს, ასთორმეტი დღე აქვს გატარებული ჰაუპტვახტში, ეხლა რვათვენახევარი კიდევ უნდა იმსახუროს.“

სხვა გზა არა აქვთ კობლუკოვს და ათასობით მის მსგავსებს, ოცნების საშუალებაც კი ერთმევათ, არავითარი წმინდა და საკუთარი არ შეიძლება ქონდეს ვინმეს, ჯარი არის მასა, რუხი მასა და მასში ყველა უნდა გაითქვიფოს. თუ შენ არა, ამ აზრამდე ძალით მიგიყვანენ:

„ავიტან, როგორც იქნება, ბოლოს და ბოლოს რა გახდა ეს ოცნება, სხვები ხომ იტანენ, ასე უფრო ჩქარაც გადის დრო.“ ასეთ არაადამიანურ დასკვნამდე უხეში ძალდატანებით მიყავთ სხვებისაგან ოდნავ გამორჩეული იგორ კობლუკოვი.

წელიწადნახევარში იგი მთლიანად იცვლება შინაგანად და გარეგნულადაც. ახლა უკვე ეფრეიტორის ჩინით დამშვენებული იგორი საუკეთესო პატარა მასშტაბის ხელმძღვანელია. „...ყოფილი წესრიგის დამრღვევი — სამაგალითო ეფრეიტორი და მოქალაქეა“. ახლა იგი სხვებს აძლევს მაგალითს, თავისი ხელმძღვანელებივით მკაცრობს, სამხედრო წესდების მლიქვნელი ხდება, იმ წესდებისა, რომლის დაცვაც უღმერთოდ ტანჯავდა, ახლა კი იგი სხვა რიგითებს ასწავლის:

„— შეიკარით საყელო და გახსოვდეთ, რომ ჩვენი სამხედრო წესდება წმინდა რამაა, სადაც წერია, რომ სამხედრო ფორმის დამრღვევი მიჩნეული უნდა იქნას დისციპლინის დიდ დამრღვევად!“

მოხდა საოცარი მეტამორფოზა, გაწვრთნეს და გათელეს იგორ კობლუკოვი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთ თვეში ასე არ მოგვსვლია, ასე ვერ დაგვიმონეს, მითუმეტეს ვერაფერი დააკლეს გურამ რჩეულიშვილის ამავ სულს, მაგრამ იმ საშინელი ერთი თვის მანძილზე მიღებული მწარე გამოცდილება მას მაინც გამოადგა, თუნდაც იმაში, რომ შექმნა საინტერესო, უდავოდ დამაფიქრებელი ნოველა თავისებური ირონიული ჟღერადობის შემცველი სათაურით „როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი“.

საბჭოთა ჯარში ადამიანის სრულ დათრგუნვასა და შემსრულებელ რობოტებად ქცევაზე თავისებურ სწორ დაკვირვებას ვხვდებით ღრმა შინაარსიანი პიესის „იულონის“ ფურცლებზეც:

„ჩვენი საქმე პატარაა, რასაც გიბრძანებენ შეასრულე, აი, მთელი ლოგიკა სამხედროსი. განსხვავებით სამოქალაქო ცხოვრებისაგან, სადაც თითოეული ყოველ წამს ფიქრობს თითონ თავისი გართობის შესახებ და აკეთებს ათასგვარ სისულელეს და პასუხს აგებს მასზე.“

ჯარში კი ყოველგვარი ფიქრი მოსპობილია, ინდივიდი აღარ არსებობს, თუ იგი რაღაც განსაკუთრებული სულის სიძლიერით არ გამოირჩევა.

ასეთი თავისებური სიღრმით ხატავდა გურამ რჩეულიშვილი საბჭოთა ჯარის სურათს. ჩვენ იმ შორეულ წლებშიც კლაპარაკობდით ჯარში გამეფებულ ველურ თვისებებზე." არდანდობაზე. სხვისი გათელვის სურვილზე, ყოველგვარი მოწყალების გაქრობაზე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დღეს. გამოვლილი წლების სიმაღლიდან თუ რეალურად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. აშკარად ვხედავ რა ნამდვილად აუტანელ დამღუპველ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი ჩვენი ახალგაზრდები. ჩვენი შვილები, რომლებიც ძალდატანებით იხდიან სამხედრო მოვალეობას ამ უკიდეგანო ქვეყნის ასობით კუთხეში.

სამხედრო ბანაკში ყოფნისას სასჯელიც არ აგვცდენია. ერთ დილით მე და გურამ გეგეშიძე სამ წუთიან ჩაცმა-დახურვა-გაფერთხვა-გასწორებაში ვერ ჩავეტიეთ, დილი მწყობრში სიის ამოკითხვისას დავაგვიანეთ და ოცმეთაურმა კაპიტანმა გრიშკომ უყოყმანოდ დაგვსაჯა ერთი სამზარეულოში მორიგეობა გვიწყალობა.

სასჯელი დიდად არ განგვიცდია, აუტანელ სიცხეში გორაკებზე დგომასა და ფორთხვას სამზარეულოში ყოფნა მაინც ჯობდა. თანაც ამ უბანზე ეს პირველი სასჯელი იყო და გვაინტერესებდა.

დაიწყო ჩვეულებისამებრ ქვაბების რეცხვა, კარტოფილის თლა. კომბოსტოს ჭრა, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ჩვენ იქ ვნახეთ.

ჭუჭყიან, მიწიან კარტოფილს ყოველგვარი გარეცხვის გარეშე უნეშად თლიდნენ და ჭუჭყიანსვე ყრიდნენ წყალში, ვერმიშელიან ტომარას მოიტანდა ორი ჯარისკაცი. გაურღვევდნენ თავს ტომარას და ასევე ძაფებიან-ძენძიანა გაურეცხავ-გაურჩევლად მოაპირქვავებდნენ ქაფქაფა წყლით სავსე ქვაბებში, მავი პური ისეთი ტალანიანი იყო. წუთს დანას ეწებებოდა, ვეღარ ჭრიდა და დამჭრელი ჯარისკაცები გაზღმურტლულ წინსაფარზე წმენდნენ განსაკუთრებით საშინელი იყო კომბოსტოს მარაგის ნახვა. ერთსართულიან სასადილოს ქვეშ ქონდა სარდაფები. ერთი ცემენტით შელესილი, საკმაოდ მოზრდილი

ბნელი ოთახი კომბოსტოთი იყო სავსე. კომბოსტო ყარდა, ისეთი შმორისა და სიდამპლის სუნი იდგა, რომ მცირე ხანსაც ვერ გაუძლებდით.

ჯარისკაცები პირდაპირ ადიოდნენ კომბოსტოს გროვაზე ჩექმებიანა, გათხვრილი ჩექმებით ყრიდნენ კომბოსტოს დაბლა, იქ ორ-ორი დასჯილი თუ კვების შტატიანი მუშაკი უზარმაზარ ქვაბებში ყრიდნენ კომბოსტოს და ტალახისაგან ერთიანად გამურული კიბეებით აჰქონდათ მაღლა.

ჯარის ნაწილი დიდი იყო და კომბოსტოც უამრავი რაოდენობის ჭირდებოდათ. სამზარეულოში შეტანილ კომბოსტოს ჭრიდნენ და ჩვეულებისამები გაურეცხავად ყრიდნენ წყალში, არც გარჩევით იწუხებდა ვინმე თავს. ჩაყვითლებული დამპალი ფოთლებით ივსებოდა ქვაბები, ამაზრზენი იყო იმის ნახვა თუ რას ვჭამდით და რა სისუფთავე იყო დაცული. გასაკვირი ის იყო, რომ ხალხი მაინც შედარებით ნაკლებად ხდებოდა ავად. ანდა ალბათ მერე საკუთარ სახლებში დაბრუნებულებს არ ასცდებოდათ დაავადება.

ამ უსუფთაობის და ჰიგიენის ყოველგვარი ნორმების დარღვევამ ერთხელაც ჩვენი გააფთრება და გაფიცვა გამოიწვია, რაც იმ სასტიკ წლებში იმდენად მოულოდნელი და არგაგონილი მოვლენა იყო, რომ მას საკმაოდ ფართო რეზონანსი მიეცა.

ცხელი დღე იყო. მერე ცოტა მოიღრუბლა და წამოწვიმა. შუადღისას ღრუბლები გადაიყარა და უფრო დააცხუნა მზემ. დაღლილი, მშივრები, დახოცილები მწყობრით მივყვებოდით გზას ბანაკისაკენ.

იმ დღებში სასადილოში დაიწყო რემონტი და ჩვენი საწყალი ჯარისკაცული სადილი ხისაგან უშნოდ გამოჩორკნილ მაგიდებზე ზედ განურებული მზის გულზე იყო გაშლილი.

მზეს ვიღა ჩიოდა, დამშეულები ვეცით საჭმელს. კარგად მახსოვს ჩემს გვერდით ან იქვე მახლობლად ისხდნენ გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, შალვა რჩეულიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, რატი ტატიშვილი, რეზო ღლონტი, ედუარდ სიხარულიძე და სხვა ჩვენი მეგობარი ბიჭები.

ძალიან მშიერსაც გაუჭირდებოდა იმ გაგანია სიცხეში აყროლებული ბორშჩის ჭამა, მეორე კერძად კი გველოდებოდა არანაკლებ აყროლებული ქაშაყი, ტალახივით პური და ორიოდე ნაჭერი მოშავო-მოყავისფრო კარტოფილი.

ამ დროს ზედიზედ აღმოაჩინეს ბორშჩში მატლები, პურში ლურსმანი, ქაშაყში წვრილი თეთრი ჭიები და მთელი მაგიდები დამდუღრულებივით ფეხზე წამოიჭრნენ.

ატყდა ხმაური, ყვირილი, რკინის ჯამებისა და კოვზების ჭახჭუხი, ხის მაგიდებზე ხელების ბრაგუნი. დაფეთებულები მორბოდნენ სამზარეულოდან თუ ხელმძღვანელობის შენობიდან დაბალი და მაღალი ჩინის სამხედროები. მობრძანდა პოლკის უფროსიც, ვეება, მუდმივი სმისაგან ჩაქინჟღილებული პოლკოვნიკი. ჯერ მკაცრად მიგვითითეს გაგვეგრძელებინა ჭამა, გვიყვირეს კიდეც, მაგრამ როცა გურამ რჩეულიშვილმა, შალვა რჩეულიშვილმა და სხვებმა მათ მატლები უჩვენეს, თანაც განუცხადეს ჩვენ საჭმელს აღარ შევჭამთ, გაფიცვას ვაცხადებთ, ამის შესახებ მოსკოვში თქვენს მთავარ ხელმძღვანელობას მივწერთო, ცოტა არ იყოს ფერი ეცვალათ, უკვე შერბილებული ხმით დაგვიწყეს დარიგება, დაჯექით, გაფიცვა და ბუნტი რა შუაშია, აქ რაღაც შეცდომას აქვს ადგილი, ყველაფერს სასწრაფოდ გამოვასწორებთ, დამნაშავე მზარეულებს კი მოვხსნითო. ეს უბედური მონა მზარეულები ხმაჩავარდნილები, გაფითრებულები იდგნენ და პირუტყვული შიშით შესცქეროდნენ სტუდენტთა გაფიცვისაგან უკვე სერიოზულად დამფრთხალ პოლკის მეთაურს.

არავითარმა თხოვნამ და შეგონებამ ჩვენზე არ გასჭრა. განსაკუთრებით შალვა რჩეულიშვილი აქტიურობდა, ის გურამთან და ზოგიერთ ჩვენს მეგობართან ერთად უმტკიცებდა ხელმძღვანელობას, რომ ასეთი მოქცევა არის დანაშაული, რასაც სპეციალურად უკეთებენ ქართველებს, რომ სტალინის სიკვდილის, მისი კრიტიკისა და განსაკუთრებით 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ქართველებისადმი სიძულვილი გაასკეცდა და ეს კარგად გამოჩნდა ჩვენდამი მოპყრობის მაგალითზე.

ამასობაში გაგზავნეს კაცი და სტუდენტთა ბუნტის შესახებ შეატყობინეს უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, ერთერთ პირველ ქართველ გენერალს, რომელიც იმ დღეს ჩამოვიდა სანახავად თუ როგორ გადიოდნენ შეკრებას მისადმი დაქვემდებარებული კათედრის მიერ მომზადებული უმცროსი ლეიტენანტობის ძალით მაძიებელნი.

გენერალმა შეაფასა შექმნილი საშიში ვითარება, ჯერ ხმამაღალი დამრიგებლური სიტყვით გამოვიდა ჩვენს წინაშე, მაგრამ როდესაც შეატყო ჩვენი გაჩერება უკვე ძნელი იყო, დაიწყო ჯგუფების ჩამოვლა და ყველას თხოვდა: არ გინდათ შვილებო, არ გინდათ ამხანაგო სტუდენტებო, დაწყნარდით, ამას კარგი ამბავი არ მოყვება, ყველას დავსჯით.

მაინც არაფერი გამოდიოდა, არავინ დაშლას და ჭამას არ აპირებდა. ამასობაში შალვა რჩეულიშვილს ვიღაც დიდ სამხედრო პირთან მაგარი შეხლა-შემოხლა მოუვიდა, გურამი მე და სხვები, რა თქმა უნდა შალიკოს მივემხრეთ. მოსულმა წითელსამკლაურიანმა პატრულმა შალვა მოთავედ, მთელი ბუნტის ამტეხად მიიღო და მისი დაჭერა მოინდომა. იგი არ დაემორჩილა, გაუსხლტა ხელიდან პატრულს, გაიქცა, ყველას გაასწრო, გაირბინა ბანაკის ვრცელი ეზო, მავთულხლართებიან ღობეზე გადახტა და მხოლოდ იქ შეჩერდა. გაოცებული, დაბნეული სამხედროები და ჩვენც, მთელი ამოდენა მასა, ღობისკენ წავედით. პოლკის უფროსი უყვიროდა დაბრუნდითო, გენერალმაც დაუძახა დაბრუნდი ამხანაგო სტუდენტოო, მაგრამ შალიკომ ერთი კი დაიძახა ვერ მოგართვესო, უფრო სწორად კიდევ უფრო უარესი რამ დაიძახა, აქ რომ ვეღარ მოვიყვან და დაბალ ტყეს შეეფარა.

ამასობაში უკვე ღამდებოდა კიდეც. შალვა ფეხით ხომ ვერ წავიდოდა თბილისში, თანაც კაპიკი არ ქონდა. ბოლოს იგი პატრულმა დააკავა, მოიყვანეს და სასწრაფოდ მიუსაჯეს თხუთმეტი დღის მკაცრი რეჟიმის პატიმრობა ჰაუპტვახტში, ჩვენი გაფიცვის შეეშინდათ, თორემ უარესად დასჯიდნენ, სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად მაინც.

შალვა ჰაუპტვახტში იჯდა, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე და მე, როგორც კი თავისუფალ წუთს ვიშოვიდით, მის სანახავად მივდიოდით, რასაც ვშოულობდით მიგვქონდა.

ორიოდე დღის შემდეგ შალვა და კიდევ რამდენიმე სასჯელმისჯილი გამოიყვანეს და იმ სულელმა პოლკის უფროსმა მათ თავისი სახლის წინა ეზოს დალაგება და რაღაც ქვების გადაწყობა-გადმოწყობა დაავალა, მუქთად სურდა საცხოვრუბელი ადგილის წესრიგში მოყვანა.

აქ შალვამ მოახერხა პოლკოვნიკის ცოლის გაცნობა და იმდენი ელაპარაკა, ქალი მისადმი ნდობით განაწყო. პოლკოვნიკის მეუღლე გამოუტყდა, რომ ძალზე უყვარს მუსიკა და პიანინოს შოვნა კი ვერ მოუხერხებია. შალიკომ იმ წამსვე გაჩარხა საქმე, ოღონდ აქედან გააშვებინეთ ჩემი თავი, დავრეკავ. ან თბილისში ჩავალ და ყველაზე საუკეთესო პიანინოს გიშოვითო.

აღფრთოვანებულმა ქალმა ისე შეაფუცხუნა თავისი ქმარი, რომ შალიკო მეორე დღესვე გამოუშვეს. ასე რომ თხუთმეტი დღის ნაცვლად მან სულ სამი-ოთხი დღე გაატარა ჰაუპტვახტში, თან ასე საინტერესოდ.

როდესაც ეს ამბავი დაწვრილებით შევიტყვეთ, ბევრი ვიცინეთ და ვიმხიარულეთ. გურამმა თქვა — შალიკო ჩვენზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ჯერ დააგვიანა, ოთხი დღე არაფერი გაუკეთებია, ახლა პოლკოვნიკის ცოლს დაუახლოვდა და ვინღა გაუბედავს ხმის გაცემასო.

მართლაც გურამი და შალიკო გამორჩეულად, თავისუფლად და თავის ნებაზე იყვნენ ბანაკში, არავის არ ეპუებოდნენ და ვერც ვერავინ უბედავდათ რაიმე ზედმეტს. მაგრამ ჯარი რა ჯარი იყო შური რომ არ ეძია, შალვას არ ჩაუთვალეს ბანაკში ყოფნა და მომავალ წელს ხელახლა მოუხდა სტაჟირების გავლა.

ჩვენი გაფიცვა თითქმის ორ დღეს გაგრძელდა. დიდი მოლაპარაკება-დაპირების შემდეგ დავთანხმდით დაგვეწყო ჭამა და ვარჯიში, თუმცა ისე ვეღარ გვიბედავდნენ მწველი მზისაკენ სახით დაყენებას და საათობით უსაგნო ძუნძულს. საჭმელსაც დაეტყო ოდნავი სიკეთე, ულუფებსაც მოუმატეს.

ერთ საღამოს ზომაზე მეტი ქაშაყი მოგვცეს. ვჭამეთ ბლომად, მაგრამ თევზი მარილიანი იყო და მაინც ბევრი დარჩა. ავალაგეთ თითქმის ოც ცალამდის მოზრდილი ქაშაყი და თან წამოვიღეთ.

ბანაკში ერთი ჩვენზე უფროსი სტუდენტი გვყავდა, ვალოდია გერგაია, საშინელი ენის მიმტან-მომტანი, უხეში, ხალხის გადამკიდებელი, უზრდელი და მოჩხუბარი ვინმე იყო, არავის არ უყვარდა ამ უამრავ ხალხში.

დავბრუნდით ჩვენს კალთებაკეცილ კარვებში,. ვისხედით და ვსაუბრობდით. ვიღაცას მოუვიდა იდეა, მოდით, ეს ქაშაყები გერგაიას ჩავუწყოთ ლოგინში, რომ დაწვება გული გაუსკდება, ახია მაგაზეო. თუმცა ჩვენ ამაზე ადრეც ვიფიქრეთ და თევზიც ამიტომ მოვიმარაგეთ.

ბიჭების ნაწილი და მათ შორის გერგაიაც წითელ კუთხეში დოკუმენტური ფილმის სანახავად იყვნენ წასულები. რამოდენიმე ბიჭი მივედით ჩვენგან დაბლა, 4 — 5 კარვის იქით მდებარე გერგაიას კარავში და ლოგინში მიჯრით შევუწყვეთ სლიპინა მარილიანი ქაშაყები.

დაღამდა, დაბრუნდნენ წითელი კუთხიდან, ილაპარაკეს, იყაყანეს, ცოტა ხანში დაწოლაც გამოცხადდა. ჩვენ ჩუმი ხითხითით ვუყურებდით რა მოხდებოდა. ვალოდია გერგაიამ სხვებს დაავალა კარვის კალთები ჩამოუშვით, დაამაგრეთო, თვითონ კი გაიხადა და რადგან ღამით ძალიან გრილოდა უცებ შეხტა ლოგინში.

არემარე გააყრუა მისმა ყვირილმა, კივილმა და გინებამ. გაგულისებული გერგაია საჩივლელად გაიქცა სამორიგეოში. ხელად მოცვივდნენ მორიგე სამხედრო პირები, დაიწყეს გამოკითხვა თუ ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი, მაგრამ ყველა თავის ლოგინში იყო მოკალათებული და დამნაშავის დადგენა ვერ მოახერხეს. თან გაფიცვის მერე ჩვენი საკმაოდ ეშინოდათ, ამ ატომ გვთხოვეს ნუღარ იზამთ, ამხანაგს ნუ შეაშინებთო და წავიდნენ. გამწáéებული გერგაია თავისთვის ბურდღუნებდა და მეორე დღიდან არავის აღარ ელაპარაკებოდა.

* * *

გურამი თავის მოთხრობებსა და ნოველებში ძალზე ბევრ ადგილას მკაცრად აკრიტიკებს სოციალისტურ ყოფაცხოვბაში არსებულ უამრავ მახინჯ მოვლენას.

ავიღოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი საყურადღებო ნოველა „უღელტეხილი“. ნაწარმოები 1956 წელს არის დაწერილი ოცდაორი წლის მწერლის მიერ. ისიც ოცდაცხრა წელი იდო მწერლის არქივში და მხოლოდ 1985 წელს გამოქვეყნდა ერთტომეულის ფურცლებზე იო, ნოველის გმირი, მასთან ერთად ხევსური მეგობარი ბერდო და სულხანი ხევსურეთისაკენ მიდიან. ცუდზე ცუდი გზების გამო მანქანა გაფუჭდა, მანქანის გაკეთებას ელოდებიან. მოშივდათ, სასმელსა და მწვადებს ნატრობენ.

ამ დროს ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელსაც წინდებში ჩატანებული გალიფე და „ჩეხური ფეხსაცმელები“ ეცვა. ამ ვიღაც კაცს თან ახლავს ვიღაც კანა, „უკან გადავარცხნილი თმებითა და გაშავებული ბაკებით“.

ერთ დროს ძლიერი მთა, სადაც სტუმრის მისვლა უნაროდათ და ყოველთვის მზად იყვნენ პატივის საცემად, სულ გაუბედურებულა, დაცემის პირას მისულა, ხორცის კი გამქრალა, რაც მთიელს რევოლუციამდე თავზე საყრელი ქონდა. შეკითხვაზე როგორ ცხოვრობთო ერთ-ერთი მთიული პასუხობს:

„ცუდად, ცუდად, თქვენ რო კაცი ვერ დაგხვდებათ. როგორ უნდა ვიყო, — დაიწყო ისევ მან; მერე თქვა: არაყი არა მაქვს, არც ხორცი, ხო იცით მთის ამბავი. მწირია ნიადაგი, არც მოდის, იშვიათად თუ იშოვება“.

ეს ჩეხური ფეხსაცმელი კი უშოვია, როგორც ცივილიზაციის მცირე წყალობა, სამაგიეროდ ყველაფერი დაუკარგია, აღარც სასმელი აქვს, აღარც საჭმელი, აღარც მოსაწევი და აღარც ნამუსი. ბიჭები ყარაულისაგან ხელზე ყიდულობენ სამ ბოთლ არაყს. მასპინძლები სიამოვნებით მიირთმევენ უფასოდ ნაშოვნ სასმელს. ხალხი თითქმის გამათხოვრებულია. დაბეჩავებული. ამას ხედავს ახალგაზრდა მწერალი და გულისტკივილით აღწერს დამახასიათებელ წვრილმანებს. აი, დაუკვირდით, თითქმის არაფერია, მაგრამ როგორი საშინელებაა:

„— ბოდიში, ბოდიში, ამბობდა კანა, ერთი პაპიროსი არ გექნებათ?

— რისი ბოდიში, აიღე.

კანამ ხელი მაჯაზე დამარტყა ზრდილობისათვის. მერე პაპიროსი ამოიღო.

— ერთსაც ავიღებ, თქვა მან და კიდევ ამოიღო.

მე გალიფიანსაც გავუწოდე. მანაც ორი აღო, ერთი ყურში გაიჩარა, მეორე პირში ჩაიდო და ასანთი მომთხოვა.“

სამი ბოთლი არ აღმოჩნდა საკმარისი და ბიჭებს კიდევ ორი ბოთლი მოაქვთ. თვრებიან, პირუტყვდებიან საწყალი, ყველაფერს მონატრებული და უმძიმეს პირობებში მიტოვებული ადამიანები. მერე ერთმა მათგანმა... „ლოშნა-ფიცილი დაიწყო. შიგ ტუჩებში მაკოცა... მთვრალს სახე მობრეცოდა და უფრო უშნო იყო. გვერდით ამოგლეჯილი კბილებიდან ნერწყვი მოსდიოდა, მწვანე გალიფეზე ეცემოდა შავ ლაქად.“

როგორც იქნა გაკეთდა მანქანა და მიღიან ხევსურეთისკენ. კანას და მის მსგავს ხევსურებთან შეხვედრა არ ესიამოვნა ნოველის გმირს. ახლა ის და მისი მეგობრები ნამდვილ ხევსურეთში მიდიან, მსჯელობენ საქართველოს ამ რომანტიკული კუთხის შესახებ, რაღაც დიდი იმედით მიდიან, სჯერათ იქ ყველაფერი ვაჟკაცურად და ხელუხლებლად არის შენახული.

მაგრამ სამწუხაროდ. სულ მალე გამოჩნდება, რომ თანამედროვე ყოფამ ხევსურეთიც შერყვნა და გადაგვარების გზას გაუყენა.

ბერდოს ძმასთან ღრეობა იყო გაჩაღებული, უზომოდ სვამდნენ მყრალ ჟიპიტაურს, „სუფრაზე მოხარშული ხორცი და გამოხრული ძვლები ეყარა“. მზექალა გარმონს უკრავდა, ნოველის მთვრალი გმირი „უფრო ახლო ეკრობოდა მზექალას“. ამაზე იეჭვიანა მინდიამ, მზექალას საქმრომ და დიდი ხმაური ატყდა. ჩხუბი რომ ჩაექროთ...“ ბერდიას მამამ სილა სთხლიშა იმას“.

ნოველის გმირს გულში უხარია: „რა კარგი ვაჟკაცი ყოფილა მინდია... ბერდოს მამამ სახალხოდ სილა დააკრა და იმან ხმა არ ამოიღო,.. მართლა ალალი და ვაჟკაცი ხალხი ყოფილა ხევსურები, აი რას ნიშნავს გაურყვნელობა“.

უფროსისადმი ღრმა პატივისცემის ტრადიცია ძველთაგანვე მოსდგამდა ხევსურეთს. ეს წმინდათაწმინდა წესი იყო. „ხევსურეთში უფროსს ვერც ხელს შეუბრუნებ, ვერც დანას დაარტყამ“, ამტკიცებს — სულხანი.

მაგრამ ეს ყველაფერი მართლა გაურყვნელ წარსულს ჩაბარდა. სოციალისტური ყოფა-ცხოვრება სხვა ადათებით შემოსულა ხევსურეთში, როგორც ჩანს, ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, არაფერი აღარ დარჩენია დიდი წარსულისაგან.

დილით ახალგაზრდა მინდია, რომელსაც უფროსმა სილა გაატყა, თოფით. კლავს ბერდიას, მამას. „ბერდიას მამა ეგდო და მწვანეს წითლად ღებავდა გახლეჩილი მკერდით.“

თანამედროვე ცხოვრების მგლური კანონების გათვალისწინებით სრულ ანაქრონიზმად გაისმის მკვლელის სიტყვები:

„უფროს კაც ას, ვერც ხელს შაუბრუნებ, ვერც დანას კრავ, თოფ ვესროლ. რა უნდ მექნ სხვა!.“ ისე ამბობს მინდია, თითქოს ტყვიით მოკვლა დიდი პატივისცემა ყოფილიყოს.

* * *

1957 წლის აპრილში აქვს დაწერილი გურამს პატარა ნოველა თავისივე მინაწერი არაკითურთ. ნოველას სათაურად ეწოდება „ზღაპარივით“ და ჯერ არსად არ დაბეჭდილა, ალბათ სრულ აკადემიურ გამოცემაში გამოქვეყნდება.

ნაწარმოებს ჩვეულებისამებრ მკვეთრად გამოხატული სიუჟეტი არ გააჩნია. აქ არის დაკვირვებული მსჯელობა ადამიანის რთულ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ ძლიერი როგორ ჩაგრავს სუსტს, ძმისა და მეგობრის ნაცვლად ადამიანი ადამიანს როგორ ევლინება მგლად, ძლიერი როგორ ჩაგრავს სუსტს და წოვს სისხლს, სუსტის დაცვის ნაცვლად მილიცია როგორ იცავს ძლიერს.

აქ დრო გაურკვეველია და აბსტრაქტული, მაგრამ მკვეთრად გამოხატული კომპონენტები გვიჩვენებენ, რომ ეს ნოველა ფაქტიურად თანამედროვეობის თემაზეა შექმნილი და სოციალისტური თანაცხოვრების დეფორმირებულ პრინციპებს

ასახავს. ამ აზრს უდავოდ ადასტურებს დღევანდელობის ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა მილიცია, სასტვენი, მოტორი და რაც მთავარია ატომი.

გურამს მაინც და მაინც არ უყვარდა ალეგორიებით წერა. იგი თამამად წერდა საკუთარი ცხოვრებისა და რიგითი ადამიანების ტკივილით სავსე ცხოვრების შესახებ, არც კრიტიკულ პათოსს გაურბოდა, მაგრამ იმ საშინელ დროში ხშირად შეფარულ-შენიღბულად წერაც იყო საჭირო ხერხი გურამმაც გამოიყენა.

მოვიტან ერთ მოზრდილ ნაწყვეტს ნოველიდან „ზღაპარივით“ და თავად განსაჯეთ:

— „კაცი კი სულ უფრო კარგად გრძნობდა თავისი მოძა მის სისხლის გემოს.

წოვდა.

მაგრდებოდა.

გადიოდა დრო.

კაცი სწავლობდა ჭკუას.

სულები, დევები, ეშმაკები შიმშილით იხოცებოდნენ.

ანგელოსები გადაშენდნენ.

ჭლექი, ტიფი და ყივანახველა ხოცავდა ან ვერ ხოცავდა ხალხს.

ხალხმა გამოიგონა სასტვენი და გაიჩინა მილიცია. მილიცია და მისი სასტვენი... ორივენი იქ იყვნენ, სადაც კაცი წუწნიდა სისხლს კაცს. და ვაი მისი ბრალი, ვინც ამაში ბრალსა დებდა კაცს, რომელიც ხელებში მოქცეულ სულსაც კაცის სისხლს წუწნიდა ხელის შეუშველებლად.

გადაშენდნენ სულები, ავადმყოფობები, ანგელოსები, გაძლიერდა მილიცია, ხმა მოემატა სასტვენს, გაჩნდა მოტორი, გაჩნდა თოფი, გაჩნდა ზარბაზანი, გაჩნდა ატომი. ატომამდე, მის დროს, მის მერეც ძლიერი წუწნიდა სისხლს სუსტს“.

თქმა არ უნდა, თანამედროვე ზღაპარია.

გურამს აქვს 1958 წელს დაწერილი ერთი ძლიერი ფსიქოლოგიური ნოველა „სეითა“. ეს ნოველაც ჯერ არსად არ გამოქვეყნებულა. ჩემს წინამდებარე წიგნში მოხსენიებული ყველა

ნაწარმოები და სხვებიც მე გადმომცა გურამის დამ. მარინემ. ისინი შევთავაზე გამომცემლობას, როცა მზადდებოდა კრებული „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“. მაშინ ვერ გაბედეს ამ ნაწარმოებების დაბეჭდვა, კიდეც რომ გაებეღათ, ცენზურა მაინც არ გაუშვებდა.

სეითა მწყემსია. საშინლად მძიმედ და დამთრგუნველად მიდის მისი ცხოვრების ყოველი დღე:

„თექაში გახვეული სეითა კლდის ნაპრალში იყო შეყუჟული. გაზუმპული მეცხვარული ბოხონიდან დიდი წვეთები ჩადიოდა კისერში. კისერი ჭუჭყიანი და აქერცლილი ქონდა, თექა ეხახუნებოდა დახორკლილ ტყავს. წინიდან კი ქარი სახეში ურტყამდა წვიმას... იმან არ იცოდა, რომ ციოდა., არც ის იცოდა, რომ უკვე სველი იყო. ასე იყო ის ყოველდღე, რაც ფეხი აიდგა მას შემდეგ“.

ამაზე უფრო მეტი ადამიანის გაუბედურება და ვარება რაღა უნდა იყოს, უმძიმესი ცხოვრების გამო თითქმის რობოტად არის ქცეული, ცხვრის გარდა ვერაფერზე ვეღარ აზროვნებს, თუნდაც ერთ ცხვარს რომ რამე დაემართოს ბრიგადირის ეშინია: „მერე რა ვუთხრა ბრიგადირს“.

ავდარსა თუ სიცხეში გარეთ აგდია სეითა, ღოღნის ცივ, გამხმარ საჭმელს, მისთვის ადამიანური არაფერი არსებობს, არც ოჯახი. არც დროის შესაფერისი ჩაცმა, არც ქალი, არც მეგობარი. მიტოვებულია იალაღებზე ეს მარტოსული თანამედროვე რობოტი. იგი ვერაფერზე ვეღარ აზროვნებდა, „მხოლოდ ყველა ცხვარს ცნობდა“. თანამედროვე ცხოვრების სიკეთე ამ დღევანდელი ცხოვრების მონისათვის შორეულადაც კი არ არსებობს და ხდება საშინელი ფაქტი სეითა ცხვართან იწყებს ცხოვრებას.

რა მძიმე ბრალდებაა ჩვენი მოუწყობელი ცხოვრების, ჩვენი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. „ამ დღის მერე სეითას საღამოს მარილი გამოჰქონდა ან გორდილას ნაჭერი და ჩუმად აჭმევდა თავის შიშაქს. შიშაქიც შეეჩვია და საძოვარზე მასთან ახლოს დადიოდა ტორტმანით. მერე მალაყებსაც აკეთებდა ჰაერში“.

სეითა კი აგრძელებდა თავის პირუტყვულ ცხოვრებას, მასში ჩამკვდარი ადამიანი აღარ არსებობდა. იგი „...მუშაობდა ჩვეულებრივ. არც ერთგულად, არც არა ერთგულად, ის ფეხის ადგმიდან აქ იყო და თავისი საქმე იცოდა, ვერც წარმოედგინა სხვა რამე."

სეითას სახით ახალგაზრდა მწერალმა დიდი ადამიანური ტრაგედია დაგვინახა. შეიძლება აქ ვინმემ პათოლოგიის ნიშნებიც მოძებნოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თითქოს ცივილიზებულმა საბჭოთა ცხოვრებამ ასე გაანადგურა და დასცა ახალგაზრდა კაცი. მსგავსი რამ ალბათ არცერთ ქვეყანაში არ მოხდებოდა.

ადამიანის ჩაგვრას საერთოდ ვერ იტანდა გურამი, ვინც არ უნდა ყოფილიყო კაცი თუ ქალი. გაიხსენეთ მისი „შპილკა", „ირინა". „მოხუცებული" და მრავალი სხვა. რამხელა ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობაა მათში. ეს იყო მძიმე თანამედროვე პირობებში ქართული წმინდა ბუნების, ქართული რაინდული სულის ყივილი, ადამიანისადმი ძმური თანაგრძნობის გამოხატვა.

ის ნაღდი რაინდი იყო და უმიზეზოდ ან პირველად არავის აწყენინებდა. მაგრამ თუკი ვინმე გარეწარი მის კეთილშობილურ დამოკიდებულებას ვერ მიხვდებოდა, მაშინ უშიშარი და ულმობელი ხდებოდა, ასი კაციც ვერ მოახრევინებდა ქედს, ასჯერ მეტ ძალასაც არ შეეპუებოდა:

გავიხსენოთ 1956 წელს ოცდაორი წლის ბიჭის მიერ დაწერილი „შურისძიება". ნოველის გმირზე ამბობენ:

„...ცქიტო პატიოსნად ურტყამს, თავის ბიჭებს არავის დაახვევს"... მალე ხდება კონფლიქტი, ჩხუბი. ცქიტოს ბოროტი ცილისმწამებელი მიყავს მთაწმინდის მიყრუებულ ქუჩისაკენ. „იგი მასზე მაღალი იყო... თავს მაღალი ესხმოდა."

ცქიტომ, იგივე გურამმა, უნდა დაამტკიცოს თავისი ვაჟკაცობა. აქ ბიოგრაფიული და ნოველებში აღწერილი სურათები ისე ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, რომ ზოგჯერ მეჩვენება ან ჩემს დღიურებს ვკითხულობ, ან ნოველის ბოლოს გაკეთებულ გურამის რეალურ მინაწერებს:

„ცქიტო გახურდა, ზედიზედ გაუკეთა სამი დარტყმა, ახმახი დაეცა. მერე მუხლზე წამოიჩოქა. გამრტყმელი იდგა და მშვიდად უყურებდა, როცა წამოდგა, კიდევ გაარტყა. ახმახი ისევ გაიშხლართა. ცქიტო ნელი ნაბიჯით წამოვიდა სახლისაკენ.

— ნახე რა ვაჟკაცია!

— აბა, აბა!

— წაქცეულს არ ურტყამს.

— სულელია.

— რა სულელი, ვაჟკაცია.

— რაინდობს.

— რატომ არ უნდა ირაინდოს“?!

დღეს სამწუხაროდ აღარ ხდება ასე, წაქცეულსაც ურტყამენ, ერთზე ათიც მოდის, ქართველი ქართველის წინააღმდეგ დანას და იარაღსაც ხმარობს, რაც თანამედროვე ცხოვრების უკიდურესმა დეფორმირებამ და ხშირად მესამე ძალის მიერ შუღლის მზაკვრულმა ინსპირირებამ გამოიწვია.

გავიხსენოთ ერთი ძალზე დამახასიათებელი ნაწყვეტიც 1956 წლის 1 ნოემბერს დაწერილი და დღემდე გამოუქვეყნებელი საინტერესო ნოველიდან „მარტი—გიჟობის თვე.“

ვამეხ ჯანდიერს, იგივე გურამს, ახალგაზრდა ლამაზი გოგონა უყვება თუ რა ვითარებაში დაინახა პირველად და როგორ მოიხიბლა მისი ვაჟკაცობით, ადამიანებისადმი ნადგომით, დაჩაგრულის გამოქომაგებით. აქაც ყველაფერი ავტობიოგრაფიულია.

— „მაღაზიიდან როცა გამოვედი, ყვირილი შემომესმა. ვიღაც შავტუხა კეპიან უსიმპათიო კაცს რუსის ქალი დაეჭირა და სცემდა, ალბათ შენც გახსოვს, მერე მოაბრუნა საზიზღარმა, ბეჭებში ქვა ჩაარტყა. სწორედ ამ დროს გამოხვედი შენ სახლიდან. შავი პიჯაკი გეცვა და თეთრი პერანგი. თეთრის ფონზე დავინახე თუ როგორ წამოწითლდი, მერე მხრების რხევით წამოხვედი. მე მანამდისაც მყავდი შემჩნეული...

— ჰო, შენ მივარდი კაცს და არც გაგირტყამს, ისე წვდი კისერში, მერე კედელთან მიიყვანე და წაუჭირე. როცა ხელი გაუშვი, ის მოწყვეტით დაეშვა ქვაფენილზე“.

როგორ არ გავიხსენოთ, აქვე ზუსტი ცხოვრებისეული ნაწ-ყვეტი უმშვენიერესი მოთხრობიდან „ირინა“, რაც მე წინა წიგ-ნში უკვე გამოვიყენე და აქაც მინდა მოვიტანო.

კალას მთაზე მარტო მყოფ და ოცნებით გართულ გურამს ქალის კივილი ესმის. გურამი გრძნობს, „რომ ეს ქალი მარ-ტოა, არავინ ჰყავს მომხმარე და შეურაცხყოფას აყენებენ“. ის გადაევლება ტერასას, სირბილით უვლის გალავანს და უშიშ-რად უახლოვდება შემოხვევის ადგილს:

„ორ კაცს თმებსა და მკლავებში უტაცია მისთვის ხელი... ამაოდ არ ჩაუვლია კრივის გაკვეთილებს. ერთი უკვე გვერდზე აგდია, მეორეს ორივე ხელს უჭერ ყელში, ხახა გიშრება, აღა-რაფერი გესმის. ამ დროს გაჭირვებით დგება ფეხზე პირველი. დანას შლის. განმეორებით ისმის ქალის კივილი, ეს კივილი ახლა მხოლოდ შენ გეკუთვნის, რაღაც თბილი და სასიამოვნო გეღვრება, ტანში. ისინი გარბიან... ნამტირალევი ქალი ხე-ლით გისინჯავს ჭრილობას...“ | „არაფერია, გამკაწრა“, - ვაჟ-კაცურად ამბობს გურამი. სწორედ ასეთი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში) გურამ რჩეულიშვილი — ყველა გაჭირვებულის დამხმარე, და სიკეთის მთესველი.

ცხოვრებაშიც, ნაწარმოებებშიც, მისთვის ჩაცმაც კი საკუთა-რი სამყაროსა. თუ ლაღი ბუნების გამოხატულება იყო, აქაც ჩანდა მისი თავისუფალი ქცევის ნორმები, ჰალსტუხითა და გაპრიალებული ფეხსაცმელებით ვერშეზღუდული ამაყი სუ-ლი.

ნოველებში ბევრგან ვხვდებით მისი თავისებური და თავი-სუფალი ჩაცმისადმი დამოკიდებულებას, რასაც ჩვენ პირად ცხოვრებაში ყოველდღე ვხედავდით. ის ამითაც გამოირჩეოდა ჩვენგან, ამითაც მაღლა იდგა ჩვენზე.

1956 წლით დათაღირებულ უსათაურო გამოუქვეყნებელ ნოველაში „ჯერ ძალიან ბნელოდა“ გურამი წერდა:

„სახლიდან შუა დღეს გამოვედი. მძიმე მაღალყელიანებს მძიმედ ვადგამდი. ტიკ-ტაკ-ტაკ ისმოდა ასფალტზე. მოკლე იტალიური პალტო უკანა მქონდა გადაწეული ბეჭებზე, ქვევი-დან მარტო თეთრი დიდსაყელოიანი პერანგი მეცვა გულგაღე-ღილი“.

1957 წლის 5 თებერვალს დაწერილ ასევე ჯერ გამოუქვეყნებელ პატარა ნოველაში სათაურით „მოუნდა“ გურამი ხაზს უსვამდა მძიმე, მიწაზე დანდობილი სიარულისთვის გამოსადეგი მაღალყელიანი ბათინკებისადმი მის მიდრეკილებას:

„ჯანდიერი ნელა ჩამოვიდა ტახტიდან და სქელლანჩიანი სამთო-სათხილამურო ფეხსაცმელების შეკვრას შეუდგა ორმაგი თასმით. მძიმე ფეხსაცმელებში ცეკვა უზომოდ სიამოვნებდა.“

ვიმეორებ, იმ დახავსებულ, ყოველგვარ სიახლეჩაკლულ წლებში ასეთი თავისუფალი ჩაცმა და მოქცევა სულაც არ იყო იოლი. ბევრს ეს საერთოდ დაკანონებული ნორმებიდან გადახვევად მიაჩნდა, ვის გააგებინებდი უბორკილო ქცევის სიკეთეს.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო დამახასიათებელი ნაწყვეტი პატარა უსათაურო ნოველიდან „ვაჟამ ქუჩა გადაჭრა“, რომელიც 1956 წელს არის დაწერილი და ჯერ კიდევ სრულ კრებულში გამოქვეყნებას ელოდება.

დახუთული ჰაერით შეწუხებული ვაჟა წყლის დასალევად შედის კაფეში. „შუა ზაფხულში შავ ჯემპრში, დახურულ სათხილამურო ფეხსაცმელებში და გახუნებულ „ბუტილკა“ ყავისფერ შარვალში გამოწყობილ მომხმარებელს გამაგრილებელი წყლების გამყიდველმა ამრეზილად შეხედა.“

წყლის გამყიდველს კი არა, ბევრ მასზე გაცილებით მაღლა მდგომსაც არ ესმოდა გურამ რჩეულიშვილის, მაგრამ იგი ცხოვრების -დოგმებსა და ჩარჩოებს არად აგდებდა, საკუთარი შეუზღუდავი სურვილებით ცხოვრობდა, უამრავ გაუბედავ ადამიანს გულის სიღრმეში შურით ავსებდა, რომ მისებურად გაკეთება ვერც მოიფიქრა და ვერც შეძლო.

* * *

1958 წლის მარტის შუა რიცხვების მერე მე და ნოდარ ცხვირავაშვილი ორიოდე კვირით მოსკოვს ჩავედით. გურამ რჩეულიშვილი უკვე 2-3 თვის ჩასული იყო მოსკოვში სამუშაოდ.

მას ერთი ციცქნა ოთახი ჰქონდა დაქირავებული ღრმად მოხუცი, წყნარი, საცოდავი ცოლ-ქმრის პოტაპოვების მიწურ, ოროთახიან ბინაში, დიდი იუჟინსკის შესახვევში.

გურამთან ორი კაცის გაჩერება შეუძლებელი იყო და ჩვენი ოთახი მაშინდელ ძველისძველ სასტუმრო „ბალჩუგში“ ვიშოვეთ.

ამ დროს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხეილოვნების დეკადა ტარდებოდა. ჩვენი მეგობარი ნოდარ ზედელაშვილიც იქ იყო. იგი მაშინ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლში მღეროდა.

მარტის ბოლო დღეები იწყებოდა. ჰაერში უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებდა, მაგრამ მაინც კარგა მაგრად ციოდა, ნისლიანი და უფერული დღეები იდგა, ორი კვირის მანძილზე. მზეს საერთოდ არ გამოუნათებია, ხშირად წვიმდა, ან წვრილი. შუშის ნატეხებივით უფორმო და გაყინული თოვლის ფანტელი მოფარფატებდა.

გურამთან ხშირად დავდიოდით. მან, როგორც ასეთ დროს იცოდა ხოლმე. შემოქმედებითი მუშაობა დროებით გვერდზე გადასდო და მთელ თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ატარებდა.

ერთ ცივ საღამოს პუშკინის მოედანზე მდებარე ძველ ლუდხანაში შევედით. ეს ისტორიული ადგილი იყო. აქ ლუდის დასალევად თავის დროზე დადიოდნენ სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლოზ ასეევი, ვასილ კამენსკი და რუსეთის სხვა გამოჩენილი ადამიანები.

ლუდხანა ტვერის ბულვარის დასაწყისში იდგა. ეს იყო ერთსართულიანი ძველებური, რუსული სტილით აგებული ხის შენობა, ფართო ფანჯრებითა და მომწვანოდ შეღებილი კედლებით.

თუ არ ვცდები გურამის დაღუპვის შემდეგ ეს ისტორიული ლუდხანაც მიანგრიეს, როგორც საერთოდ მიანგრიეს უამრავი სიძველე მოსკოვში და დატოვეს უშველებელი, ცივი, ფორმადაკარგული ქალაქი.

ლუდხანაში ბევრი ხალხი იყო. ჩვენ ცოტა ხანს მოგვიწია რიგში დგომამ. შევედით დარბაზში და გურამის ნაცნობმა მეტოდოტელმა მშვენიერი ადგილი მოგვიჩინა ფანჯარასთან, რომელიც პუშკინის მოედანს, ბაღს და პუშკინის ძეგლს გაჰყურებდა.

ლუდხანაში მაშინ არაყიც იყიდებოდა, ლუდი ხომ მართლა მშვენიერი იყო. და ჩეხურსაც არ ჩამოუვარდებოდა, მოჰქონდათ კარგი საუზმე, ლანგრებზე უხვად ეყარა, მოსკოვმდინარის დიდი წითელი კიბორჩხალები.

ჩვენ მოხერხებულად მოვეწყვეთ და ტრადიციულ სუფრას შევუდექით, სადღეგრძელოებს არყის პატარა ჭიქებით ვამბობდით, ერთმანეთს ხან ვაქებდით, ხან ვეხუმრებოდით, ჩვეულებისამებრ ვატარებდით დროს მეგობრულ ატმოსფეროში.

ჩვენი სუფრის ერთ მხარეს ექვსკაციანი საზოგადოება იყო შეკრებილი. რამოდენიმე მათ შორის ეტყობა უცხოელი იყო, რადგან გვესმოდა როგორი აქცენტითა და დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდნენ. ისინი წყნარად სვამდნენ ლუდს ს და უფრო მეტად საუბრობდნენ.

მეორე მხარეს კი ტიპიური ლოთური რუსული სუფრა იყო გაშლილი. მაგიდას სულ სამი კაცი უჯდა. წინ უხვად ედგათ წინასწარ, თადარიგის დაჭერის მიზნით მოტანილი ლუდით სავსე კათხები, არყის ბოთლები, ერთმანეთში არეული თეფშები, საჭმელი და პაპიროსის ნამწვავებით სავსე საფერფლეები.

სუფრას ერთი კარგა მაგრად მთვრალი, ახოვანი, ფართობეჭებიანი, ასე ორმოცი წლის კაცი ეჯდა, იგი განუწყვეტლივ ეწეოდა, სვამდა. არაყს იშვიათად აყოლებდა საჭმელს და ყველაზე ბევრს ლაპარაკობდა. ორი მეგობარი თუ თანამესუფრე მას უაზროდ შესჩერებოდნენ მთვრალის გამოთეთრებული თვალებით.

მაღალ მამაკაცს შავი ჯიბეებიანი ხალათი ფართოდ ჰქონდა გადახსნილი და იქიდან მოუჩანდა მეზღვაურის მაღალყელიანი ზოლიანი მაისური. გურამსაც ამგვარი მაისური ეცვა, იმ კაცის ჩაცმულობა ალბათ რატომღაც ძალიან მოეწონა და დაას-

კვნა, რომ მეზღვაური ან ბოცმანი იქნებოდა, ასე უზომოდ ამიტომ სვამს, ხმელეთზე დაბრუნების შემდეგ ეგ მაგათი აუცილებელი წესიაო.

ალბათ ერთი საათის ან საათნახევრის შემდეგ ეს მოსული კაცი, რომელსაც გვერდით მსხდომები ხშირად სიდორიჩობით მიმართავდნენ. ეტყობოდა რომ მაგრად გაილეწა.

ცოტა ხნის შემდეგ სიდორიჩი ადგა, ცოტა წაბარბაცდა კიდეც და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ამ დროს თითქოს პირველად შეგვამჩნია ჩვენ, კარგა ხანს გვაცქერდებოდა, მერე თითქოს გაგვიღიმა კიდეც, ორი გრძელი ნაბიჯი გადმოდგა და მდევივით მოადგა ჩვენს სუფრას.

უაზროდ გაჩერდა და სუფრას დააშტერდა. გურამმა გამარჯობა უთხრა და მასაც გაახსენდა მოსალმება. ამასობაში წესისამებრ ერთი ჭიქა შევავსეთ არყით დაუპატიჟებელ სტუმრისათვის. მან გამოგვართვა, „ზა ვაშე ზდაროვიეო“ ჩაიბურტყუნა და გადაკრა. მიწოდებული ლუდიც დააყოლა.

მერე კიდევ მიმოავლო სუფრას თვალები და რატომღაც მე დამაშტერდა, იქნებ იმიტომაც, რომ მარტო მე მეცვა ფართო, მოსკოვისათვის ნათხოვარი სხვისი პიჯაკი და სხვებზე დიდად გამოვიყურებოდი. — მოდი, ხელის გადაწევაში შევეჯიბროთ და ვინც წააგოს ბოთლი არაყი იყიდოსო, — შემომთავაზა ახლადგაცნობილმა სიდორიჩმა.

მე შევცბი მოულოდნელი წინადადებისაგან და იმავ წამს უარის თქმა დავაპირე. როგორც მივხვდი უკვე ხმამაღლა ნათქვამი ეს წინადადება მეზობელ სუფრებზეც გაიგეს, რადგან ინტერესით დაიწყეს ცქერა ჩვენი სუფრისაკენ. წუთით უხერხული, გაურკვეველი სიჩუმე ჩამოწვა.

— ხალხი გვიყურებს, უარი არ უთხრა, უხერხულია, იტყვის შეეშინდათ და მაინც არ მოგვეშვება, — ჩაილაპარაკა გურამმა.

— რას ამბობ, ამხელა კაცს როგორ უნდა შევეჯიბრო, ნაღდად მომიგებს.

— რას მოგიგებს, ამ ლოთმა რუსმა როგორ უნდა გაჯობოს, შენ ძალიან მაგარი მაჯა გაქვს, აუცილებლად მოუგებ.

— ვერ მოვუგებ.

— აი, ნახე თუ ვერ მოუგებ, თუ წააგე მე ვკისრულობ ყველაფერს, თან თქვი, რომ უჭკუო ვყოფილვარ.

მეტი აზრთა გაცვლა-გამოცვლა აღარ შეიძლებოდა, ეს ამხელა პირუტყვი რუსი თავზე მადგა და ნიშნისმოგების მსგავსი ღიმილით ზევიდან დამყურებდა.

— თანახმა ვარ-მეთქი, ვუთხარი.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულ სიდორიჩს სახე გაებადრა, ალბათ უცებ წარმოიდგინა ხუთიოდე წუთში როგორ მიიღებდა იმ წლებში „ბელაია გოლოვკად“ ცნობილ არაყს, რომელიც მაშინ სულ რაღაც ორი მანეთი და ოთხმოცდაშვიდი კაპიკი ღირდა, ხარისხით კი საუკეთესო საექსპორტო არყებს არ ჩამოუვარდებოდა.

ხელდახელ მივწი-მოვწიეთ ჩვენი კათხები და თეფშები, შესარკინებელი ადგილი მოვანთავისუფლეთ. სიდორიჩმა ხალათი გაიხადა, მაისური დაიმკლავა და რომ შევხედე გული კინაღამ გამისკდა იმ სისხო მკლავი ჰქონდა.

მეც ავიკაპიწე სახელო. გარშემო სუფრებიდან ყველა ჩვენ მოგვშტერებოდა, ზოგიერთი უფრო ცნობისმოყვარე ადგილიდანაც კი წამოიჭრა და თავზე დაგვადგა.

ხელები მჭიდროდ ჩავჭიდეთ და პირველი მოსინჯვა გავაკეთეთ. სხვათა შორის დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ წლებში შეჯიბრი მკლავის გადაწევაში საკმაოდ მოდური იყო. თბილისსა, თელავსა თუ ბაკურიანში ხშირად მქონდა ძალა მოსინჯული გურამ და შალვა რჩეულიშვილებთან, ქართლოს სვანიძესთან, ბორის ინასარიძესთან და სხვა მეგობრებთან. განსაკუთრებით უყვარდა მკლავის გადაწევის პროცესი ქართლოს სვანიძეს. მას საოცრად ღონიერი მაჯა ჰქონდა და ხშირად ეჯიბრებოდა ამა თუ იმ მეგობარს. ამის გამოც იყო, რომ გურამმა მას ბუბნი დაარქვა, რაც თავისებურად დაბუბენისაგან იყო ნაწარმოები. როცა ქართლოსი მკლავის გადაწევას მოიგებდა, ბავშვივით გახარებული და გაღიმებული, სიყვარულით ეტყოდა ხოლმე წაგებულ მეტოქეს: „წადი, შე ლაყე მაიმუნო“. გურამ რჩეულიშვილს კი ვერ უგებდა და გამწარებული ექაჩებოდა მკლავს, სანამ მთელი ძალების დაძაბვით შეჯიბრს ერთხელ მაინც თავის სასარგებლოდ არ დაამთავრებდა.

ისე, რომ მე საკმაოდ ნავარჯიშევი ვიყავი სპორტის ამ თავისებურ სახეობაში.

პირველი მოსინჯვის შემდეგ მკლავების აქეთ-იქით ქანაობა დავიწყეთ, უროსავით მაჯა ჰქონდა სიდორიჩს, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ არყის უზომო სმისაგან ხელი საკმაოდ ჰქონდა მოსუსტებული. ამის შეგრძნებამ ძალა შემმატა, უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი არამკითხე მეტოქის ხელს, თან ქართული სისხლიც ამოძრავდა ჩემში იმ სირცხვილის შეგნებით, რომ ამდენი უცხო ტომის წარმომადგენელთა წინაშე არაფრით არ უნდა წამეგო, კიდევ მოვიკრიბე ძალა, უკიდურესად დავიძაბე და სიდორიჩის დიდი, ბანჯგვლიანი ხელი სადილის თეფშივით დავაკარი მაგიდას.

ირგვლივ ჟრიამული ატყდა, ზოგიერთმა ტაშიც კი დაუკრა, ეს მგონი უცხოელები იყვნენ. მეგობრებმა გადამკოცნეს, გურამი მეუბნებოდა — „რა გითხარი, ხომ ვიყავი სწორი, ყოჩაღ ბიჭო, გვასახელე.“

სიდორიჩი დარცხვენილი იჯდა, მერე უსიტყვოდ წამოდგა, გავიდა ბუფეტში, ჩვენდა გასაკვირად უსიტყვოდ მოიტანა წაგებული ბოთლი და მაგიდაზე დადგა. მაგრამ როგორც ჩანდა იგი უფრო გაბოროტებული იყო, ვიდრე დარცხვენილი. მან საკმაოდ უხეშად დამარტყა მხარზე ხელი და რაღაცნაირი აგდებული კილოთი მითხრა: ხომ მოვიტანე წაგებული, ახლა ერთიც გადავწიოთ და ვნახოთ ვის მოუწევს მოტანაო.

მე მხარზე დატყაპუნებას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ შინაგანად კი ძალზე გავბრაზდი, რომ ამ მთვრალმა რუსმა უკვე დაიწყო თავისებური საკინკლაო ილეთები. ამას კი კარგი სუნი არ ასდიოდა.

ხელახლა დაიწყო შეჯიბრების პროცესი. წასვლა-წამოსვლამ და წაგებამ მეტოქე თითქოს გამოაფხიზლა, უფრო ღონიერი მაჯა ვიგრძენი და ერთი ორჯერ კინაღამ დამადებინა კიდეც ხელი, მაჯა უკვე სანახევროდ მქონდა მაგიდისაკენ გადაქანებული.

ისევ ბოლომდის დავიძაბე, ვიგრძენი ყელზე როგორ დასკდომამდის დამებერა ძარღვები, ერთიც გავიბრძოლე და მეტოქის ხელი კვლავ მაგიდაზე აღმოჩნდა.

გამარჯვებაში დარწმუნებული რუსი თვალსა და ხელს შუა დაიბოღმა. მან მეორე ბოთლის მოტანაზე უარი განაცხადა, ერთი ხომ მოვიტანე, ერთი. ახლა თქვენ იყიდეთ, ქართველები ხართ, ბევრი ფული გექნებათ, ალბათ გასაყიდად ჩამოიტანდით რამესო. — ჩვენ ეს შეურაცხყოფა ჩავყლაპეთ, მთვრალს თავი არ გავუყადრეთ, თან ერთმანეთს ჩავულაპარაკეთ: აქ სირცხვილია, მერე გარეთ გავუსწორდეთ ჩვენი გამოწვევის მსურველებს.

გაჭირვეულებული რუსი თანამესუფრეებმა მაგიდასთან დასვეს. გურამი ადგა, აიღო მოტანილი არაყი, მიუტანა სუფრაზე მეზობლებს და უთხრა: თქვენ თავად დალიეთ თქვენი მეგობრის ნაყიდი არაყიო. მათ უარი სულაც არ უთქვამთ.

ჩვენი მეგობრული სუფრა უკვე გაუგემურდა და გადავწყვიტეთ მალე წავსულიყავით.

დაბოღმილმა სიდორიჩმა კიდევ გადაჰკრა და სულ მოთავდა. გადაკრულ არაყს მან ლუდი მიაყოლა, შუამდე დაიყვანა, შიგ რაც ჩარჩა ჩვენი სუფრისაკენ გადმოასხა და კბილებში გამოსცრა ეს თქვენი სტალინისა და ბერიასთვისო.

ჩხუბის უსიამოვნო სიომ დაჰქროლა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ავყევით მთვრალებს. გურამ რჩეულიშვილი მივიდა მათ სუფრასთან ლუდის კათხით ხელში, გაფაციცებული მთვრალების წინ ფეხზე მდგარმა ღალია ლუდი, ნარჩენი სუფრაზე გადაასხა და სიდორიჩს მიუბრუნდა: ახლა მე რომ გითხრათ ეს თქვენი ლენინისა და კიროვისათვის, სწორი იქნება?

თვალებარეული სუფრის წევრები ერთხმად აყაყანდნენ: — ლენინის ხსენებას როგორ ბედავ, ჩვენ იმან გაგვანთავისუფლა. ჩვენც და თქვენც იმან მოგიტანათ საამური ცხოვრებაო. — გურამმა უთხრა: აქ საქმე ლენინის ან სტალინის ხსენებაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ასეთი ზიზღით სავსე ფრაზებით თქვენ შეურაცხყოფას გვაყენებთ ჩვენ და საერთოდ მთელ ქართველ ერს. სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, სტალინი უფრო ’ თქვენია, ვიდრე ჩვენი, ის საქართველოში არც ყოფილა და დიქტატორად სწორედ რუსეთში ჩამოყალიბდაო. თანაც უთხრა, გთხოვთ წესიერად მოიქცეთ, აქ უცხოელებიც არიან, თორემ სიფათებს დაგინაყავთო.

ამ სიტყვების შემდეგ გურამი მოტრიალდა, მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: ამათ გვერდით დაჯდომაც აღარ ღირს, ფული გადავიხადოთ და წავიდეთო.

ოფიციანტი იქვე იდგა და გვითვალთვალებდა, ანგარიში გავასწორეთ და ავდექით. სწორედ ამ დროს მეზობელი სუფრიდან სიდორიჩის ერთ-ერთმა გახეთქილმა თანამეინახემ გადმოდგა ორიოდე ნაბიჯი და მის მხარეს მდგარ ნოდარს რაც კი შეეძლო ხელი ჰკრა, მოულოდნელობისაგან ნოდარი კინაღამ სუფრას დაემხო, დაჯახების შედეგად რამოდენიმე თეფში და კათხა იატაკზე გადმოცვივდა. ჩვენ ფეხზე წამოვიჭერით.

დაძაბული და შემართული გურამი სიდორიჩს მიუბრუნდა: რატომ იქცევით ასე. რატომ ტეხავთ ძალით ჩხუბს, სირცხვილი არ გაქვთო. პასუხის ნაცვლად მთვრალმა წადი შენიო და გაშლილი ხელი გურამის სახისაკენ წაიღო. მოთმინების ძაფი უკვე გაწყდა, ჩვენი გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

გურამმა ხელი აიცდინა და იმავ წამს გვერდიდან ყბაში მაგარი დარტყმა უთავაზა მასზე ბევრად მაღალ სიდორიჩს. მთვრალი ერთიანად დაბარბაცდა და გვერდით მდგარ მაგიდას მიეჯახა, ნახევრად გადააწვა კიდეც, მაგრამ მალე წამოდგა და მუშტებაწეული გურამისაკენ წამოვიდა. მშვიდად მდგარმა გურამმა ახლოს მოუშვა მოქიშპე, მისი მოქნეული ხელი მოხერხებულად აიცდინა და ისეთი ძალით დაარტყა ნიკაპს ზემოთ მუშტი, რომ ეს ამხელა კაცი მოცელილივით გაიშოტა მაგიდებს შორის.

ამ მომენტში სიდორიჩის ერთი ძმაკაცი მთვრალის არეული ნაბიჯებით, თავისი აზრით უჩუმრად, მიახლოვდებოდა მარცხენა მხრიდან. მე ოდნავ მიტრიალებული თვალებით ვხედავდი მას და როცა დასარტყმელ მანძილზე მოახლოებულმა მუშტები შემართა, უცებ შეტრიალებულმა მარჯვენა მთელი ძალით ვუთავაზე ყბაში. ეს დარტყმაც ისეთი გამოვიდა, რომ ჩვენი ყოფილი მეზობელი მგონი ორი მაგიდის იქით დაეცა და კიდეც გასრიალდა იატაკზე.

მესამე სკამით წამოვიდა დასარტყმელად. ნოდარმა სკამი აიცილა, ის მაგიდას მოხვდა და მთელი ჩვენი ჭურჭელი დაამ-

სხვრია. გურამმა მთვრალი, რომელიც ნოდარს ეძიძგილავებოდა, ხელით შემოატრიალა და ისეთი ხეთქა ყბაში, რომ თავისი სიდორიჩის გვერდით მიაწვინა.

დარბაზი მთლიანად აირია. ზოგიერთები ერთმანეთშიც კი ჩხუბობდნენ, ზოგი ყვიროდა ქართველმა სტუდენტებმა ჩხუბი ატეხეს და ქართველებს დასცხეთო.

ამ არეულობაში სამი მილიციონერიც შემოიჭრა დარბაზში.

იმათმა ვინც მხოლოდ ჩხუბის სცენებს ხედავდნენ იმ წამსვე ჩვენსკენ მიუთითეს მილიციონერებს. მათ ხელად ჩაგვჭიდეს ხელები, გასავლელისაკენ წაგვიყვანეს და თან ხმამაღლა იმეორებდნენ: მოწმეები წამოვიდნენ და მოწმეები წამოვიდნენო.

უკვე უკაცრიელი მოედანი გადავჭერით და პუშკინის ქუჩაზე შევუხვიეთ. მილიციის რაიონული განყოფილება ოთხასიოდე მეტრის იქით საკავშირო პროკურატურის მაღალ შენობასთან ახლოს იყო.

შეგვიყვანეს სამორიგეოში. ერთ-ერთი მილიციელი მორიგეს — გაეჭიმა და მოახსენა: დიდი ჩხუბი იყო ლუდის დარბაზში, ყველაფერი დალეწეს და დაამტვრიეს, საგრძნობი ზარალია, ჩხუბის ინიციატორები კი ესენი იყვნენო და ჩვენი თავები წარუდგინა კუშტად მომზირალ კაპიტანს.

პირველ რიგში საბუთები მოგვთხოვეს. კიდევ კარგი ყველას აღმოგვაჩნდა საბუთები. გურამს ჟურნალ „ცისკრის“ თუ მწერალთა კავშირის მივლინებაც კი ჰქონდა, რამაც როგორც შევატყვეთ, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კაპიტანზე, რადგან იგი კარგა ხანს ატრიალებდა საბუთს და რამოდენიმეჯერ გადაიკითხა კიდეც.

დაიწყო გამოკითხვა, ახსნა-განმარტებები და ჩვენი საქმე — ძალიან ცუდად წავიდოდა, ჩვენი მეორე მეზობლები და თქვენ წარმოიდგინეთ, ოფიციანტიც რომ არ გამოგვქომაგებოდა.

ოფიციანტმა უთხრა კაპიტანს, თუ სიმართლე გინდათ გაიგოთ ამჯერად ეს ახალგაზრდები დამნაშავენი არ არიან, თავისთვის ისხდნენ კულტურულად და ცოტას სვამდნენ, ამ მთვრალებმა კი არ მოასვენეს, ლუდი შეასხეს, შეურაცხყოფა

მიაყენეს და ამათმაც ვეღარ მოითმინეს, სამწუხაროდ ამ მთვრალი მოქალაქეების წამოწყებულია ეს ჩხუბი და ზარა"ლიც ამათ უნდა აანაზღაურონო, — თქვა და ხელი უკვე მოყვანილ ჩვენს ყოფილ ცხვირპირგასიებულ მოქიშპეებს მიაშვირა. ისინი ძლივს იდგნენ ფეხზე და ხშირ-ხშირი წაბორძიკება ამჟღავნებდა მათ მდგომარეობას.

საბოლოოდ გვიხსნეს ჩვენმა კეთილმა მეზობლებმა. როგორც ვთქვი, მათ შორის რამოდენიმე მართლაც მოსკოვში მომუშავე უცხოელი აღმოჩნდა, ბულგარელები თუ იუგოსლაველები. ერთმა საელჩოს თანამშრომლის მოწმობაც კი წარუდგინა კაპიტანს. მათ მთლიანად დაადასტურეს ოფიციანტის ნათქვამი და პირიქით შეგვაქეს ამათ ბევრი მოითმინესო.

უცხოელი მოქალაქეების მილიციის განყოფილებაში გამოჩენამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კაპიტანზეც და მილიციელებზეც. იმ წლებში რატომღაც ასე იყო, რუსები თითქოს მონური პატივისცემით ექცეოდნენ უცხოელებს, თუ შემთხვევით უცხოელად მიგიღებდნენ გაბადრულები გამოხატავდნენ მოწიწებას, იქნებ იმიტომაც, რომ მაშინ შედარებით მცირე რაოდენობა შემოდიოდა მოსკოვში.

მორიგემ ყველაფერი ჩაიწერა, ჩვენს კეთილისმყოფელ, გადამრჩენელ მოწმეებს ხელი მოაწერინა. ჩვენი თბილისური თუ მოსკოვური მისამართები გამოგვართვა, ჩხუბის წამომწყები რუსები დატოვა, ჩვენ კი გამოგვიშვა, ოღონდ გაგვაფრთხილა, იქნებ თქვენი გამოძახება დაგვჭირდესო, მაგრამ საბედნიეროდ ამ ინციდენტთან დაკავშირებით აღარავის შევუწუხებივართ.

* * *

სტალინისა და ბერიას, საერთოდ ქართველი ერის შეურაცხყოფის გამო მოსკოვში კიდევ მოხდა ერთი ინციდენტი. ეს იმ დღეებში მოხდა, იმ ორიოდე კვირაში, თორემ მსგავსი შემთხვევები რომ გავიხსენო ალბათ ერთი მოზრდილი წიგნიც არ ეყოფა.

იმ წლებში, სამწუხაროდ ეს დღემდის უცვლელად შემორჩა, მოსკოვში თუ რუსეთის რომელ ქალაქშიც გნებავთ, რუსების

დიდი უმრავლესობა ზიზღით, დაცინვით, ვერდაფარული მძულვარებით წარმოსთქვამდა ხოლმე სტალინის და ბერიას სახელს. სტალინი და ბერია, მათთან ერთად ბევრი სხვაც, ასეთ დამოკიდებულებას სრულიად იმსახურებდნენ.

ჩვენი ამისი საწინააღმდეგო რა უნდა გვქონოდა, მაგრამ ამ-გვარი გაბოროტებული წამოძახილები ყოველთვის ისეთ კონ-ტექსტში. იყო და არის ნახმარი, რომ აშკარად ვგრძნობდით ეს ქართველების, საერთოდ ქართველი ერის მიმართ ბოროტი განწყობით იყო ნათქვამი.

მარტის ერთი ნისლიანი დილით, ლუდხანაში ჩვენი ჩხუბი-დან ორი-სამი დღის შემდეგ ბიჭები ქალაქგარეთ წავიდნენ. მე წასვლა დამეზარა, თორმეტი საათისათვის ჩავიცვი და გუ"რამთან წამოვედი.

გურამი იჯდა თავის პატარა ოთახში და გამალებული მუშა-ობდა, უთენია ამდგარიყო და იმდენი ეწერა, რომ მომცრო მა-გიდის ერთი კუთხე მისი ორიგინალური, ძველი ქართული კა-ლიგრაფიის მსგავსი ხელით გავსილი თაბახის ფურცლებით იყო მოფენილი.

ოთახში თბილოდა, ჩვენ ვისხედით და ვსაუბრობდით, ათას რამეს ვიხსენებდით, ხან მეგობარს, ხან ქალს, ხან ფათერა-კებს.

მერე გურამის ერთი მოთხრობის კითხვა დავიწყე, ეს იყო „ირინა“. მოთხრობამ ძალიან გამიტაცა, თავაუწევლად ვკბთხულობდი, მხოლოდ ხანდახან რამეს თუ შევეკითხებო-დი. ის კი იჯდა და ხელნაწერებს ასწორებდა.

ამასობაში ორი საათი შესრულდა. ჩვენ გადავწყვიტეთ სად-მე წავსულიყავით და გვესადილა. გურამმა კარადის გვერდი-დან გამოათრია თავისი მძიმე, მაღალყელიანი შავი ბათინკე-ბი და ჩაცმას შეუდგა.

ამ დროს ვიღაცამ გაბმულად დარეკა ზარი. კარი გაიღო და სტუმარი მოხუცი დავრდომილი ცოლქმრის პოტაპოვების ოთახში შევიდა....

პოტაპოვების მიწური სახლი ორსართულიან სახლზე იყო მიშენებული. კარიდან შედიოდით ვიწრო დერეფანში, რომ

ლის აქეთ-იქით იყო ორი ოთახი. პატარა ოთახი გურამს ჰქონდა დაქირავებული, ოდნავ დიდში კი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, რამდენადაც მახსოვს მათ მახლობლები არ

გააჩნდათ, არავინ მათზე არ ზრუნავდა, არავინ არ აკითხავდათ, ერთადერთი შვილი სადღაც შორს ციმბირში მუშაობდა და წელიწადში ერთხელ თუ მოწერდა მოხუცებს წერილს, ესეც დიდი ამბავი იყო.

ფარღალალა კედლებსა და ვიწრო დერეფანში ხმა გარკვევით გამოდიოდა. კარები იყო შეღებული და ლაპარაკი თითქმის სიტყვა-სიტყვით ისმოდა.

დაუპატიჟებელი სტუმარი, როგორც ხმამაღალი ლაპარაკიდან გაირკვა, სახლმმართველი თუ მისი მოადგილე იყო, როგორც ჩანს მას შუადღისას სადღაც კარგა მაგრად გადაეკრა და ახლა ენაარეული უმწეო მოხუცების წინ ბობოქრობდა.

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, გვარცხვენთ. თქვენნაირების გამო მაჩვენებლები დაბლა იწევა, ამ დროს კი ჩვენს „ჯეკს“ შეეძლო პირველი ადგილი აეღო მთელს რაიონში. აი, უკვე 25 მარტია, კვარტალი თავდება თქვენ კი სახლის ქირა იანვრის თვიდან არ გაქვთ გადახდილი. გასულ წელსაც ასეთივე შემთხვევა იყო. ეს პირველი რომ იყოს კიდევ გაპატიებდით, მაგრამ პირველი კი არა, მერამდენე შემთხვევაა ალბათ ვერც ჩამოვთვლი, ავდგები და თქვენს საქმეს სასამართლოს გადავცემ, დაგსჯით, საერთო კრებაზეც ვილაპარაკებ თქვენს შესახებ.

— იაკობ რომანიჩ, თქვენ ხომ მოგახსენეს, რომ მარია პავლოვნა იყო მძიმედ ავად, მარტო ვერ ვტოვებდი. ჩვენი ბრალია ყველაფერი. დასჯის ღირსები ვართ. ამ ერთხელაც გვაპატიეთ, ხვალ დილიდანვე მოვალ და ყველაფერს გავასწორებ.

— ხვალ დილით მოვალო. აქამდე სად იყავი, რატომ არ მობრძანდი. საჭმელზე და წამლებზე ხომ დადიოდი, იქ თუკი შეგეძლო სიარული, ჩეენთან რატომ არ მოხვედი, გეგონა შეგრჩებოდა, თქვენნაირი ურჩი გადამხდელები კანონის მელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

— გასტრონომი და აფთიაქი, მადლობა ღმერთს. ცხვირწინა გვაქვს. აქ იოლად გავდიოდი ორ-სამ დღეში ერთხელ,

ჩვენს „ქეკამდე“ კი თითქმის ორი კილომეტრია, გამიჭირდა მოსვლა, ამ საქმისათვის მთელი ნახევარი დღე დამჭირდებოდა და ჩემი ავადმყოფი ვისთვისღა დამეტოვებინა, მდგმურს ხომ არ დავავალებდი მის მოვლას, როგორ შემეძლო.

— აი, მდგმურიც გყავთ, მდგმური გამოგეშვათ და გადაეხადა. ვერ დაავალა ავადმყოფთან გაჩერება! ისიც თქვენნაირი უწესრიგო იქნება.

— გვაპატიეთ, მეტს აღარ დავაგვიანებთ, — თქვა მოხუცმა ქალმა და ატირდა. გურამი უკვე ჩაცმული იყო, ის გავიდა ძალზე ვიწრო დერეფანში და მოხუცების ოთახში შევიდა, მეც უკან მივყევი. აქ პატარა მრგვალ მაგიდასთან მონჯღრეულ სკამზე მედიდური გამომეტყველებით იჯდა გამობრუჟული, გამომტყვრალი კაფანდარა იაკობ რომანიჩი და საწყალ მოხუცებს სულელურ ნოტაციებს უკითხავდა.

— გამარჯობათ, — რიხიანად თქვა გურამმა.

სტუმარმა მედიდურად გადმოგვხედა და უსიტყვოდ ოდნავ დაგვიქნია თავი.

— რაშია საქმე. რა დააშავეს ასეთი მოხუცებმა, თუ რამე დარღვევაა, გვითხარით და გამოვასწორებთ. მე არ ვიცოდი სახლის ქირის შესახებ, თორემ თქვენ არ მოგიხდებოდათ შეწუხება.

— ახალგაზრდავ, თქვენ ნუ ერევით ჩვენს საქმეში, თქვენ თქვენს საქმეს მოუარეთ, აქ ჩვენ გავასწორებთ ყველაფერს, რაც საჭიროა.

— თქვენი გვარი? — უცებ კითხა. გურამმა.

სახლმმართველმა მთვრალის მკვეთრად გამოხატული გაკვირვებით შეხედა.

— ჩემი გვარი რად გინდათ?

— ჯერ ერთი, გაცნობისათვის, მეორეც შეიძლება საჩივრის დაწერაც დაგვჭირდეს, თქვენ ისე სასტიკად ექცევით მოხუცებს.

— კი ბატონო, ჩემი გვარი გახლავთ დოლგოვი, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით და რა შუაში ხართ აქ რომ ეჩრებით!

— მე გირჩევთ წესიერად ილაპარაკოთ, თორემ სხვანაირად მოგვიხდება ლაპარაკი, მე მდგმური ვარ. ექვსი თვით ვარ

ჩაწერილი ამ სახლში და როგორც მოქალაქეს უფლება მაქვს ვილაპარაკო, თანაც დავიცვა მოხუცები, რომლებსაც. თქვენ მუქარით ასე აწვალებთ.

— თქვენ თქვენს სტალინსა და ბერიას მოუარეთ, თქვენს საქმეს მიხედეთ, თუ მანდარინი გაქვთ ჩამოტანილი გასაყიდად, ბაზარი სულ ახლოა, ორმოცდაათ მეტრში, მიბრძანდით .და იქ ივაჭრეთ, აქ კი დაგვაცალეთ კანონიერი ლაპარაკი.

გამომტყვრალი კაცუნას უხეში ლაპარაკით გურამი გაოცდა, მე ჩამილაპარაკა ეს რა უზრდელი და თავხედი ვინმე ყოფილა, ამას ჭკუის სწავლა სჭირდებაო.

— რატომ კადრულობთ თანამდებობის პირი ასეთ უზრდელ ლაპარაკს, ჩვენ ახალგაზრდები თქვენგან ჭკუის დარიგებას ველით, თქვენ კი როგორ იქცევით.

სიტყვა თანამდებობის პირი, როგორც ჩანს მოეწონა დოლგოვს და მთვრალს თავის თავზე ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს აქ მისი მართლა ძალიან ეშინოდათ.

— მე არ მცალია კაცოების ჭკუის დასარიგებლად, გთხოვთ დაგვტოვოთ, ხელს ნუ გვიშლით, თორემ ზომებს მივიღებთ.

— რა ზომები უნდა მიიღო მე კაცუნავ, არაკაცო, შენ ვინც შეგიშინებია ისევ ის შეაშინე, ხელი არ გამასვრევინო შენზე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები.

— ვის უბედავთ ასეთ ლაპარაკს? — ფეხზე წამოდგა და შებარბაცდა დოლგოვი, — მე თქვენ გიჩვენებთ სეირს.

— რა სეირი უნდა გვიჩვენო? რა ყველას ემუქრები შე „ჟეკის“ ვირთხავ, ვის რა უნდა დააკლო?

გურამმა ნაბიჯი გადადგა დოლგოვისაკენ.

— ხელი არ დაარტყა მეთქი, — ვუთხარი, — ხომ ხედავ გაპობილი მთვრალია.

— ამას როგორ დავარტყამ, ამ უბედურზე ხელს როგორ გავისვრი, რა ჩვენი საკადრისია ეს კაცუნა, — გაიცინა გურამმა.

დოლგოვმა იფიქრა, რომ მაგრად შეგვაშინა, მაგიდას დასცხო ხელი და გვიბრძანა: აბა, ჩქარა, გაბრძანდით აქედან!

ეს იყო და ეს. გურამი მშვიდად მივიდა დოლგოვთან, მაგიდიდან აიღო ქუდი, თავზე ჩამოფხატა, ჩაავლო ქეჩოში ხელი,

გაიყვანა გარეთ, მერე ასე კისერში ხელებჩავლებულმა გაატარა ეზო, სახლებს შორის მდებარე გასასვლელი ქუჩაში გააგდო.

შეშინებული დოლგოვი მუქარ-მუქარით. წაბანცალდა. როგორც ჩანს, იგი ისეთი მთვრალი იყო, რომ მუქარა და ჩივილი მეორე დღეს არც კი გახსენებია, აღარც მოხუცი ცოლქმარი შეუწუხებია, ანდა მართლა შეეშინდა და გაჩუმება არჩია.

მოხუცის ნაცვლად გურამი წავიდა სახლმმართველობაში და მისაცემი ბინის ფულიდან მთელი სამი თვის ქირა გადაიხადა, უკან დაბრუნებულმა მოხუცებს ჩაი, შაქარი და ორცხობილებიც მოუტანა. რითიც მათი გულითადი მადლობა დაიმსახურა. ისინი სულ გურამის ლოცვაში იყვნენ.

* * *

1970 წელს გურამ რჩეულიშვილის დაკარგვიდან 10 წელი შესრულდა. ათი წელი გავიდა რაც ის აღარ იყო ჩვენს შორის. მე და გურამ გეგეშიძემ გადავწყვიტეთ გურამის ხსოვნის საღამო გაგვემართა.

მოველაპარაკეთ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, მათაც უყოყმანოდ დაგვიჭირეს მხარი. საღამო დაინიშნა სექტემბრის ბოლოს მწერალთა კავშირის კლუბში. დავიწყეთ აქტიური მზადება. გურამის შესახებ წერილები გამოვაქვეყნეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, „მნათობში“, „ლიტერატურნაია გრუზიაში“.

მე ამ პერიოდისათვის საგზური გამომიყვეს და ვინაიდან ავადმყოფობა მაწუხებდა, ესენტუკში გამაგზავნეს სამკურნალოდ.

გურამ გეგეშიძემ იცოდა როგორ ვიყავი დაინტერესებული საღამოს კარგად ჩატარებით და ამიტომ ესენტუკში მომწერა ვრცელი და საინტერესო წერილი, სადაც დაწვრილებით ამიწერდა საღამოს ამბავს:

„გურამის საღამო შესდგა დღის 3 საათზე, 24-ში, იმ დღეს შენი წერილი იყო „კომუნისტში“, რომელსაც გიგზავნი. იყო უამრავი ხალხი, უმეტესობა ახალგაზრდები... საღამო გახსნა არჩილ სულაკაურმა. თბილად ილაპარაკა. შემდეგ გამოვიდა თამაზ ჭილაძე, რომელმაც წაიკითხა სიტყვა ნამდვილად თბილად და სიყვარულით დაწერილი. შემდეგ ილაპარაკა ზვიად გამსახურდიამ. წაიკითხა ის წერილი, რომელიც ჩვენ მარინესთან ვნახეთ. არ დაუბეჭდეს და ამიტომ წაიკითხა. ესეც მოეწონათ. შემდეგ ილაპარაკა სერგო კლდი-აშვილმა, მერე გურამ კანკავამ. ამის მერე გამოვიდა გურამ ასათიანი და ძალიან კარგი სიტყვა წაიკითხა, გურამისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული. შემდეგ გამოვედი მე. უნდა მოგახსენო, რომ ვინც ჩემამდე გამოვიდნენ, თავიანთ სიტყვებს კითხულობდნენ, მე ზეპირად თქმა ვარჩიე. ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, ძლიერ ვღელავდი გამოუცდელობისაგან, მაგრამ თანდათან შევედი როლში. ვთქვი უმთავრესად ის, რაც იმ წერილში ეწერა, ოღონდ პირდაპირ საქმეზე გადავედი, ცოტა რამ დავუმატე... მერე გამოვიდა ბესო ჟღენტი, რომელმაც ჩვეულებისამებრ შეაჯამა ყველაფერი. საღამოს დამთავრებისას ტრიბუნაზე ავიდა მერაბ კოსტავა და საინტერესოდ ილაპარაკა. მერე საღამო დამთავრდა. ჩემის აზრით ურიგო არ გამოვიდა. წავედით ოჯახში — გურამის ძმაკაცები, ნათესავები, იყო შენი ძმა გობრონიც, იყვნენ იოსებ ნონეშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ ასათიანი, სარგის ცაიშვილი, გოგი ოჩიაური, გურამ კანკავა... თამადა იყო ოთარ რჩეულიშვილი, რომელმაც შენი სადღეგრძელო როგორც გურამის საუკეთესო ძმაკაცის ამ საღამოს ორგანიზატორის, დიდის ამბით დალია. შენთან ერთად მეც გამრიეს“. (აქ გურამ გეგეშიძე ჩვეული თავმდამბლობით წერს, თორემ ვინმესთან გასარევი რა ჭირდა, იგი ყოველთვის იყო გურამის თანამოაზრე, საუკეთესო მეგობარი და ერთგული ჭირისუფალი).

არ მინდა ვამტკიცო, მაგრამ დარწმუნებული ვარ — გურამ რჩეულიშვილის საღამოზე მერაბ კოსტავას მიერ წარმოთქმული სიტყვა არის იგივე წერილი „გურამ რჩეულიშვილი“, რომელიც გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 1990 წლის

8 აპრილს და დაიბეჭდა სამწუხაროდ მხოლოდ 20 წლის შემდეგ.

მართლა დანაშაულია, რომ ასეთ შესანიშნავ წერილს არ იცნობდა ფართო მკითხველი საზოგადოება.

წერილი იგივე სათაურით „გურამ რჩეულიშვილი“ თავდაპირველად გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ოქროს საწმისის“ 1975 წლის პირველ ნომერში. მაგრამ იმ ტოტალიტარულ წლებსა ტოტალიტარულ სახელმწიფოში მართალი სიტყვა და განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა. აღნიშნული ქურნალის ხელში ჩაგდებას ერთეულები თუ შესძლებდნენ, ისეთი გააფთრებული ბრძოლა იყო გამოცხადებული მის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ.

ასეთია მერაბ კოსტავას წერილის ბედიც: დაიწერა 1970 წელს, არალეგალურად დაიბეჭდა 1975 წელს, ხოლო მკითხველთა ფართო წრეების კუთვნილებად იქცა მხოლოდ 1995 წელს. ამ მაგალითზეც მოსჩანს იმპერიის მიერ დატრიალებული ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება და ჩვენი ცხოვრების უკიდურესად გამრუდებული გზა, რამაც ° ავიყვანა კიდეც გარდაუვალი კატასტროფის პირას.

1975 წლის მაისის ქურნალ „ოქროს საწმისის“ ფურცლებზე გურამ რჩეულიშვილის დაბადების 40 წლისთავისათვის გამოქვეყნებული ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და ვ. რცხილაძის წერილები იმდენად მაღალი დონისაა, რომ დღესაც, როცა მათი დაწერიდან 20 წელზე მეტი გავიდა და ქვეყნად ამდენი რამ შეიცვალა, ოდნავადაც კი არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ საუკეთესო წერილებს განეკუთვნებიან.

მე ძალზე ნიშანდობლივად მეჩვენება ის ფაქტიც, რომ უკვე მაშინ ასეთ პატივს ცემდნენ და ასე უყვარდათ ოცდაექვსი წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი გურამ რჩეულიშვილი, რომელიც თავისი მაღალი შემოქმედებით სწორედ ეროვნული გრძნობებისა და ქართული სულის აღზევების უწმინდეს საქ-

მეს ემსახურებოდა, პირადი მჩქეფარე ცხოვრებითა და მხატვრული სიტყვის საბედნიერო შერწყმით ახალგაზრდობისათვის უაღრესად საჭირო საქმეს აკეთებდა.

გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ მერაბ კოსტავას წერილს წამძღვარებული აქვს რედაქციის პატარა წინათქმა. მე არ ვიცი ვინ არის მისი ავტორი, მაგრამ მასში გაკეთებული შედარება იმდენად საინტერესოდ მეჩვენება, რომ გადავწყვიტე აქაც მომეყვანა და ერთხელ კიდევ გამეხსენებინა მკითხველისათვის მერაბ კოსტავასა და გურამ რჩეულიშვილის პორტრეტების მცირე შტრიხები:

„ისინი თითქმის თანატოლები არიან, ერთ დროს, ერთ საზოგადოებაში აღიზარდნენ, თითქმის ერთნაირი იყო მათი თვალთახედვა... ორივეს სიცოცხლის მიზანი დიადი ქართველის ხილვა იყო ლაღად მხრებგაშლილ საქართველოში... მიზნისკენ სავალ გზაზე ორივემ მადლიანი ქართული სიტყვა იხმარა იარაღად, სიტყვა და საქმე... ერთისთვის ეს მწერლის ხალათი იყო — ერთდროულად მძიმეა, მსუბუქიც, მეორისათვის დიდი ლაშქრის მეწინავეობა მეკვლის უმძიმესი ტვირთითა და მისიით. ორივეს ჩანაფიქრი მშობელი ხალხის გამოფხიზლება — სიტყვით და საქმით... ორივემ პირნათლად იარა ეკლიან გზაზე... ორივეს სიცოცხლეს ტრაგიკული წერტილი დაუსვა ბედისწერამ; ერთისას ადრე, მეორისას სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინათ... დაგვიტოვეს გაუნელებელი ტკივილი და საკუთარი სული, როგორც სიმბოლო თავისუფლებისაკენ სწრაფვისა... თუ არა სულ-ათა თანაზიარობა, სხვა რა შექმნიდა იმ მშვენიერ ნარკვევს, მერაბ კოსტავამ რომ დაგვიტოვა გურამ რჩეულიშვილზე“.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ გურამ რჩეულიშვილი და მეც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ვიცნობდით, თბილისელები ვიყავით, ახლო-მახლო უბნებში ვცხოვრობდით, ერთმანეთს რუსთაველის პროსპექტზე ან ქუჩებში ვხვდებოდით, საერთო მეგობრებიც გვყავდა, თუმცა ჩვენ ოთხიოდე წლით ვიყავით უფროსები. მაშინდელი გაცილებით პატარა, გაცილე-

ბით გულთბილი და ჯერ კიდევ ძველი ტრადიციებით მცხოვრები თბილისისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გურამს ზვიადთან თბილი ურთიერთობა აკავშირებდა.

მერაბ კოსტავას ბავშვობიდან ვიცნობდი.

ომის შემდგომი წლები იყო, ყველას უჭირდა, ყველას ცუდად ეცვა, ერთი ხელი ტანისამოსი და ფეხსაცმელიც მუდამ სანატრელი იყო.

ომის პერიოდში უაღრესად ცუდი კვებისა და არცთუ იშვიათად შიმშილობების გამო ბევრ ჩემს თანატოლს განუვითარდა ავადმყოფობა. იმ წლებში განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი ფილტვების დაჩრდილვამ, რაც მოზარდების მომავალ ნორმალურ ცხოვრებას საფრთხეს უქადდა.

როგორც მახსოვს ასეთი ბავშვები სკოლებში აღრიცხვაზე აყავდათ შემდეგ გარკვეული ვადით იგზავნებოდნენ მაშინ ძალზე პოპულარულ პატარა ცემის სკოლაინტერნატში.

ეს იყო ფიჭვებისა და ნაძვების ტევრით შემოზღუდული ვაკე ადგილი, სადაც იდგა ხის მორებისაგან ნაგები ბავშვთა ძველი საძილე კორპუსი, ადმინისტრაციის ძველი ხის შენობა და, ხისავე ერთსართულიანი მოგრძო სასადილო, მოშორებით იდგა რამოდენიმე სახლი, სადაც დირექცია, მომსახურე პერსონალი და თითო ოროლა მოსახლე ცხოვრობდა.

ვაკეს მთელ სიგრძეზე მაღალი და დაბურული ხეობა ეკრა, საიდანაც ისმოდა ხეობის ფსკერზე სწრაფად მომქროლავი მთის პატარა მდინარის ხმაური და საიდანაც ხმამაღალ შრიალთან ერთად ქარს მოჰქონდა წიწვიანი ტყეების დამათრობელი სურნელი.

მაშინ ბუნებრივია დღიურებს არ ვწერდი და ზუსტად ვეღარ აღვიდგინე, რომელი წელი იყო, როცა მეოთხე მეოთხედის დამთავრების შემდეგ რაღაც კარანტინის გამო თითქმის მთელი ზაფხული დაგვტოვეს პატარა ცემში. ფაქტია, რომ ომი უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო.

მე დარწმუნებული ვარ მერაბ კოსტავას დედას, ჩვენთვის ღრმად პატივცემულ ქალბატონ ოლღას უთუოდ ემახსოვრება, როგორ ჩამოიყვანა თბილისიდან ბორჯომში, ჩარხის წყალზე,

პატარა მერაბი, ხოლო იქიდან, სასაცილო ჩაქჩაქა მატარებლით, ყველა რომ „კუკუშკას“ უწოდებდა, როგორ ჩამოვიდნენ პატარა ცემის სკოლა-ინტერნატში.

ყმაწვილები ერთად ვიკრიბებოდით, ვთამაშობდით ფეხბურთს, ლახტს, ფრენბურთს, ვკითხულობდით ღარიბული ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს, ერთ ციცქნა ბაქანზე ვხვდებოდით „კუკუშკას“, მივდიოდით მდინარეზე საბანაოდ, ან ტყე-ღრეში უპატრონოდ დავხეტიალობდით, რომ კევი შეგვეგროვებინა და მერე ბალახზე ნებივრად წამოწოლილებს გვეღეჭა.

ინტერნატში კვება მეტად დაბალ დონეზე იდგა. მოზარდებს სულ გვშიოდა. არ იყო რძე, ხილი, კარაქი, ტკბილეული, როცა შიმშილი ძალიან შეგვაწუხებდა, შევიპარებოდით ხოლმე ტყის პირას გამართულ საკმაოდ დიდ ბოსტანში, სტაფილოს ვიღებდით და ვჭამდით.

მშობლებიც იშვიათად გვაკითხავდნენ. მათაც უჭირდათ და რა უნდა ჩამოეტანათ.

მახსოვს მერაბ კოსტავა იყო დინჯი, ამაყი, გონიერი ბიჭი. ხშირად თამაშობდა ფეხბურთს, ფრენბურთს, დილის გამამხნევებელ ვარჯიშებსაც არ აცდენდა. როცა ბიჭები მივდიოდით კევის მოსაგროვებლად, ანდა პანტა ვაშლის თუ ველური მსხლის მოსაკრეფად, ყოველთვის ჩვენთან იყო, ბუნებაში დიდი ხნით სიარული უყვარდა.

მაშინ ფოტოგრაფიც იშვიათობა იყო და სურათების გადასაღები ფულიც, თორემ მშვენიერი კადრები შემოგვრჩებოდა უსასრულოდ გაფრენილ დღეთა მოსაგონებლად.

მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, ბავშვების პოლიტიზაცია მაინც მთელი ძალით მიმდინარეობდა. არსებობდა ოქტომბრელთა და პიონერთა ორგანიზაციები, ეწყობოდა პიონერული ხაზები და შეკრებები, შეხვედრები და იდეოლოგიით გაჟღენთილი თამაშები.

ერთხელ კულტმასობრივი მუშაობის ხელმძღვანელმა პიესის დადგმა გადაწყვიტა, შეგვკრიბა შერჩეული გოგო-ბიჭები და პიესა წაგვიკითხა. როგორც მახსოვს ერთაქტიანი პიესა სა-

მამულო ომის თემას შეეხებოდა: გერმანულ სამხედრო ფორმაში გადაცმული რუსი პარტიზანები ჩუმად იპარებოდნენ გერმანელთა ბანაკში. ამ დროს გერმანელები ლოთობდნენ, გაპობილი მთვრალები სისულეებს ლაპარაკობდნენ, სამხედრო საიდუმლოებებს აფრქვევდნენ. ბანაკში შეპარულმა პარტიზანებმა ყველაფერი წამოიღეს რაც უნდოდათ, მოენეებიც წამოიყვანეს. დილით იერიში დაიწყო და ეს უჭკუო, ნაბახუსევი გერმანელები პირწმინდად ამოწყვიტეს რუსებმა.

პიესა დაიდგა სასადილო ოთახში, სკოლა-ინტერნატის ბავშვები სიცილით კვდებოდნენ თავისი ამხანაგების, ამ ანლად გამომცხვარი არტისტების უხერხულ, არაბუნებრივ თამაშს რომ უყურებდნენ.

ძველ პატარა ცემელებს ალბათ ეხსომებათ ამ პიესის დადგმის ისტორია.

მერე, ჩვეულებისამებრ, ეზოში დაიწყო პიესისა თუ მსახიობების თამაშის დეტალური გარჩევა. სხვებთან შედარებით უფრო ცხადად დამამახსოვრდა მერაბ კოსტავას ნათქვამი: პიესა არ იყო სწორად დადგმული, ისე გამოვიდა, რომ ყველა გერმანელი ლოთი და სულელია, ყველა რუსი კი ჭკვიანი და მამაცი, ეს ძალზე არაბუნებრივად ჩანდა, რადგან რუსები უფრო ცნობილნი არიან ლოთობით და უჭკუობითო.

ახლა კამათი აქით წარიმართა. ბოლოს უმრავლესობა გამოთქმულ აზრს დაეთანხმა. იმ წლებში ისეთ სტერეოტიპად იყო ქცეული რუსების უპირატესობა, რომ მერაბ კოსტავას ნათქვამი ბევრს უჩვეულოდ მოეჩვენა, რაც ათი წლის ბიჭისათვის მართლა გაბედულადაც მოსჩანდა და ჭკვიანურადაც.

* * *

გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ არცთუ ისე დიდ წერილში მერაბ კოსტავას ღრმად და შთამბეჭდავად აქვს გადმოცემული თავისი პიროვნული შეხედულებები უნიჭიერეს მწერალსა და პიროვნებაზე.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი საფუძვლის ჩამყრელის კეთილშობილური მიზანია დაგვანახვოს „...თუ როგორ ვლინდება ერის სულის ხასიათი მის საუკეთესო შვილებში“.

მერაბ კოსტავა შესანიშნავ ანალიზს უკეთებს გურამ რჩეულიშვილის მიერ განვლილი ხანმოკლე, მაგრამ საოცრად დიდი დანიშნულების მქონე ცხოვრების გზას.

ეს იყო დრო, როცა ჩვენი საზოგადოება ინერტულობისა და ინდიფერენტიზმის ძალამ შეიპყრო, როცა ერთეულები თუ ფიქრობდნენ იმპერიის არტახებით შებოჭილი მამულის ბედზე, ენისა და სარწმუნოების გადარჩენაზე. ოფიციალური ხელისუფლების დიქტატი ბატონობდა მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც, ძნელზე ძნელი იყო საკუთარი მართალი აზრის თქმა, გატანა, სხვებისთვის გაგონება, ხელჩაქნეული ხალხის გამოფხიზლებისათვის ბრძოლა.

ძნელზე ძნელი იყო, მაგრამ სწორედ ამისაკენ მიისწრაფვოდა პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში ღვთისნიერი ნებით გაბედული და ლაღი, ჭკვიანი და თავისუფალი, ამაყი და ძლიერი გურამ რჩეულიშვილი.

ამ ქართულ-ეროვნული თვისებების შესახებ იმდენად დამაჯერებლად მსჯელობს მერაბ კოსტავა, რომ აუცილებლად მიმაჩნია ვრცელი ციტატის მოტანა მისი ზემოთაღნიშნული წერილიდან:

„გურამის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე მეტად მნიშვნელოვან საკვანძო მომენტს დაემთხვა. იმხანად ერთგვარმა ინერტულობამ დაისადგურა ჩვენში, მრავალს დასჩემდა გარკვეულ ტრადიციებზე ბრმად მინდობა, განუკითხაობა, ძლიერ პიროვნებათა საქმეებით პასიური ტკბობა და შაბლონური მეხოტბეობა. გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების ცოცხალმა მაგალითმა, მისი თავისუფალი სულის დინამიკამ არა მარტო შემოქმედებით, არამედ რაც მთავარია, თითოეული მანერით, ქუჩაში გამოტანილი ყოველი საყოფაცხოვრებო წვრილმანით, განსაზღვრა მისი თაობის ძირითადი ტონალობა. მისი შინაგანი, ბუნებრივი არტისტიზმით და სითამამით გაჯერებული თითოეული მოქმედება გაბედულად აცხადებდა, რომ ყოველ საეჭვო ტრადიციაზე მაღლა დგას სიღრმისეული ალღო ჭეშმარიტებისა, რომ თავად ჭეშმარიტებაა ყურით მოთრეულ ყველა ავტორიტეტზე უაღრესი და ავტორიტეტთა კომპეტენტურობის

განმსაზღვრელი. სწორედ რჩეულიშვილის მსგავსნი თუ გვაგრძნობინებენ, რომ ერთადერთი, მხოლოდ ღვთაებრივი მარადისობიდან გამომდინარე ტრადიციები და საქმეებია ურყევი, რომელნიც „ვერ გარყვნან მღილთა მპარავთა ვერ წარიტაცონ.“

...გურამ რჩეულიშვილს სძაგდა საყოველთაოდ გამეფებული „საზოგადოებრივი აზრი“, რომლის ტლანქი, ჰიპოპოტამური სტომაქი ვერ ითმენს ტაროსის ცვლილებებს. იგი პირშივე გამომწვევ „არას“ ეუბნება მას და თავად როდი ირიდებდა ტაროსის ცვლილებებს, თვით ავდარსა და ჭექაქუხილს, რადგან მხოლოდ გურამის მსგავსებმა უწყიან, რომ მხოლოდ ელჭექის შემდეგ თუ შეიძლება ოზონით გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვა“.

გურამ რჩეულიშვილმა, როგორც ჭეშმარიტმა ეროვნულმა მწერალმა, კარგად იგრძნო თავისი როლი და დანიშნულება ამ გადაგვარებულ, სწორ გზას აცდენილ ქვეყანაში. მან მწერლის ყველაზე ღირსეულ ამოცანად დაისახა მშობელი ხალხის გამოფხიზლება საღათას ძილიდან. საღათას ძილიდან კი არა. სამარცხვინო მდგომარეობიდან, უმიზნო. პატივაყრილი ცხოვრებიდან, რაშიც ქართველი ერი იყო ჩაყენებული უხეში ძალისა და მავნე პოლიტიკის მიერ.

კვლავ გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი: გუ ამ რჩეულიშვილმა ორჯერ აახმიანა გასროლილი ტყვიებით ქალაქის ცენტრი. ამით დროებით მაინც შეძლო ხალხის ყურადღების მიქცევა და ჩაფიქრებაც კი, თელავის ცენტრალურ ქუჩაზე გა“ უიებულ ასფალტს დაატყო კბენის ნალები. ქარივით მიმქროლავმა გამოაფხიზლა სიცხითა და ღვინით გონებადაბინდული ხალხი.

რასაც პირად ცხოვრებაში ბოლომდე ვერ ახერხებდა, საკუთარი ნაწარმოებებით საყოველთაოდ აფიქრებდა ადამიანებს.

ამ სიმაღლეთა წვდომისა და ქართველი ხალხისათვის , გაზიარების მწვერვალი იყო მისი დიდებული „ალავერდობა“.

ძალზე მოკლედ გავიხსენოთ მოთხრობის სიუჟეტური ქარგა და უმთავრესი იდეა.

გურამი თელავში ფართოდ ცნობილ რელიგიურ დღესასწაულ ალავერდობაზე მარტოდმარტო ჩავიდა.

ესეც ცხოვრებისეული ფაქტი იყო: როდესაც უნდოდა რაც შეიძლება მეტი შეეცნო, დროსტარებისათვის არ მომცდარიყო, საკუთარ თავთან შეემოწმებინა დანახულისა ნათქვამის სიმართლე, მაშინ ეს მეგობრებისა და მახლობლების უსაზღვროდ მოყვარული ვაჟკაცი ბიჭი მარტო მიდიოდა დაუოკებელი. „ვნებით შეპყრობილი“.

ასე წავიდა იგი მარტო უფლისციხეში, ბაკურიანში, თელავში, სვანეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა თუ მოსკოვში. ამ დროს ხელს არავინ უშლიდა, იჯდა და წერდა, ჭეშმარიტების ზღვარს მიღწეული საკუთარი ინტუიცია კარნახობდა, რომ უნდა მოესწრო, მის ძლიერ სიტყვას ელოდა ქართველი ხალნი, კიდევ უფრო მეტად კი ქართველი ახალგაზრდობა.

ამ ძალამ ჩაიყვანა იგი ალავერდობაზეც.

დადიოდა გურამი ამ უძველესი რელიგიური დღესასწაულის მრავალრიცხოვან მონაწილეებს შორის, ხელს არავინ უშლიდა, საკუთარი თვალით აღიქვამდა ყველაფერს, ყურს უგდებდა მრავალ კილოზე მოლაპარაკეთ, აცქერდებოდა მოქეიფეებსა და მოცეკვავეებს, მწარედ განიცდიდა ირგვლივ სტიქიასავით მომსკდარ უაზრობას.

მის ფიქრებში იკვეთებოდა შემაძრწუნებელი, შემზარავი რეალური დასკვნა, რომ წარსულისა და აწმყოს ცხადი შედარება ერის წინსვლის ნაცვლად დაცემას ღაღადებდა, ნამდვილი ზეიმის მაგიერ ეროვნული ტრაგედია თამაშდებოდა.

არაფერი აღარ დარჩენილიყო ჭეშმარიტი და ამაღლებული. უწმინდესი ალავერდის ტაძარიც კი წაუბილწავთ უაზრო ქეიფით გატაცებულებს. დიდებულ „ქრისტიანულ საყდარში კანკელის ძირას... თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავფეხი“ ყრია, ქალაქელი უსაქმურები სიგარეტს აბოლებენ ტაძარში, თან ქალებს უცქერენ მუშტრის თვალებით, რომლებიც მახინჯ ფორმებში ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალს.

ირგვლივ სავსეა „...უაზროდ, უოჯახოდ, უინტერესოდ დარჩენილი ნამთვრალევი ხალხი.“

ცეკვაა გაჩაღებული, შეუსვენებლად ცეკვავენ ტრანსში ჩავარდნილი და მთელი ღამისაგან გამოლენჩებული ადამიანები. ისინი ცეკვავენ ყველგან, „ზოგი მეტ იშტაზე მოსული, საყდარშიაც მიიწევს.“

ყოველი ფეხის ნაბიჯზე ნორმალური ადამიანებისათვის შეუფერებელი სმა-ჭამაა გაჩაღებული, ისმება ალალაი და ჟიპიტაური, ღვინო და ორნახადი კახური არაყი. აქა-იქ შეუკრავთ წრეები, სრულიად გონებადაკარგული მოცეკვავეები „უაზრო ტრიალს“ განაგრძობენ. „მათი შეხედვისას უცნაური სიცარიელე იგრძნობა. სინანულნარევ ირონიასა და სევდას გვრის კაცს... გახელებული მოცეკვავის დანახვა.“

„დიდხანს დგას მზეში თავშიშველი ჭაბუკი... და გული ბოღმით ევსება“.

„ვგრძნობ ალავერდობა აღარ არის ალავერდობა“, გულისტკივილით აღმოხდება გურამს. ვერაფერი ვერ შველის ირგვლივ გამეფებულ უბადრუკობას, ვერც თბილისიდან ჩამოსული ექსკურსანტები და ვერც ეგზოტიკის მოყვარული პროფესორები.

ჩამოსულებსა და ადგილობრივ „შავ ბლუზიანებს“ შორი, მცირე სასიამოვნო ურთიერთობაც კი ვერ მყარდება, გათიშულია საქართველო, გათიშულია სოფელი და ქალაქი. რისი ერთიანობა! მტრის მავნე პოლიტიკას ხალხი გადაუგვარებია, გაუფასურებულია ყოველგვარი მიზანი და ახლა მხოლოდ „უმიზნო, დაუოკებელი ვნება სუფევს გარშემო...“

უთავბოლო აურზაურსა და ღრეობას დასასრული არ უჩანს. „რელიგიური ინერცია“ გრძელდება. ახალი ენერგიით სავსე შორიდან მოსული სტუმრების დროებითი მხიარულებაც ვერაფერს შველის, წამიერი სიახლე გრძნობას ვერ მატებს უზომო სმით გაპირუტყვებულ ადამიანთა სახეებს. ,

გურამი ახდენს აწმყოს შედარებას წარსულთან. ვერაფერ სანუგეშოს ვერ ხედავს. ცხოვრებისეული ტრაგედია უკვე გათამაშებულია, ძნელია მისი შეცვლა-განახლება, რაც კი საუკეთესო იყო წარსულში დარჩა, აწმყოს უარყოფითის გარდა არაფერი შეუძენია.

წრფელი გულისტკივილი ეუფლება ჭაბუკის გულს:

„სად არის ქართული ცეკვის ლაზათი, ვაჟკაცური შერკინება მოჭიდავეებისა, გაფრენილი ცხენების ჯირითი?“

და სწორედ ამ გულისტკივილის დროს, სწორედ ამ უსასოობისა და აშკარა უიმედობის ჟამს, გურამის ვაჟკაცურ არსებაში იბადება სურვილი, ისახება აზრი, მწიფდება იდეა: „დაფიქრებული დგას. უნდა რაიმე გააკეთოს, შეაჯანჯღაროს ეს ხალხი“.

თანდათან უფრო რწმუნდება გურამი ამ აზრის სისწორეში. უაზრო ბრბოდ ქცეულ მასას გამოფხიზლება სჭირდება, თუნდ დროებითი იყოს ეს გამოფხიზლება, ცხოვრებაც დროებითია, მაგრამ მაინც ცხოვრებაა, გამოფხიზლებაც შეიძლება იყოს დროებითი, მაგრამ დროებითობა თანდათანობით მუდმივში გადაიზრდება:

„...აუცილებელია მოქმედება, რაიმეს გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, არტისტულ არენად აქცევს ყველაფერს და მაყურებელს დააინტერესებს ერთი ამბით, ერთი მიზნით, ამ წუთში — ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინსტიქტი — არტისტისა მისცეს ყველას მის გარშემო ერთი ინტერესი, მიზანი — მთლიანად იპყრობს მას.“

უბელო, მთიულურ მკერდგანიერ ცხენს აუშვებს გურამი, ჯერ ნაბიჯით მიჰყავს ტყისაკენ, მიდის ნელნელა და ივსება ვნებით, ჟინით, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისარივით მომქროლავი ცხენით ჩაუვლის მოქეიფეებს, უცებ მიიპყრობს ყურადღებას...“ და გამოაფხიზლებს მათ მოდუნებულ ვნებებს.“

მოქრის ალავერდისაკენ ერთ სხეულად ქცეული ცხენი და მხედარი, მოქრის ცხენით, რომელსაც ტოლი არა ყავს და წინადღით დოღიც მოიგო. ასევე არა ჰყავს ტოლი გურამს, ის ხალხის სულიერი ამოძრავებისათვის არის ღვთით მოვლენილი.

„ლარივით გაწოლილ შარაზე“ მოქრის მხედარი. „გიგანტური თეთრი გემივით იზრდება მის წინ ულამაზესი და უდიდესი ტაძართა შორის — ალავერდი, და მოდის მისკენ საბედისწეროდ.“

ხალხი უკვე გაოცებული სახეებით შეჰყურებს უშიშარ მხედარს. ის „ბზრიალა ლოდივით“ გადაეშვა ხრამში, საიდანაც

ამოვარდნილი უფრო მეტი ძალით მოჰქრის, ცეკვა წყდება, მედოლეს დოლი ხელიდან უვარდება, ჭიქა აღარავის მიაქვს პირთან, აღარც ხინკალს იტენიან პირში.

ბნელი, საშინელი ძალა მაინც აღუდგება წინ უშიშარ ჭაბუკს, მიწაზე ეცემა ხანჯალდაკრული ცხენი. დარტყმით იშორებს გურამი სასმელით გახელებულ მდევარს, ტაძარში შერბის, იქაც ყიჟინით მისდევენ. მას არაფრის არ ეშინია, ბნელი მასა სინათლისათვის მოვლენილ კაცს ვერას დააკლებს.

არბის გურამი ტაძრის კიბის ძალზე მაღალ და დამრეც საფეხურებზე. დიდი ბოხოხიანი მდევრები აქაც მიყვებიან. მდევარს დაჭერის იმედი აქვს, მაგრამ „პატარა სარკმელთან ავარდნილი გურამი „ურტყამს თუნუქის სახურავს ფეხებს“ და გუმბათის ლავგარდანზე გადის, გადის იქ, სადაც ათასში ერთი თუ გაბედავს გასვლას და წონასწორობისათვის ხელგაშლილი ახლად მოვლენილ ღვთაებასავით ირწევა უმაღლესი და ულამაზესი ტაძრის გუმბათზე.

გონებააბნეული მდევარი შეშინებული სწრაფად ეშვება კიბეზე, „ეჩვენება, რომ თეთრ რაშზე მჯდომი წმინდა გიორგი გამწყრალი მოსდევს უკან“.

ხალხმა დაინახა ლავგარდანზე მიმავალი გურამი, შეწყდა ცეკვა, ფეხის წვერებზე შეეყინა ტაქტი მოცეკვავეს, ზურნის ჭყვიტინი მიჩუმდა, ხალხმა დაინახა ეს მოჩვენება, ყველა აღელდა. ხმა გავარდა კაცი დგას გუმბათის ლავგარდანზეო, ყველა გალავანს შიგნით შემოცვივდა.

გურამმა დაიყვირა მეტი ეფექტისათვის. „ხალხი უძრავად იდგა“.

პირველ წუთებში ეს ეფექტი მართლა დიდად და მთლიანად მოეჩვენა, მაგრამ მიზნის მიღწევასთან ერთად „სადღაც გაქრა მთელი მისი უსაზღვრო ვნებადქცეული სურვილი.“ სადღაც ისევ წაიჭყვიტინა ზურნა მაგრამ ამას მისთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

გურამმა შეძლო მიზანდაკარგული ხალხის გამოფხიზლება, ცოტა ხნით მაინც ამაღლებულ სამყაროში გადაყვანა, რაც მომავლისაკენ სვლის საიმედო მინიშნებას წარმოადგენდა.

„ალავერდობის“ სულისკვეთება ძალზე ღრმად და შთამეფჭდავად აქვს დანახული და შინაგანად განხილული ჯერ კიდევ ახალგაზრდა მერაბ კოსტავას.

წარმოუდგენელია, რომ აქაც მოზრდილი ციტატა არ მოვიტანო და კვლავ არ შევახსენო მკითხველს:

საოცარია გზა ცხენიდან ეკლესიის გუმბათისაკენ. სწორედ აქ არის წარმოდგენილი რაღაც ღრმად ეროვნული ზოგადკაცობრიულთან გადაკვეთაში, ასეთი იყო წარსულში გზა საქართველოს მოწამეების და წმინდა მამების...

ალავერდის გუმბათზე მდგომი ჭაბუკი შემოქმედებითი ცეცხლის ჩადებას ჭლამობდა ინერტული ბრბოს მიხრწნილ გვამში. მას სულს უხუთავდა ველური დიონისოს დაგვიანებული, არაკანონზომიერ იმპულსთა ნამუსრევები, დიახ, დაძმარულა ის ღვინო, ბიბლიურმა ნოემ რომ დაუწურა კაცოგრიობას. ებრაელებმაც მხოლოდ ძმარი მიართვეს ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს, ვენახისა და ღვინის შემოქმედს, რომელმაც ფიზიკურის ნაცვლად ახალი, სულიერი ღვინო მოჰმადლა კაცობრიობას — სისხლი თვისი და ხორცი თვისი. საოცარია გურამ რჩეულიშვილის ალავერდობაში გადაძახილი ამ კოსმიურ აქტთან. დიახ, ძმარადქმნილი ღვინის ნაცვლად სხვა რამ ემეტებოდა გურამ რჩეულიშვილს გზაშეცდომილ კაცთათვის, რაც მარადიული შემოქმედებისა და იდეალისადმი სწრაფვის სურვილს აღუძრავდა დაცემულ ადამიანებს. ნების უჩვეულო დაძაბვით, საკუთარი სიცოცხლის ფასად სურდა მას ამ რაღაც ახლის ჩადება მათ არსებაში, მაგრამ რისა, ან როგორ, ჯერ არ უწყოდა, ამიტომ ერთთავად მიენდო იგი საკუთარი სტიქიის დინებას, ინტუიტურმა ალღომ და საოცარმა ექსტატიკამ მას არ უმტყუნეს და იმ შემთხვევისათვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიაღებინეს, რაც ჯვარცმის საოცარ ჟესტიკულაციაში გამოიკვეთა. მისმა თავგანწირულმა სულისკვეთებამ, ჰაერში, უზარმაზარ სიმაღლეზე მოხაზა გოლგოთის სურათი. და ასე დარჩა იგი ჩემს წარმოდგენაში ალავერდის გუმბათზე, ჯვარცმის პოზით. მკლავებგაშლილი, ვითარცა იესო“. (ჟურნალი „ოქროს საწმისი“, 1975 წელი).

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების ეროვნული ნიშნებისა თუ პირადი ვაჟკაცური თვისებების განხილვასთან ერთად ზვიად გამსახურდია „ალავერდობასაც“ ეხება. ჯერ კიდევ 20 წლის წინათ დაწერილ წერილში საერთო სათაურად სწორედ „ალავერდობის ცეცხლი“ რომ უწოდებია. იგი მართლა შესანიშნავად წერს „ალავერდობის“ შესახებ და ამითვე ამთავრებს ძალზე საინტერესო მოსაზრებებს:

„განუყრელი გახდა შენი ხატი აბობოქრებულ ზღვასთან, შავი ზღვის პირქუშ უწყალო ამინდთან. ასევე განუყრელია შენი სული ალავერდის დიდებულ ტაძართან, რომლის სიმაღლიდან შენ გადმოანათე კახეთის ველებს. განუყრელია შენს სახელთან დიდებული კახეთი, ალაზნის ველის მადლიანი დარი, რომლის მყუდროებაც ერთ ცხელ ალავერდობას შენ დაარღვიე, ცხენზე ამხედრებულო ელვავ! წმინდა გიორგის ხატივით გაბრწყინდი მაშინ ტაძრის გუმბათზე და დაანახე საქართველოს შენი სულის მაღალი წვა. ეგ წვა ჩვენც გვინათებს და შენც. უკვდავებისმიერო ძმაო!“ (ჟურნალი „ოქროს საწმისი“ N 1, 1975 წელი. „სიტყვა წარმოთქმული გურამ რჩეულიშვილის საღამოზე მწერალთა კავშირში 1971 წელს“).

გურამ გეგეშიძეც საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს. კერძოდ „ალავერდობას“ და მასში დაყენებულ ეროვნულ, ადამიანურ თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. 1975 წლის ივლისს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „სიტყვა გურამ რჩეულიშვილზე“, რომელიც მიეძღვნა გურამის დაბადებიდან ორმოცი წლისთავს, იგი თავისი ორიგინალური ხედვით აღნიშნავდა:

„მოიგონეთ „ალავერდობა“. ეს მოთხრობა მე ბარათაშვილის „მერანს“ მაგონებს. ამ მოთხრობაშიც იმგვარივე ცდა ბედისწერის საზღვრების გადალახვისა. ეს მოთხრობა ჩვენ არ უნდა გავიგოთ მხოლოდ რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ მიმართულად. ის უფრო ზოგადია და მიმართულია ყოველივე დრომოჭმულისა და დამყაყებულის წინააღმდეგ.

მოთხრობის გმირის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი თავზეხელაღებული საქციელით — რაც თავისთავად სინამდვილისადმი სტიქიურ პროტესტს წარმოადგენს, —

ერთი წუთით უმეცრების ტრანსიდან გამოიყვანა ადამიანები, მაგრამ ბოლომდე ვერ იგდო ხელთ მისი გუნებაგანწყობილების სადავეები, რადგან თვითონაც ნათლად ვერ ხედავდა იმ ახალს, რომელიც მას უნდა მიეცა სამაგიეროდ და რომელსაც უნდა დაემხო ძველი კერპი ალავერდის ტაძართან შეგროვილი ხალხის ფსიქიკაში. მე ვფიქრობ, ეს არის დიდი ფილოსოფიური მასშტაბის მოთხრობა.“

ზემოაღნიშნულ ჟურნალ „ოქროს საწმისის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ვრცელ ესსეში, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გალაკტიონის ცნობილი პწკარები „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული“, ვ. რცხილაძე, მაღალ შეფასებას აძლევს გურამის პიროვნებასა და შემოქმედებას, თანამედროვეობისათვის მის მნიშვნელობასა და დანიშნულებას:

„გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაში მძაფრად სჭვივის მისი პიროვნება. მისი შემოქმედება იმდენად ძალუმია, რომ პოეტთან ერთად გათქმევინებს: „ვაჟკაცს წერაც უნდა შეეძლოს!“... გ. რჩეულიშვილის პიროვნებას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ერის სულში. ეს ის მაცოცხლებელი წყაროა, ურომლისობაც თვით უდიდეს გენიოსს გამოაშრობდა, გახდიდა მის შემოქმედებას უპიროვნოს, არაფრისმეტყველს. ასეა ერის სული და შემოქმედის პიროვნება ერთმანეთში გადახლართული. ამიტომაა გ. რჩეულიშვილის ხედვა ქართული, ამიტომ იგრძნობა მის ნაწერებში მოზღვავებული განცდა ეროვნული ტრაგედიისა. აქედან გასაგებია, რომ ასეთ ლიტერატურას შეუძლია გარკვეული გამაჯანსაღებელი იმპულსები შეიტანოს საზოგადოებაში, შეაცნობოს მის წევრებს ერთი ეროვნული სულის შემადგენელ ნაწილად თავი, რომელსაც დღეს ასე გააფთრებით ებრძვის მისთვის უცხო მსოფლგაგება და მოძღვრებანი“.

ერთ მთლიანობად ქცეული ცხოვრებითა და შემოქმედებით გურამ რჩეულიშვილი სწორედ ქართული ეროვნული სულის ამაღლებას და განუწყვეტელ წინსვლას ემსახურებოდა.

* * *

წერის მანერით, სიღრმით, შინაარსით, აზრობრივი დატვირთვით, დინამიზმით გურამი ჭეშმარიტად თანამედროვე მწერალი იყო ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო და მისაბაძი გაგებით. გურამის ნაწარმოებებში თანამედროვეობა სჩქეფდა არა მაშინ დოგმად ქცეულ სოციალისტურ მოვლენებზე წერით, არამედ სამყაროს ღრმა აღქმით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების წინ წამოწევით, სიკეთის დამკვიდრებით, სიმართლით, სიყვარულით.

1986 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში მისი უახლოესი მეგობარი გურამ გეგეშიძე ხაზგასმით აღნიშნავდა „ჩემი ღრმა რწმენით. გურამ რჩეულიშვილი გახლდათ ჩემი თაობის ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მნიშვნელოვანი და რაც მთავარია, ყველაზე ღირსეული მწერალი. მისი შემოქმედება თხემით ტერფამდე თანამედროვეობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული“.

მოვიტან ასეთ მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილის მშვენიერი ნაწარმოები „უსახელო უფლისცინელი“ შორეულ წარსულს ეხება, იგი მაინც ცხადად სუნთქავს თანამედროვეობით. აქ წარსული და აწმყო ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს, რისი საშუალებითაც სათქმელიც უფრო ძლიერად და შთამბეჭდავად გამოიყურება. ძველისა და ახლის მონაცვლეობა აინტერესებს მკითხველს, მის განწყობას კიდევ უფრო ძაბავს, თვალნათლივ წარმოაჩენს პოლარულად საწინააღმდეგო სურათებს, რომელთა შორის უხილავ ძაფებს ოსტატურად აბამს ოცდასამი წლის დაბრძენებული ჭაბუკი:

„ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შემდეგ ისევ რიგია სახლებისა; ...ერთ პატარა ადგილსაც ვერ ნახავთ დაუსახლებელ-დაუმუშავებელს.... ხოვლეს ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახვრელში ჩამოვდივარ. აქ, ქვაში. სამოსახლო ხვრელებია. იმიტომ ჰქვია ქვახვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უფლისციხე იყურება გამოთხრილი თვალებით. ცხელა. მტკვრის ნაპირას ვჯდები. ვისვენებ. ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლებს აშენებენ. დავიღალე. ამდენი შთაბეჭდილება ერთ

დღეში ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს. რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის დიდი ისტორიისა. ვცდილობ აღარ ვიფიქრო. ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხი“.

სწორედ ეს დაუზარელი შრომა, მამულის კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვა, წარსულთან უწყვეტელი კავშირი და ამ საფუძველზე ახლის შენება გურამს მიაჩნდა როგორც თავისი პირადი, ასევე ყველა ნამდვილი პატრიოტი ქართველის უმაღლეს დანიშნულებად.

მან მართლაც მამულიშვილური მოწოდება და გულიდან ამოხეთქილი აზრები დაგვიტოვა, როდესაც თავის დიდებულ „ალავერდობაში“ ყველას გასაგონად განაცხადა:

„ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

მრავალ ნაწარმოებთან ერთად გურამ რჩეულიშვილს დარჩა ერთი დაუმთავრებელი რომანი. მისი დასაწყისი გამოქვეყნდა ჟურნალის - „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1-2 ნომრების ფურცლებზე.

როგორც ჩანს. გურამს ჩაფიქრებული ჰქონდა ფართო ტილო შეექმნა ხევსურეთის ცხოვრებაზე, თავისი დიდი სიყვარული გამოეხატა ერთიანი საქართველოს ამ ულამაზესი, ვაჟკაცური ტრადიციების მქონე კუთხისადმი. საინტერესოდ დახატული ქალაქის სურათების გვერდით აქ დომინირებს მთის მძაფრი თემა. ადამიანების რთული, ხშირად მგლური ურთიერთობა, რაც უბადრუკი ცხოვრების მიერ არის განპირობებული.

ნაწარმოებში გურამს თავისი პიროვნული თვისებებიც წინა პლანზე აქვს წამოწეული, მთის სურათებისა და ხალხის ურთულესი ცხოვრების ფონზე საკუთარი შინაგანი ფიქრებისა და მიზნების გახსნასაც ცდილობს. ის არის მაძიებელი, მრავალმხრივი და ძლიერი პიროვნება.

აქ წარმოდგენილია ზოგადკაცობრიული კითხვები, რაც მას, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს, ყოველთვის აწუხებდა და ასევე ყოველთვის სწორი გამოსავლის ძებნით იყო გართული:

„საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა“...

იგი გამოიქცა სიცხით გათანგული თბილისიდან, რომ მთებში იპოვოს პასუხი ბევრ კითხვაზე, რისთვისაც ხანგრძლივი სულიერი გვემა და წამება გადაიტანა. მისი აზროვნება რთულად იყო მოწყობილი, მხოლოდ სიმაღლეთა აღება ჰქონდა მიზნად დასახული. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ მთამსვლელობა და მწვერვალების აღებაც ამიტომ უყვარდა.

გურამი ძალზე დიდი მიზნის მისაღწევად იყო შემართული, ეროვნული დაცემულობის განცდა კი მის გულს ტკივილით ავსებდა, უბიძგებდა ეპოვნა მთავარი გზა, რაც ქართველ ხალხს დაეხმარებოდა და გამოადგებოდა.

„მე მოვდივარ თბილისიდან, მოვედი ხევსურეთში, რა მინდა?“ — ამ ბოლო კითხვას ებრძვის მისი არსება და გულიც ყრუ ტკივილით ექოს იმეორებს: „საერთოდ რა მინდა, რა მინდა, რა მინდა!“

ვფიქრობ აქ არის გამოხატული ჭეშმარიტი შემოქმედის რეალური სულიერი დრამა, რადგან მაშინდელი ჩვენი ცხოვრება იყო განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანის სულიანხორციანა დამთრგუნველი, რთული, გამოსავალდახშული და გურამიც სწორედ ამიტომ გარბოდა ხოლმე ქალაქიდან, რომ სხვა ვითარებაში, სხვა გარემოში, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს მეტი ეფიქრა, ხალხის ტკივილი მეტად გაეგო, ჭაობად ქცეული ცხოვრება უარეყო და მწერლის მართალი სიტყვის საშუალებით ეძებნა ქართველი ხალხის დასახმარებელი სწორი ბილიკები.

აღნიშნული დაუმთავრებელი რომანის დასაწყისშივე გვხვდება ძალზე საინტერესო ადგილი, სადაც მართლაცდა თანამედროვეობისათვის შესაფერისი და დამახასიათებელი მსჯელობაა ქართველის სწრაფვაზე პირველობისაკენ. პირველობა, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, ეს მისწრაფება ალბათ ყველასათვის აუცილებელია, მაგრამ ყველა ერთიანად ხომ

არ შეიძლება იყოს პირველი, ხომ არ შეიძლება საერთოდ გაუფასურდეს უფროს-უმცროსობა, გაგება. დაჯერება, ერთისადმი ნდობის აღიარება?

მე მინდა აქ საკმაოდ დიდი ციტატა მოვიტანო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწყვეტიც და ნაწარმოებიც საუკუნის მესამედზე მეტი ხნის წინათ არის დაწერილი, დღეისათვისაც ძალზე აქტუალურად ჟღერს, სწორად ესადაგება დღევანდელ სიტუაციას და ვფიქრობ მისი ხელახალი წაკითხვა. გახსენება. გააზრება ბევრისათვის იქნება სასარგებლო და ჩამაფიქრებელი:

„არიან ხალხი, რომლებსაც არ შეუძლიათ არ იდგნენ ყურადღების ცენტრში, ყველგან და ყოველგვარ სიტუაციაში არ დაიჩემონ პირველობა რაგინდ უაზრო და არაფრისმთქმელი არ იყოს ის საერთოდ, ზოგადად, და გინდაც კონკრეტულ მომენტში. ასეთ ადამიანებს, ჩვეულებრივ, მხედველობიდან ეპარებათ ის ძირითადი, რასაც მოაქვს ნამდვილი კაცური დიდება, რადგან არც ერთი წერტილი თავის გარშემო არ შეუძლიათ დატოვონ უყურადღებოდ, რაგინდ არაფრის მომტანი იყოს იგი. ყველა სიტუაციაში პირველობის სურვილით შეპყრობილს აღარ ჰყოფნის უნარი, რომ ძირითადი, მართლა საქმიანი მომენტის დროს თქვას თავისი სიტყვა, რომელიც ასე თუ ისე ზოგადად პატივსაცემი და მისაღები იქნება ადამიანთა ყველა ჯგუფისათვის. ეს თვისება განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართველის ბუნებისათვის... მაგალითად, მას ვერ წარმოუდგენია იჯდეს სუფრასთან და იყოს მრგვალი მაგიდის უფლებებში; აქ მაინცდამაინც უნდა პირველობა თუ იგი თამადად არ აირჩიეს ან არ შეუძლია, მაშინ პირველობის დასაკუთრებამდე დასცინის თამადას და ყოველგვარ ნიადაგს აცლის; ასეა ყველა დაწესებულებაში, სადაც დირექტორი სხვებისათვის მორალურად ყველაზე პატარა კაცია, რომელსაც შეგიძლია გულში პატივი არ სცე და დასცინო რამდენიც გინდა. ასეა ყველა ქართულ საქმიან თუ ძმაბიჭურ გაერთიანებაში პირველი კაცი ყოველთვის ყველაზე ნიადაგ გამოცლილია, რადგან იგი დაუსრულებლივ გარშემორტყმულია ისეთივე სურვილით შეპყრობილი პატარა პირველი კაცებით, რომლებსაც მხოლოდ ენერგია არ ჰყოფნით ამ პირველობის თავზე ასაღებად.

აბსოლუტურად მოკლებულია ქართველი მორჩილების შეგრძნებას და დაუსრულებლივ სავსეა გრძნობით, რომ პირველი იყოს თვითონ!..“

ქართული ეროვნული თვისებებისა და ეროვნული ძირების წარმატებითი კვლევა გარკვევით ჩანს პიესა „იულონში“, რომელიც დაწერიდან ოცდახუთი წლის შემდეგ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე 1983 წლის მე-3 ნომერში.

მოკლე ბოლოთქმაში გურამ გეგეშიძე საინტერესო დაკვირვებით წერდა:

„გურამ რჩეულიშვილის სამყარო გაცილებით უფრო ღრმაა. ყოველივე ამის დამადასტურებლად მარტო ეს პიესაც იკმარებს. აქ სრულიად ახლებურად ჩანს გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლისა და პიროვნების დიდი სიფართოვე, მისი სულის სიმაღლე და გაქანება, მისი დაუდეგარი, მშფოთვარე ვნებანი. ვფიქრობ, ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის „ახსნილი“ ქართველი ადამიანის არტისტული ბუნება. მე არ ვიცი რამდენად სცენიურია ეს პიესა, მაგრამ იგი დიდი ინტერესით იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები. იქ იმდენი სერიოზული დაკვირვებაა ადამიანზე საერთოდ და იმდენი ორიგინალური მიგნება და წარმოჩენა ცხოვრების სხვადასხვა მოვლენისა, რომ ჩემი ღრმა რწმენით, ეს პიესა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად უნდა ჩაითვალ ოსარა მარტო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში, არამედ უახლეს ქართულ ლიტერატურაში“,

აქვე მინდა ციტატა მოვიტანო ჩემი წინასიტყვაობიდან, რომელიც წავუმძღვარე 1985 წელს გამოცემულ გურამის ერთტომეულს საერთო სათაურით „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“.

„მას ქართველი ადამიანის შინაგანი ბუნების, ძირების, სულისა თუ არტისტიზმის საწყისების ანალიტიკური გამოკვლევაც სურდა და ზოგჯერ საოცრადაც ჩანს ის ფაქტი, რომ ამას აკეთებდა ახალგაზრდა, ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ბიჭი, რომლის დაუოკებელი სული ნიადაგ უხილავსა და შეუცნობელს მიელტვოდა.

ამ უაღრესად საინტერესო პრობლემის შესახებ დიდი და დასაბუთებული გამოკვლევა დაგვიტოვა უდროოდ წასულმა და ყველა მოაზროვნე ქართველისათვის საამაყო კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა. მხედველობაში გვაქვს რთულ ქართულ ბუნებაში მართლაც სიღრმისეული წვდომით დაწერილი მისი წიგნი „სათავეებთან“, რითაც მან უაღრესად სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგრამ კუთვნილი უნდა მივაგოთ ჭაბუკ გურამ რჩეულიშვილსაც, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ, 1958-1960 წლებში თურმე იგივე პრობლემების გამოკვლევითაც იყო გატაცებული და პირველმა სცადა გაუვალი ბილიკების გათელვა“.

ბევრი საინტერესო ძიება, აზრი და მსჯელობაა ამ თვითმყოფად პიესაში. ავიღოთ თუნდაც ქართველი კაცის, ქართველი ერის არტისტულობის და ფორმის საკითხი. პიესის ერთერთი მთავარი მოქმედი გმირი აცხადებს: „არტისტულობა, ჩემი აზრით, არის სუფთათ ჩვენი ქართული ბუნება“.

აქვე წარმოიშობა ერთგვარი წინააღმდეგობა, როცა სხვა მოქმედი გმირი პასუხობს:

„ეგა გღუპავთ ქართველებს“.

ქართული ბუნების არტისტულობის კვლევას ერწყმის ერის ფორმის შესახებ მსჯელობა. ეს მსჯელობა მართლაც თანადროულად ჟღერს, ბევრ დღევანდელ პრობლემას უკავშირდება. აქ დიდი ეროვნული პრობლემებია წამოჭრილი რისი პირდაპირ თქმაც იმ კოშმარულ წლებში დაახლოებით თავის დაღუპვას უდრიდა. აქ ლაპარაკია სწორი გზის, ნამდვილი არსის ძებნაზე, რომლისთვისაც ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა თავდადებით უნდა იბრძოლოს. თუნდაც მისი მიღწევისათვის საკუთარი სიცოცხლის მამულის სამსხვერპლოზე მიტანაც დასჭირდეს.

აქ გაფრთხილებაც გაისმის, რომ ზედმეტობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს არა მარტო ერთეული პიროვნებებისათვის, არამედ ყველასთვის, ერისთვის, მაგრამ იმდენად სანუკვარია ის შორეული ოცნება თუ მიზანი, რომ ადამიანმა ყოველგვარ სხვა საშიშროებაზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს და ამ უპირველესი მიზნით იყოს შეპყრობილი. პიესის ერთერთი

მთავარი მოქმედი გმირის ჯიმშერის საშუალებით ახალგაზრდა მწერალს ფართო სამსჯავროზე გამოაქვს პირადი აზრები:

— „თქვენ არ მოგწონთ ფორმით გატაცება, არც მე მომწონს, მაგრამ მე, მე ვამაყობ, რომ ვარ იმ ერის შვილი, რომელსაც არასოდეს არ აკმაყოფილებს თავისი არსებული ფორმა, რადგან არ იცის რომელია ის — დაუკმაყოფილებლობა არსებული, ეს არის ფორმა და ამას ქვია ქართველი კაცი. აი, მეც ვარტისტობ ახლა, ზედმეტად ვიქნევ ხელს და მე ამით ეამაყობ, ამან შეიძლება დამღუპოს მე, მან შეიძლება დაგვღუპოს ყველა ჩვენ, დაგვღუპოს სხვა ფორმის ძიებამ, მაგრამ ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ არსს, ის იმდენად ნამდ. ვილი იქნება. რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ ინანებს, რომ იყო მისი გზის უნებლიე მსხვერპლი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ის შეიძლება გავლანძღოთ კიდეც“.

ვფიქრობ აქ წამოჭრილი და შეფარულად ნათქვამი ფორმის ძიება, გამრუდებული სისტემის უარყოფისა და ახლისაკენ სწრაფვის მოწოდებაა.

გურამ რჩეულიშვილი დაძაბულად ფიქრობს და განიცდის, ის მთლიანადაა ჩაძირული ფიქრების რთულ გამაში: „უფიქრელად კი მე არ შემეძლო, ფიქრი არის ჩემი მეგობარი და მტერი, ფიქრის არის თვით ადამიანი... მაშ გაუმარჯოს ფიქრს, როგორიც არ უნდა იყოს იგი“...

ერთგან თვით გურამი, ამ შემთხვევაში პიესის გმირი, დაკვირვებით ლაპარაკობს ნაწარმოების კონკრეტული იდეის შესახებ, რაც სხვადასხვაგვარად მოქმედებს მკითხველზე და ორ განსხვავებულ პიროვნებაში სწორედ ურთიერთგამომრიცხავი თვისებების გაძლიერებას უწყობს ხელს.

ნაწარმოების იდეაზე მსჯელობის დროს საცნაური ხდება გურამ რჩეულიშვილის უმთავრესი აზრი, რაც ცენზურისა და ხელისუფლების მძვინვარების გამო თხრობის აისბერგის ქვეშ აქვს ამოფარებული და ნაწარმოების ერთი უმთავრესი იდეის სახით გვაწვდის:

ნაწარმოები, რომლის იდეა, როგორც მიღებულია ითქვას, ვთქვათ, არის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ან სხვა რაიმე“.

ბევრი ეცადა, იწვალა, ხომ შეიძლებოდა ეთქვა ნაწარმოების იდეაში გამოხატული ის სხვა რაიმე, მაგრამ მაინც უპირველეს იდეად განსაზღვრა „ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის“...

გურამ რჩეულიშვილის დიდი კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი და მიმტევებლობის ვაჟკაცური უნარი კარგად არის გამჟღავნებული პიესა „იულონში“, სადაც აზრთა ისეთი სიუხვეა, რომ ერთი მეორისაგან განცალკევებით განხილვაც კი ჭირს. სწორედ გურამის მსგავს დიდბუნებოვან პიროვნებას უნდა ეთქვა ქალის, ადამიანის შესახებ, რომ შემიძლიაო... „მთელი არსებით შევიყვარო ის, თუნდაც მარტო ერთი საათით, ოღონდ მაინც მთელი არსებით...“

მთელი არსებით სიყვარულის, ადამიანებთან სიახლოვისა და მიმტევებლობის შესახებ მსჯელობა მეტისმეტად თანადროულად გაისმის დღეს, როცა გახშირდა დაძაბული კამათი. ჩხუბი, ჩასაფრება. ადამიანის კვლა და როცა ამ დამღუპველ სენს ჯერჯერობით ვერაფერი შველის.

ასეთი რთული ვითარების დროს მეტად შთამბეჭდავად. ნამდვილად დადებითი ზემოქმედების ძალით გაისმის . ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილის ბრძნული აზრები:

„აი, შენ რომ გიყურებ, თბილი შურით მევსება გული, სიყვარულის შურით: როგორ შეგიძლია ასე განურჩევლად გიყვარდეს ყველა, თანაც ისე, რომ არ გეცოდებოდეს არავინ...

...ცხოვრების დედააზრია საერთო გამოხატული ლიტერატურულ ფორმაში — იცხოვრო შენ ახლობელთან და შეიყვარო ის, როგორც შენი თავი.

...პირველად გავიგე, როგორ შეიძლება გიყვარდეს ახლობელი შენი, როგორც თავი შენი.

განსაკუთრებით არ შემიძლია ვერ ვიტანდე ვინმეს“. ამის გაგება და შესისხლხორცება მეტისმეტად გვჭირდება დღეს ჩვენ ყველას, განსაკუთრებით ამ აღრეულ და საშიშ დროში, როცა ადამიანის დაბინდული გონება ძველის გამანადგურებელ ყველა სიახლეს თუ ამ სიახლეთა ფორმის ძიებას სათანადოდ ვერ აღიქვამს და ჩნდება საბედისწერო შეცდომების

გრძელი ჯაჭვი, რასაც აუცილებელი სიახლეებიც კი ხშირად ჩიხისაკენ მიჰყავს.

მრავალთა შორის ერთი გულში მოსახვედრი აზრია პიესაში და ვინაიდან აქ ჯარზე, ომზე, ადამიანების უკიდურესობამდე დაძაბულ დამოკიდებულებაზე არის ლაპარაკი, მე დავრწმუნდი, რომ ეს აზრი მიესადაგება ჩვენში შექმნილ დღევანდელ ვითარებას, რის წინააღმდეგაც. შეურიგებელი ბრძოლაა გაჩაღებული. საქმე შეეხება ქართველობის, ჩვენი ახალგაზრდობის ჯარში გაწვევას, რადგან ისინი უაღრესად უხეშ, არაადამიანურ მოპყრობასთან ერთად მძიმედ განიცდიან დედასთან. ოჯახთან. მახლობლებთან დაცილებას, საკუთარი კუთხის მიტოვებას, რაც ყველა სხვა ერის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით განსაკუთრებით მტკივნეულია ქართველისათვის.

... „ყოველთვის, ყველა ქართველის სახეზე ვკითხულობთ დარდს, უსაზღვრო დარდს, გამოწვეულს იმითი, რომ მას დარჩა იქ, სამშობლოში უსაყვარლესი დედა, მიწა, კარმიდამო, სადაც გაიზარდა და ყველაფერი გამოდიოდა მის შინაგან ბუნებაში...“

უამრავი სულით ხორცამდე შემძვრელი და დამაფიქრებელი აზრებითაა სავსე ეს უაღრესად ორიგინალური, ღრმა ქვეტექსტებით გაჯერებული დრამატული ნაწარმოები. აქ აზრი და ძლიერი ვნება ერთმანეთს ავსებს: ...„არ არსებობს ვნება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება!“

რა შესანიშნავად არის ნათქვამი და მეც მრავალ კრიტიკოსთან თუ მკითხველთან ერთად მეუფლება სიძლიერით დაკმაყოფილების გრძნობა და კვლავ ვიმეორებ გურამის სიტყვებს: „უცნაურად ცხადი იყო ყველაფერი“!

პიესა „იულონი“ დღევანდელობის თვალსაზრისით უმაღლეს შეფასებას იმსახურებს, მის გარეშე თანამედროვე ქართული ლიტერატურა ვეღარც წარმომიდგენია.

1986 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მწერლის გზა“ კრიტიკოსი მიხეილ ანთაძე წერდა: „მუდამ ჩვენს გვერდითაა მწერალი, რომელსაც ბედმა არგუნა მისი მომდევნო ყოველი ახალი თაობის თანატოლი და ლიდერი ყოფილიყო — გურამ

რჩეულიშვილი... მუდამ ოცდაექვსი წლისა... 1983 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული პიესა „იულონი“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, მკითხველის მიერ აღქმული იქნა, როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ორგანული ნაწილი და არა როგორც დაგვიანებული პუბლიკაცია.“

* * *

გურამ რჩეულიშვილი თავისებური გამძაფრებული ხედვით აღიქვამდა და განიცდიდა საქართველოში გამრუდებულად მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს, რაც ერის გადაგვარებისაკენ იყო მიმართული. მის მგრძნობიარე ბუნებას უსიამოვნო დაღს ასვამდა ქართველობის დაქსაქსულობა, - ნებისმიერი გზით უზრუნველი ცხოვრებისაკენ სწრაფვა. ქართველისაგან ქართველის სიცოცხლის ხელყოფა, მამულისათვის საჭირო სწავლა-განათლების მეათეხარისხოვან საქმედ ქცევა, ახალგაზრდობის მიერ რწმენის დაკარგვა. ოდითგან ერის სულში ჩა“ნერგილი შური და გაუტანლობა.

რამდენჯერ უთქვამს ხოლმე ბიჭებთან საუბრის დროს: „კომკავშირი და მისი მწვრთნელი პარტია სულ ცალკე მდგომი ელიტაა, ბიუროკრატიისა და გარყვნილების გზაზე დამდგარი, უზურპატორული რეჟიმის საყოველთაოდ დამნერგავი. ხალხი კი სულ ცალკეა. მას ეროვნული მთლიანობისაკენ მიმავალ ბილიკებს უჭრიან, მავნე იდეოლოგიით აბრუებენ. ქრისტეს ნაცვლად ლენინს სჩრიან ხელში. ქრისტიანულ მოძღვრებას და ღვთისსჯულს მარქსიზმ-ლენინიზმის საძულველი მოძღვრებით უცვლიან, თანაც აშკარა ძალდატანებით, რაც დაღუპვამდე მიგვიყვანსო“.

ერთხელ დიამატის თუ ისტმატის აბსოლუტურად უინტერესო, გაუგებარ ლექციას ვაცდენდით, უნივერსიტეტის ბაღში ვისხედით და ჩვეულებისამებრ ვსაუბრობდით. ამ დროს თურმე საუნივერსიტეტო რეიდი ტარდებოდა უდისციპლინო სტუდენტების გამოსავლინებლად. ლაპარაკით გართულებს თავზე წამოგვადგა ხუთ-ექვს კაციანი ბრიგადა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივნის მეთაურობით.

პირველი მდივანი ცუდი ბიჭი არ იყო, ის თან ასწავლიდა, თან შეთავსებით კომკავშირში ჩალიჩობდა, ქეიფიც უყვარდა, არაერთხელ სუფრაზეც ვიყავით შეხვედრილები. თავს თითქოს კარგი საქმის გაკეთებაზე დებდა, მაგრამ კომკავშირული ცხოვრების კომპარტიის მიერ დათრგუნვილი ვითარება უბიძგებდა ყოფილიყო სულ სხვანაირი, ან იქნებ ისეთი, როგორიც მართლა იყო.

იგი ოდნავი თავის დაქნევით მოგვესალმა, გვკითხა რა მიზეზით ვაცდენდით ლექციებს და მერე ჭკუის დარიგება დაიწყო: თუ ასე აცდინეთ ლექციები, თანაც ისეთ წამყვან საგნებში, როგორიც დიამატი და ისტმატია, ვერაფერს ვერ ისწავლით, ჩვენი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას ვერ გაიგებთ, ქვეყანას ვერ გამოადგებით და თუ ამ გზით ივლით საქართველოს დაღუპავთო.

გურამი ცოტა ხანს ირონიაშეპარული ღიმილით უსმენდა სულელურ ჭკუის დარიგებას, მაგრამ როცა კომკავშირის მდივანმა შეტოპა და შეტოპა, ვეღარ მოითმინა. სახეზე ნაკვთები დაეძაბა, საგრძნობლად წამოწითლდა. კომკავშირის მდივანსა და ყურადღებად ქცეულ, ბრიგადის წევრებს მიახალა: „საქართველოს ჩვენ კი არა. თქვენ დაღუპავთ, თქვენი ნაქები დიამატის და ისტმატის. აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის დექციებზე მაინც არ შევალთ. დებილებსა და მატყუარებს ვერ მოვუსმენთო“.

კომკავშირის მდივანი ამალითურთ სასწრაფოდ გაგვეცალა. ის საწყალი ცოტა ხნის შემდეგ დაიღუპა. მაგრამ კომკავშირში ლიდერობის მსურველები უხვად დარჩნენ. მართალია. ზოგი მათგანისათვის კომკავშირი სამუშაო და თავის რჩენის საშუალება იყო, სიძნელეების მიუხედავად კეთილ საქმეებსაც აკეთებდნენ, მაგრამ ბევრიც — იდეოლოგიით მოწამლული, აშკარა მავნებლობას, მოძმის გაყიდვას, საკუთარი მლიქვნელების წრის აღზევებას, რუსული ენის მცოდნე და რუსული ორიენტაციის მქონე ახალგაზრდობის პირველ რიგში დაწინაურებას, პარტიის წინაშე მონური ერთგულებისა და არაკაცური მორჩილების უხამსი ჩვევების დანერგვით იყო გართული.

იმ რთულ პერიოდში. ტოტალიტარული რეჟიმის უსიტყვო ბატონობის პერიოდში, ძნელი იყო ასეთი მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლა, მითუმეტეს წერა, ამას ბევრი ვერ ახერხებდა. ამ მიზეზის გამო გურამიც არცთუ იშვიათად წარსულში ეძებდა მავნე ჩვევების სათავეს, წარსულის გაკვეთილები დღევანდელობაში გადმოჰქონდა, ხალხის ჩაფიქრებას ცდილობდა.

ავიღოთ თუნდაც 1958 წელს. 24 წლის მწერლის მიერ დაწერილი ნოველა „მუზეუმის დირექტორი“, რომელიც ასობით სხვა ნაწარმოების მსგავსად თითქმის მესამედი საუკუნე ელოდა გამოქვეყნებას და მხოლოდ 1985 წლის კრებულში დაიბეჭდა.

აქ თხრობა საქართველოს სავალალო წარსულის აღწერით იწყება. ჩემი ნათქვამის საილუსტრაციოდ მინდა ვრცელი ციტატა მოვიტანო:

„სულ დანაწევრდა და აოხრდა გარეშე მტერთა თარეშისაგან და გამუდმებული შინაფეოდალური ომებისაგან ისედაც მრავალტანჯული საქართველო, მოიშალა ცენტრალური მტკიცე მმართველობა, დაირღვა ტაძართა თუ ციხე-გალავანთა მშენებლობის მაღალმხატვრული სტილი; თავისებური ნაყოფი გამოიღო ამ გარემოებამ: განვითარდა ცალკეული საერისთავოები ქართლ-კახეთსა თუ შორეულ მთებში. შეიქმნა მმართველობის ვერაგი, მოშუღლე, ინდივიდუალური სისტემები, ინდივიდუალური მშენებლობა — დასაყრდენი შესაფერი წესწყობილებისა.

ამ პერიოდში პირადი პატივმოყვარეობით შეპყრობილი ფეოდალები არავითარ ზომას არ იშურებენ მეფის თუ მეზობელი სამთავროს სავნებად. უგზავნიან მოსყიდულ მკვლელებს ერთმანეთს, ასმენენ ყაენთან, მოტყუებით მოპატიჟებულ მეზობლებს ღვინით ათრობენ და ისე ხოცავენ, თვალებს თხრიან, ასახიჩრებენ. ძმა ძმას არ ინდობს, საკუთარ მამას აგდებს გამძვინვარებული მებატონე ციხის თავიდან, ყველგან და ყველაფერს ცდილობს დააწეროს თავისი უღირსი სახელი და ამით უკვდავჰყოს თავისი „საქმეები“.

შემზარავი, დაწვრილმანებული ვნებები ტრიალებენ მთელს ფეოდალურ მსოფლიოში, რომელთა გადამეტებასაც ცდილობს აღმოსავლეთის ურდოებისგან ისედაც ძალაგამოცლილი ქართველი თავადი. ამ არეულობით აღფრთოვანებული ყაჩაღი მთიელები აცამტვერებენ ნაამაგარს, ჩეხავენ ვაზებს — ქართველის ამ უდიდეს ეკონომიკურ და კულტურულ დასაყრდენს, ხოცავენ და საკუთარი გლეხისადმი, საკუთარი სიძლიერისადმიც კი მტრულად განწყობილ თავადთა დახმარებით ძვირადღირებული ტყვეებით ავსებენ მსოფლიო მონათა ბაზრებს.

ლხინს მისცემია კახეთის თავადი ჯანდიერი. გაშლილი სუფრის ბოლოსთან იზლაზნება ეშმაკი მოურავის მოუხეშავი სხეული.

— სამახარობლო, ბატონო, ყვირის სუფრის ბოლოდან, გუშინ ღამით ჭავჭავაძეებს ლეკები დასხმიან და ოცი კაცი გაუტაცნიათ, ამდენივე მოუკლავთ.

აღფრთოვანებული ჯანდიერი წამოვარდება სკამიდან და თავისი „გამარჯვების“ სადღეგრძელოს სვამს, თუმნიანით ასაჩუქრებს მახარობელს. მეორე დღეს ჯანდიერს ესხმიან თავს ლეკები და ალბათ ისევ თუმნიანს იმსახურებს მახარობელი, ოღონდ ჭავჭავაძეთა მოურავი.

აღფრთოვანებულია თავისი პიროვნებით არაგვის ერისთავი ბარძიმ, დიდი წარწერით შეამკო ანანურის ეკლესია, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი, დიდი პატრიოტი, უგანათლებულესი, უკეთილშობილესი პიროვნება, საქართველოს გეოგრაფიის აღმწერი, ასე წერს: „ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არარაიდ ვინმე უჩნდა“. ასევე შეიძლება დახასიათებული იქნას მთელი წინაპარ-შთამომავლობა არაგვის გულზვიად ერისთვებისა.“

დამეთანხმებით, წარსულის ამგვარი შეულამაზებელი აღწერა ზუსტად ეხმიანებოდა საქართველოს კიდევ უფრო მეტად სავალალო აწმყო მდგომარეობას და მწერალიც დასახულ მიზანს სავსებით აღწევდა.

გურამი იყო სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი ბიჭი. იყო შესანიშნავი სპორტსმენი: მთამსვლელი, კალათბურთელი, მოკრივე, ცხენოსნობაში ხომ ტოლი არ ჰყავდა. მართლა საოცარი ბუნებრივი მონაცემები ჰქონდა, სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეეძლო თავის გამოჩენა და თვალსაჩინო მიღწევების მოპოვება.

ის ბევრი შინაგანი თვისებით განსხვავდებოდა გარშემო მყოფთაგან. იყო გაცილებით უშუალო და თავისუფალი, მართალი და გაბედული.

შესანიშნავად წერდა გურამის ლაღი, სხვებისაგან გამორჩეული თვისებების შესახებ ცნობილი ქართველი კრიტიკოსი ოტია პაჭკორია 1973 წელს გამოცემულ წიგნში „დრო და სახელები:“

„თვით მის ხასიათში იყო მთავარი — დაუცხრომელი ქმედებისაკენ სწრაფვა, სიყვარული ადამიანის, ცხოვრების, მელოდიისა და ფერის...

...იგი ხშირად ვერ იოკებდა შეჭიდების, წინააღმდეგობის დაურვების ჭარბ ჟინს. იგი ეთამაშებოდა ბედს და სიცილიო ისხლეტდა გაფრთხილებას... მისთვის არ არსებობდა შიში, იგი ყველაფერში ვაჟკაცური ინსტიქტებით ხელმძღვანელობდა და მე ხშირად მიგრძვნია მისი დიდი უპირატესობა“.

გურამ რჩეულიშვილს ცხოვრების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა, ეს სწავლის, მოქმედებისა და თუნდაც ჩაცმისადმი მხოლოდ მისეული მიდგომითაც იყო წარმოჩენილი. 1958 წელს დაწერილ ორიგინალურ ნოველაში „ბატონო ტელემაყურებლებო“, იგი მკითხველთა სახით ქოს ფართო აუდიტორიას მიმართავდა, რათა საკუთარი ცხოვრების წესი — თავისუფალი და არტახებდაწყვეტილი, სხვებისთვისაც ეჩვენებინა:

„მე დავიბადე თქვენთან, ერთად, გავიზარდე თქვენთან ერთად, სკოლაში დავდიოდი, დავდიოდი ისევ და ისევ თქვენთან ერთად კინოებში, თეატრებში და ექსკურსიებზე, ზაფხულო. ბით ბორჯომში, მერე ზღვაზე, ზამთარში ბაკურიანში. ვიცვამ თქვენსავით „ბუტილკა“ შარვალს 1955 წლიდან, არ ვატარებ

ქუდს, ჩვენ ყველა ვიზრდებით ერთად, ვსწავლობთ ერთმანეი-საგან და ყველა ერთი და იგივე წიგნიდან სწავლობს იმას, რაც მის ბუნებასთან ყველაზე ახლოა. მე თქვენგან განსხვავებით დავდივარ უჰალსტუხოდ, გაღეღილი გულით და მძიმე მაღალ-ყელიანი ფეხსაცმელებით, ლანჩაამძვრალითაც, რადგან ახა-ლი მაღალყელიანის შოვნა ძნელია, მე კი შევეჩიე მას, ის არის მძიმე და გრილი, ერთნაირად მადგება ოპერაში და მთაში, კი-ნოში თუ ჩხუბში“.

უაღრესად ოპტიმისტი და სიცოცხლის მოყვარული ბიჭი იყო, იუმორიც უხვად ჰქონდა მომადლებული, უტეხი ძალა და მტკიცე ნებისყოფა ჩანდა მის ლამაზად ჩამოქნილ სახესა და ძლიერ კისერში, თავისებური მყარი ნაბიჯებით სიარულსა თუ ჭეშმარიტ რაინდულ ქცევაში.

თავისი პატიოსნებითა და ვაჟკაცური ცხოვრების მკაცრი ნორმებით მართლაც რაინდს, ხევისბერსა თუ უფლისციხის მთავარს გავდა. ამიტომაც ვუძახდით ბიჭები ზედმეტ სახელად რჩეულასა და ვამეხს — უფლისციხის დიდი მთავრის სახელს, რაც მის ბუნებრივ შინაგან სიამაყეს მოხდენილად ესადაგებო-და.

* * *

გურამს ძალიან უყვარდა ქართული სახელები: ვამეხი, ვაჟა, კრავაი, მზია, მგელიკა, ნათელა, თეკლე, ცქიტო, მანანა... ასე-ვე უყვარდა კარგი ქართული გვარები. თითქოს ამაშიც კი იგ-რძნობოდა ყველაფერი ქართულისადმი მისი მიდრეკილება და ეროვნულობის ცალკეული ნიშნები. მისთვის სახელს და გვარს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პირადად მეც ასე მი-მაჩნია ბევრს ჩვენთაგანსაც და ვფიქრობ, ეს ვინმეს უცნაურო-ბად არ უნდა მოეჩვენოს.

ამ გვარ-სანელებთან დაკავშირებით ერთი პატარა ამბავიც გამახსენდა, რასაც გურამ რჩეულიშვილი ხშირად იგონებდა ხოლმე და გულიანად იცინოდა.

გურამის თანაკურსელმა და ჩვენმა საერთო მეგობარმა, ნამდვილად ღირსეულმა ქართველმა, მომავალში ცნობილმა ჟურნალისტმა და ჩვენგან უდროოდ წასულმა ოთარ დიაკონიძემ მეორე თუ მესამე კურსელი სტუდენტი ბიჭები სახლში სტუმრად მიგვიპატიჟა.

ოთარი ნაძალადევში ცხოვრობდა, მშვენიერი ეზოიანი სახლი ჰქონდათ მყუდრო ადგილას. გემრიელი ქართული სუფრა იყო გაშლილი. სუფრას ესწრებოდნენ "ოთარის მშობლები, დები, ნათესავები. გამახსენდა და როგორც ხშირად, დოკუმენტური სიზუსტისათვის ვიყენებ იმას, რომ სუფრას ესწრებოდა ოთარის მამიდაშვილი პროფესორი ალიოშა მუჯირი.

ოთარ დიაკონიძემ ჩვენი თავი წარუდგინა მახლობლებს; „გაიცანით ჩემი მეგობრები: ეს გახლავთ გურამ რჩეულიშვილი, ეს რეზო ერისთავი, ეს გიორგი აბაშიძე, ეს ნუგზარ წერეთელი, ეს... ვაი, შენს პატრონს ჯურხა".

მეხუთე იყო გურამის და ოთარის თანაკურსელი, ჩვენი მეგობარი ჯურხა ნადირაძე.

სუფრაზე სიცილი და ხარხარი ატყდა, ჯურხა კი ოთარს ეუბნებოდა: არც შენ ხარ დადიანი, ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ დედა წერეთლის ქალი მყავსო.

მერე გურამი ამბობდა: რა გვარები და სახელები ჩამოთვალა ოთარმა, ჯურხაც რომ ბარემ წერეთლად გამოეცხადებინა, სტუმრები სულ გადაირეოდნენ ეს ამდენი თავადიშვილი სად შეკრიბა ოთარმაო.

თითქოს ბევრი არაფერია ამ მოგონებაში, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ გურამი დიდ სიამოვნებას პოულობდა ლამაზ თავადურ გვარ-სახელებში. ამ ფაქტს მის ნაწერებშიც ხშირად ვხვდებით.

გავიხსენოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ნაწყვეტი მოთხრობიდან „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ", აგრეთვე რამოდენიმე სხვა ნაწარმოებიდან.

„— ვაჟა, ჩემი ამხანაგი გადმოვიდა მეზობლად, გაიგე? — მითხრა დედამ.

— ვინა?

— ნუცია ანდრონიკაშვილი.

მე წამოვწითლდი.

— ნუციამ და მე ერთად დავამთავრეთ ქუთაისში რეალური სასწავლებელი. მიქელაძის ქალია. მაგის ქმარი, ანდრონიკაშვილი ნოდარი ადრევე დაიღუპა.

...მე ცოლად შევირთე ჩემზე ოთხი წლით უმცროსი, დედაჩემის მეგობრის ქალიშვილი ანდრონიკაშვილი კრავაი.

...ახლა სახლში ვიყავით ვამეხი. (მოთხრობის გმირის ვაჟას შვლი — ნ. წ.) კრავაი, დედა, მამა და მე".

„ქვევით ვაჟა ჯანდიერი დარჩენილ თოკს უყურებდა.“ („ასვლა“).

„ვაჟა ჯანდიერი ახლა თბილ პატარა ოთახში იჯდა“. („აქ კი თბილა“).

„ამოწერილი ციტატა „ქართლის ცხოვრებიდან“ ლევან ჯანდიერმა გვერდზე გადასდო.“ („პროფესორი ლევან ჯანდიერი“).

„ნოდარ ჯანდიერი“, — ძლივს წაილუღლუღა მან და სახე გაუბრწყინდა.“ („სიყვარული მარტის თვეში“).

„ჭკადუაში მისი საგვარეულო სოფელი იყო. იქ ცხოვრობდა დიდი მთავარი მამია დადიანი, პაპა მისი, როსტომ დადიანი, მამა მისი და ის კოტე დადიანი...“ („კისკისებენ ქალები“).

„..იყოს მისი გვარი ჯავახიშვილი! სახელი გიორგი...“ („ახალი წელი“).

„...იათამზე გაჩერდა, ვაჟა სირბილით დაეშვა მისკენ, ჩაიხუტა...“ („ირინა“).

„მიცნობდეთ! მე ვარ გურამ რჩეულიშვილი, მწერალი და პოეტი!“ („ბატონო ტელემაყურებლებო“).

„ზის კოშკის ზემოთა მუხლზე ქურქების შუაში ჩამჯდარი მზია — ბათარეკას ცამეტი წლის ქალიშვილი“. („ბათარეკა ჭინჭარაული“).

გურამისათვის სულიერად მახლობელი და კარგად შერჩეული ლამაზი ქართული გვარ-სახელები კიდევ უფრო ამკობენ მის უმშვენიერეს ნაწარმოებებს.

* * *

გურამის ნათელი ოპტიმიზი კარგად ჩანს მის ნაწარმოე-ბებ-შიც. აი, რას წერდა 22 წლის ბიჭი თავის ერთ-ერთი პირველ მოთხრობაში „ასვლა“.

„კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო — ან რა არის მუდ-მივობა, — სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელ-საც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაც-ვლულისაგან“.

ეს იყო ნათელი, ოპტიმისტური ფილოსოფია, ეს იყო სიკ-ვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის თავისებურად ახ-სნა, რაც ყოველთვის აწუხებდა ახალგაზრდა უნიჭიერეს შე-მოქმედს და რაც მის მრავალ ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს.

მაგრამ ბუნებით ოპტიმისტსა და უშიშარ გურამს ბედისწე-რის მძაფრი განცდა არ ასვენებდა. ძალზე ხშირად უახლოესი მეგობრებისათვის უთქვამს და ნაწერებშიც არაერთხელ აღუ-ნიშნავს მალე დავიღუპებიო.

ეს მძიმე წინათგრძნობა ყოველთვის თან დასდევდა, გულის სიღრმეში იყო მიმალული და თავისდაუნებურად ტკივილით იჩენდა ხოლმე თავს.

ზაფხულის ერთ ღამეს, როდესაც „ზემელზე“ ვიდექით და ჩვენი მეგობრების გამოჩენას ველოდებოდით, მითხრა—ოც-დაათ წლამდე თუ ვიცოცხლე რამდენი რამის გაკეთებას შევ-ძლებო. მე გავჯავრდი, ეს აზრი მის არტისტულ ბუნებას მივა-წერე, ასეთი რამის თქმა და განჭვრეტა ვის შეუძლია, შენ ყვე-ლა ჩვენთაგანზე მეტს იცოცხლებ-მეთქი. ჩემი დღიურებიდან შემდეგ აღვადგინე რომ ეს საღამო 1959 წლის ზაფხულისა იყო. ერთი წელი, მხოლოდ ერთი წელი რჩებოდა გურამის და-კარგვამდე, ჩვენი ათასობით იმედის დასამარებამდე.

ვუხელ იგივე „ზემელზე“ ჩვენი შელაპარაკებისა და შერიგე-ბი, შემდეგ მითხრა: „ბიჭო, გამიფრთხილდი, ხომ იცი, მე დიდ-ხანს ვერ ვიცოცხლებო“. ასეთი რამის დაჯერება მე კი არა, არ-ცერთ მის უახლოეს მეგობარს არ შეეძლო; მსგავსი რამ შინა-

განი ტკივილის მოძალების ჟამს არაერთხელ უთქვამს ედიშერ რჩეულიშვილისთვის, გურამ გეგეშიძისთვის, თენგიზ ჯაშიაშვილისთვის, ბორის ინასარიძისთვის, ერლომ ახვლედიანისთვის... მაგრამ ვინ დაუშვებდა იმის გაფიქრებასაც კი, რომ ძლიერსა და მამაც გურამ რჩეულიშვილს, რომლის იმედი ყველა ჩვენთაგანს ჰქონდა და რომელიც ჩვენის აზრით, ქვეყნის გადაბრუნებასაც კი შესძლებდა,. მართლა მალე ელოდა აღსასრული. ეს რომ ოდნავ მაინც გვეგრძნო, ალბათ გვერდიდან არცერთი მეგობარი არ მოსცილდებოდა, მაგრამ ვინ და როდის გაქცევია განგების მკაცრი განაჩენით გამოტანილ ბედისწერას?!

სულ ცოტა ხნის შემდეგ, გაგრის საქალაქო საავადმყოფოს სარდაფის პატარა ოთახში გურამის ცხედართან თავზარდაცემული და სულიერად განადგურებული როცა ვიდექი, შინაგანი შიშით ვკანკალებდი იმის სასოწარკვეთილი შეგნებითაც, თუ როგორ ასრულდა გურამის სიტყვები და როგორ გამართლდა ის, რის შესახებაც არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის.

უკვე ოცდაათი წელი გავიდა იმ საშინელი დღიდან, ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ის უკიდურესი მწუხარების წუთები დღემდე გულს მიღრღნის.

ჩვენ, მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები, აღელვებულ ზღვაში ვეძებდით გურამს, როდესაც დაბრუნების ნიშანი მოგვცეს და ძველი, ჭრიალა კატერი გაჭირვებით დაბრუნდა ნავმისადგომთან.

გურამი ვიწრო სამედიცინო სკამლოგინზე ესვენა. ფართო ქამრით მაგრად შემოჭერილი ჯინსის მსგავსი ბაცი მორუხო ფერის შარვალი და შავი მაღალყელიანი ბათინკები ეცვა, ზღვას ვერ გაეხადა, მხოლოდ წელს ზემოთ იყო შიშველი, ზღვაში დარჩენილიყო მისი საყვარელი მეზღვაურის ზოლიანი მაისური. ოთხი დღე მარილიან წყალში ყოფნას მისი ულამაზესი ტანი და ფართო ბეჭები არაბუნებრივად გაედიდებინა, ლამაზი ხვეული თმები კეფისაკენ ქონდა გადატანილი, შუბლიც გადიდებოდა. უამრავი სიკეთის შემქმნელი მსხვილი მარჯვენა მოწყვეტილივით იყო ჩამოგდებული სკაძლოგინიდან, სტიქი-

ას ზედ იღლიასთან მოეტეხა ხელი და პირდაღებული იარა ჩანდა. ეს იყო ჩვენი მეგობრის საბოლოო ნახვა. ტირილით ვიხრჩობოდით, გამწარებულებს ჰაერი აღარ გვყოფნიდა, კოშმარულ სიზმარს გავდა სინამდვილე.

1960 წლის 1 სექტემბერს თუთიის სარკოფაგში სამუდამოდ ჩასვენებულ ჩვენს მეგობარს ვაკის სასაფლაოსაკენ მივაცილებდით, მასთან ერთად ჩვენი უამრავი ფიქრი და იმედი სამარდებოდა. უნივერსიტეტში კი სწავლა იყო დაწყებული.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ აღსრულდა მისი წინასწარმეტყველება, გაცხადდა მისი შინაგანი ფარული ინტუიცია და გულში ჩაბუდებული ფიზიკური გაქრობის შიში, რისი შორეული წარმოდგენაც კი ჩვენს ძალებს აღემატებოდა.

რჩეულთა და ერთეულთა უმძიმესი ხვედრი ერგო ოცდაექვსი წლის გურამ რჩეულიშვილს.

მისი გმირები და მეგობრები იდგნენ გარეთ, ლაპარაკობდნენ. უყვარდათ. ფიქრობდნენ, ცხოვრება გრძელდებოდა.

გურამი კი სამუდამოდ მიდიოდა, ქართულმა მზემაც ვეღარ დახედა მის ულამაზეს სახეს, უკანასკნელი ცრემლიც ვეღარ დაეპკურა.

სულ რაღაც ოციოდე დღის წინ ათასი იდეით დამუხტული და შემართული დააბიჯებდა საიარელი თბილისის ქუჩებში.

მე სამ აგვისტოს მოსკოვს მივემგზავრებოდი და ჩემთან სახლში გადმოსულმა გურამმა მეგობრებთან ერთად გამაცილა თბილისის სადგურზე. ხელაწეული მემშვიდობებოდა, სანამ ბაქანი თვალს არ მიეფარა.

ყოველთვის ვცდილობ ხოლმე ასე გაღიმებული და საოცრად ვაჟკაცური წარმოვიდგინო იგი.

შვიდ აგვისტოს გურამი გაგრაში წავიდა დასასვენებლად თავის თანაკურსელთან და უახლოეს მეგობართან თემო ბერიძესთან ერთად. ეს იყო მისი უკანასკნელი დატკბობა ზღვით, რომელთანაც შეჭიდება სულ მალე მოუწევდა.

თემო ბერიძე გვიყვებოდა გურამის დაბადების დღეზე: იმ ორი კვირის განმავლობაში, რაც მე და გურამი გაგრაში ვიყავით. ყოველდღე იხსენებდა მახლობლებსა და მეგობრებს.

რო-' ცა მარტო ვრჩებოდით, დილა იყო თუ საღამო, სულ მე-
გობრებზე ლაპარაკობდა, არც ერთი არ დარჩენილა რომ არ
გაეხსენებინა. თითოეულს თავისებური სიყვარულით ახასია-
თება და ათას რამეს ყვებოდა, თითქოს ემშვიდობებოდა ყვე-
ლა მათგანს.

ალბათ რაღაც გამძაფრებული ინტუიციით გრძნობდა რო-
გორ მოუკლავდა გულს მის საყვარელ ბიჭებს, რომელთა წი-
ნამძღოლი იგი ყოველთვის იყო და ფიზიკური სიკვდილის შემ-
დეგაც შეუცვლელი დარჩა მათთვის.

* * *

მე ხშირად ვფიქრობ ხოლმე და დარმწუნებულიც ვარ გურამ
რჩეულიშვილს აუცილებლად შეეძლო ზღვის გააფთრებული
ტალღებისაგან თავის დაღწევა, მაგრამ იგი აქაც სიკვდილს
დასცინოდა. შეუცნობელს ეთამაშებოდა, კვლავაც ბეწვის
ხიდზე გავლას ცდილობდა, უნდოდა დარწმუნებულიყო რას
დააკლებდა სიკვდილი.

მჯერა ზღვა მას მართლაც ვერაფერს დააკლებდა, ვერ მო-
ოდა. იგი იმსხვერპლა თავისმა დიდმა კაცთმოყვარეობამ, ბო-
ლომდე, უკანასკნელ წუთამდე სხვისი დახმარების სურვილმა,
იმის შეგნებამ, რომ იგი იყო ძლიერი, უშიშარი, მამაცი, სხვა კი
სუსტი და ამ სუსტს აუცილებლად უნდა დახმარებოდა.

იმ ავბედით დღეს გაგრაშიი, გამძვინვარებულ ზღვაში,
დღის სამიდან ოთხ საათამდე საშინელი ტრაგედია თამაშდე-
ბოდა, ასეთი ტრაგედია გურამს ბევრჯერ ქონდა გამოვლილი
ცხოვრებაში, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.
ეს კი მისი ხანმოკლე ცხოვრების ბოლო ტრაგედია იყო.

გავიხსენოთ რაღაც შტრიხებით მსგავსი ადგილი „ალავერ-
დობიდან“. ხანჯლით მოკლული ცხენიდან გადმომხტარი გუ-
რამი ალავერდის ტაძარში შერბის, უკან მთვრალი, დაუნდო-
ბელი მდევარი მისდევს, ზელში გაპრიალებული ხანჯალი უჭი-
რავს. ამ ხანჯალმა წუთის წინ შესანიშნავი ცხენი იმსხვერპლა,
საკუთარი ცხენის მკვლელი კაცი, ანუ გამხეცებული მთვრალი
არც გურამს დაინდობს, მაგრამ მის უშიშარ ბუნებას რა ძალა
აღუდგებოდა წინ.

„...მალე გუგუნით ივსება გუმბათის თაღი. გურამს ყიჟინით მოსდევენ. ალავერდის ცნობილი ხვეული კიბის თავში, ღვთისმშობლის პატარა ხატთან თავაუღებლად ლოცულობს მოხუცი ქალი. „იმათზე ილოცე, დედავ. მე თვითონ გავიტან თავს“, — ჩურჩულით ამბობს უმიზეზო სიხარულმოწოლილი გურამი“.

დაუკვირდით რა საოცრებაა: მოსაკლავად მისდევენ გურამს, მას კი სიკვდილთან თამაში „უმიზეზო“ სიხარულსაც კი გვრის. აქვე ჩანს გურამის დიდი ბუნება და ნებისმიერ ვითარებაში ადამიანების სიყვარულის, მათთვის სიკეთის კეთების სურვილი: -იგი მოხუც მლოცველ ქალს ჩურჩულით შესთხოვს: მაგ უბედურებისთვის ილოცე, მე კი არაფერი მიჭირს, ჩემს თავს ყოველთვის გავიტანო.

ზღვაშიც ასე იყო. როცა სახლის სიმაღლე ტალახისფერი ტალღები გაბედულმა მაშველმა გააპო, პირველად გურამთან მიცურდა, ხელი ჩასჭიდა, გურამს ღიმილით იგივე უთქვამს: მე არა მიშავს, გავალ, მაგათ მიხედეთო. ამ დროს მძიმე ტალღები განწირვას უქადდნენ ორ რუს და ერთ ქართველ ბიჭს.

მაშველმა სწორედ ქართველი ბიჭი გადაარჩინა. იმ ბიჭს ვიცნობდი. გურამის მეათასედის გაკეთებაც არ შეეძლო, მაგრამ განგებამ ის გადაარჩინა, ზღვამაც მხოლოდ რჩეული ისურვა. გურამმა თითქოს ცხოვრებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაუთმო იმ ბიჭს.

მეზღვაურის ზოლიან მაისურიანი გურამი უშიშრად უტევდა სტიქიას. ერთხელ გაარღვია კიდეც ტალღები და ჯებირთან გამოვიდა. ხალხი წიოდა და კიოდა. მას რომ ხელები მაღლა შეემართა, ალბათ ზემოდან დასწვდებოდნენ კიდეც და კედლის ბავზე აიყვანდნენ, მაგრამ არ ისურვა სხვისი დახმარება, ის ამაყი და რაინდული იყო დაღუპვის პირას მისულიც კი, აქაც მხოლოდ თავისი თავის იმედი ჰქონდა.

კედელთან რამოდენიმე წამით მდგარი გურამი დაღლილი იყო, მძიმედ სუნთქავდა, როცა მოტრიალდა და იქვე მახლობლად ჯებირის კიბესთან უნდა გაერბინა, უზარმაზარი აქაფებული ტალღა დაეცა და კვლავ ზღაში გაიტაცა.

იგი კვლავ ებრძოდა ტალღებს და ნაპირისაკენ მოისწრაფოდა. ამასობაში შვეულმფრენიც გამოჩნდა. გაჭირვებით შეჩერდა ტალღების თავზე და თოკი თუ თოკის კიბე ჩამოუშვა. ქარი აქეთ-იქით ათრევდა დასველებულ-დანძენძილ კიბეს.

გურამს უკვე უჭირდა, მაგრამ თავისი ვაჟკაცური დიდსულოვნებისათვის ბოლო წუთამდე არ უღალატია. მან ყველა მიუშვა თოკის ვიწრო კიბესთან, ასვლაშიც ეხმარებოდა, თავად კი დაღლილი რიგს ელოდა. როცა ბოლოს დიდი წვალებით აცოცებულ ბიჭსაც ჩაავლეს ხელი და აიყვანეს, გურამი მიცურდა თოკის კიბესთან, მოეჭიდა და ასვლა დაიწყო, ალბათ მეორე კიბეზეც არ იქნებოდა ასული, რომ დამპალმა კიბემ ვეღარ გაუძლო, გაწყდა და სტიქიასთან სულ მარტოდმარტო დარჩა გურამი. იგი არ ნებდებოდა ზღვას, ბოლომდე იბრძოდა, მოცურავდა ნაპირისაკენ და სიცოცხლისაკენ მოისწარფოდა, მაგრამ ბრძოლა იყო უთანასწორო და ცოტა ხნის შემდეგ როგორც ღრუბლებში ანგელოსი, ისე გაუჩინარდა რუხფერ ტალღებში.

დღის ოთხ საათზე შეწყდა დიდი ქართველი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლე, უამრავი ოცნება ჩაიყოლა თან და უამრავიც თავის საყვარელ მამულს, ქართველ ხალხს დაუტოვა.

მისი დაკარგვა იმხელა დანაკლისი იყო საქართველოსათვის. რომ კიდევ ოთხი დღე ტიროდა ბუნება, მზეს ერთი წუთითაც არ გამოუხედია, მძიმე ნისლი აწვა გაგრის ქედებს, ოდნავი სასიხარულოც არსად ჩანდა, მხოლოდ მისი ამაყი სული ტალღასავით გადმოდიოდა. ჩვენში და გვარწმუნებდა, რომ სიკვდილი არარაობაა, სისულელეა, თუკი „კაცი მთელი სულით ცოცხლობს“, თუკი მიღწეულსა და შექმნილს სტოვებს ქვეყნად თაობების ტკბობის მიზნით.

* * *

გურამ რჩეულიშვილმა მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაამტკიცა, რომ ის იყო, არის და იქნება ჭეშმარიტად თანამედროვე მწერალი, კაცი, პიროვნება, რომელიც

ყოველთვის საჭიროა ქართული ლიტერატურისათვის, ეროვნული მოძრაობის გზით მიმავალი ქართველი ხალხისათვის, როგორც მაგალითი, მაღალი და სრულიად განსხვავებული ფენომენი, როგორც ახალგაზრდა თაობის იდეალი და ნათელი დასტური იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყნად ახალგაზრდა კაცმა, შემოქმედმა, მამულიშვილმა.

1958 წელს დაწერილ კინომოთხრობაში „ბევრი ბავშვები ერთად, ანუ შუადღის შემდეგ, მთელი ღამე და დილა“ ოცდაოთხი წლის გურამ რჩეულიშვილი, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ. კიდევ და კიდევ აღნიშნავდა: „მე არ დავბერდებიო“. იგი მართლაც არ დაბერდა, მძლავრი მეტეორივით გაიქროლა, მაგრამ ჩაქრობის ნაცვლად ნათება მოემატა, ოცდაექვსი წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩა.

იგი ერთგანაც წერდა: „სიცოცხლე მინდოდაო“. ალბათ უფრო მეტად ქართველ ხალხს ჭირდებოდა მისი სიცოცხლე! რამდენს შექმნიდა. რამდენ სასარგებლოს მოუტანდა მშობელ ერს, ვისი კეთილდღეობისათვის თავის დადებაც უმაღეს მოწოდებად მიაჩნდა.

მას ხომ უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, ყველა ქართველი, უყვარდა ადამიანები. ღრმა შინაარსიანი პიესის „იულონის“ პირობითი სცენიდან იგი ამგვარი კეთილშობილი უშუალობით მოგვმართავდა ჩვენ:

„აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ, ნამდვილი გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით. სიყვარულით ყველაფრისადმი, არტისტული სიყვარულით, რომლის შეგრძნებაც ღმერთობამდე ადის“.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ მხოლოდ ოცდაექვსი წელი მიუთვალა განგებამ გურამ რჩეულიშვილს. მაგრამ მის მიერ განვლილი მეტად ხანმოკლე მწერლური თუ პიროვნული გზა მისაბაძია ყოველი ქართველისათვის, ვინც კი ქართულლი ეროვნული სულის აღზევებისათვის ფიქრობს და იბრძვის.